საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სა-
ხელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ნ ო დ ა რ   გ ა ბ ლ ი შ ვ ი ლ ი

# საქართველო სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში
(XIX ს-ის 70-იანი-80-იანი წლების დასაწყისი)

თ ბ ი ლ ი ს ი
1990

9(2Г)
გ 129

ნაშრომში ლიტერატურული და ახალი დოკუმენტური წყაროების ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია საქართველოს მონაწილეობა და წვლილი სრულიად რუსეთის 1879-1881 წლების რევოლუციურ სიტუაციაში.

წიგნი გამიზნულია ისტორიკოსებისათვის, ეკონომისტებისათვის, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის და იმ პირთათვის, ვისაც აინტერესებს საქართველოს პრობლემები.

გამოცემა ხორციელდება ავტორის ხარჯით

რედაქტორი ისტორიის მეცნ. დოქტორი ო. ჟ ო რ დ ა ნ ი ა

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი დ. პ ა ც ლ ი ა შ ვ ილი
ისტორიის მეცნ. კანდიდატი გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ აძე

გ $\frac{0503020906}{М 607(06)-90}$

ნ. გაბლიშვილი, 1990

# შესავალი

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერიაში წარმოიშვა რევოლუციური სიტუაცია.

რევოლუციური სიტუაციის პირობებში უკიდურესად გამძაფრდა წინააღმდეგობანი ქვეყნის საწარმოო ურთიერთობებსა და სწრაფად განვითარებად საწარმოო ძალებს შორის, რის შედეგად დღის წესრიგში ობიექტურად დაისვა საკითხი არსებული პოლიტიკური სისტემის ყოფნა-არყოფნის შესახებ.

70-იანი წლების რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარება-გაღრმავებაზე [16, გვ. 292]

რევოლუციონერი სამოცდაათიანელი ნაროდნიკები გამოხატავდნენ გლეხობის ფართო მასების მისწრაფებებს, რომლებსაც სურდათ თავიდან მოეშორებინათ ბატონყმობის გადმონაშთები, დესპოტური თვითმპყრობელური რეჟიმი. ნაროდნიკებმა წინამორბედებისა და მასწავლებლებისაგან - გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისაგან მათ მემკვიდრეობად მიიღეს ღრმა რწმენა რუსეთში საყოველთაო რევოლუციური აჯანყების მოწყობის შესახებ.

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, შენიშნავს ვ.ი. ლენინი, "მეორედ იქნა უკუქცეული რევოლუციური შეტევის ტალღა და ლიბერალური მოძრაობა, ამის შემდგომ და ამის გამო მეორედ შეიცვალა რეაქციით, რომელსაც პროგრესული რუსი საზოგადოება რა თქმა უნდა, მწარედ დასტიროდა" [12, გვ. 65]. რაში უნდა ვეძებოთ მიზეზი იმისა, რომ რევოლუციური სიტუაცია, რომელიც 1879-1880-იან წლებში აღმოცენდა რუსეთში, არ გადაიზარდა რევოლუციაში? ძირითადი მიზეზი ისაა, რომ იმდროინდელ რუსეთში არ იყო მომწიფებული ის "სერიოზული საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეუძლია ქედი მოახრევინოს მთავრობას - [12, გვ. 65], ე.ი. სუბიექტურმა ფაქტორმა ვერ მოახდინა მძლავრი გავლენა რევოლუციურ მოძრაობაზე, ვერ დარაზმა მებრძოლი ძალები არსებული წყობილების დასანგრევად.

70-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს ვ.ი. ლენინი ახასიათებს როგორც "მეორე დემოკრატიულ აღმავლობას".

ვ.ი. ლენინის დასკვნით, ამ პერიოდში "... თვით მთავრობის წევრნიც, მათ შორის მინისტრებიცა და მეფეც, გრძნობენ მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმის სისუსტეს და ეძიებენ ყოველგვარ საშუალებას გაიუმჯობესონ მდგომარეობა, რომელიც მათ სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს" [12,გვ. 29].

რევოლუციური სიტუაციის პრობლემის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ.ი. ლენინის ფუძემდებლურ შრომებსა და მითითებებს.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველებმა შენიშნეს რუსეთში რევოლუციური კრიზისის მომწიფება, განსაზღვრეს მისი ადგილი საერთაშორისო განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1877 წლის სექტემბერში კ. მარქსი თავის მოწაფესა და თანამებრძოლის ფ. ზორგესადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ რუსეთი დიდი სოციალური კრიზისის კვირაძალში იმყოფება. "ეს კრიზისი ახალი შემობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში, - წერდა იგი - რუსეთი უკვე დიდი ხანია იმყოფება გადატრიალების წინაშე, ყველა ელემენტი ამისათვის შემზადებულია. რუსული საზოგადოების ყველა ფენა ამჟამად ეკონომიკური, მორალური და ინტელექტუალური სრული გახრწნის წინაშე იმყოფება. რევოლუცია, - განაგრძობს კ. მარქსი, - ამჟამად დაიწყება აღმოსავლეთში, რომელიც აქამდე წარმოადგენდა კონტრრევოლუციის ხელუხლებელ ციტადელს და კონტრრევოლუციის სარეზერვო არმიას" [2, გვ. 480].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი რუსეთის შინაგან მდგომარეობის გართულებას უკავშირებდნენ საგარეო მდგომარეობასაც, კერძოდ, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებს. 1878 წელს ისინი მიუთითებდნენ იმაზე, რომ რუსეთის მიერ თურქეთის ევროპული ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკავება იყო "საერთო ევროპული ომის პრელუდია, ან მომავალ კონფერენციაზე რუსეთს მოუწევს დაკავებულ პოზიციებიდან უკან დახევა, რომელიც სახალხო უკმაყოფილებას მიიყვანს გამწვავებულ რევოლუციურ აფეთქებამდე" [1, გვ. 146].

რუსეთმა მართლაც "დაიხია" ბერლინის კონგრესზე, ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი შეიბღალა, დიპლომატიური დამარცხებით კრიზისი გაძლიერდა. მოშლილი კრედიტი, დაცარიელებული ხაზინა, სიღატაკე - "ასეთია შედეგი, რომელ შედეგამდეც რუსეთი მივიდა" - წერდა ფ. ენგელსი 1879 წლის მარტში [1, გვ. 168].

კ. მარქსი კარგად იცნობდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პროცესებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ახლოვდებოდა გრანდიოზული რევოლუციური ძვრა, რომელსაც გავლენა უნდა მოეხდინა მთელ ევროპაზე. "... მარქსი და ენგელსი, - ხაზს უსვამდა ვ.ი. ლენინი, - აღსავსენი იყვნენ მტკიცე რწმენით რუსეთის რევოლუციისა და მისი მძლავრი მსოფლიო მნიშვნელობისადმი" [14, გვ. 459].

კ. მარქსი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთი ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაზე უფრო ახლოსაა რევოლუციასთან. მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომთან დაკავშირებული გართულებანი რევოლუციურ ამბებს დააჩქარებდნენ. რუსეთის რევოლუციის პერსპექტივა აღაფრთოვანებდა მას და 1877 წლის 27 სექტემბერს ფ. ზორგეს სწერდა:

კარგი აურზაური ატყდება, ხოლო თუ დედაბუნებამ განსაკუთრებით არ მოგვიძულა, ამ ზეიმს ჩვენც მოვესწრებით" [5, გვ. 340].

რუსეთში მეორე რევოლუციური სიტუაციის შესახებ კ. მარქსს ჩამოუყალიბდა გარკვეული თვალსაზრისი და რწმენა, რასაც საფუძვლად ედო რევოლუციური გარდუვალობის ობიექტური წინამძღვრების ღრმა გაგება, ქვეყნის პროგრესული განვითარების მოთხოვნილებათა მეცნიერული განსაზღვრა.

რუსეთში თუ რევოლუცია მოხდებოდა, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ღრმა რწმენით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, უპირატესად გლეხური რევოლუცია იქნებოდა. მისი მთავარი მიზანი იქნებოდა თვითმპყრობელობის, მემამულური მიწათმფლობელობისა და ნახევრადბატონყმური ურთიერთობის მოსპობა.

ნაროდნიკებისაგან განსხვავებით, რომლებიც სოციალიზმში გადასვლაზე ოცნებობდნენ, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ცხადად

ხედავდნენ, რომ მომავალი რევოლუციური გადატრიალება რუსეთში იქნება არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული [168, გვ. 373-378].

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ ამოცანად კ. მარქსს მიაჩნდა თვითმპყრობელობის დამხობა, რაც ფართო ასპარეზს გადაუშლიდა რუსი და რუსეთის სხვა ხალხებს პროგრესულად განვითარებას. მარქსს და ენგელსს ღრმად სწამდათ, რომ რევოლუციური ბრძოლა რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის სტადიაზე არ გაჩერდებოდა და საბოლოოდ ქვეყანას სოციალიზმამდე მიიყვანდა.

1881 წლის მარტში ლონდონში გაიმართა სლავთა მიტინგი, მიძღვნილი პარიზის კომუნის 10 წლისთავისადმი. მარქსმა და ენგელსმა მიტინგის მონაწილეებს წერილი მისწერეს, რომელშიც გამოთქვეს რწმენა, რომ განვითარებადმა რევოლუციურმა მოძრაობამ რუსეთში "საბოლოოდ და აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ რუსული კომუნის დამყარებამდე" [7, გვ. 318]. მარქსმა და ენგელსმა იწინასწარმეტყველეს, რომ მომავალი რევოლუციური გადატრიალება რუსეთში მსოფლიო ისტორიის შემობრუნების პუნქტი იქნებოდა.

რუსეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვებას, ცარიზმის დამხობას კ. მარქსი ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის მთელი სისტემის შეცვლას უკავშირებდა. რევოლუცია, აღნიშნავდა იგი, "თავისი საბოლოო შედეგით ბოლოს მოუღებს ძველი ევროპის მთელს ახლანდელ "status quo-ს" [3, გვ. 19].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი თითქოს ხედავდნენ, რომ 70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობა მოამზადებდა ნიადაგს რუსეთში მომავალი რევოლუციებისათვის. კ. მარქსი და ფ. ენგელსი მგზნებარედ მოელოდნენ რევოლუციას რუსეთში და იზიარებდნენ რუსი რევოლუციონერების იმედებს, რომ იგი მალე დაიწყებოდა. ისინი სავსებით მართალნი იყვნენ რევოლუციის ობიექტური წინამძღვრების ანალიზში.

რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაცია განპირობებული იყო არამარტო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებით. საჭიროა გავითვალისწინოთ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც, რამაც თავისი გავლენა მოახდინა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. კერძოდ, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა დააჩქარა რევოლუციური კრიზისის მომწიფება. გააუარესა რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა. მოიშალა მეურნეობა, გაღატაკდა სოფელი, გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე და ა.შ.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აზრით, თვითმპყრობელობის დამხობას უნდა მოჰყოლოდა "ევროპის მთელი მდგომარეობის შეცვლა, რომელსაც ყველა ქვეყნის მუშები სიხარულით უნდა მიესალმონ როგორც გიგანტურ წინგადადგმულ ნაბიჯს მათი საერთო მიზნის - შრომის საყოველთაო განთავისუფლების გზაზე"[1. გვ. 146].

რუსი რევოლუციონერები, აღნიშნავდა კ. მარქსი, "პირიქით ცდილობენ დაარწმუნონ ევროპა, რომ მათი [illegible] (თემების წესი) სპეციფიკურად რუსული, ისტორიულად გარდაუვალი წესია მოქმედებისა, რომლის გამო ისევე ნაკლებად არის საჭირო მორალის ქადაგება სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ, როგორც ქიოსზე მომხდარი მიწისძვრის გამო" [4, გვ. 147-148].

კ. მარქსი მღელვარებით ადევნებდა თვალს 1881 წლის 1 მარტის რევოლუციურ აქტის მონაწილეთა და ორგანიზატორთა პროცესს, იგი აღტაცებული იყო, თუ როგორ ეჭირათ თავი სასამართლოზე ჟელიაბოვს, პეროვსკაიას, კიბალჩიჩს. მარქსს ისინი ნამდვილ გმირებად და რევოლუციონერებად მიაჩნდა. "ესენი მართლაც რომ საზრიანი, მელოდრამატულ პოზას მოკლებული უბრალო, საქმიანი, გმირული სულისკვეთების ადამიანები არიან"[4, გვ. 147].

ფ. ენგელსს 70-იან წლების მიწურულში არაერთხელ აქვს გამოთქმული რწმენა, რომ რუსეთი სოციალური გადატრიალების წინაშე იმყოფება და ყველაზე მეტად იქაა მოსალოდნელი რევოლუციური აფეთქებათ.

რუს რევოლუციონერთა გმირული მოქმედების ცოცხალი შთაბეჭდილებით კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ: "... რუსეთი წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს"[5, გვ. 4].

რუსეთში რევოლუციური მოძრაობისა და პოლიტიკური წყობილების დამხობის პრობლემა ყოველთვის იყო ვ.ი. ლენინის ყურადღების ცენტრში. ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა იმ ობიექტურ სიძნელეებს, რომლებიც არსებობდნენ რუსეთში მოსახლეობის პოლიტიკურ ბრძოლისათვის დასარაზმავად. "როგორც გლეხი შეჩვეულია თავის გამოუვალ სიღატაკეს, - წერდა იგი, - შეჩვეულია ისე ცხოვრებას, რომ არც კი უფიქრდება სიღატაკის მიზეზებს და მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას, ასევე რუსი ობივატელიც საზოგადოდ შეეჩვია მთავრობის ყოვლისშემწეობას. შეეჩვია ისე ცხოვრებას, რომ არ უფიქრდება - შეიძლება თუ არა მუდამ ასე გასტანოს ამ ყოვლისშემძლეობამ და არის თუ არა მის გვერდით ისეთი მოვლენები, რომლებიც ძირს უთხრიან დახავსებულ პოლიტიკურ წყობილებას"[12, გვ. 29].

ვ.ი. ლენინი თავის განთქმულ ნაშრომში "ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის "ჰანიბალები" პირდაპირ აღნიშნავს, რომ "უნდა უარვყოთ პასიური აზროვნება და ვიფიქროთ ცარიზმის მთელი ძალაუფლების - დახავსებული პოლიტიკური წყობილების დამხობაზე"[12, გვ. 29].

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვ.ი. ლენინის ამ ნაშრომს; მასში მოცემულია რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა ანალიზი და შეფასებები. სახელდობრ, განხილულია XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ხელისუფლებასა და ლიბერალური საზოგადოებრიობის ურთიერთდამოკიდებულება. ბურჟუაზიული რეფორმების მნიშვნელობა, რევოლუციური პარტიის როლი, ნაროდნოვოლცების გმირული ბრძოლის საკითხები, კლასობრივი ძალების განლაგება რეაქციის შეტევის წლებში და სხვ.

ვ.ი. ლენინმა თავის ცნობილ ნაწარმოებში "II ინტერნაციონალის კრახი" მოგვცა რევოლუციური სიტუაციის კლასიკური განსაზღვრა. ვ.ი. ლე-

ნინმა გამოყო რევოლუციური სიტუაციის სამი ძირითადი ნიშანი. მისი აზრით, რევოლუციური სიტუაციისათვის დამახასიათებელია:

"I. შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის - შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; "ზედაფენების" ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება, რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ "ქვედაფენებს არ უნდოდეთ" ძველებურად ცხოვრება. არამედ საჭიროა კიდევ, რომ "ზედაფენებს" არ შეეძლოთ ძველებურად ცხოვრება.

2. ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად.

3. აღნიშნული მიზეზების გამო, მასები აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი "მშვიდობიან" ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ "ზედაფენები" იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას" [17, გვ.248].

ლენინური მოძღვრების შესაბამისად რევოლუციური სიტუაცია შეუძლებელია აღმოცენდეს ამ ძირითადი ობიექტური ნიშნების გარეშე.

რამდენიმე წლის წინათ პირველად გამოქვეყნდა ვ.ი. ლენინის მონახაზი "პირველი მაისი და ომი". ამ ნაშრომში ვ.ი. ლენინი მკაფიოდ გამოყოფს რევოლუციური სიტუაციის ნიშნებს. რადგან ამ ნაშრომს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მოვიყვანთ ციტატას ამ ნაწარმოებიდან: "რეფორმის ეპოქა, - ხაზგასმით აღნიშნავს ვ.ი. ლენინი, - ნიშნავს რევოლუციური სიტუაციის უქონლობას, დედააზრი ამაშია". რევოლუციური სიტუაცია ვ.ი. ლენინის განმარტებით ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: ა) "ქვედა ფენებს არ სურთ, ზედა ფენებს არ შეუძლიათ"; ბ) გაჭირვების გამწვავება; გ) ექსტრაორდინალური აქტივობა" [18,გვ. 379].

რევოლუციური სიტუაცია მხოლოდ მაშინ გადაიზრდება რევოლუციაში, როდესაც ზემოთაღნიშნული ობიექტური ნიშნების გვერდით არსებობს სუბიექ-

ბერი ფაქტორი. "რევოლუცია, - გვასწავლის ვ.ი. ლენინი, - წარმოიშვება ისეთი სიტუაციიდან, როდესაც "ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტურ ცვლილებებს ემატება სუბიექტური ცვლილება, სახელდობრ: ემატება რევოლუციური კლასის რევოლუციური მასობრივი მოქმედების უნარი", რომლის მოქმედება საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რომ გატეხოს (ან შეარყიოს) ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს, კრიზისების ეპოქაშიაც კი, არ "წაიქცევა" თუ არ "წააქციეს" [17, გვ.249].

ვ.ი. ლენინმა ჩამოაყალიბა სოციალური რევოლუციის ძირითადი კანონი იგი წერდა "მხოლოდ მაშინ, როცა "ქვედაფენებს" აღარ სურთ ძველი და როცა "ზედაფენებს" აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება, სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: "რევოლუცია შეუძლებელია საერთო ნაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ექსპლოატირებულებსაც შეეხება და ექსპლოატატორებსაც. [19,გვ.89].

ვ.ი. ლენინმა პირველად ლიტერატურაში დაათარიღა რევოლუციური სიტუაცია რუსეთში. მისი აზრით, რუსეთში რევოლუციური სიტუაციები აღმოცენდნენ 1859-1861 და 1879-1880 წლებში [17,გვ.248].

პირველი რევოლუციური სიტუაცია (1859-1861 წწ) საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად არის შესწავლილი. ამ პრობლემის შესწავლაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის აკად. მ.ვ. ნეჩკინას [170] და იმ საპრობლემო ჯგუფს, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობს [188-193].

პირველ რევოლუციურ სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებულია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. პროფ. შ. ჩხეტიასა [112, 113] და პროფ. პ. რატიანის დამსახურებაა, რომ მათ პირველად მეტნაკლები სისრულით აღნიშნეს პირველი რევოლუციური სიტუაციის არსებობა საქართველოში [186].

საქართველოს მონაწილეობა რუსეთის პირველ რევოლუციურ სიტუაციაში მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ო. ჟორდანიას. დასახელებულ ნაშრომში რევოლუციური სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში განხილულია როგორც სრულიად

რუსეთის რევოლუციური სიტუაციის შემადგენელი ნაწილი. მკვლევარის მართებული დასკვნით, საგლეხო რეფორმა საქართველოში, ისევე როგორც 1861 წლის რეფორმა რუსეთში, მშრომელი მოსახლეობის კლასობრივი ბრძოლის მეორადი პროდუქტი იყო [156].

საქართველოს მონაწილეობა სრულიად რუსეთის პირველ რევოლუციურ სიტუაციაში მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი.

ამას ვერ ვიტყვით მეორე რევოლუციური სიტუაციის შესახებ.

რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მ.ი. ხეიფეცმა [206] და პ.ა. ზაიონჩკოვსკიმ [169]. შრომათა შორის, რომელიც მიეძღვნა საკვლევ პრობლემას, უნდა აღინიშნოს ვ.გ. ჩერნუხას [209]. ვ.ა. ტვარდოვსკაიას [202]. ნ.ა. ტროიცკის [203] ნ.მ. დრუჟინინის [154] გამოკვლევები.

მეორე რევოლუციური სიტუაციის სპეციალური კვლევა-ძიების საკითხი ჯერ კიდევ 1949 წელს დაისვა მ.ვ. ნეჩკინას რედაქციით გამოქვეყნებულ სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოში, სადაც ეს ისტორიული მოვლენა განხილულია როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ეტაპი (ავტორი - მ.ი. ხეიფეცი). შ.მ. ლევინის მონოგრაფიაში XIX საუკუნის 60-70-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა რუსეთში დაკავშირებულია მეორე რევოლუციური სიტუაციის პრობლემებთან [169].

1983 წელს გამოვიდა კოლექტიური მონოგრაფია, მიძღვნილი რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის საკითხებისადმი [194]. ნაშრომში შეჯამებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევები პრობლემის შესწავლა-გაშუქების საქმეში.

როგორც ცნობილია, რუსეთის თითქმის ყველა რეგიონი ასე თუ ისე მონაწილეობდა მეორე რევოლუციურ სიტუაციაში, ცენტრსა და რეგიონებს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდათ. ამის მკაფიო დადასტურებაა საქართველოს მშრომელთა მონაწილეობა მეორე რევოლუციურ სიტუაციაში, ქართველ რევოლუციონერთა აქტიურობა რუსეთში და რუსი რევოლუციონერებისა - საქართველოში სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არ აისახა საქართველოს მონაწი-

ლეობა და წვლილი ამ ისტორიულ პროცესში. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ არ გამხდარა ქართველი ისტორიკოსების სპეციალური კვლევის საგანი. საკმარისია ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას აქვს მხოლოდ ორი ნაშრომი, რომლებშიც მოკლედაა განხილული მეორე რევოლუციური სიტუაციის ზოგიერთი საკითხი [26; 58].

მიუხედავად შრომების სიმცირისა, მკვლევართა შორის არ არის აზრთა ერთიანობა. გარდა ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დასმულა და, მაშასადამე, არც განხილულა რევოლუციური სიტუაციის ლენინური მოძღვრების მთელი რიგი საკვანძო საკითხი.

ამასთან დაკავშირებით, სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ სპეციალურად შეგვესწავლა სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციურ სიტუაციაში საქართველოს მონაწილეობა, დაგვედგინა მისი წვლილი და ადგილი განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ მიზნით ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ საქართველოს ის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პირობები, რომლებშიც ობიექტურად ხდებოდა რევოლუციური სიტუაციის ელემენტების მომწიფება. ნაშრომში, ბუნებრივია, დიდი ადგილი დაეთმო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის დახასიათებას, ნაჩვენებია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. შევეცადეთ გაგვეშუქებინა ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობა მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში. ჩვენი ღრმა რწმენით, ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX ს. 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში, მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის ერთიანი ჯაჭვი რგოლი იყო. საქართველოში ობიექტურად არსებობდა პირობები შემდგომი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნებისათვის.

პრობლემების კვლევა-ძიებამ მოითხოვა ქართული ისტორიოგრაფიის მთელი რიგი დებულებების ახლებური შეფასება და დაზუსტება. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ განვიხილავთ ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს საქართველოში მეორე რევოლუციური სიტუაციის შესახებ.

მ. ახობაძის ნაშრომში მეორე რევოლუციური სიტუაციის საკითხები გაშუქებულია პარაგრაფში "რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში"[26, გვ. 189-193]. ძნელი დასანახი არ არის, რომ აღნიშნული პარაგრაფის სათაური მთლად სწორად არ ასახავს პრობლემის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

მ. ახობაძის აზრით, "XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში შეიქმნა საერთო (ხაზგასმა ჩვენია - ნ.გ.) ობიექტური რევოლუციური სიტუაცია, რომელიც რევოლუციაში არ გადაზრდილა.

მეორე ადგილას მკვლევარი აღნიშნავს, რომ "ამ პერიოდის (იგულისხმება 60-80-იანი წლების მიჯნა) მასალების შესწავლა უფლებას გვაძლევს დაუშვათ რევოლუციური სიტუაციის არსებობა ჩვენშიც"[26, გვ. 193].

მოტანილი ადგილებიდან აშკარად ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში მკვლევარი ამტკიცებს საერთო, ანუ ობიექტური რევოლუციის სიტუაციის არსებობას საქართველოში და რუსეთში, ხოლო მეორე შემთხვევაში მას მხოლოდ დასაშვებად მიაჩნია რევოლუციური სიტუაციის არსებობა ჩვენშიც.

მ. ახობაძე დაასკვნის, რომ "საქართველოში შექმნილი ვითარება რუსეთში ამ დროს არსებული საერთო-რევოლუციური სიტუაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა"[26, გვ. 193].

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია - დასაბუთების გარეშე - მოსაზრება, რომ მეორე რევოლუციური სიტუაცია იყო სრულიად რუსეთის რევოლუციური სიტუაციის შემადგენელი ნაწილი.

საკითხი ახლა იმაში მდგომარეობს, როგორ განვმარტოთ საერთო რევოლუციური სიტუაცია. მ. ახობაძე ამასთან დაკავშირებით წერს, რომ საერთო ანუ ობიექტური რევოლუციური სიტუაციის ცნების ქვეშ ვ.ი. ლენინი გულისხმობდა ისეთ ვითარებას, როდესაც ნამდვილად არსებობდა რევოლუციის დაწყების სათანადო პირობები, მაგრამ იგი ყოველთვის მაინც არ გადაიზრდებოდა რევოლუციაში"[26, გვ. 189].

საკითხის ნათლად წარმოდგენისათვის უნდა ვთქვათ, რომ ვ.ი.ლენინი არსად არ ხმარობს ცნებებს "ობიექტური" რევოლუციური სიტუაცია. პირველად

ეს საკითხი წამოიჭრა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1925 წლის აპრილში.

კონფერენციის დადგენილებაში, სახელდობრ, ნათქვამია: "ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ა) რევოლუციური სიტუაცია საერთოდ, ბ) უშუალო რევოლუციური სიტუაციისაგან და გ) პირდაპირი რევოლუციისაგან. "მარქსისტისათვის უეჭველია, რომ რევოლუცია შეუძლებელია, თუ არ არის რევოლუციური სიტუაცია. ამასთან ყოველი რევოლუციური სიტუაცია როდი იწვევს რევოლუციას".

ასე აღნიშნავდა ვ.ი. ლენინი ჯერ კიდევ 1915 წელს. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ საერთო, ანუ ობიექტური რევოლუციური სიტუაციის ქვეშ მ. ახობაძე ვარაუდობს უშუალო რევოლუციურ სიტუაციას.

მაშასადამე, თუ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს მეორე რევოლუციური სიტუაციის არსებობას საქართველოში, სამაგიეროდ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება პასუხი იმაზე, თუ როდის აღმოცენდა როგორც საერთო, ასევე უშუალო რევოლუციური სიტუაცია საქართველოში. საკითხი ამ ჭრილში არავის განუხილავს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მეორე რევოლუციური სიტუაციის საკითხებს სპეციალური სტატია მიუძღვნა მ. ვაჩნაძემ [58, გვ. 38-51].

მ. ვაჩნაძის ნაშრომში განხილულია გლეხთა და მუშათა ბრძოლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიული ინტელიგენციის აქტივობაზე, თბილისის დემოკრატიული პრესის ბრძოლაზე ოფიციალური იდეოლოგიის წინააღმდეგ და ა.შ.

მ. ვაჩნაძის დასკვნით, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არსებობდა რევოლუციური სიტუაცია.

მკვლევარის მტკიცებით რევოლუციური სიტუაცია საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, არ გადაიზარდა, რევოლუციაში მასების რევოლუციური აქტივობის დაბალი დონის, მათი სუსტი ორგანიზებულობისა და რევოლუციური პროგრამის უქონლობის გამო [58,გვ. 51]. მ. ვაჩნაძის დასკვნა, ჩვენი

აზრით, ცალმხრივია, იგი ხელოვნურად მოწყვეტილია კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას, რადგან XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება დამახასიათებელი იყო არა მარტო ამ რეგიონისათვის, არამედ იგი სრულიად რუსეთის მოვლენა იყო. ე.ი. საქართველოში თავისთავად [illegible] არ წარმოიქმნა რევოლუციური სიტუაცია, როგორც ეს მ. ვაჩნა[illegible]არეობს, არამედ, როგორც ვთქვით, ეს იყო სრულიად რუსეთის [illegible]ლუციური სიტუაციის შემადგენელი ნაწილი.

ნაშრომში არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან საერთო რევოლუციური სიტუაცია უშუალო რევოლუციური სიტუაციისაგან და ა.შ.

ბოლოს აღვნიშნავთ იმასაც, რომ ისეთ შემაჯამებელ ნაშრომშიც კი, როგორიცაა "საქართველოს ისტორიის ნარკვევები" რვა ტომად, არ აისახა საქართველოს მონაწილეობა 1879-1881 წლების სრულიად რუსეთის რევოლუციურ სიტუაციაში.

ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვება არაერთი ნაშრომი, რომლებშიც განხილულია რევოლუციური სიტუაციის ცალკეული ნიშნების მომწიფება-განვითარება რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა აბსოლუტურ უმრავლესობას არ დაუკავშირებია თავისი კვლევის შედეგები რევოლუციური სიტუაციის პრობლემასთან.

რევოლუციამდელ ავტორთა შორის საინტერესო მასალას შეიცავენ ს. ავალიანის [134-137], ს. ესაძის [212], გ. ზერცალოვის [160], მ. თუმანიშვილის [209] და სხვ. გამოკვლევები.

XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მოძრაობის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ქართველი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა, რომელშიც გასულ საუკუნის 60-70-იანი წლების მოძრაობის გამომწვევი მიზეზები ახსნილია იმდროინდელი სოციალური ურთიერთობებით [150].

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასაბუთებულია, რომ XIX ს. 70-იანი წლებიდან აშკარა გახდა მშრომელი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გა-

უარესება. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა, რომელშიც საქართველო აქტიურად მონაწილეობდა, კიდევ უფრო გააუარესა მშრომელების მდგომარეობა. საქართველოში საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი მრეწველობის განვითარება შესწავლილია შ. მეგრელიძის [79; 173], ი. ანთელავას [21], პ. გუგუშვილის [50; 61], ა. ბენდიანიშვილის [27], ი. უთურაშვილის [98; 99], ვ. მოჩალოვის [176], გ. ძიძარიას [154] ნაშრომებში.

ამრიგად, ქართველ ისტორიკოსებისა და ეკონომისტების ნაშრომებში მოიპოვება სათანადო მასალა იმისათვის, რომ დაჯამდეს რევოლუციური სიტუაციის ეკონომიკური წანამძღვრები.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი რკინიგზის მშენებლობამ შეასრულა. საქართველოში რკინიგზის გაყვანამ მჭიდროდ დააკავშირა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონები. თანდათან ირღვეოდა კარჩაკეტილობა. მოსახლეობას საშუალება მიეცა ჩაბმულიყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში. სასაქონლო-კაპიტალისტური წარმოება განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში, რომლებიც იმთავითვე სასაქონლო წარმოების მაღალი დონით ხასიათდებოდნენ. მაგალითად, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, მიწათმოქმედების ზოგიერთი დარგი და ა.შ. [69, გვ. 26].

დიდი სამუშაოებია ჩატარებული საქართველოში აგრარული ურთიერთობის გაღრმავებული კვლევა-ძიების საქმეში. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს პ. გუგუშვილის [200]. ი. ანთელავას [139], ა. ბენდიანიშვილის [27], ი. უთურაშვილის [98], ვ. ადამიას [130], ვ. მოჩალოვის [78] და სხვების გამოკვლევები.

საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობა ვითარდებოდა არა მარტო საკუთარ ბაზაზე, არამედ, აგრეთვე რუსეთისა და უცხოური კაპიტალის შემოჭრის შედეგად. რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველო, მთელს რუსეთთან ერთად, სწრაფად ხდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნად, თუმცა საქართველოს სამეურნეო განვითარება ჩამორჩებოდა რუსეთის იმპერიის სამეურნეო განვითარების საშუალო დონეს.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, მუშათა კლასის ჩამოყალიბების მთავარი წყარო ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხობა იყო. აღსანიშნავია ის, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში გაიზარდა უმიწო გლეხების რაოდენობა, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო იძულებული იყვნენ მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი სარეზერვო არმია შეედგინათ, ან სოფლის პროლეტარიატის რიგები შეევსოთ [55-67; 71; 72; 97; 45; 128; 68; 69].

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის წვრილი ხელოსნობა. აქ მუშათა კლასი ძირითადად ქართველებისაგან შედგებოდა. მის რიგებში იყვნენ რუსი და სხვა ხალხების წარმომადგენლებიც, რაც ხელს უწყობდა მისი ინტერნაციონალური სულისკვეთების განმტკიცებას.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მსხვილ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში მუშათა მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. სამუშაო დრო 14-16 საათს აღწევდა. 1874 წელს თბილისის მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში და სხვა საწარმოებში სამუშაო დღე 14 საათს გრძელდებოდა [219, 1874 წ. 1. V.].

განსაკუთრებით მძიმე პირობებში იყვნენ დასავლეთ საქართველოს მუშები – 80-იან წლებში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშები დღეში 16-18 საათს მუშაობდნენ [54, გვ. 35].

მუშათა კლასის მძიმე ეკონომიკურ და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა და აუტანელს ხდიდა სრული პოლიტიკური უუფლებობა. ამ მხრივ საქართველოს მუშათა კლასი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო, ვიდრე რუსეთის პროლეტარიატი. ამას განაპირობებდა საქართველოს ნახევრადკოლონიური მდგომარეობა.

ბევრი რამ, რითაც რუსეთის მუშათა კლასი სარგებლობდა (მაგ., კანონი ჯარიმების შესახებ, რომელიც 1886 წელს გამოიცა) საქართველოში არ განხორციელებულა.

საქართველოს მუშათა მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცენტრალურ რუსეთის მუშათა მოძრაობასთან. კაპიტალიზმის წარმოშობას თან მოჰყვა მუშათა მღელვარება, რაც შემდგომ საგაფიცვო ბრძოლაში გადაიზარდა.

საქართველოში მუშათა პირველ გაფიცვად მიჩნეული იყო 1869 წელს თბილისის სამხედრო არსენალის მუშათა გაფიცვა, [171, გვ. 168].

XIX საუკუნის 70-იან წლებში დადასტურებულია თბილისის 5 სამრეწველო საწარმოს 7 გამოსვლა [171, გვ. 168-169]. 70-იანი წლებში მუშათა მღელვარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებში [67, გვ. 76-79; 200, გვ. 22-93; 127, გვ. 162].

XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს მუშათა გაფიცვები სტიქიური ხასიათისა იყო, მუშათა შეგნებულობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ გაფიცვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის ობიექტური მიზეზების ჩამოყალიბების საქმეში.

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დადგა დრო შეიქმნას სპეციალური შრომა, სადაც განხილული იქნება საქართველოს მუშების საქმიანობა რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში.

XIX საუკუნის რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში წლიდან წლამდე თანდათანობით იზრდებოდა კლასობრივი ბრძოლა ქართულ სოფელში. მკვლევარებს, სამწუხაროდ, არ განუხილავთ აღნიშნული საკითხი მეორე რევოლუციური სიტუაციის პრობლემასთან დაკავშირებით. დღეისათვის არსებული სპეციალური ლიტერატურის მონაცემებიდანაც აშკარად ჩანს, თუ როგორ მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი - ქვედა ფენების უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით, რომელიც აშკარად გამოიხატებოდა მათი კლასობრივი ბრძოლის გააქტიურებაში.

როგორც ცნობილია, მემამულეებმა რეფორმის შემდგომ გააძლიერეს გლეხკაცობის ჩაგვრა-ექსპლოატაცია, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა გლეხებსა და მიწათმფლობელებს შორის.

მოცემული ხანის საქართველოს გლეხთა მოძრაობა არა ერთ ნაშრომშია გაშუქებული. მათ შორის აღსანიშნავია ე. გაბლიანის [33], გ. ხაჭაპურიძის [125], ფ. მახარაძის [171], ი. ავაზაშვილის [23], გ. გასვიანის [36], მ. ახობაძის [26], გ. გულბანის [53], ა. ჩარკვიანის [109] და სხვა ნაშრომები.

მ. ახობაძის მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ 70-80-იან წლებში საქართველოში შექმნილი ვითარება რუსეთის იმპერიაში ამ დროს არსებული საერთო რევოლუციური სიტუაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ორგანულად ერწყმოდა არსებული წყობილების წინააღმდეგ იმ გმირულ ბრძოლებს, რომელსაც XIX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთის მშრომელები და რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია ეწეოდა [26, გვ. 193].

მ. ახობაძის შრომაში დადასტურებულია რევოლუციურ-ხალხოსნური აგიტაციის ზეგავლენა გლეხების გამოსვლებზე სამეგრელოში (1874-1876 წწ) სვანეთში (1875-1976 წწ.), კახეთში (1878 წ.) და სხვა [26, გვ. 193, 197, 312].

სვანეთის გლეხთა 1875-1876 წლების შეიარაღებული აჯანყება მონოგრაფიულადაა გაშუქებული გ. გასვიანის ნაშრომში "დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები". ავტორის დასკვნით, "სვანეთის გლეხთა აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ კავკასიის გლეხთა მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო და, ისევე, როგორც რუსი, კავკასიელი ხალხოსნებიც ცდილობდნენ გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებაში ჩაებათ" [36, გვ. 115, 144-145].

მკვლევარ ზ. ვანეევის დაკვირვებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სოციალური ანტაგონიზმის გამწვავების საფუძველზე გლეხობის კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გაღრმავდა და მიიღო მძაფრი, მიზანსწრაფული ხასიათი [144].

აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმის გატარების დროს აგრარული მოძრაობის ზოგიერთი საკითხი განხილული აქვს ე. კვასნიკოვას [165].

საგლეხო რეფორმის შემდეგპერიოდის გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც ცნობილია, მკვეთრად გაუარესდა. რეფორმის გატარებისთანავე დაიწყო გლეხთა მოძრაობა თავიანთი უფლებების დასაცავად. კლასობრივმა ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. გლეხობას გაუჩნდნენ დამცველები ხალხოსნების სახით, რომლებიც რუსეთის ხალხოსნების მსგავსად მიზნად ისახავენ გლეხებისათვის მთავრობას მიეცა მიწა და თავისუფლება. ხალხოსნურმა მოძრაობამ თავისი წვლილი შეიტანა მშრომელი მასების კლასობრივი ბრძოლის საქმეში.

ხალხოსნების მოღვაწეობა გააშუქა გრ. გიორგაძემ [40]. იგი წერს არა მარტო 70-იანი წლების ხალხოსნურ მოძრაობაზე, არამედ, განსხვავებით წინამორბედ მკვლევარებისაგან, მიმოიხილა 80-იანი წლების არალეგალური ხალხოსნური ორგანიზაციის საქმიანობაც და ხაზი გაუსვა ამ ორგანიზაციის კავშირს რუსეთის ხალხოსნურ ცენტრებთან. 1927 წელს გამოქვეყნებულ წიგნში [170]. ფ. მახარაძე ამტკიცებდა, რომ ხალხოსნურმა მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში და რომ ორგანიზაცია, რომელიც ამ მიმართულებას გამოხატავდა, უკვალოდ გაქრა.

ხალხოსნური მოძრაობის საკითხებზე არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა ს. ხუნდაძემ [129, 130]. იგი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მოშველიებით, საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოში ხალხოსნური მიმდინარეობის წარმოშობის მიზეზები. ავტორის მართებული დასკვნით, ხალხოსნური მიმდინარეობის წარმოშობას ხელი შეუწყო ორ გარემოებამ: შინაგანმა საქართველოს სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ და გარეგანმა – რუსეთის ინტელიგენციის და მისი იდეოლოგიის გავლენამ, რუსეთის რევოლუციურმა მოძრაობამ. ს. ხუნდაძის ამ დასაბუთებას მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ, როგორც ზევითაც ვნახეთ, ზოგიერთი ავტორის აზრით, ხალხოსნობას საქართველოს სინამდვილეში არ ჰქონდა მყარი საფუძველი და იგი უფრო მიბაძვის შედეგად წარმოიშვა, ვიდრე შინაგანი ისტორიული პირობებით.

ნაშრომში "კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში" [51]. პ. გუგუშვილი ხაზგასმით აღნიშნავს კ. მარქსის სახელისა და მარქსიზმის პოპულარიზაციის საქმეში ხალხოსან მოღვაწეთა როლზე, რაშიც მათ მთავარ დამსახურებად მიიჩნევს. წიგნში გაშუქებულია ხალხოსნების ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და 70-80-იანი წლების ქართული პრესის მასალების საფუძველზე ავტორმა გააშუქა საქართველოში მარქსისტული იდეებისა და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალკეული შრომების შემოტანის პროცესი.

1958 წელს გამოვიდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ტომი, რომელშიც მოცემულია ქართველი ხალხოსნების შეფასება (ავტორი პ. რატიანი). სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ ხალხოსნები მიზნად ისახავდნენ მეფის მთავრობის დამხობასა და გლეხობისათვის მიწისა და თავისუფლების მინიჭებას. ისინი მიდიოდნენ სოფლის მშრომელებთან, რათა გაეჩაღებინათ რევოლუციური აგიტაცია და აემხედრებინათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალხოსნებს "არ ესმოდათ პროლეტარიატის როლი და მთავარ რევოლუციურ ძალად გლეხობა მიაჩნდათ", რომ "თემი სოციალიზმის ჩანასახად და საფუძვლად გამოაცხადეს", რომ მათ "არ გააჩნდათ რევოლუციური თეორია" და ა.შ. [31].

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხალხოსნობა, რომელიც რუსეთში განსაკუთრებული სიძლიერით 70-იან წლებში გაიშალა, ჩაისახა არა 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, არამედ იმაზე გაცილებით უფრო ადრე. ამასთან დაკავშირებით ვ.ი. ლენინი წერდა: "ნაროდნიკობის ჩანასახი, დასაბამი, რა თქმა უნდა, იყო არა 60-იან წლებში, არამედ 40-იან წლებსა და ამაზე ადრეც" [9, გვ. 641.].

1960 წელს გამოვიდა ვ. ბახტაძის მონოგრაფია [143]. სადაც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი 70-80-იანი წლების ქართველი ხალხოსნების საქმიანობას. მონოგრაფიაში სწორადაა უარყოფილი ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, თითქოს ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობა ხალხოსნური ხასიათისა

ვ. ზახჭაძის აზრით, ხალხოსნობის პროპაგანდისადმი გლეხები გულგრილი დარჩნენ. მკვლევარს ანტონ ფურცელაძის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური შეხედულებები არარევოლუციური მიაჩნდა. იგი ამტკიცებდა, რომ 1876 წლის რეპრესიების შედეგად შეწყდა ხალხოსნების საქმიანობა.

ქართველი ხალხოსნების საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური აზროვნების შესწავლას დიდი ადგილი დაეთმო გ. მეგრელიშვილის ორტომიან მონოგრაფიაში [174, 175, 176]. ავტორმა ღრმად გააშუქა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და კაპიტალისტური ფორმაციის გამარჯვების პროცესი. გ. მეგრელიშვილი, ს. ხუნდაძისაგან განსხვავებით, ნიკო ნიკოლაძეს თვლის არა ბურჟუაზიის იდეოლოგად და რეფორმატორად, არამედ რადიკალური მიმართულების მოაზროვნედ, ჩერნიშევსკის ერთგულ მოწაფედ, რევოლუციურ-დემოკრატად.

ა. კიკვიძე თავის ნაშრომში 65 სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხოსნების პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეროვნულ საკითხს.

ხალხოსნური მოძრაობა სპეციალურად შესწავლილია ზ. შველიძის მონოგრაფიაში, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, სწორადაა მითითებული ის მემკვიდრეობის კავშირზე, რომელიც თერგდალეულებსა და 70-იანი წლების ხალხოსნებს შორის არსებობდა [105].

თავის მეორე მონოგრაფიაში ზ. შველიძე მიიჩნევს 60-70-იანი წლების ხალხოსნების და თერგდალეულებს მარქსიზმის წინამორბედად ჩვენს ქვეყანაში. ავტორის დასკვნით, ხალხოსნური მოძრაობის იდეური ფესვები თერგდალეულებთანაა დაკავშირებული.

ხალხოსნური მოძრაობისა და იდეოლოგიის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ლ. გორგილაძის გამოკვლევებში [47, 48]. ავტორის განსაზღვრით, "საქართველოში ნაროდნიკობის ჩანასახი 60-იან წლებში გაჩნდა", ხალხოსნო-
"ბის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა წარმოიშვა 70-იან წლებ-
"ნაროდნიკების თეორიული დასაბუთება და გარკვეული იდეური მიმდინარეობის ჩამოყალიბება ხდება 80-იან წლებში".

მკვლევარი კარგად ხედავს გარკვეულ იდეურ კავშირს თერგდალეულებსა და რევოლუციურ-ხალხოსნებს შორის, მაგრამ იგი ამასთანავე კატეგორიულად უარყოფს მათ გაიგივებასა და ერთ სიბრტყეზე დაყენების ყოველგვარ ცდას.

ი. ანთელავას მონოგრაფიაში [21] გაშუქებულია XIX საუკუნის რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის განვითარების საკითხები.

მკვლევარი ასკვნის, რომ "70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა" სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად გვევლინება. ი. ანთელავა მონოგრაფიაში საგანგებოდ განიხილავს ხალხოსანთა მიზნებსა და ამოცანებს, აჩვენებს, რომ საიდუმლო ორგანიზაციას მიზნად ჰქონდა დასახული არსებული უსამართლო სოციალ-პოლიტიკური წყობილების დამხობა და ისეთის დამყარება, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანის სრულ და ყოველმხრივ თავისუფლებას. თვითმპყრობელობის დამხობა, ექსპლოატატორული კლასების მოსპობა და ისეთი წყობილების დამყარება, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის შეუზღუდველ თვითმმართველობას, ყველას თანასწორობას და საზოგადოებრივი დოვლათის თანაბარ განაწილებას - აი, ის პრიმიტიული სოციალისტური იდეები, რომლებსაც ხალხოსნები მასებში ავრცელებდნენ[21].

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიოგრაფია ვრცელია და ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ მიზნად არ ვისახავდით მის ამომწურავად განხილვა-შეფასებას. მით უფრო, რომ ასეთი სამუშაო უკვე შესრულებულია გრ. ხარგიანის მონოგრაფიაში[74].

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნია არც ერთი შრომა, რომელშიც სპეციალურად იყოს განხილული ქართველი ხალხოსნების საქმიანობა უშუალოდ მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში. მაშასადამე, დღის წესრიგში დადგა საკითხი ასეთი სამუშაოს შესრულების შესახებ.

საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიდრე 80-იანი წლების დასაწყისამდე. ეროვნულ-განმათავისუფლე-

ბეჟ მოძრაობას თერგდალეულები ჩაუდგნენ სათავეში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ მოძრაობაში ილიას თანამებრძოლები იყვნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი [37] და სხვ.

ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთი ნაკადი იყო. ხალხოსნები მიმართავდნენ რევოლუციურ მეთოდებს... ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. ქართველი ხალხოსნები სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის უშუალო გავლენას განიცდიდნენ. თავის მხრივ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების გამორჩეული მოღვაწეები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ რუსეთის საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინულ ეტაპზე.

70-იანი წლების რევოლუციური-ხალხოსნების თვალსაჩინო წარმომადგენლები და სახელოვანი ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერები (ვ. ჩერქეზიშვილი, ჩიკოიძე, ი. ჯაბადარი, ი. ქიქოძე, გ. მაიაშვილი-ზდანოვიჩი და სხვ.) აქტიურ და ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ იმპერიის მასშტაბით მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ხალხოსნები ცდილობდნენ კავშირის დამყარებას ქართველ გლეხებთან, მუშებთან. თუმცა გლეხები და მუშები მათ აგიტაცია-პროპაგანდას არც თუ დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ, მაინც იგრძნობოდა ხალხოსნების დადებითი გავლენა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველმა გლეხობამ მიიღო მხოლოდ პირადი თავისუფლება და არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ამან, ბუნებრივია, სოფლის მშრომელი მოსახლეობა აქტიური კლასობრივი ბრძოლის გზაზე დააყენა, რომლის მიზანი საუკეთესო მიწისა და სრული თავისუფლების მოპოვება იყო. გლეხობა - ეს სოციალური ფენა - იბრძოდა ფეოდალური ბატონყმობის წინააღმდეგ (მიწისათვის, ჩამონაჭრების წინააღმდეგ, ტყეებისა და საძოვრებისათვის და ა.შ.) სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რამაც შექმნა ობიექტური პირობები გლეხობის კლასობრივი ბრძოლის გაშლისათვის. ამ ბრძოლას უფრო მძაფრი, სისტემატიური და მიზანდასახული ხასიათი მიეცა.

გლეხობა ობიექტურად იბრძოდა ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობის დამკვიდრება-გამარჯვებისათვის. ამიტომ მის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მესვეურნი (სამოციანელები, ნაროდნიკები) ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს მოძრაობა "თავიანთი" ინტერესების შესაბამისად. მათ მოღვაწეობაში აისახა ამ მრავალრიცხოვანი ფენის ინტერესები და მისწრაფებები.

აქვე უნდა ითქვას, რომ გლეხთა მოძრაობა იყო დაქსაქსული, სტიქიური, რომ ამ ბრძოლის მონაწილეებს არ ჰქონდათ რამდენადმე შეგნებული პოლიტიკური პროგრამა.

გლეხობის აქტიური კლასობრივი ბრძოლა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელმაც განაპირობა იმპერიაში რევოლუციური სიტუაციის აღმოცენება. გლეხობის კლასობრივი ბრძოლა აისახა მთელ რიგ გამოკვლევებში 156 სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ ამავე დროს გვიჩვენა, რომ საქართველოში გლეხთა მოძრაობის ისტორიაში მთელი რიგი საკითხები არ არის შესწავლილი სათანადო სისრულით. ასე მაგალითად, უპასუხოდ არის დატოვებული პასუხი კითხვაზე - როგორ მიმდინარეობდა საქართველოში გლეხთა მოძრაობა უშუალოდ რევოლუციური სიტუაციის წლებში, ე.ი. 1879-1881 წწ. საჭიროა ამ ხარვეზის შევსება.

მეორე რევოლუციური სიტუაციის დამახასიათებელი ნიშან-თვისება ისაა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სარბიელზე გამოდის მუშათა კლასი.

საქართველოში მუშათა პირველი გამოსვლები იწყება 70-იანი წლების დასაწყისიდან [67; 69; 93]. ამ პერიოდში მუშათა კლასი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება არა აქვს. იგი ჯერ კიდევ ვერ ასრულებდა მშრომელი მასების წინამძღოლის როლს. კაპიტალისტური ურთიერთობანი ჯერ კიდევ კარგად არ არის ფეხმოკიდებული, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი სუსტად იყო განვითარებული. კაპიტალისტური ექსპლოატაციის სიმძიმე, პოლიტიკური უუფლებობა, რასაც ეროვნული ჩაგვრაც ერთვოდა, ობიექტურ პირობებს ქმნიდა საქართველოში მუშათა გამოსვლებისათვის.

რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც მარქსიზმის, როგორც მთლიანი ფილოსოფიური სისტემისა და რევოლუციური მოძღვრების გავრცელებას წინ უსწრებდა ცალკეული მარქსისტული იდეებისა და დებულებების შემოჭრა. ეს გამოიხატა საქართველოში მარქსისტული ლიტერატურის შემოტანით, აგრეთვე ლეგალურ პრესაში მარქსისტული იდეების ასახვით. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ოპოზიციურად განწყობილმა და ხალხოსნურმა ინტელიგენციამ.

საქართველოს მარქსიზმის გავრცელების ცალკეული საკითხები გაშუქებულია ბევრი მკვლევარის ნაშრომებში [129-130; 51; 69 და სხვ]

ქართულ-დემოკრატიული პრესაში დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა I ინტერნაციონალმა და მისმა პირმშომ პარიზის კომუნამ. მიუხედავად ცენზურის შეზღუდვისა, გაზეთ "დროების" ფურცლებზე მაინც ხერხდებოდა I ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნის მოღვაწეობის გაშუქებას. ამ მოვლენების შესახებ უმთავრესად უცხოეთში მყოფი რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის კორესპონდენციებსა და წერილებში შუქდება.

1871 წლის უცხოეთის ამბების ერთ-ერთ მიმოხილვაში "დროების" კორესპონდენტი, ეხებოდა რა პარიზის კომუნის ამბებს, წერდა: ამბობენ, რომ ახლანდელი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყვიათ მარქსს, ასის, ბენტონსა და დარმოტს. ყველანი ესენი არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელნი, წევრები ლონდონის ხალხთა შორის მუშების ლიგისა" [214, 1871 წ., 16. IV].

შემდეგში "დროებაში" არაერთხელ დაიბეჭდა წერილები და კორესპონდენციები, რომლებშიც აღწერილი იყო I ინტერნაციონალის დაარსების ისტორია, მისი მიზანი და მოღვაწეობა. "დროება" ეხებოდა ლონდონში 1871 წელს გამართულ I ინტერნაციონალის საიდუმლო კრებას. "კრებამ გადაწყვიტა, რომ განსაკუთრებით ყურადღება საფრანგეთისა და რუსეთის მუშებს უნდა მიექციოთ"[214, 1871 წ., 15. X].

1872 წელს "დროებაში" I ინტერნაციონალის შესახებ გამოქვეყნდა ცნობილი კორესპონდენტების ბ. ჯაფარიძის და დ. ზურაბაშვილის (დ.მიქე-

ლაძე) ვრცელი წერილები. ბ. ჯაფარიძე და ლ. ზურაბაშვილი-მიქელაძე თავიანთ სტატიებში მუშა ხალხის მდგომარეობას აღწერდნენ და მას გამოყვანას ამ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება, შესაძლებელია პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად [214, 1872 წ., 18.II].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სწორედ ლ. მიქელაძე (მეველე) ჯერ კიდევ 1870 წელს თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც "დროებაში" უნდა დაებეჭდათ, პირველმა მოახდინა ქართულ ენაზე კ. მარქსის "პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" ცნობილი წინასიტყვაობის დიდი ნაწილის ციტირება, მაგრამ ცენზურამ გაზეთს მისი დაბეჭდვის ნება არ დართო.[51].

აღსანიშნავია ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შეხვედრა კ. მარქსთან. იგი ლონდონში ყოფნის დროს პირადად გაეცნო კ. მარქსს. ს. ხუნდაძის ცნობით, ნ. ნიკოლაძეს "მიუღია წინადადება კ. მარქსისაგან, მას ეკისრა ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოვალეობა ამიერკავკასიაში. ამ წინადადებაზე სხვადასხვა მიზეზის გამო, ნ. ნიკოლაძეს უარი უთქვამს[69].

ნ. ნიკოლაძე "ტიფლისკი ვესტნიკში" 1876 წლის 28 ივნისს ცნობილ ანარქისტის მ. ბაკუნინის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ წერილში, [222, 1876 წ., 22. I] ასახელებს კ. მარქსს, ადარებს მ. ბაკუნინს და მასზე მაღლა აყენებს. ეს იყო საქართველოში გამომავალ რუსულ პრესაში კ. მარქსის პირველი მოხსენიება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ პროგრესულ გაზეთში "დროებაში" კ. მარქსი პარიზის კომუნის ამბებთან დაკავშირებითაა მოხსენებული.

გაზ. "დროება" 1871 წლის 19 მარტს, კომუნარების გამარჯვების მეორე დღეს, აცხადებდა: "საფრანგეთში რევოლუცია არის. დღემდე ამ არეულობას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, მაგრამ დღევანდელი ტელეგრამებიდან და ცნობებიდან შეიტყობს მკითხველი, რომ საქმე იქამდე მისულა, პარიჟის არმიას თავისი სარდალ - ლეკონტი დაუხვრეტია. ამის გარდა ლიონშიც მომხდარა არეულობა და ქალაქის მერი და პრეფექტი დაუჭერიათ..."

[214, 1871 წ., 19. II] პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ "დროებაში" სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები და კორესპონდენციები, რომლებშიც მწუხარებით აღწერდნენ, თუ როგორ გაუსწორდნენ გმირ კომუნარებს.

ქართული პროგრესული პრესა პარიზის კომუნარების გმირულ ბრძოლას მაღალ შეფასებას აძლევდა და კომუნის გამოცხადებას აღტაცებით შეხვდა. მაგრამ ოფიციალურმა გაზეთმა "კავკაზმა" პარიზის კომუნისადმი საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა. გაზეთის 1871 წლის 16 აპრილის ნომრის "უახლოესი ამბების" განყოფილებაში მოყვანილია საფრანგეთის ერთ-ერთი ბურჟუაზიული ჟურნალიდან ამონაწერი, სადაც ნათქვამია: "18 მარტი ჩვენი ისტორიის ყველაზე სამწუხარო დღეების რიცხვში ჩაითვლება"[219, 1871 წ., 4. IV]. როგორც აკად. ჰ. გუგუშვილი აღნიშნავს... საფრანგეთის რევოლუციამ და პარიზის კომუნამ დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოში პირველი ინტერნაციონალისა და თვით კ. მარქსის მოღვაწეობის პოპულარიზაციას. საერთოდ კარლ მარქსის სახელი ქართულ საზოგადოებრიობასა და პუბლიცისტიკაში პირველად შემოიტანა პროგრესულმა, ხალხოსნურად განწყობილმა და ხალხოსნურმა ინტელიგენციამ [51, გვ. 147-155].

ჩვენ გვაქვს ცნობები მუშათა გაფიცვების შესახებ XIX საუკუნის 70-იან წლებში, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მივაკვლიეთ მასალას კლასობრივი ბრძოლის შესახებ, 1878-1881 წწ.

ამრიგად, სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკვლევი პრობლემატიკა არ არის დღემდე შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის შევსებას.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული და გათვალისწინებულია არა მარტო საკვლევი საკითხის გარშემო არსებული სპეციალური ლიტერატურა, არამედ მეცნიერულ ბრუნვაში პირველად შემოტანილია მთელი რიგი ახალი დოკუმენტური მასალები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდები: თბილისის გუბერნატორის კანცელარიის

(17), გორის მაზრის უფროსს (48), თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს (31), კავკასიის მთავარმმართველობასთან არსებული საგლეხო საქმეების მომწყობი კომისიის (220), მეფისნაცვლის (5), თბილისის სასამართლო პალატის (113), კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის კანცელარიის (12), კავკასიის სახალხო სამხედრო მმართველობის (545), მთავარმართებლობის საქალაქო სამოქალაქო ნაწილის დეპარტამენტის (7) და სხვა ფონდები.

აღნიშნულ ფონდებში მივაკვლიეთ საქართველოში კლასობრივი ბრძოლის, გლეხთა გამოსვლების, აჯანყებების, მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის ამსახველ ბევრ მასალას, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

ჩვენი ნაშრომისათვის მნიშვნელოვანი საარქივო მასალა გამოვლინდა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, ევგ. ვეიდენბაუმის, გ. თუმანიშვილის, გრ. ორბელიანის, ბარონ ნიკოლოს "სხვადასხვა", და ა.შ. ფონდებში.

ნაშრომში გამოყენებულია ქართული და რუსულ ჟურნალ-გაზეთების - "დროება", "ივერია", "ტიფლისკიე ვესტნიკი", "ობზორი", "კავკაზი" და სხვ. - მასალები.

# თ ა ვ ი I

## საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა რეფორმისშემდგომ პერიოდში ( 1864-1881 წწ.)

XIX საუკუნის შუა წლებში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ გაბატონებული ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა საგრძნობლად ანელებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი წინსვლის პრობლემამ დღის წესრიგში დააყენა ამ დამაბრკოლებელი ფაქტორის ლიკვიდაციის საკითხი. მზარდ საწარმოო ძალებსა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის აღმოცენებული წინააღმდეგობების საფუძველზე ქვეყანაში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია, რომელმაც საფრთხე შეუქმნა თვითმპყრობელობის პოლიტიკურ საფუძველს. "ზედაფენებს" აღარ შეეძლოთ ძველებურად მართვა, "ქვედაფენებს" აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება. ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების ფართო სოციალური მოძრაობა წალეკვით დაემუქრა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას.

ცარიზმის მთავრობამ კარგად გაითვალისწინა მოახლოებული რევოლუციური ქარიშხალი და იგი თავიდან რომ აეცილებინა, გადაწყვიტა ნაწილობრივ დაეთმო პროგრესული საზოგადოებრივი ძალებისათვის რეფორმების საშუალებით, დროის მოთხოვნილების შესაბამისად გადაეკეთებინა რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური შენობა [28, გვ. 12].

1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ და დაამტკიცა ამასთან დაკავშირებული კანონები (დებულებები).

რამდენადმე მოგვიანებითა და მეტნაკლები სისრულით საგლეხო რეფორმა საქართველოშიც გატარდა. რეფორმის გატარება განაპირობა არა მარტო მთავრობის საერთო პოლიტიკამ ბატონყმობის საკითხებში, არამედ ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა კონკრეტულმა მდგომარეობამ – კაპიტალისტური ურთიერთობათა განვითარებამ და კლასობრივი ბრძოლის საგრძნობლად გამწვავებამ.

კითხვაზე, თუ რა ძალამ აიძულა მებატონეები დაეწყოთ რეფორმის მომზადება-გატარება, ვ.ი. ლენინი უპასუხებდა: "ეკონომიკური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს. მემამულე მებატონეთ არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ ბატონობის ძველი დაშლის პროცესში მყოფი ფორმები. ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება, გლეხთა "ამბოხებებმა" აიძულა პირველი მემამულე ალექსანდრე II ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვემოდან დაგვამხობენო" [15, გვ. 127].

1864 წლის 13 ოქტომბერს მთავრობამ დაამტკიცა "მთავარი დებულებები", რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების პირობები. იმავე წლის 8 ნოემბერს ქ. თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სამაზრო ცენტრში ერთდროულად გამოცხადდა ბატონყმობის გაუქმება. 13 ოქტომბრის "დებულებები", ზოგიერთი არაარსებითი ცვლილებებით, შემდგომ გავრცელებული იქნა დასავლეთ საქართველოზედაც. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი-რაჭა-გურია) ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა 1865 წლის ნოემბერში, ხოლო სამეგრელოში 1867 წლის თებერვალში. აფხაზეთში 1870, სვანეთში საგლეხო რეფორმა გატარდა 1871 წელს.

მთავრობის მითითებით, ბატონყმობის გაუქმების გამოცხადება ყველგან ხდებოდა წინასწარ შემუშავებული გეგმით, რითაც უნდოდათ გლეხობაზე მიეხდინათ შთაბეჭდილება, თითქოს რეფორმა ტარდებოდა გლეხობისავე ბედნიერებისათვის.

სულ მალე ნათელი გახდა, რომ გლეხობას საზეიმო არაფერი ჰქონდა, ეკონომიურად უარეს მდგომარეობაში ჩავარდა, მოტყუებული დარჩა. რეფორმამ გლეხობას მხოლოდ პირადი თავისუფლება მიანიჭა არასრული მოქალაქეობრივი უფლებებით. მიწა მემამულეს რჩებოდა.

გლეხებს ართმევდნენ მიწას, რომელიც საუკუნეების მანძილზე მათ სარგებლობაში იყო. გლეხს მხოლოდ ნადელს "ანიჭებდნენ", რომელიც მემამულისაგან უნდა გამოესყიდა.

ილია ჭავჭავაძე 1877 წელს "ცხოვრება და კანონში" წერდა: "1864 წელს ჩვენში ყმების განთავისუფლება მოხდა. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქრევის მიზეზი. კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა, ერთს ჩამოაცილეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართებულოდ წართმეული ჰქონდა ... ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა" [124, გვ. 301].

საგლეხო რეფორმამ თითქმის ხელუხლებლად დატოვა ფეოდალური საკუთრება მიწაზე. მემამულეების უშუალო განკარგულებაში დარჩა და გადავიდა მიწის უდიდესი ნაწილი. დროებითვალდებული გლეხებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მიმართაც მემამულე ინარჩუნებდა საკუთრების უფლებას. საქართველოში რეფორმის ბატონყმური ხასიათი კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა.

საქართველოში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა 76 565 გლეხი [27, გვ 6]. ეს უდაოდ დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ მარტო პირადი თავისუფლება არ კმაროდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რეფორმის მძარცველური ხასიათი საქართველოშიც გამომჟღავნდა. აქ გლეხთა მიწის ჩამონაჭრებმა 37 % შეადგინა, გლეხური მოსახლეობის 13% თავიდან თითქმის სრულიად მოკლებული იყო მიწას. გლეხებმა ჩამონაჭრების სახით აქ მეტი მიწა დაკარგეს, ვიდრე რუსეთის მრავალ გუბერნიაში.

რეფორმამ აღმოსავლეთ საქართველოში პირადი თავისუფლება მიანიჭა 17 281 კომლ ყმა გლეხს. საწესდებო სიგელები კი შედგენილი იქნა მხოლოდ 12230 კომლისათვის [27, გვ. 6]. უსიგელოდ და, ამდენად, უნადელოდ დარჩა 3 051 კომლი გლეხი. ქუთაისის გუბერნიაში უმიწოდ განთავისუფლდა 4 000 კომლი ( 20 000 სული) გლეხი [201, 126].

რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოს ყმა გლეხთა სარგებლობაში იყო 84 656 დეს. მიწა კომლზე 5,9 დესეტინა. რეფორმის შემდეგ მათ სარ-

ბებლობაში დარჩა 55 667 დეს., კომლზე 3,9 დესეტინა [196, 12; 205, 76,79].

რეფორმამდე მამრობითი სქესის თითო სული ფლობდა 1,3 დესეტინას, რეფორმის შემდეგ მას დაუტოვეს 0,83 დესეტინა [157, 209].

უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ დასავლეთ საქართველოს გლეხე-ბი. რეფორმამდე ყმა გლეხის თითო ოჯახი ფლობდა 4,6 დესეტინა მიწას; რეფორმის შემდეგ მას დაუტოვეს 2,5 დესეტინა; თუმცა კანონით ორჯერ მე-ტი ნორმა იყო დაწესებული, მაგრამ კანონი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

თბილისის გუბერნიის ყმა გლეხების ხელში იყო 34 %-ით მეტი მიწა, ვიდრე მათ დაუტოვეს რეფორმის შემდეგ [40, გვ. 17].

დასავლეთ საქართველოში ყველგან ერთნაირი ნორმით კი არ დაუტოვეს მიწის ნადელები. იქაც იყო განსხვავება. მაგალითად, შორაპნის მაზრაში თითო კომლზე მოდიოდა 2,7 დესეტინა, რაჭაში – კომლზე 1,9 დესეტინა, ლეჩხუმში – 2,1 და გურიაში – 1,3 დესეტინა [27, გვ. 7].

თბილისის გუბერნიაში გლეხები შეადგენდნენ 86 %, თავადაზნაურობა – 2,89 %-ს, ქუთაისის გუბერნიაში გლეხობა იყო 86 %, თავადაზნაურობა – 6,78 % [40, გვ. 18].

თბილისის გუბერნიაში 17 281 კომლი გლეხობას 13 % ანუ 1 221 ოჯახს სრულებით არ მიუღია ნადელები, მათ "პირადი თავისუფლება" მიიღეს, მაგ-რამ დარჩნენ უმიწაწყლოდ. 1 830 კომლმა მიიღო სულზე 0,9 – 0,6 დესეტი-ნამდე – ეგრეთწოდებული "ნულიანი სანადელო" მიწა [134, გვ. 421; 135, გვ. 2].

გლეხობამ მიწა მიიღო არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობაში. ქართველმა მემამულეებმა გლეხებისათვის ნადელის გადაცემის საკომპენსა-ციოდ მოითხოვეს დაეწესებინათ ღალის მაღალი განაკვეთი, რაც უმაღლესმა ხელისუფლებამ დაამტკიცა. დროებითვალდებულ გლეხობაზე დაკისრებული ღალა-კულუხის ნორმა მოსავლის მეოთხედი და ზოგან მესამედიც კი იყო, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებდა რეფორმამდე არსებულს.

[illegible] დროებითვალდებულ გლეხთა ნადელის ოდენობა [illegible] მეტისმეტი რჩებოდა. ის საშუალებას აძლევდა მემამულეს [illegible] შეეზღუდა გლეხთა უფლებები, ეკონომიკურად დაექვემდებარებინა [illegible] მეურნეობა. ეყრდნობოდა რა კანონისა და მთავრობის მხარდაჭერას, [illegible] გლეხობას დააკისრა მძიმე სადგილმამულო ვალდებულებანი. XIX საუკუნის 70-იან წლებში მეფის კანცელარიის გამოანგარიშებით, [illegible] გლეხები დესეტინაზე იხდიდნენ საშუალოდ 9 მანეთს. სულ [illegible] 262 786 დესეტინა სანადელო მიწით სარგებლობისათვის 3 055 074 მანეთს [200, ტ. IV, გვ. 128].

მომდევნო ხანაში დროებითვალდებულ გლეხთა სადგილმამულო ვალდებულებანი თანდათან მძიმდებოდა. გლეხი შემოსავლის 26 % მემამულეს აძლევდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ნაკლებ ნაყოფიერ მიწებზე გლეხები თავიანთ შრომასაც ვერ ანაზღაურებდნენ, მაგრამ მემამულეს მაინც უხდიდნენ გადასახადს. გლეხები ამას ვერ ამჩნევდნენ – ხარჯებში საკუთარ შრომას არ ანგარიშობდნენ [27, გვ. 12].

საგლეხო რეფორმამ სოფლის მშრომელი მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო, აღნიშნული მოვლენის შემდეგ საგრძნობლად შეემცირდა მიწის მფლობელობა; მისი მდგომარეობა დროთა განმავლობაში სისტემატურად უარესდებოდა. მართალია, მწარმოებელი კლასის მცირე ნაწილი ეკონომიკურად გაძლიერდა და სოფლის ბურჟუაზიის რიგებში გადავიდა, მაგრამ უმრავლესობა უკიდურესი სიღატაკისაკენ მიექანებოდა. ამას ადასტურებს გლეხის საშუალო საკომლო ნადელის შემცირების ფაქტი რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში. მაგალითად, 1865 წელს თბილისის გუბერნიაში თუ გლეხი ფლობდა 3,7 დესეტინა მიწას [137, გვ. 4], 80-იან წლებში 3,2 დესეტინამდე დავცა [91, გვ. 536].

ზემოთმოტანილი ციფრები იმაზე მიუთითებენ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში გლეხობა დიდ ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა.

მაშინდელი პერიოდული პრესის მასალები და სხვა წყაროები, რომლებიც მწარმოებელი კლასის შრომისა და ცხოვრების პირობების შესახებ მკაფიო და დამაჯერებელ აღწერილობას შეიცავენ, ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ისინი ნათლად ადასტურებენ რევოლუციამდელ საქართველოში არა მარტო უკიდურესი მცირემიწიანობის, არამედ მიწის უსამართლო განაწილების ფაქტს.

ეხებოდა რა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხის მიწით უზრუნველყოფის საკითხს, გაზ. "გუთნის დედა" 1875 წელს წერდა: "ჩვენში ბევრ მუშაკს არა აქვთ მამული და იძულებული არიან სხვის მამულზე მიიხვეჭონ ირჯენა საზრდო, რომელიც რის ვაი-ვაგლახით ჰყოფნით დასაკმაყოფილებლად უპირველესთა თვისთა საჭიროებათა ... რა მოელის მოუსავლიანობის დროს უმამულო გლეხს? შიმშილი და სიკვდილი... რა არის უმამულო გლეხკაცი? ის არის უბედური ქმნილება; ... სიღარიბე და სიღატაკე მალე სწევა უმამულო გლეხს და ეს დღითი დღე უფრო და უფრო გაძლიერდება. სიღარიბეს მოაქვს თავისი ჩვეულებრივი მწარე ნაყოფი: გადაგვარდება ხალხის ზნეობისა, გონებით და ფიზიკურად" [213 1975 წ., № 21, გვ. 2].

როგორც ზემოთ ითქვა, გლეხთა მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს გლეხობას (განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმი, გურია), ისინი ჩაცვივდნენ სავალალო მდგომარეობაში, რაც უმიწობითა და მცირემიწიანობით იყო გამოწვეული.

ქართველი გლეხის მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ გაზეთი "ივერია" წერდა: "ამას არაფრისაგან არაფერი არ აბადია; ბატონისაგან ერგებია მხოლოდ... სახლის ადგილი და ერთი კვალი ვენახი[224, 1877 წ., № 34, გვ. 3].

უფრო მძიმე იყო სრულიად უმიწო გლეხის ხვედრი. აი როგორაა აღწერილი მისი ყოფა იმავე გაზეთში. "ეს ხომ საცოდავია და საცოდავი. ამას სახლის ადგილიც კი არსად აქვს. ერთ წელიწადს ერთის ბოსელში დგას, მეორე წელიწადს - მეორეს... ხან ერთი გამოაგდებს ბოსლიდან, ხან მეორე და ასე

ერთ ოჯახში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამის ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა უფრო უკანასკნელია, ვინამ ზემოთ მოყვანილი გლეხისა, თუმცა კი ესეც არავის ჩამორჩება მუშაობაში [224, 1878 წ., № 8, გვ. 2].

საგლეხო რეფორმა არ შეხებია ზოგიერთ კატეგორიას – სახელმწიფო და - საეკლესიო გლეხებსა და ხიზნებს. მათ შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ხიზნები აღმოჩნდნენ.

ისე როგორც სხვა კატეგორიის გლეხთა, ისე ხიზნების ეკონომიკური მდგომარეობის გამსაზღვრელი ფაქტორი მიწა იყო. ხიზნებსა და მემამულეებს შორის ვამწვავდა ურთიერთობა. 1871 წელს თბილისის გუბერნატორი იტყობინებოდა, რომ მემამულეები ხიზნების აყრას აპირებენ და რაიმე უნდა ვილონოთ [126, გვ. 96].

1866 წელს საქართველოში იყო 7 596 კომლი ხიზანი, აქედან თბილისის გუბერნიაში 4 973 და ქუთაისის გუბერნიაში 2 623 კომლი. 70-იანი წლების ბოლოს ხიზანთა რაოდენობა გაიზარდა 9 309 კომლამდე, აქედან 3 000 კომლი მოდიოდა გორისა და დუშეთის მაზრებზე [126, გვ. 98]. აღმოსავლეთ საქართველოში თითოეული კომლი ხიზანი ფლობდა 4,5 დესეტინა მიწას, დასავლეთ საქართველოში – დაახლოებით 6 ქცევა მიწას 26; გვ. 23 . ხიზნების საერთო რაოდენობის 11,54 %-ს სულ არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, 22,4 % ჰქონდა საშუალოდ 2,5 დესეტინამდე, 43,80 % – 2,5 – დან 5 დესეტინამდე და 20,21% 5 და ხუთ დესეტინაზე მეტი [137, გვ. 150].

ხიზნების ეკონომიკურ მდგომარეობას საგრძნობლად აუარესებდა გადასახადები, რომელთა დიდ ნაწილს მემამულეს აძლევდნენ.

შედარებით პრივილეგირებულ კატეგორიას წარმოადგენდნენ სახელმწიფო და საეკლესიო გლეხები. სახელმწიფო ეკონომიკურ-უფლებრივ მდგომარეობით სახელმწიფო გლეხები მაღლა იდგნენ, ვიდრე საბატონო გლეხები. ამიტომ იყო, რომ სხვა კატეგორიის გლეხები ცდილობდნენ სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადასვლას.

1861 წლის მონაცემებით ტფილისის გუბერნიაში იყო 60 083 კომლი სახელმწიფო გლეხი (344 169 სული) მაშინ, როცა ყმა გლეხი 17 281 კომლი იყო (122 247 სული), ხოლო საეკლესიო გლეხობა შეადგენდა 8 305 კომლს (55 399 სულს) [197, გვ.37-38].

80-იანი წლების დამდეგს საქართველოში ითვლებოდა 70 000 კომლი სახელმწიფო გლეხი, აღმოსავლეთ საქართველოში – 48 250 და დასავლეთ საქართველოში – 20 997 კომლი. აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო გლეხებს სარგებლობაში ჰქონდათ 842 636 დესეტინა მიწა, კომლზე საშუალოდ მოდიოდა 17 დესეტინა. დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო გლეხები ფლობდნენ 88 721 დესეტინა მიწას კომლზე 4 დესეტინას [27, გვ. 32].

სახელმწიფო გლეხებს შორისაც იყო მიწის არათანაბარი განაწილების ფაქტი. გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილის თითო კომლი ფლობდა 1–2 დესეტინას [132, გვ. 78-79]. ასე რომ სახელმწიფო გლეხებს შორისაც იყო ქონებრივი და უფლებრივი არათანაბარი მდგომარეობა; მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბატონო გლეხებზე უკეთეს მდგომარეობაში მაინც იყვნენ.

სახელმწიფო გლეხები იბრძოდნენ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლისათვის. მათ ბრძოლას მხარს უჭერდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვდა აგრარული რეფორმის გატარებას, მთლიანად გლეხობისა და კერძოდ, სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობას.

სახელმწიფო გლეხების შემდეგ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში საეკლესიო გლეხები იყვნენ, მართალია, რეფორმა მათ არ შეხებია, მაგრამ 1869 წლის 13 ნოემბრის უმაღლესი ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დასახლებული და დაუსახლებელი მამულები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. საეკლესიო გლეხები სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადავიდა. ყოფილი საეკლესიო გლეხები დაიბეგრნენ სახელმწიფო საკომლო გამოსაღებით, მაგრამ მათ ნადელები არ გამოუყვიათ. მათი მიწები შეტანილ იქნა საღალო მუხლების სიაში და დატოვებულ იქნა მათსავე სარგებლობაში უვადო საიჯარო პირობებით [27, გვ. 18].

ასეთივე ღონისძიება გატარდა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო მამულის მიმართ. იმერეთის ეკლესიას ჰყავდა 5 021 კომლი ყმა გლეხი, რომლებიც ფლობდა 13 500 დესეტინა სახნავ-სათეს მიწას და 9 375 დესეტინა ტყეს. გურიის ეპარქიის დამოკიდებულებაში იყო 639 კომლი გლეხი, ფლობდა [illegible] დესეტინა სახნავს, 56 დღეს. ტყეს და 1 704 ნაკვეთ ბაღ-ვენახს [27, გვ. 19].

1871 წლის 4 მარტს გამოქვეყნდა ალექსანდრე II ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: 1, იმერეთისა და გურიის საეკლესიო მამულები გადაეცეს ხაზინას და შეტანილი იქნეს სახელმწიფო ქონების უწყებაში. 2. საეკლესიო გლეხებს მიეცეს სახელმწიფო გლეხთა უფლებები და საჭირო მიწის ნაკვეთები. 3. იმერეთისა და გურიის ეკლესიებს ხაზინისათვის გადაცემული მამულების საზღაურად დაენიშნოს ყოველწლიურად 30 000 მან.[27, გვ. 19].

1880 წელს სამეგრელოს საეკლესიო მამულები ხაზინას გადაეცა. სამეგრელოს ეპარქიას საზღაურად ყოველწლიურად ეძლეოდა 30 000 მან. [212, გვ. 176-185].

საქართველოში ყველა კატეგორიის გლეხს მძიმე ტვირთად აწვა ბეგარა-გადასახადები. აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო გლეხი კომლზე იხდიდა 11,75 მან. დესეტინა მიწისათვის 0,77 კაპიკს. დასავლეთ საქართველოში – კომლზე 36 მან. დესეტინა მიწისათვის – 2,45 მან. სულ იხდიდნენ [illegible]0 973 მანეთს[139, გვ. 140]. დროებითვალდებული გლეხის თითო კომლი იხდიდა 28 მან. 84 კაპ., ხიზნებისა – 66 მან. და 49 კაპიკს[91, გვ.567].

საქართველოს არც ერთი კატეგორიის გლეხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ ყოფილა სახარბიელო, მაგრამ მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით სახელმწიფო გლეხის მდგომარეობა უკეთესად გამოიყურება.

საქართველოში გლეხობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მთავრობამ საგლეხო რეფორმის გატარება მთლიანად ბიუროკრატიულ ხელისუფლების მოხელეებსა და თავადაზნაურობას მიანდო, მათ კი ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. გლეხის პირადი განთავისუფლებისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ დიდძალი ფულადი საზღაური მიიღო. როცა იმპერიის სხვა რეგიონების თავადაზნაურობას უარი ეთქვა.

არსებული მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ გლეხის განთავისუფლებისათვის ფულადი კომპენსაციის სახით მიიღო 1 654 350 მან. [212, გვ. 347], იმერეთისა და გურიაში - 2 033 615 მან. სამეგრელოში - 1 331 676 მან. [40, გვ. 25]. ე.ი. ქართველმა მებატონეებმა დამატებით 7 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს ყმების პირადი განთავისუფლებისათვის [92, გვ. 229-230].

1864 წლის 13 ოქტომბრის კანონმდებლობით ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიკური ინტერესები მაქსიმალურად იყო დაცული. თვითმპყრობელობა საქართველოში შეღავათიან პოლიტიკას ატარებდა რათა ქართველ მემამულეებს არ ჰქონდათ არც აშკარა და არც ფარული უკმაყოფილება [157, გვ. 269]. ამით ცარიზმმა თავადაზნაურობა თავის მყარ დასაყრდენად აქცია. ცარიზმი ქართველი გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე ახდენდა ქართველ თავადაზნაურობისათვის განსაკუთრებულ "წყალობათა" დარიგებას.

არსად იმპერიაში არ ყოფილა საგლეხო რეფორმა გატარებული მემამულეებისათვის ისე შეღავათიანი და გლეხებისათვის ასე შეზღუდული, როგორც ამიერკავკასიაში [157, გვ. 269].

საგლეხო რეფორმის გატარება მძიმედ დააწვა ქართველ გლეხობას. მან დაკარგა არა მარტო მიწა, არამედ ბევრი სხვა უფლებაც, რაც ბატონყმობის დროს ჰქონდა: რეფორმამდე ყმა გლეხს უფლება ჰქონდა ესარგებლა თავისი საკუთარი მოთხოვნილებისათვის მებატონის ტყითა და საძოვარი ადგილებით, სათიბებით, წყლით ანაზღაურების გარეშე. ბატონყმობის გაუქმებისას გლეხებს წაართვეს ის უფლებები, რომლითაც საუკუნეების მანძილზე სარგებლობდნენ. ეს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოუგვარებლობა გახდა გლეხებსა და თავადაზნაურთა შორის კლასობრივი ბრძოლის გამომწვევი მიზეზები [150, გვ. 36-37].

ქართველი გლეხობა რომ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამ ფაქტს მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვიც აღიარებდა. იგი ნიკოლოზ მეორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა: "ბატონყმობის გაუქმება ამიერკავ-

კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, მოხდა მემამულეებისათვის მეტისმეტად ხელსაყრელ და გლეხობისათვის არახელსაყრელ პირობებში" [146, გვ. 68].

რუსეთის გუბერნიებში რეფორმა გლეხებისათვის შედარებით უკეთეს პირობებში გატარდა. იქ სწრაფად ხდებოდა მესაკუთრე გლეხის კატეგორიაში გადასვლა. 1881 წლის 22 ნოემბერს გამოიცა კანონი დროებითვალდებულების ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, რომლის ძალით დროებითვალდებული გლეხისათვის თავის დახსნა, ნადელების შესყიდვა და მესაკუთრედ გადაქცევა სავალდებულო იყო, ხოლო საქართველოში დროებითვალდებულების გაუქმების კანონი 1912 წელს გამოვიდა და 1921 წლამდე არ აღსრულებულა [91, გვ. 301].

დებულება სანადელო მიწების შესყიდვის შესახებ საქართველოში გამოიცა 1868 წლის 14 აგვისტოს; ამ დებულებით ყველაფერი დამოკიდებული იყო მემამულის ნება-სურვილზე. ამიტომ დროებითვალდებულებისაგან გლეხობის თავდახსნა ძალზე ნელა მიმდინარეობდა.

"ყბადაღებული რეფორმა იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, რომ იგი წარმოადგენდა მათ მიმართ "მთელ რიგ ძალმომრეობასა და პირდაპირ დაცინვას" [15, გვ. 126], წერდა ვ.ი. ლენინი. მის მიერ რეფორმის ასეთი დახასიათება კონკრეტულ-ისტორიული მასალებით სრულიად მიესადაგება საქართველოში გატარებულ საგლეხო რეფორმას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგლეხო რეფორმა გატარდა მემამულეების ინტერესების მაქსიმალური დაცვით. მიუხედავად ამისა, ეს აქტი პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო: ამიერიდან ძირითად მწარმოებელ კლასს გლეხობას შეეძლო შედარებით უკეთეს პირობებში წარემართა თავისი სამეურნეო საქმიანობა. ძველებურად ხელფეხშეკრული აღარ იყო. მას უფლება ჰქონდა შეეძინა ქონება და ის სურვილისამებრ გამოეყენებინა. გაძლიერდა გლეხის პირადი დაინტერესება. გაიზარდა მისი შრომითი ნაყოფიერება. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა საწარმოო ძალების განვითარება. ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება.

1864–1871 წლების საგლეხო რეფორმა საქართველოში, ისე როგორც 1861 წელს რუსეთში გატარებული რეფორმა, იყო მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის მეორადი პროდუქტი [167, გვ. 265].

ჩრდილოვანი მხარეების მიუხედავად, საგლეხო რეფორმა ბურჟუაზიული ხასიათის ღონისძიებას წარმოადგენდა და ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში.

საგლეხო რეფორმამ მნიშვნელოვანწილად მოსპო მზარდ საწარმოო ძალებსა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის არსებული წინააღმდეგობანი და ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის აღმავლობას, კაპიტალიზმის განმტკიცებას. რეფორმის შედეგად ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი საზოგადოებრივი ძალები - ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისიდან ფართოვდება ბაზრები და მიმოსვლის საშუალებები, რის შედეგადაც საქართველოც ჩაერთო საქონლის მსოფლიო მიმოქცევაში. დღის წესრიგში დადგა რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობის საკითხი. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინსვლა-განვითარებას.

საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებაში დიდი როლი რუსეთის კაპიტალიზმმაც შეასრულა. როგორც ვ.ი. ლენინი წერდა: რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს, ძველებურ პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის [10, გვ. 704]

საგლეხო რეფორმის გატარებამ საქართველოში ბიძგი მისცა საზოგადოების ცხოვრების განახლებას და სახალხო მეურნეობის განვითარებას საერთოდ, მაგრამ ძირითადი მწარმოებელი მასა - გლეხობა უკიდურესად უუფლებო და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდო. გლეხკაცის საოცნებო მიზანი მიუღწეველი დარჩა. მან ვერ მიიღო ვერც მიწა და ვერც ჭეშმარიტი თავისუფლება. მაშინ გლეხობა კლასობრივი ბრძოლის გზაზე დადგა. XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში კლასობრივმა ბრძოლამ მძაფრი,

სისტემატური და მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო. გლეხთა გამოსვლები ისე გახშირდა, რომ მან მოიცვა არა მარტო ყველა სოფელი, არამედ თითქმის ყველა მამული.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში შეიქმნა უკიდურესად რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. ჩაგრული კლასების გაჭირვება და უბედურება გამწვავდა ჩვეულებრივზე უფრო მეტად. დაიძაბა მდგომარეობა. ქვედა ფენებს აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო საქართველოში რევოლუციური სიტუაციის შექმნას. რევოლუციური მუშათა კლასი ამ დროს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა და ამიტომ განმათავისუფლებელ-რევოლუციურ მოძრაობაში ძირითადად მშრომელი გლეხობა ჩაება თერგდალეულებისა და ხალხის ფენებიდან გამოსული რევოლუციური ხალხოსნების ხელმძღვანელობით.

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ საქართველოში გლეხთა მოძრაობა XIX საუკუნის 70-იან წლებში მოჰყვა 1874–1876 წლების სამეგრელოს, 1875–1876 წლების სვანეთის, 1877 წელს აფხაზეთის, 1878 წელს კახეთის (ქიზიყის) გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები.

ხელისუფლებამ აჯანყებები ჩაახშო, მაგრამ ამ აჯანყებას უკვალოდ არ ჩაუვლია – ხელისუფლება ძალზე ჩაფიქრდა და შეშფოთდა და 70-იანი წლების ბოლოს ცდილობდა ზოგიერთ დათმობებზე წასვლას რეფორმების მეშვეობით.

XIX საუკუნის ბურჟუაზიული რეფორმების შედეგად საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის ზოგიერთ სხვა განაპირა ეროვნულ მხარეში, შედარებით სწრაფად განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობა. საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების კანონზომიერი პროცესი დაჩქარდა, რუსეთის სახალხო მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირების შედეგადაც. რუსეთის კაპიტალიზმის ეს პროგრესული გავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის ხელშემწყობ ფაქტორად იქცა. განსაკუთრებით – ბურჟუაზიულ რეფორმათა მომდევნო ხანაში.

რეფორმის მომდევნო ხანაში რკინიგზის მშენებლობისა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ საქართველო სულ უფრო მჭიდროდ დააკავშირა გარე სამყაროს - როგორც მეტროპოლიას, ისე ევროპის ქვეყნებს.

ცხოვრების ახალმა პირობებმა გაზარდეს მოსახლეობის მოთხოვნილებები ფართო მოხმარების საგნებზე. მაგრამ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების შემაფერხებელი ფაქტორებიც არსებობდა. მათ შორის აღსანიშნავია ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს გადაქცევას მეტროპოლიის სამრეწველო საქონლის გამსაღებელ ბაზრად და ნედლეულის ბაზად. ცარიზმი ესწრაფვოდა საქართველოს ეკონომიკა მეტროპოლიის ეკონომიკისათვის დაემორჩილებინა; ხელოვნურად აფერხებდა მსხვილი დამმუშავებელი მანქანური წარმოების, პირველ რიგში - წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებას. სამაგიეროდ ცარიზმი ხელს არ უშლიდა, რიგ შემთხვევაში აქეზებდა კიდეც ისეთი დარგების განვითარება-დაწინაურებას, რომლებიც სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებას ეწეოდნენ.

საქართველოში მრეწველობის განვითარების ხელისშემშლელი მარტო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა როდი იყო. თვითონ ქვეყანაში არ არსებობდა წანამძღვრები მსხვილი მანქანური მრეწველობის განვითარებისა; ჯერ კიდევ ძალიან სუსტი, ჩამოყალიბების პროცესში იყო ეროვნული ბურჟუაზია. თვალს თუ გადავავლებთ XIX საუკუნის მანძილზე მრეწველობის განვითარების დინამიკას,დავინახავთ, რომ მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების დამაარსებელნი არაქართველები იყვნენ. უცხოელი და რუსი კაპიტალისტები კი აქტიურად ვერ ებმებოდნენ საქართველოს სამრეწველო საქმიანობაში. თამამად ვერ აბანდებდნენ თავიანთ კაპიტალს, ეჭვის თვალით უყურებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის უნარსა და ნიჭს.

მრეწველობის განვითარებას ხელს უშლიდა ისიც, რომ არ იყო კვალიფიციური მუშახელი. ახალი დარგებისა და მანქანა-დანადგარების შემოტანა-დანერგვამ მოითხოვა ტექნიკის მცოდნე მუშახელი, რომელიც საქართველოში იმ დროს ძალზე მცირე იყო.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან საქართველოში შედარებით ხელსაყრელი პირობების შექმნა მოპოვებით მრეწველობას – მარგანეცის, ქვანახშირისა და სპილენძის წარმოებას.

დამმუშავებელი წარმოების დარგებიდან დაწინაურდა მსუბუქი და კვების მრეწველობა: ხდებოდა ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება.

მეფის მთავრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყოველნაირად ზღუდავდა მრეწველობის განვითარებას იმის შიშით, რომ რუსეთის ნაწარმს ბაზარი აღარ ექნებოდა. 1870 წელს ადგილობრივი კაპიტალისტების ჯგუფმა მოინდომა ამიერკავკასიაში შაქრის ქარხნის დაარსება. ამისათვის ადგილიც შერჩეული იყო: ჩაატარეს შესაბამისი სამუშაოები, კავკასიის ცენტრალური ხელისუფლების მონდომებაც იყო და შუამდგომლობა პეტერბურგში გაიგზავნა, მაგრამ პეტერბურგის უმაღლესმა ხელისუფლებამ აღარ დაუჭირა მხარი, რადგან რუსეთის შაქრის მწარმოებლებს ამიერკავკასიაში ბაზარი შეუმცირდებოდა [171, გვ. 116-117] ასე ამუხრუჭებდა ცარიზმი ჩვენში მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, რომელიც მეტოქეობას გაუწევდნენ რუსეთის მრეწველობას.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა რუსეთის მრეწველობა მყარ ნიადაგზე დგება, თანდათან ხსნის შეზღუდვებს და თავისუფალი კონკურენციის კანონი მოქმედებს, საქართველოში არსდება მრეწველობის სხვადასხვა საწარმოები.

ვ.ი. ლენინი მიუთითებს; "კაპიტალიზმის განვითარება ახალგაზრდა ქვეყნებში საგრძნობლად ჩქარდება ძველი ქვეყნების მაგალითით და დახმარებით [10, გვ. 580]. საქართველოში დაარსებულ პირველსავე შედარებით მსხვილ საწარმოებში ვხვდებით უცხოეთიდან და რუსეთიდან შემოტანილ მანქანა-იარაღებს, მაგრამ ტექნიკური სიახლენი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდნენ წარმოებას, ხელით შრომა ჯერ კიდევ გაბატონებული იყო. თუმცა ორთქლის ძრავას არსებობა რეფორმამდელ ხანაში დადასტურებულია რამდენიმე საწარმოში, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოში საფეიქრო მრეწველობა კუსტარულ დონეზე იმყოფებოდა. შეინიშნებოდა მანქანურ ყაიდაზე მისი გარდაქმნა, ისიც ძირითადად აბრეშუმსახვევ პატარა "ფაბრიკებში".

მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძველი დარგია და იგი იმთავითვე გამოირჩეოდა შედარებით მაღალი ს კონდიციანობით. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან შინამრეწველური ხასიათის ქსოვილი კონკურენციას ვერ უწევდა ფაბრიკული წარმოების აბრეშუმის ქსოვილს, ამიტომ ძაფისა და ქსოვილის ნაცვლად პარკი გაჰქონდათ ბაზარზე.

მეაბრეშუმეობაში დასაქმებული იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ იყო ეს დარგი ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში. მოსახლეობა წლიდან წლამდე ადიდებდა აბრეშუმის პარკის წარმოებას. 70-იან წლებში აბრეშუმის ჭია დაავადდა პებრინით და მეაბრეშუმეობა განადგურების პირას მივიდა, მაგრამ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ მოსახლეობა უსასყიდლოდ მოამარაგა მაღალი ხარისხის მურით და ისევ აღორძინდა და განვითარდა ეს დარგი. 80-იანი წლების დასაწყისიდან აბრეშუმის პარკის დამზადება სწრაფად დაწინაურდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობას ეწეოდა 14 ათასი კომლი გლეხი.

ასევე განვითარებას იწყებს ბამბისა და მატყლის პირველადი გადამუშავება. 1870 წელს ამუშავდა ა. ზლატოგორსკის "ბამბის საწმენდი ფაბრიკა"[71, გვ. 256]. რომლის პროდუქცია (ნედლეული) რუსეთში გადიოდა და იქაურ მრეწველობას ამარაგებდა.

საფეიქრო მრეწველობის განვითარება საქართველოში ფართოდ იწყება 70-იანი წლების დასაწყისიდან: მდიდარმა ვაჭარმა გ. მირზოევმა 1869 წელს დაარსა პირველი მსხვილი საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკით. პირველ ხანებში მირზოევის ფაბრიკაში მუშაობდა 500 მუშა, 1872 წელს მუშათა რიცხვი 800-მდე გაიზარდა[149, გვ. 184].

ფაბრიკა უშვებდა მიტკალს, რეფსს, ფლანელს, ტილოს, ფაბრიკას ძვირად უჯდებოდა უცხოეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტების შენახვა და მეწარმემ ისინი დაითხოვა. უცხოელი სპეციალისტების წასვლამ მნიშვნელოვნად შეამცირა შრომის მწარმოებლობა. დაეცა მეწარმის მოგება [149, გვ. 187].

ფაბრიკის შეუფერხებლად მუშაობას ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში მოყვანილი ბამბა. აქ დამზადებულ პროდუქციას უპირატესობაც კი ჰქონდა გარედან შემოტანილ ნედლეულზე და ძირითადად აკმაყოფილებდა კავკასიის არმიის მოთხოვნილებებს. ფაბრიკის ნაწარმი გადიოდა ირანშიც.

70-იანი წლების ბოლოს საქართველოში შემოაქვთ რუსეთიდან და ინგლისიდან იაფი ბამბის ქსოვილი, რასაც მირზოევის ფაბრიკამ კონკურენცია ვერ გაუწია, თანდათან შეამცირა პროდუქციით წარმოება. ფაბრიკა რომ არ გაკოტრებულიყო და არ შეეწყვიტა მოქმედება, 1880 წელს მირზოევმა იჯარით (6 წლით) გადასცა ფრანგ მეწარმე ი. რიშარს, რომელმაც ზოგიერთი მანქანა-დანადგარი საფრანგეთიდან მოიტანა, იქიდანვე მოიწვია დასტატებული ფეიქრები[71, გვ. 254].

მირზოევის ფაბრიკა ამარაგებდა კავკასიის არმიას დიდძალი მიტკლით. ამით მრეწველი დიდ მოგებას იღებდა. 80-იანი წლების დასაწყისში იჯარის ვადა გავიდა, მირზოევმა იგი აღარ განაახლა. ფაბრიკანტმაც საქმეს თავი ვერ გაართვა და ფაბრიკა თავის კრედიტორს ი. ჩითახოვს გადასცა. ი. ჩითახოვმა ფაბრიკა გააფართოვა, მოძველებული ტექნიკა შეცვალა ახლით. ფაბრიკა ისე გაძლიერდა, რომ მრავალრიცხოვანი შეკვეთების შესრულებას ვერ ასწრებდა [149, გვ. 286-297].

ტყავის სამრეწველო დამუშავებას საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში მისდევდნენ, თბილისის ახლოს სოფ. დიღომში 1847 წელს ანდრეევსკის დაუარსებია ტყავის "ქარხანა", სადაც მუშაობდა 1 ოსტატი და 17 მუშა. წლიური პროდუქცია 16 500 მანეთს შეადგენდა [237, საქ. 126, ფ. 2679]. სხვაგანაც იყო ანალოგიური საწარმოები, სადაც ძირითადად ხელით შრომას ეწეოდნენ.

ტყავის ქარხნული დამუშავება ჩვენში ფართო მასშტაბით იწყება 1875 წლიდან. თბილისში გ. ადელხანოვმა დაარსა ტყავის ქარხანა, სადაც ძირითადი საწარმოო პროცესები მექანიზებული იყო. მუშაობდა 170 მუშა, აწარმოებდა 650 ათასი მან. პროდუქციას, რომელიც ძირითადად კავკასიის ჯარის ნაწილებს ამარაგებდა[91, გვ. 264-265].

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქ. თბილისსა და თბილისის გუბერნიაში იყო 12 ტყავის ქარხანა; ამუშავებდნენ 162 775 ცალ ტყავს, რომლის ღირებულება 990 000 მანეთს შეადგენდა[149, გვ. 101].

სპირტიანი სასმელების, ღვინისა და არყის დამზადებას საქართველოში მისდევდნენ უძველეს დროიდან; მკვეთრი სასაქონლო სახე ამ დარგმა 70-იანი წლებიდან მიიღო, თუმცა ღვინის ტრანსპორტირება გაძნელებული იყო ცუდი გზებისა და გადასატანი ჭურჭლის არასათანადო ვარგისიანობის გამო (ძირითადად იყენებდნენ რუმბებს). 70-იანი წლებიდან მეღვინეობაში ინერგება ხის კასრები. გაუმჯობესდა ღვინის დაყენების ტექნოლოგია და გზათა მიმოსვლის საშუალებანი. ამავე პერიოდში საქართველოში ვითარდება შემაგრებული ღვინოებისა და შამპანურის წარმოება, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყეს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გაიზარდა ღვინო-არაყისა და კონიაკის წარმოება. 1874 წელს თბილისის გუბერნიაში დამზადებული იყო 1 676 200 ვედრო ღვინო. 1875 წელს - 229 800 ვედრო[233, 1877 წ.,გვ. 106].1876 წელს - 3 251 233 ვედრო 140, გვ. 39 წარმოებული ღვინის ღირებულება შესაბამისად უდრიდა: 3 362 400, 4 595 600 და 6 503 000 მან. 1881 წელს დამზადებული ღვინის ღირებულება 11 მლნ მან. შეადგენდა[233, 1888 წ., გვ. 215]. თუ კი ზემომოყვანილ თანხას ნახევარს გამოვაკლებთ, რაც ღვინის წარმოებაზე დაიხარჯა, მაშინ მივიღებთ სუფთა შემოსავალს, შესაბამისად: 1 676 200, 2 297 300 და 5 600 000 მანეთს[140, გვ. 39].

სასაქონლო ღვინო-არყის მწარმოებელი იყო ძირითადად თავადაზნაურობა. ბრწყინვალე წოდების ზოგიერთმა წარმომადგენელმა თვითონ მიჰყო

ხელი არა მარტო ღვინო-არაყის წარმოებას, არამედ მის რეალიზაციასაც. ასეთთა რიგს ეკუთვნიან ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი, ამილახვარი, გურამიშვილი, ერისთავი, სულხანიშვილი ა. და დ. ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილი, ვაჩნაძე, ს. გურგენიძე და სხვ. [147, გვ. 90].

რეფორმის პერიოდის საქართველოში ფართო მასშტაბი მიიღო სპირტისა და კონიაკის დამზადებამ, რომლის წარმოება ძირითადად მსხვილი კაპიტალისტების ხელში იყო თავმოყრილი.

1865 წელს თბილისის გუბერნიაში ყოფილა 61 არაყსახდელი საწარმო, სადაც მუშაობდა 112 მუშა. ქუთაისის ახლოს სოფ. ქოსთანაში კუზმინის არაყსახდელ საწარმოში 34 მუშა მუშაობდა. 1869 წელს გარდაბანში ელისაბედ ორბელიანი-ბარიატინსკაიამ გახსნა არაყის დიდი ქარხანა, რომელიც უდიდესი საწარმო ყოფილა. გამოხდილ არაყსა და სპირტს ძირითადად მთავრობა შეისყიდდა ჯარის ნაწილებისათვის [127, გვ. 201; 242, საქ. 8960$^{ბ}$, ფ. 10-12].

სპირტიანი სასმელების წარმოებას აფერხებდა 1873 წელს შემოღებული აქციზი. მიუხედავად ამისა, ეს დარგი მაინც ვითარდება. 1877 წელს ბორჯომის ახლოს მრეწველმა ბახმა მოაწყო სპირტის სახდელი "ქარხანა", სადაც მუშაობდა 29 მუშა და ამზადებდა 161 ათასი მან. პროდუქციას. არყის სახდელი "ქარხნები" მოაწყვეს მრეწველმა ანანოვმა (ვარციხე), კ. ოლიდენბურგმა (ქუთაისი) მიურატის ქვრივმა (ჭკადუაში, სალხინო) და სხვ. [127, გვ. 142-143].

80-იანი წლების დასაწყისში ქართველმა მრეწველმა დ. სარაჯიშვილმა მყარ კაპიტალისტურ საფუძველზე დაფუძნებული სპირტიანი სასმელების წარმოება დაიწყო. იგი ძირითადად კონიაკს ამზადებდა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. დ. სარაჯიშვილმა კავკავის (ორჯონიკიძე) მახლობლად და ერევანში გახსნა არაყისა და კონიაკის ქარხნები. გამოშვებული პროდუქცია ყოველწლიურად იზრდებოდა. დ. სარაჯიშვილის ქარხანა მარტო

თბილისში აწარმოებდა 99 400 გრადუს კონიაკს [234, 1895 წ., № 97]. იგივე ითქმის ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული სპირტის შესახებ: არსებული მონაცემების მიხედვით, 60-იან წლებში გუბერნიაში დამზადებულია 2 921 350 გრადუსი სპირტი [202, გვ. 86].

კვების მრეწველობაში გარკვეული ადგილი ეკავა ლუდის წარმოებას. 60-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში უცხოელმა მრეწველებმა დააარსეს ლუდის 6 მარტივი საწარმო, რომლებიც 70-იანი წლების მეორე ნახევარში ნ. ლორთქიფანიძის ხელში გადავიდა. არსებული მონაცემებით 60-იან წლებში თბილისის გუბერნიაში ლუდის საწარმოები ამზადებდნენ 209 ათას ვედრო ლუდს [208, გვ. 206; 127, წიგნ. I, გვ. 145].

რეფორმისშემდგომ პერიოდის საქართველოში საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი საწარმოები აწარმოებენ პროდუქციის წარმოებას. თუ 60-იანი წლების შუა ხანებში იყო 31 საწარმო. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მუშაობდა 17 საპნის სახარში ქარხანა, რომელიც უშვებდა 46 ათას ფუთ საპონს [233, 1882 წ., გვ. 218; 72, გვ. 310-311]. 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში (უმთავრესად თბილისში) არსებობდა ზეთსახდელი 3 და სანთლის საწარმოო ობიექტები [72, გვ. 310-311; 250, საქ. 654, ფ. 1-3].

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში მოქმედებდა ყვლისა და კარაქის დამამზადებელი რამდენიმე მსხვილი ქარხანა. ზოგიერთი ქარხნის პროდუქციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა სრულიად რუსეთის გამოფენაზე. რომელიც მოსკოვში მოეწყო 1882 წელს [149, გვ. 120; 138, გვ. 158-159].

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს თბილისსა და სამაზრო ქალაქებში მოქმედებას იწყებს ორთქლის წისქვილები, რომლებმაც საგრძნობი კონკურენცია გაუწიეს წყლის წისქვილს.

1880-იანი წლების დასაწყისში თბილისში გაიხსნა პირველი პურის მექანიკური ქარხანა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენში პურის ქარხნე-

წყლით გამოცხობას. ქარხანაში ამზადებდნენ აგრეთვე ორცხობილას კავკასიის ჯარის ნაწილებისათვის[208, გვ. 27].

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს განვითარებას კვების მრეწველობის კიდევ ერთი დარგი - თამბაქოს გადამამუშავებელი მრეწველობა.

1865 წელს თბილისის თამბაქოს 10 ფაბრიკა აწარმოებდა 30 000 მან. პროდუქციას [253, საქ. 10, ფ. 237]. 1870 წელს, თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობა 25-მდე გაიზარდა, პროდუქციის ღირებულება 60 000 მან. შეადგენდა. მუშათა რიცხვი 250 კაცს აღწევდა[241, საქ. 79, ფ. 44].

80-იანი წლების დასაწყისში თბილისში მოქმედებდა თამბაქოს 11 ფაბრიკა, სადაც მუშაობდა 716 მუშა. გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 822 000 მან.[146, გვ. 2]. 70-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი თამბაქოს ფაბრიკები ამუშავდა ბათუმში, ახალციხეში, თბილისში, ამავე პერიოდში ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს 2 ფაბრიკა მოქმედებდა[71, გვ. 306].

XIX საუკუნის 40-იან წლებში გორის მაზრის სოფ. ღვარებში ე. ერისთავმა საკუთარ მამულში ააგო მინის ქარხანა, რომელიც ამზადებდა სარკმლის მინას, საოჯახო ჭურჭელს, ლამპის შუშებს, სააფთიაქო და ლაბორატორიული მინის ნაწარმს.

1877 წელს აღნიშნულმა მინის ქარხანამ გააფართოვა წარმოება. ქარხანაში მუშაობდა 60 მუშა და უშვებდა 50 000 მან. პროდუქციას. შემდეგ რუსული წარმოების მინის პროდუქციას კონკურენცია ვერ გაუწია და 1878 წლის ბოლოს ქარხანა დაიხურა[71, გვ. 299-300; 142, გვ. 99].

80-იანი წლების დასაწყისში 1882 წლიდან საქართველოში მინის წარმოება ისევ იწყებს აღორძინება-განვითარებას. ბარონ ფონ კუჩენბახმა ბორჩალოს მაზრის სოფ. საფარლოში აამუშავა ევროპულად მოწყობილი მინის ქარხანა[71, გვ. 300].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლითონდამმუშავებელმა წარმოებამ წამყვანი ადგილი დაიკავა და მსხვილ კაპიტალისტურ დაწესებულებად გადაი-

ქცა. თუ რეფორმამდე საქართველოში წვრილი კაპიტალისტური საწარმოების უმრავლესობა ვაჭრებს ან თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა და ასეთ საწარმოებში მუშაობდა საშუალოდ 1-2 ხელოსანი და 3-6 მუშა, რეფორმის შემდეგ ასეთი საწარმოების უმრავლესობა ან ქრება, ან ერწყმის უფრო მსხვილ საწარმოს [127].

საქართველოში მრეწველობის განვითარება 70-80-იან წლებში განპირობებული იყო ბურჟუაზიული რეფორმების გატარებით და ფართო სარკინიგზო მშენებლობით.

საგლეხო რეფორმამ და XIX ს-ის მეორე ნახევარში სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა (გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციისა და, ამდენად, უშუალო მწარმოებლის წარმოების საშუალებათაგან გამოცალკევების პროცესის გაღრმავებამ) რამდენადმე შეასუსტა წინააღმდეგობა წარმოებით ურთიერთობებსა და საწარმოო ძალთა განვითარებას შორის, მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნა თავისუფალი მუშახელით.

სარკინიგზო მშენებლობა თავისთავად იწვევდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების აღმოცენებას, ხელს უწყობდა ზოგიერთი მათგანის შემდგომ გაფართოებას (ხე-ტყის, ლითონის დამუშავება), მეორეს მხრივ, რკინიგზა თავისი დამხმარე წარმოებით (რკინიგზის სახელოსნოები, დეპო და სხვ.) თვითონ იქცა მსხვილ სამრეწველო ობიექტად. რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესისა, საქართველოში მრეწველობის განვითარება არ არის რუსეთის შიდა გუბერნიების დონეზე, (რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის ქვეყნებზე), თუმცა ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება მაინც ვითარდება და არსდება მსხვილი ლითონდამამუშავებელი ქარხნები, რომელთა დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისში.

თბილისში XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში და 70-იანი წლების მანძილზე არსებობდა რამდენიმე მსხვილი კაპიტალისტური მექანიკური, თუჯსასხმელი და ლითონდამამუშავებელი საწარმო, რომლებიც

მხოლოდ სამხედრო უწყებას ემსახურებოდნენ[241, საქ. 484, ფ. 124; 127, 1, გვ. 175; 71, გვ. 16].

ერთ-ერთი ასეთი საწარმო იყო ჩათახის თუჯისა და რკინის სადნობი ქარხანა (ამუშავდა 1866 წელს), რომელიც სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა. აქ 1870 წელს 1 000 ფუთი ჭურვი დამზადდა. შემდგომ წლებში ამ ქარხანამ კიდევ უფრო გაზარდა წარმოება[208, გვ. II].

XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იან წლებში თბილისში დაარსდა რამდენიმე მსხვილი მექანიკური ქარხანა, რომლებიც მდიდარ მრეწველ-კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. ეს ქარხნები მაღალ დონეზე ყოფილან მოწყობილი და 80-იანი წლების დასაწყისში გადაიქცნენ მსხვილ ლითონდამამუშავებელ ქარხნებად. მათ შეავიწროვეს, ან მოსპეს მანუფაქტურული და წვრილი კაპიტალისტური საწარმოები[230$^{2}$, ტ. 9, გვ. 31-35; 49, გვ. 46].

XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში იყო 495 საწარმო, მათ შორის წრილი - 462, მანუფაქტურული - 29, მსხვილი ქარხნული სამრეწველო საწარმო - 4. 495 საწარმოში მუშაობდა 2 536 მუშა და აწარმოებდნენ 1 0462 ათასი მან. პროდუქციას.

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს საქართველოში სულ ყოფილა 416 საწარმო; წვრილი - 359, მანუფაქტურული - 29, მსხვილი - 28. ამ საწარმოებში მუშაობდა 5 453 კაცი, აწარმოებდნენ 82 802 ათას მან. პროდუქციას [140, გვ. 96].

სულ რაღაც 15 წლის განმავლობაში მსხვილი საწარმოების რაოდენობა 7-ჯერ გაზრდილა. გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 8-ჯერ. ეს მონაცემები ადასტურებენ, როგორი იყო მსხვილი წარმოების განვითარება-კაპიტალიზაციის ტემპი.

შესაბამისად გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის ღირებულებაც. 1865 წელს თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა 560 ათასი კაცი. საწარმოები აწარმოებდნენ 1 მლნ მან. პროდუქციას, ე.ი. ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 2 მან. ამავე დროს რუსეთის ევროპულ ნაწილში

ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 4 მანეთის პროდუქცია [140, გვ. 99]. ქუთაისის გუბერნიაში გაცილებით დაბალი მაჩვენებელია: ცხოვრობდა 546 ათასი კაცი, გუბერნიის მრეწველობა აწარმოებდა 500 ათასი მან. პროდუქციას, ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა დაახლოებით 1 მან.

ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება სათანადო მასშტაბის ახალმშენებლობებით აღინიშნა; გაიშალა ქალაქთმშენებლობა, სოფლებსა და დაბების განაშენიანებას ახალი სტიმული მიეცა. ამან თავის მხრივ ხელსაყრელი პირობა შექმნა მშენებლობის გასაძლიერებლად. გაიზარდა მოთხოვნილება სამშენებლო მასალებზე - ხე-ტყეზე, აგურზე და სხვ.

სამშენებლო მასალათა კუსტარულ წარმოებას ჩვენში დიდი ტრადიციები ჰქონდა, მრეწველობის დონე კი ძალზე დაბალი იყო. XIX ს. საქართველოში დიდძალი ხე-ტყე შემოდიოდა უცხოეთიდან (ავსტრია, უნგრეთი, რუმინეთი) და რუსეთიდან. ადგილობრივი ხე-ტყის წარმოება კონკურენციას ვერ უწევდა შემოტანილ პროდუქციას. მიუხედავად ამისა, 70-იანი წლებიდან იმართება სახერხი ქარხნები და თანდათან მრეწველობაში იკავებს თავის ადგილს.

1866 წელს თბილისის გუბერნიაში 33 სახერხი ქარხანა იყო. მუშაობდა 125 მუშა. ამზადებდნენ 55 ათასი მან. პროდუქციას [140, გვ. 81 ცხრ. 1]. 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის გუბერნიაში სახერხი ქარხნების რაოდენობამ 47-ს მიაღწია, მუშაობდა 238 კაცი, აწარმოებდნენ 122 ათასი მან. პროდუქციას [140, გვ. 81].

ამავე პერიოდში ფოთში მოქმედებდა 8 სახერხი ქარხანა, აწარმოებდნენ 80 ათასი მან. პროდუქციას [238, საქ. 18. ფ. 11-127]. სულ საქართველოში მოქმედებდა 55 სახერხი ქარხანა 202 ათასი მან. პროდუქციით.

საქართველოში ქალაქების (განსაკუთრებით თბილისის) მშენებლობამ ძალზე გაზარდა მოთხოვნილება აგურზე. ამან თავის მხრივ გამოიწვია აგურის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება, 70-იან წლებში იყო 209 აგურის საწარმო 1 060 მუშით. აწარმოებდნენ 430 ათასი მან. პროდუქციას [140, გვ. 81, ცხრ. 1].

რეფორმისშემდგომი პერიოდის საქართველოში სამთო-მეტალურგიული მრეწველობა დაწინაურდა. გაიზარდა სპილენძის მოპოვება და გამოდნობა, მარგანეცის მადნის მოპოვება და მისი პირველადი დამუშავება, ქვანახშირის ამოღება და მისი "ბრიკეტებად" დამზადება, ნავთის მოპოვება-გადამუშავება. სპილენძისა და ნავთის მოპოვება-გადამუშავება უცხოელი კაპიტალისტების (ძირითადად-გერმანელების) ხელში იყო. ამ დარგში მათ დიდძალი კაპიტალი ჰქონდათ დაბანდებული.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სპილენძის დამუშავების საქმე ხაზინამ იკისრა. სპილენძის სადნობი ქარხნები ეკუთვნოდა "კავკასიის მადანმწარმოებელ ამხანაგობას". ამ ქარხნებში მუშაობდა 400 კაცი. თუ 70-იან წლებში საქართველოს სპილენძის დამუშავების მნიშვნელოვან ცენტრს ალავერდი და შამბლუღი წარმოადგენდა, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისა და აჭარის შემოერთების შემდეგ ბათუმის ოლქი ხდება სპილენძის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი.

ქართული სპილენძი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მოსკოვსა და რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

საქართველოს ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის მარგანეცის მოპოვებას.

მარგანეცის მრეწველობა 1879 წლიდან დაწინაურდა და მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქცა. საბადოთა ექსპლუატაცია გაფართოვდა. მადნის მოპოვების მასშტაბი გაიზარდა [127, ნ. II. გვ. 183-184].

1879 წელს ამოღებული იქნა 61 000 ფუთი მარგანეცი, ერთი წლის შემდეგ, ე.ი. 1880 წელს - 254 000 ფუთი [87, გვ. 46]. 80-იანი წლებიდან მარგანეცის წარმოება სწრაფად იზრდება.

მარგანეცის წარმოება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის წამყვან დარგად გადაიქცა. მან ფართო გამოყენება ჰპოვა არა მარტო რუსეთის მზარდ მრეწველობაში, არამედ მსოფლიოს დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მრეწველობაში. ქართულმა მარგანეცმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა ტყიბულის საბადო, სადაც ქვანახშირის ამოღება ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. 70-იანი წლებიდან ქვანახშირს იყენებდნენ შავი ზღვის ფლოტის გემებისათვის, აგრეთვე ქალაქების შე-ნობების გასათბობად. ტყიბულის ქვანახშირის წარმოება და გამოტანა უგზოო-ბის გამო ფერხდებოდა. 1870 წელს ტყიბულში ამოღებული იქნა მხოლოდ 145 000 ფუთი ქვანახშირი, 1880 წელს - 320 000 ფუთი. შემდეგ წლებში ქვანახშირის წარმოება იზრდება, უმჯობესდება მისი ტექნიკური ბაზა.

საბადოებში მომუშავე მუშათა კონტინგენტი მუდმივი არ იყო. აქ მუშაობდნენ დროებით საშოვარზე გასული გლეხები და კმაყოფილდებოდნენ შედარებით დაბალი ხელფასით.

ტყიბულის ქვანახშირის საბადოების დამუშავება ძირითადად ორი ფირმის - ნოვოსელსკისა და საზოგადოება "ნახშირას" ხელში მოექცა [51, გვ. 46; 87, გვ. 46]. 80-იანი წლებიდან ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში იწყება სამრეწველო გადატრიალება. ამასთანავე იზრდება ქვანახშირის წარმოება. დასაქმებულ მუშათა კონტინგენტში კარის მუშები იკავებენ წამყვან ადგილს[72, გვ. 390].

ნავთობის სამრეწველო დამუშავება საქართველოში დაიწყო XIX სა-უკუნის 60-იანი წლებიდან.

60-იანი წლების ბოლოს ნავთობის მოპოვებაში ინერგება ტექნიკა, როცა საბადოები შეისყიდეს გერმანელმა მრეწველებმა, ძმებმა კარლ და ვალტერ სიმენსებმა, მათ ნავთობის საბადოებში დადგეს ჭაბურღილი და ჩადიოდნენ 34 მ. სიღრმეზე. 1869 წელს შირაქის ჭებიდან ამოიღეს 65 ათასი ფუთი ნავთობი. ელდარის საბადოდან თვეში 100 ფუთი ამოჰქონდათ. დასაქმებული ჰყავდათ 20 კაცი[180, გვ. 121-122]. 1873 წელს სიმენსებს საბადოებში მოწყობილი ჰქონდათ 43 ჭაბურღილი, მუშაობდა 61 მუშა და იღებდნენ 117 660 ფუთ ნავთობს[233, 1875. გვ. 199]. სიმენსებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ნავთობის რეწვა - 1876 წელს მათ ააშენეს ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხანა და აწარმოებდნენ 146 000 ფუთ ნავთს. სიმენ-

სების ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა გახდა ერთ-ერთი მსხვილი საწარმო იმპერიაში [233, 1879 წ., გვ. 56].

სიმენსებმა 16 წლის განმავლობაში (1867-1883 წწ) საქართველოში ნავთობის ამოღებით მიიღეს 4,8 მლნ მან. მოგება [180, გვ. 147].

70-80-იანი წლების დასაწყისში ბაქოს ნავთობის წარმოებამ და ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ გზა გაუხსნა ბაქოს იაფი ნავთობის შემოტანას საქართველოში, რამაც თავის მხრივ შეამცირა ადგილობრივი ნავთობის წარმოება. სიმენსებისათვის აღარ იყო ხელსაყრელი შირაქში ნავთობის წარმოება და მთელი ჭაბურღილები და ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა მიჰყიდეს კერძო პირს [233, 1885 წ., გვ. 276].

ბაქოს ნავთობის მოპოვებამ და მისმა სავაჭრო-სასაქონლო განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ბათუმში მრეწველობის წარმოშობა-განვითარებას. ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ დააჩქარა ბათუმში ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსება. განსაკუთრებით ფართოდ ვითარდებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბაქოს ნავთის ექსპორტთან. ბათუმში აშენდა ნავთის ტარის საწარმოები - ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების ქარხნები.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიმოსვლისა და კავშირურთიერთობის მხოლოდ პრიმიტიული საშუალებები არსებობდა. იმპერიის სასიცოცხლო ინტერესებს შეადგენდა ამიერკავკასიასთან მჭიდრო კავშირის დამყარება. სწრაფ განვითარებას იწყებს კავშირგაბმულობა.

1863 წელს თბილისი ტელეგრაფით დაუკავშირდა ვლადიკავკაზსა და სტავროპოლს, რამაც შესაძლებელი გახადა საქართველოდან დეპეშების გაცვლა მოსკოვსა და პეტერბურგთან. 1864 წლიდან თბილისი ტელეგრაფით დაუკავშირდა ჯერ ერევანს, შემდეგ ჯულფასა და თეირანს. ვერნერ სიმენსმა 1868 წელს ექსპლუატაციაში გადასცა ტელეგრაფის ხაზი თბილისი-ბაქო. 1870 წელს ააგო იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთო ტელეგრაფის ხაზი, რომელსაც ინდო-ევროპის ტელეგრაფი უწოდეს [71, გვ. 77-78].

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური საწარმო რკინიგზა იყო, რომლის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. 1871 წელს დამთავრდა ფოთსა და ყვირილას შორის რკინიგზის გაყვანა. 1872 წელს დასრულდა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა [7 I, გვ. 65].

1875-1877 წლებში გაიყვანეს რიონ-ქუთაისის, ხაშურ-სურამის (1877 წ.) რკინიგზა. მოგვიანებით ერთდროულად დამთავრდა სამტრედია-ბათუმისა და თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა (1883 წ.) [52, გვ. 81-82]. ამიერკავკასია მაგისტრალური რკინიგზით გადაიკვეთა, რითაც შავი და კასპიის ზღვები ერთმანეთს დაუკავშირდა.

ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანამ რუსეთის ცარიზმს გაუადვილა ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისება, თავისი მხრივ რკინიგზამ მძლავრი ბიძგი მისცა კაპიტალიზმის განვითარებას ამ რეგიონში.

რკინიგზამ, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის სხვა ეფექტურმა საშუალებებმა ერთმანეთთან მჭიდროდ და საიმედოდ დააკავშირა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეები, ქალაქები, რკინიგზამ მძლავრი სტიმული მისცა მხარეში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას. აამოძრავა მოსახლეობა, ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მიმოსვლის ამ ახალი სა უალების დანერგვამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ქართველი ხალხის სამეურნეო (და არა მარტო სამეურნეო) ცხოვრების ყველა დარგში, სხვადასხვა რაიონი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, ხალხმა სოფლიდან ქალაქს მიაშურა და იქ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა გაშალა, ბოლო მოეღო კარჩაკეტილობას [9 I, გვ. 12].

1874 წელს ამიერკავკასიის რკინიგზით გადატანილ იქნა 9 843 000 ფუთი ტვირთი. 1879 წელს - 3 019 000 ფუთი. 1884 წელს - 61 112 000 ფუთი. 1889 წელს - 108 817 000 ფუთი, ხოლო 1894 წელს - 149 538 000 ფუთი. დიდი სიჩქარით ტვირთის გადატანა 121 626 ფუთიდან გაიზარდა 370 454 ფუთამდე [141, გვ. 406-407, 410-411].

ამავე წლებში გადაყვანილ იქნა 2 776 ათასი მგზავრი [5 I, გვ. 32].

რკინიგზის გაყვანის შემდეგ საქართველოში გაცილებით უფრო ინტენსიურად და ძლიერად იგრძნობა რუსული და უცხოური კაპიტალის მოძალება. რკინიგზამ ხელი შეუწყო სამთ. მრეწველობას, პირველ რიგში ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობას, გაიზარდა მოთხოვნილება ქვანახშირზე, როგორც საწვავზე; გადიდდა მოთხოვნილება ხე-ტყეზე. ამან ბიძგი მისცა ხე-ტყის მრეწველობის შემდგომ პროგრესს.

რკინიგზის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. მოძრავი შემადგენლობის (ორთქლმავლებისა და ვაგონების) შემკეთებელი და მოწყობილობათა დამამზადებელი საწარმოების დაარსება. ამან თავის მხრივ გამოიწვია მომსახურე საწარმოების თანდათან გაფართოება. შეიქმნა კაპიტალისტური მრეწველობის მძლავრი კომპლექსები.

1871-1876 წლებში გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის, სამტრედიისა და ფოთის საშუალო და მცირე სარემონტო სახელოსნოები. მათგან შედარებით მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა ხაშურის რკინიგზის სახელოსნოები, რომელიც 1883 წელს თბილისში გადმოიტანეს. იგი აღჭურვილი იყო თანამედროვე ტექნიკით და ქარხნულ ყაიდაზე იყო გამართული; ხაშურში მხოლოდ დეპოს მოწყობილობა დარჩა. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები საქართველოში იყო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური საწარმო, სადაც 80-იან წლებში მუშაობდა 2 ათასზე მეტი მუშა[177, გვ. 9].

XIXსაუკუნის რეფორმისშემდგომი პერიოდის საქართველოში იზრდებოდა საქართველოს მოსახლეობა. საგრძნობლად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა.

1800-1865 წლებში საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური ნამატი შეადგენდა 7,76 ათასს, ხოლო 1865-1897 წლებამდე - 27,32 ათასს [132[2], გვ. 102].

საქართველოში XIX საუკუნის მთელს მანძილზე, განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ, ქალაქის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ სოფლის მოსახლეობა ქალაქის მოსახლეობას დიდად სჭარბობდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში მრეწველობა ჯერ კიდევ ნელი ტემპით ვითარდებოდა.

1865 წელს საქართველოში ოფიციალურად ითვლებოდა 11 ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, ახალქალაქი, ფოთი, ოზურგეთი, სოხუმი. 1878 წელს მათ რიცხვს შეემატა ბათუმი, შემდეგ ქალაქად გარდაიქმნა ზუგდიდი. 1881 წელს საქართველოს ქალაქების მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 14,3 პროცენტს, მაშინ როდესაც 1865 წელს ქალაქელების საერთო ხვედრითი წონა არ აღემატებოდა 9,2 პროცენტს [198, ცხრ. 1].

უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმისშემდგომ პერიოდში საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი უფრო სწრაფად მატულობდა, ვიდრე საშუალოდ მთელი რუსეთის ქალაქის მოსახლეობა.

1881 წელს საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 1865 წელთან შედარებით დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. 1865 წელს თბილისში ცხოვრობდა 71 051, ხოლო 1881 წელს - 144 822 კაცი, 1865 წელს ქუთაისში იყო 11 807 მცხოვრები, ხოლო 1881 წელს - 22 643 [132², გვ. 109].

აღნიშნულ წლებში გაიზარდა სოხუმის, ბათუმის, ახალციხის, გორის, ფოთის, ახალქალაქის, თელავისა და საქართველოს დანარჩენი ქალაქების მოსახლეობა.

ამრიგად, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში შეუნელებლად მიმდინარეობდა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება. ძველი მანუფაქტურული მრეწველობის ადგილი, თანდათან დაიკავა ახალმა, მანქანურმა წარმოებამ, სწრაფად მიმდინარეობდა ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა, გაფართოვდა საფაბრიკო საქარხნო და სამთამადნო მრეწველობა. გაიზარდა ქალაქები და საქალაქო მეურნეობა.

კაპიტალისტური წარმოების წესი საქართველოში საბოლოოდ მკვიდრდება და გაბატონებულ პოზიციებს იკავებს. მრეწველობის ასეთი მასშტაბით განვითარება უდიდეს ცვლილებებს იწვევს საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კაპიტალიზმის განვითარება ამწვავებს ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას და ქმნის ნიადაგს მშრომელი მასების რევოლუციური გამოსვლისათვის.

მუშათა კლასი საქართველოში 70-80-იანი წლებისათვის ჩამოყალიბების პროცესშია. იგი ჯერ არ არის წამყვანი საზოგადოებრივი ძალა, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაბალია, მაგრამ თანდათან მაღლდება პოლიტიკური შეგნება; მუშებს არ აქვთ სათანადო ხელფასი, არ გააჩნია საცხოვრებელი ბინა, სამედიცინო მომსახურება, შრომის პირობები ძალზე მძიმეა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 14-16 საათს უდრის, საწარმოს მეპატრონე ახდევინებს დიდ ჯარიმებს. გაზ. "კავკაზი" წერდა: "გ.მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში, აგრეთვე თამბაქოს ფაბრიკაში, სამუშაო დღე 14 საათს გრძელდებოდა. 14 საათიანი სამუშაო დღე როგორც მუშებისათვის, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანებისათვის აუტანელი იყო"[219, 1874 წ., 1. V.].

ძალზე მძიმე პირობებში იყვნენ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშები: ისინი დღეში 16-18 საათს მუშაობდნენ[64, გვ. 35].

სამუშაო დღის გახანგრძლივების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ზენორმითი სამუშაოების დაშვება წარმოადგენდა. ზენორმითი მუშაობა დაშვებული იყო თბილისის თითქმის ყველა მსხვილი საწარმოს შინაგანაწესით. თუჯსასხმელი და მექანიკური ქარხნების შინაგანაწესში პირდაპირ იყო ჩაწერილი: "ქარხნის მმართველობის მოთხოვნით ყველა ოსტატი, შეგირდი და მუშა ვალდებულია ზენორმით დროშიც, ე.ი. სამუშაოს დამთავრების შემდეგაც, ხოლო თუ საჭირო იქნება აგრეთვე ღამით, კვირაობით და უქმე დღეებში იმუშაოს"[244, საქ. 232, ფ. 6].

მუშების მძიმე ეკონომიკურ და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა და აუტანელს ხდიდა სრული პოლიტიკური უუფლებობა.

საქართველოს მუშათა კლასი ორმხრივ ჩაგვრას განიცდიდა, არ სარგებლობდა იმ უმნიშვნელო კუდშეკვეცილი უფლებებითაც კი რომელიც რუსეთის მუშათა კლასს ჰქონდა. მეფის ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონები "მუშათა საკითხებზე" საქართველოსათვის ფაქტიურად არ არსებობდა. მაგ., კანონი ჯარიმების შესახებ, რომელიც მეფის მთავრობამ 1881 წელს გამოსცა, საქართველოში არ სრულდებოდა. რაც შეეხება მუშათა კლასის მდგომარეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს მომენტებს, როგორიცაა დაზღვევა, სამედიცინო მომსახურება, საპენსიო უზრუნველყოფა და სხვ., ამაზე მსჯელობა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ასეთი რამ რევოლუციამდელ საქართველოში საერთოდ არ არსებობდა.

მშრომელების ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა, რომელმაც სახალხო მეურნეობას გამანადგურებელიდ ლახვარი ჩასცა. კავკასიის ფრონტზე წარმოებული ბრძოლის სიმძიმე ძირითადად ქართველ მშრომელ მასებს დააწვა - ქართველი მშრომელი ხალხი ძლიერ სიღატაკესა და აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა.

მშრომელი მასების მდგომარეობის "ჩვეულებრივზე მეტად" გაუარესება ჰქმნიდა რევოლუციური სიტუაციის ყველა პირობას, რასაც აშკარად ჰქონდა ადგილი 70-იანი წლების საქართველოში.

რევოლუციური სიტუაციის წარმომშობ ნიშნებზე ჩვენ უფრო დეტალურად გვექნება მსჯელობა შემდეგ თავებში.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობამ ახალი გაქანება ჰპოვა. სხვა ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად, რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქონლად გადაქცევის პროცესის დაჩქარებას და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებას, რასაც ადგილობრივი ბუნებრივი პირობების შესაბამისად, არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა ფართობების გადიდება და ახალი კულტურების შემოსვლა და გავრცელება.

რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში საქართველოში საგრძნობლად განვითარდა სოფლის მეურნეობა. აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად

გაიზარდა ხორბლის საერთო მოსავალი. ეს დასტურდება შემდეგი მონაცემებით: 1862 წელს ხორბლის მოსავალმა აღმოსავლეთ საქართველოში შეადგინა 1 391 063 ჩეტვერტი, ხოლო 1881 წელს - 2 979 379 ჩეტვერტი. შემდეგ წლებში ხორბლის მოსავლიანობა კიდევ უფრო გაიზარდა; მაგ., 1871 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მოსავალი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 94 000 ჩეტვერტით 338, საქ. [2174, ფ. 19].

1874 წელს საქართველოში ყველა სახის მარცვლეულის მოსავალი უდრიდა 25 მლნ ფუთს [91, გვ. 331; 28, გვ. 12]. 80-იან წლებში ნათესების ფართობს საქართველოში ეკავა 600-700 ათასი დესეტინა. მარცვლეულის მოსავლიანობა შეადგენდა 40 მლნ ფუთს. აქედან ხორბალი იყო 14 მლნ სიმინდი - 16 მლნ., ქერი - 5 მლნ ფუთი და სხვ. [198, გვ. 168-169].

ხორბლის მოსავლიანობით თბილისის გუბერნიამ წამყვანი ადგილი დაიკავა. წლების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: 1862 წელს გუბერნიაში მოიწიეს 1 391 063 ჩეტვერტი, 1869 წელს - 2 303 003 ჩეტვერტი. 1876 წელს - 2096 853 ჩეტვერტი, 1881 წელს - 2 979 379 ჩეტვერტი [138, გვ. 59]. ბაზარზე ხორბლის გატანამ ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან. ხორბალი არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, არამედ იგი გააქვთ საზღვარგარეთაც. ხორბლის ექსპორტი განსაკუთრებით გაიზარდა 80-იანი წლების დასაწყისში.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოდან (კერძოდ - აღმოსავლეთ საქართველოდან) დასავლეთ ევროპაში ყოველწლიურად გაჰქონდათ 500 ათასზე მეტი ფუთი ხორბალი და ქერი. ყველაზე დიდი რაოდენობის ხორბალი - 1 161 378 ფუთი - გაუტანიათ 1886 წელს [91, გვ. 332]. მომდევნო წლებში საქართველოდან შეწყდა ხორბლის გატანა ევროპაში, რადგან ქართული წარმოების ხორბალი უკვე ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. სასაქონლო პროდუქციის საკმაო ნაწილი ადგილზევე იყიდება და საექსპორტოდ აღარ რჩება.

კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული სავაჭრო ხასიათი მიიღო მესიმინდეობამ დასავლეთ საქართველოში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სა-

მეგრელოდან დასავლეთ ევროპის ბაზრებზე გატანილი იქნა 500 ათასი მან. სიმინდი, XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოდან სიმინდის ექსპორტმა შეადგინა 1 მლნ. ფუთი [157, გვ. 29]. ამან თავის მხრივ მოსახლეობას მისცა სტიმული და გაზარდა სიმინდის ნათესების ფართობი. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სიმინდის ყანებს ეკავათ 200-220 ათასი დესეტინა. სიმინდის ყოველწლიური მოსავალი შეადგენდა 18 მლნ ფუთს. აქედან დასავლეთ ევროპის ბაზრებზე გადიოდა 5-6 მლნ ფუთი სიმინდი [27, გვ. 67]. სიმინდის ექსპორტი მის მწარმოებლებს ყოველ წელს 3-4 მლნ მანეთს აძლევდა [140, გვ. 38].

მარცვლეული კულტურების შემდეგ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი წყარო იყო.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მას გამოკვეთილი სასაქონლო პროდუქციის სახე მიეცა.

რეფორმის შემდეგ ხანაში რკინიგზის გაყვანის, გზათა მიმოსვლის საშუალებების მოწესრიგებისა და შიგა ბაზრის გაფართოების შედეგად, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობამ მიიღო მკვეთრად გამოხატული სავაჭრო-სამრეწველო ხასიათი. ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მეურნეობის ამ დარგით იყო დაკავებული. 70-იანი წლების ბოლოს თბილისის გუბერნიის მოსახლეობის 21 % მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდა, ქუთაისის გუბერნიაში - 38 %. საქართველოს ზოგიერთი რაიონის, მაგ., კახეთის მოსახლეობის 58 % მევენახეობა-მეღვინეობაში იყო ჩაბმული.

ქუთაისის გუბერნიაში ვენახებს ეკავა 38 144 დესეტინა [195, გვ. 217-218]. თბილისის გუბერნიაში - 26 356 დესეტინა [195, გვ. 348-349].

რეფორმის შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით კი 70-იანი წლების შუა ხანებიდან, ღვინოზე მოთხოვნილება გაიზარდა. ამან თავის მხრივ გაზარდა ღვინის სასაქონლო წარმოება. 1874 წელს თბილისის გუბერნიაში

დაუმზადებიათ 1 676 200 ვედრო ღვინო, 1875 წელს 2 297 800 ვედრო [233, 1877 წ., გვ. 2]. 1876 წელს - 3 251 233 ვედრო [140, გვ. 39]. დამზადებული ღვინის ღირებულება შესაბამისად შეადგენდა 3 352 400, 4 595 600 და 6 503 00 მან. 1881 წელს დაყენებული ღვინის ღირებულება 11 მლნ მან. უდრიდა [233, 1883 წ., გვ. 215, 238, საქ. 4815, ც. 14].

მოცემულ წლებში ღვინის წარმოებაზე იხარჯებოდა შემოსავლის ნახევარი, შესაბამისად: 1 676 200, 2 279 300, 5 251 00 და 5000 000 მან. ქართული ღვინო იყიდებოდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ დიდი რაოდენობით გაიქონდათ მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს ღვინის ხვედრითი წილი ძალზე მაღალი იყო. არსებული მონაცემების თანახმად 70-80-იან წლებში კახეთში დაყენებული ღვინის 3/4 გაიქონდათ ბაზარზე. მხოლოდ 1/4-ს მოიხმარდნენ ადგილზე [233, 1883 წ., გვ. 215]. იგივე ითქმის ქართლის რაიონებზეც; გორის მაზრაში დამზადებული ღვინის 2/3 გადიოდა ბაზარზე გასაყიდად [98, გვ. 131].

სასაქონლო ღვინო დიდი რაოდენობით მზადდებოდა იმერეთში. XIX ს-ის 60-იან წლებში მარტო იმერეთის რამდენიმე სოფლიდან (სვირი, ოფჩა, ზედდაბი, ფერსათი, ყვირილა, ხარაგოული), ყოველწლიურად რკინიგზით გაიქონდათ 250 000 ვედრო ღვინო, რომელიც იყიდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვში, პეტერბურგსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში [178, გვ. 239].

მეღვინეობის სასაქონლო ფულადმა განვითარებამ ბევრი დროებით-ვალდებული გლეხი გამოიყვანა სიღატაკე-გაჭირვებიდან: მან მოაგროვა მსხვილი თანხა, მემამულისაგან გამოისყიდა მიწა და მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადავიდა. მეღვინეობისაგან მიღებული შემოსავლით ზოგიერთი გლეხი კულაკი გახდა, ფლობდა დიდძალ ქონებას, რომლის ღირებულება სოფელ სვირში 100 000 მანეთს შეადგენდა [178, გვ. 239].

საქართველოში რეფორმამდე ვენახების ფართობიცა და ღვინის მოსავლის გადიდებით მეტი ყოფილა, ვიდრე 70-იან წლებში. მევენახეობა-მეღვინეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა დასავლეთ საქართველო, კერძოდ –

გურია-სამეგრელო. გასული საუკუნის 40-50-იან წლებამდე გურია-სამეგრელოში აყენებდნენ დაახლოებით 6 მლნ ვედრო ღვინის, დაწურული ღვინოები იყო მაღალი ხარისხის, ვაზის ჯიშის – ჩხავერისა და ოჯალეშის, მოიხმარებოდა ადგილზე, აგრეთვე გადიოდა მეზობელ რაიონებში – რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში [147, გვ. 71, 76].

კავკასიის ხელისუფლება დაინტერესებული კი იყო ქართული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით, მაგრამ ფეხქვეშ აყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ნიჭსა და უნარს, იწუნებდა ვაზის ქართულ ჯიშებს და დაიწყო უცხოური ვაზის ჯიშების შემოტანა (პირველად იზაბელა, ადესა), რომელიც არა თუ სჯობდა ადგილობრივ ჯიშებს, არამედ საგრძნობლად ჩამორჩებოდა კიდეც.

უცხოეთიდან ვაზის ჯიშების შემოტანას მოჰყვა დაავადება ოიდიუმი, მილდიუ, ფილოქსერა, რამაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ქართულ ძვირფას ჯიშებს, განსაკუთრებით ჩხავერსა და ოჯალეშს. ვაზის დაავადების შემოტანამდე, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გურია-სამეგრელოს მთების კალთები, მდინარის ნაპირები და ველები დაკავებული ჰქონდა ვაზს, რომელიც ხეებზე იყო ასული და ქმნიდა ერთიან, მთლიან ვენახს. სწორედ გურია-სამეგრელოში ვერ გაუძლო ვაზმა დაავადებას და განადგურდა. ამ დაავადების შემოსვლამდე სამეგრელოში აყენებდნენ ყოველწლიურად 5 268 750 ვედრო ღვინოს, 1870 წელს დაუყენებიათ 126 000 ვედრო ღვინო, ე.ი. 2,5 % [147, გვ. 71]. იგივე ითქმის გურიის მევენახეობაზეც. 1866 წელს დაუყენებიათ 513 122 ვედრო ღვინო, 1870 წელს – 56 600 ვედრო [195, გვ. 348], ე.ი. 14, 7 %. რაც შეეხება იმერეთსა და ქართლ-კახეთს იქ ვაზი შედარებით ნაკლებად დაზარალდა, რადგან ვენახები დაბლარად ჰქონდათ გაშენებული და მოსავლელად მოსახერხებელი იყო. თანაც გურია-სამეგრელოს ნესტიანმა, თბილმა კლიმატმა ძალზე შეუწყო ხელი ვაზის დაავადების გავრცელებას. საქართველოს სხვა რაიონებში კი შედარებით მშრალი და მკაცრი ჰავა დახვდა და ვაზი განადგურებას გადაურჩა. თუმცა თავისი კვალი მაინც დატოვა: მოსახლეობას გაუჩინა დიდი საზრუნავი, გაცილებით მეტი შრომა და ხარჯები იყო საჭირო ვენახის მოვლა-პატრონობისათვის.

1878 წელს ქუთაისის გუბერნატორი ანგარიშში აღნიშნავდა, რომ მე-ვენახეობა გურია-სამეგრელოში დაცემულია, ხოლო იმერეთსა და რაჭაში ეს დარგი წარმატებით ვითარდება. იმერეთსა და რაჭის ღვინოები ნაწილობრივ რო-ლენით გადის შავიზღვისპირეთში [27, გვ. 70].

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დონითა და მასშტაბით სა-ქართველოს პირველი ადგილი ეჭირა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ იმპერიაშიც: 1870-იან წლებში ამიერკავკასიაში დაყენებული იქნა 8 659 000 ვედრო ღვინო, აქედან საქართველოს წილად მოდიოდა 7 272 000 ვედრო, ანუ 84 % [71, გვ. 67].

საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს მეცხო-ველეობა წარმოადგენდა. რეფორმის შემდეგ მეცხოველეობამ ფართო სავაჭრო ხასიათი მიიღო. მეცხოველეობის ნაწარმი დიდი რაოდენობით გადიოდა ბაზა-რზე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ითვლებოდა 2,5-3 მლნ სული საქონელი, 80-იან წლებში მისი რაოდენობა 3,5-4 მლნ იყო [91, გვ. 336].

მეცხოველეობის პროდუქცია ძირითადად შინაგან ბაზარზე საღდებოდა. 80-იან წლებში თბილისში იყიდებოდა 1 165 000 ქათამი და ვარია, 90 000 ინდაური, ბატი და იხვი, დიდძალი სახორცე პროდუქცია და სხვ. [87, გვ. 58].

მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მისი პროდუქციის ბაზარზე გატანა. 1870 წელს საქართველოდან ევროპაში გაიტანეს 58 586 ფუთი 413 307 მან. ღირებულების, 1872 წელს – 114 762 ფუთი 807 742 მან. ღირებულების მატყლი, 70-იანი წლების ბოლოს მატყლის გაყიდვით შე-მოსავალმა შეადგინა - 1 300 000 მანეთი [91, გვ. 336; 71, გვ. 281-282]

შედარებით მაღალ დონეზე ეწეოდნენ მეაბრეშუმეობას დასავლეთ სა-ქართველოში, სადაც დაამზადეს 40 000 ფუთი აბრეშუმის პარკი, რომლის გაყიდვით მიიღეს 457 ათასი მან. აღმოსავლეთ საქართველოში ამზადებდნენ 16 569 ფუთს აბრეშუმის პარკს. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქარ-თველოში ამზადებდნენ 100-140 ათას ფუთ აბრეშუმის პარკს, რომელიც მოსა-ხლეობას აძლევდა 1-1,5 მლნ. მან. შემოსავალს [27, გვ. 7[illegible]].

რეფორმისშემდგომი პერიოდის საქართველოში სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს იღებს აგრეთვე მეხილეობა და მებოსტნეობა. ძირითადი რაიონები იყო გორისა და ახალციხის მაზრები. 80-იან წლებისათვის ხეხილს ეკავა 11-12 ათასი დესეტინა, ბოსტანს - 10 ათასი დესეტინა. აღნიშნული დარგები ყოველწლიურად იძლეოდა 5 მლნ მან. პროდუქციას [91, გვ. 337].

XIX ს-ის 70-იანი და მომდევნო წლების საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ყველაზე მეტი ხვედრითი წონა მარცვლეულის წარმოებაზე მოდიოდა. მომდევნო ადგილი ეჭირა მეცხოველეობას, მევენახეობა-მეღვინეობისა და სხვა დარგებს. კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოსავალი შეადგენდა 75-80 მლნ მან. ძირითადი მწარმოებელი ძალა გლეხობა იყო. მიუხედავად მცირემიწიანობისა, გლეხური მეურნეობა იძლეოდა სოფლის მეურნეობის მთელი შემოსავლის დაახლოებით 65 % [91, გვ. 337-338].

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეუჩერებლად მიმდინარეობდა ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი. რეფორმის მომდევნო ხანაში საქართველოს გლეხური მეურნეობის ეკონომიკა აშკარად კაპიტალისტურ რელსებზე გადადიოდა. ვითარდებოდა სასაქონლო მეურნეობა, რამაც ხელი შეუწყო გლეხობის დაშლას და გლეხური მეურნეობის ჩაბმას კაპიტალისტურ მეურნეობაში.

საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად სწრაფად ხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის ზრდა.

სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა საფუძვლიანად შეარყია საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნოებრივი უძრაობა და მძლავრი ბიძგი მისცა საწარმოო ძალების განვითარებას.

## ვაჭრობა-საქონელბრუნვა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის განუხრელმა განვითარებამ გამოიწვია არა მარტო საშინაო, არამედ

ადრევე საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება. განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს შიდა და საგარეო ვაჭრობის განვითარების სათანადო ხელშემწყობი პირობები შეიქმნა.

რკინიგზის გაყვანამ, სამრეწველო წარმოების აღმავლობამ, სახელმწიფო და კერძო საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებამ საქართველო აქტიურად ჩააბა საერთაშორისო საქონელბრუნვაში. სწორედ ამ პერიოდის გარდატეხამდე საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო. თბილისის საბაჟო ბრუნვაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა რუსეთთან ვაჭრობამ. 60-იან წლებში ყოველწლიურად თბილისში შემოჰქონდათ დაახლოებით 3 600 000 მან. საქონელი, ხოლო თბილისიდან რუსეთში გაჰქონდათ 1 00 000 მან. საქონელი[87, გვ. 73]. 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლებიდან საქართველოს ვაჭრობამ და აღებმიცემობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სწრაფად გაიზარდა საქონლის ექსპორტი. 70-იანი წლების ბოლოს საზღვარგარეთ მანგანუმის და სპირტის გაცხოველებულმა გატანამ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ასევე მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა დამყარდა რუსეთის ბაზრებთან. უკვე 1876 წლიდან საქართველოში რუსეთიდან უფრო მეტი საქონელი შემოდის (14 785 118 მან.), ვიდრე დასავლეთ ევროპიდან. შემდეგ წლებში საზღვარგარეთიდან საქართველოში საქონლის შემოტანამ მკვეთრად იკლო[233, 1892 წ., გვ. 337-346].

მკვლევარ ი. ულრიხშვილის დაკვირვებით, ბაჟიწყობის გადასახადის შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში უცხოეთიდან საქონლის შემოტანა გაიზარდა დაახლოებით 4-ჯერ, გატანა კი – 80-ჯერ[98, გვ. 65-66].

ვაჭრობისა და აღებმიცემობის განვითარებამ საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხები მჭიდროდ ჩააბა რუსეთისა და მსოფლიო ხალხთა ურთიერთობაში.

1870 წელს ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ საქონლის გატანა შეადგენდა რუსეთიდან მთელი გატანის 1/91 ნაწილს, 80-იანი წლების ბოლოს კი – 1/15-ს[98, გვ. 66].

საქართველოსა და ამიერკავკასიის საქონელბრუნვების ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ ამიერკავკასია შედარებით სწრაფად ვითარდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება უფრო სწრაფად წავიდა, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. აქაური სავაჭრო ბრუნვის ზრდა გამოწვეული იყო არა წვრილმან-საქონლო პროდუქციის წარმოების ზრდით, არამედ ძირითადად სამთამადნო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარებით. (მარგანეცი, ნავთობი და სხვ.).

საქართველოს ეკონომიკური წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთის ბაზარს ჰქონდა. ეს რუსეთი დასავლეთის მიმართ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულის როლში გამოდიოდა, აღმოსავლეთის ქვეყნებში მისი როლი მანუფაქტურული მრეწველობის ნაწარმის მიმწოდებლისა იყო შეუცვლელი. საქართველოსა და ამიერკავკასიაში შემოდიოდა ევროპული, აზიური და რუსული წარმოების საქონელი; ევროპულ საქონელთან თავისუფალ კონკურენციის პირობებში რუსეთის საქონელი თავისი დაბალი ხარისხის გამო მარცხდებოდა [60, გვ. 136].

მეფის მთავრობამ 70-იან წლებში უცხოური საქონლის შემოტანაზე მაღალი ბაჟი დააწესა, რამაც შეამცირა საზღვარგარეთიდან საქონლის იმპორტი; ამან თავის მხრივ დააჩქარა რუსეთის სამრეწველო ნაწარმის შემოტანა და ვაჭრობის განვითარება. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსული საქონელი ბატონობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში [98, გვ.65]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული წარმოების საქონელი დაბალი ხარისხისა იყო და ევროპაში მასზე მოთხოვნილება ნაკლები იყო, ამიტომ საქართველო, ამიერკავკასია და აღმოსავლეთის ქვეყნები იყვნენ რუსეთის სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრები. ვაჭრობა-ეკონომიკური ურთიერთობაც ამ ქვეყნებთან იზრდებოდა.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოვიყვანთ ასეთ მონაცემს: ჩვენში 1866 წელს უცხოეთიდან შემოტანილია 8 მლნ მან. საქონელი, 1870 წელს – 11 მლნ. მაგრამ გაიხსნა თუ არა ამიერკავკასიის რკინიგზა, დაწესდა

შემოტანილ საქონელზე მაღალი ბაჟი, უცხოეთიდან საქართველოში საქონლის შემოტანა მკვეთრად კლებულობს. 1876 წელს შემოტანილია 8 მლნ., 1877 წელს - 4 მლნ., 1881 წელს - 7 მლნ მან. საქონელი[233, 1895 წ., გვ. 413].

რუსეთის საქონელმა დაიკავა აქაური ბაზარი; თუ 1872 წელს რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოიტანეს 7 მლნ მან. საქონელი, 1876 წელს - 14,5 მლნ. მან. 70-იანი წლების ბოლოს რუსეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულებამ მიაღწია 16 666 950 მან.[91, გვ. 413]. თავის მხრივ იზრდება საქართველოდან რუსეთსა და უცხოეთში საქონლის გატანა[40, გვ. 119].

საქართველოდან საქონლის გატანა განსაკუთრებით გაიზარდა 1878 წლის შემდეგ, როცა ბათუმი საქართველოს მთავარი ნავსადგური გახდა.

ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან 80-იანი წლების დასაწყისში ყოველ წელს უცხოეთში გადიოდა 145 მლნ. მან. საქონელი: ოსმალეთში - 4 076 752 მან. გერმანიაში - 458 503 მან. ინგლისში - 1 075 749 მან. საფრანგეთში - 3 162 581 მან. ჰოლანდიაში - 39 390 მან. ბელგიაში - 93 141 მან. და სხვა სახელმწიფოებში - 3 282 506 მან.

ამიერკავკასიის ვაჭრობის მთავარ ქალაქს თბილისი წარმოადგენდა. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით აგრეთვე როგორც კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრში, თბილისში თავს იყრიდა საქონელი მხარის ყველა კუთხიდან. აქედან ნაწილდებოდა იგი როგორც საქართველოში, ისე მთელს კავკასიასა და მის გარეთაც.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს თბილისში საქონელბრუნვა შეადგენდა 11 მლნ მან.[233, 1885 წ.] ხოლო 1873 წელს - 14 მლნ მან. [233, 1893 წ.] საქონლის იმპორტისა და ექსპორტის საქმეს განაგებდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვაჭრები, რომლებსაც თბილისში ჰქონდათ სავაჭრო სახლები და მაღაზიები. ევროპიდან შემოტანილი საქონლიდან, აღსანიშნავია შაქარი, ყავა, ჩაი, აბრეშუმის ნაწარმი, შალი, ბამბის ქსოვილი, აგრეთვე მეურნეობის საგნები, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი,

რკინის, ფოლადის, ბრინჯაოს, ნაწარმი, ბროლის, თიხის, ფაიფურის ჭურჭელი.

თბილისიდან საზღვარგარეთ გადიოდა აბრეშუმი, პარკი და ძაფი, ბამბის ქსოვილი, შალი, ტყავი და ა.შ.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მარტო თბილისში იყო 5 263 სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო-სახელოსნო დაწესებულება. მათი კაპიტალის საერთო ბრუნვა 60 მლნ მან. შეადგენდა. ამ დაწესებულებებში დასაქმებული იყო დაახლოებით 21 000 სხვადასხვა პროფესიის მუშა-მოსამსახურე, ე.ი. თბილისის მოსახლეობის ერთ მეშვიდედზე მეტი ჩაბმული იყო სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობაში [198, გვ. 236-292; 98, გვ. 65-66].

ჯერ კიდევ 60-იანი წლების მეორე ნახევრისათვის მარტო თბილისში ითვლებოდა სამი ათასამდე დუქანი და სავაჭრო დაწესებულება (მათ შორის – 17 ქარვასლა). ამ დროს თბილისის საშინაო ვაჭრობის წლიური მოცულობა უდრიდა 8 251 000 მან. განუხრელად ვითარდებოდა ვაჭრობა საქართველოს სხვა ქალაქებშიც [31, გვ. 516].

ვაჭრობა-აღებმიცემობის საქმეს ქართველი თავადაზნაურობა სათაკილოდ მიიჩნევდა; მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილმა გადალახა ფსიქოლოგიურ ბარიერი და ხელი მოჰკიდა ვაჭრობას, მაგრამ ეს ისე იშვიათი იყო, რომ თითქმის არ ჩანდა მისი როლი ვაჭრობასა და სავაჭრო კადრების მომზადებაში.

ქართველი კაცისათვის როგორც ეკონომიკური, ისე მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვაჭრობის სარგებლიანობისა და აუცილებლობის შესახებ. გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე წერდა: "უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ აღებ-მიცემობის ხელის მოკიდება სათაკილო არაფერია, ვაჭრობა შრომაა და ისეთივე პატივსაცემი, როგორც ყოველგვარი შრომა, მაგრამ საჭიროა წარმოებული ვაჭრობა, ბაზრის მოძებნა, უცხოეთში გადაზიდვა, დროა მკვეთრი საფუძველი მიეცეს ჩვენ გამზიდავ ვაჭრობას, საჭიროა რიგიანი კავშირი მწარმოებელთა შორის და ხეირიანი კრედიტის შოვნა გამზიდველთათვის" [214, 1884 წ., № 12].

ავმეა გაზ. "დროება" 70-იანი წლების შუა ხანებში წერდა, რომ სასაქონლე ფულადი ურთიერთობის ზრდამ მიიყვანა ქართველი ხალხი ეშმაკი და გამდიდრებულიყო. "დროება" გამოთქვამდა, ყველამ ფულის ძებნას, საქმის ძებნას მიჰყო ხელი. შეიქმნა ფაცი-ფუცი, მოძრაობა, ერთმა ღვინის სარდაფი აშენა ქალაქში, მეორემ ფულის მევახშეებისგან მოინდომა იჯარების აღებული, მესამემ ქალაქის კუნძებს მიმართა, მეოთხემ დუქანიწაში ჩაიბუდა მოწინებისაგან განიზრახა თავის თავის გამდიდრება" [214, 1874 წ., 41].

1874 წელს ს. მესხი წერდა: "ეს გამწვავებული ფაციფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესრულებული და მსუქანი ფულის მომცემი საქმისა და წარმოებისა ჯერაც არ დაწყნარებულა. ესლაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, ცდილობენ ააგონ მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, აღგენენ სხვადასხვა უსახელო კომპანიებს და სრულიად არა გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ღელვილობა ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს" [214, 1874 წ., № 44].

ქართველ მოსახლეობაში გავრცელდა აზრი, თითქოს კავკასიის მთები სავსეა ძვირფასი საბადოებით, და სურთ რომ იოლი გზით გამდიდრდნენ, ამიტომ არ ერიდებიან და არ თაკილობენ არაფერს. "ჩვენი საზოგადოება ისე გაიტაცა ნახშირის სუნმა და კვამლმა, რომ რაც შავია, სულ ოქრო ჰგონიათ და ამის გამო შავ ჩირქიან ზნესაც არ თაკილობენ" [129, გვ. 42].

ზემომოყვანილი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელმაც ის-ის იყო მოიშორა ბატონყმობა. მართალია, მას კაპიტალი არ გააჩნდა, მაგრამ ვაჭრობის ცოდნის სურვილი, გამდიდრებისაკენ ლტოლვა დიდი ჰქონდა.

საქართველოში ვაჭრობის ძირითადი საქონელი სოფლის მეურნეობის პროდუქტები იყო.

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებამ გააღრმავა დარგობრივი სპეციალიზაცია, ამან თავის მხრივ გაზარდა სასაქონლო პროდუქციის წარ-

მოება. საქონელწარმოებისა და მიმოქცევის პროცესში ნებაკლებად საქართველოს ყველა კუთხე ჩაერთო. ქალაქებმა სრულიად სახე იცვალა. სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა და ვაჭრობისადმი მოსახლეობის ინტერესი გაძლიერდა.

საქართველოს მთიანი ზონა ბაზარს აწვდიდა მესაქონლეობის პროდუქტებს, კახეთი - ძირითადად ღვინოს, ქართლი - მარცვლეულს, ხილბოსტნეულს და ღვინოს. იმერეთი - ღვინოს, მეფრინველეობის პროდუქტებს, აბრეშუმის პარკს. გურია-სამეგრელო-აფხაზეთი- სიმინდს, აბრეშუმის პარკს, თამბაქოს[91, გვ. 413]. ყველა ეს პროდუქტი გადიოდა აგრეთვე, რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებზე.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში ყოველწლიურად გადიოდა 5-6 მლნ-მდე ფუთი სიმინდი, 3 313 203 მან. ღირებულებისა, 1 963 542 ფუთი ქერი 1 273 000 მანეთისა და 6 243 542 ფუთი ხორბალი 6 116 000 მანეთის[233, 1887 წ., გვ. 150-151].

უცხოეთში გატანილმა სიმინდმა და ხორბალმა მოიპოვეს საერთაშორისო ბაზარი ნავთობთან, მარგანეცთან აბრეშუმთან, და მატყლთან ერთად [98, გვ. 66].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საგრძნობლად გაფართოვდა ქართული ღვინის სავაჭრო-სასაქონლო ხვედრითი წონა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ღვინო ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გადაიქცა. ღვინო იყიდებოდა როგორც ადგილზე, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ. მარტო თბილისი ყოველ წელს მოიხმარდა 700 000 ვედრო ღვინოს, 1876 წლის მონაცემებით, მეღვინეობის მთლიანი შემოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენდა 6 502 466 მან.[27, გვ. 69; 147, გვ. 118]. თბილისში 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილა 215 ღვინის სარდაფი 1 350 000 მანეთამდე წლიური საქონელბრუნვით[91, გვ. 414].

70-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიის ქალაქებში - მოსკოვში, პეტერბურგში, სტავროპოლში, კავკავში, ოდესასა და სხვა ქალაქებში უკვე კარგად იცნობდნენ არა მარტო კახურ ღვინოებს, არამედ საქართველოს სხვა ნაზრებში დაყენებულ ღვინოებსაც. არსებული მონაცემებით 1876-1880 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზით რუსეთში გაუტანიათ 195 932 ფუთი ღვინო. 80-იანი წლებიდან ღვინის გატანამ ფართო მასშტაბები მიიღო[91, გვ. 515].

როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე დიდი რაოდენობით გადიოდა მეცხოველეობის პროდუქტები თიანეთის, დუშეთის, ბორჩალოსა და ახალქალაქის რაიონებიდან. მარტო თბილისი მოიხმარდა ყოველწლიურად 300-350 ათას სულ შინაურ პირუტყვს და დიდი რაოდენობით რძის პროდუქტებს[242, საქ. 8774, ფ. 93].

რკინიგზის გაყვანის შემდეგ დაიწყეს ამიერკავკასიიდან მატყლის მნიშვნელოვანი რაოდენობით გატანა საზღვარგარეთ. 1870 წელს ფოთის ნავსადგურიდან გაიტანეს 58 586 ფუთი მატყლი 413 307 მანეთისა. 1871 წელს - 111 948 ფუთი 977 208 მანეთისა, 1872 წელს - 114 762 ფუთი 807 842 მანეთისა; 70-იანი წლების ბოლოსათვის მატყლის გაყიდვით მიღებული ყოველწლიური შემოსავალი 1 300 000 მან. უდრიდა 80-იანი წლების შუა ხანებში ფოთიდან და ბათუმიდან გაუტანიათ 170 ათასი ფუთი მატყლი, რომლის 1/3-ზე მეტი თბილისის გუბერნიაში მზადდებოდა[91, გვ. 417].

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და ამიერკავკასიის სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობა ძირითადად რუსეთთან ძლიერდება, უცხოეთიდან საქონლის შემოტანას თითქმის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ვაჭრობისა და ალებმიცემობის განვითარებამ გაზარდა სავაჭრო დაწესებულებების რიცხვი და სულ უფრო მეტი პატენტი გაიცა ვაჭრობის უფლების მოპოვებისათვის. თბილისის გუბერნიაში 1875 წელს გაიცა 8 426 ვაჭრობის მოწმობა და პატენტი. აქედან მარტო თბილისზე მოდიოდა 6 503. იმავე წელს თბილისში ითვლებოდა 1862 სავაჭრო დაწესებულება, რომლის სავაჭრო ბრუნვამ 18 მლნ მან. მიაღწია ვერცხლით[233, 1879,, გვ. 337-345.

მომდევნო წლებში გაცემული ვაჭრობის უფლების მოწმობებისა და ბილეთების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. 1876 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ვაჭრობისა და კომერციულ საქმეებში დასაქმებული იყო 25 ეროვნების წარმომადგენელი, საერთო რიცხვი 30 204 კაცს შეადგენდა [233, 1877 წ., გვ. 4].

თბილისელი ვაჭრები რუსეთის საქონელს ყიდულობდნენ უმთავრესად ნიჟეგოროდის ბაზრობაზე, აგრეთვე მოსკოვში, ხარკოვში, ტულაში, ვორონეჟში, ოდესაში, პოლტავასა და სხვა დიდ ქალაქებში. საქონელი შემოჰქონდათ უმთავრესად სამდინარო ტრანსპორტით, მდინარე ვოლგით ასტრახანამდე, შემდეგ კი საქართველოს სამხედრო გზით - თბილისამდე [87, გვ. 72-73]. გაფართოვდა ვაჭრობა აზიის ქვეყნებთან. 70-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისში აზიის სახელმწიფოებიდან (უმთავრესად ირანიდან და თურქეთიდან) შემოდიოდა 800 000 მან. საქონელი, ხოლო თბილისიდან აზიის სახელმწიფოებში გაჰქონდათ 1 300 000 მან. საქონელი [87, გვ. 72-73]. ევროპის სახელმწიფოებიდან თბილისში საქონელი შემოდიოდა უმთავრესად ფოთის ნავსადგურიდან, ხოლო აჭარის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ ბათუმის ნავსადგურმა დაიკავა წამყვანი ადგილი. აზიის ქვეყნებიდან საქონელი შემოჰქონდათ უმთავრესად თბილისი-ერევნისა და თბილისი-ბაქოს გზით. თურქეთიდან კი - ახალციხეზე გავლით.

ვაჭრობისა და საქონელტვირთბრუნვის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ამიერკავკასიის რკინიგზამ. 1874 წელს ამიერკავკასიის რკინიგზით გადატანილი იქნა 9 843 000 ფუთი ტვირთი. 1879 წელს - 30 149 000 ფუთი, 1884 წელს - 61 112 000 ფუთი. ეს ციფრი მომდევნო წლებში კიდევ უფრო იზრდება [87, გვ. 73-74].

ვაჭრობისა და საქონელბრუნვის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა საკრედიტო სისტემაც. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერთადერთი საკრედიტო დაწესებულება ჩვენში ე.წ. საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი იყო, მეორე ნახევარში საკრედიტო დაწესებულებების რიცხვმა საქართველოში რამდენიმე ათეულს მიაღწია.

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან, საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად გაჩნდა სამრეწველო დაწესებულებები, გაიზარდა ფულის ტრიალი, ალებმიცემობასა და ვაჭრობაში ჩაება საქართველოს ყოველი კუთხე [31, გვ. 317].

კაპიტალიზმის განვითარებამ შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და დაუკავშირა ისინი მსოფლიო ბაზარს.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ფართო გაქანება მიიღო ვაჭარ-მევახშეების მავნე საქმიანობამ, რომელიც აფერხებდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას სოფლად.

სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი გადაიქცა სასაქონლო პროდუქციის მომცემ დარგად, მაგრამ ღარიბი გლეხები მაინც ვერ აღწევდნენ თავს მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, რომელშიც საგლეხო რეფორმამ ჩააგდო. გლეხობის სიღატაკესა და უუფლებობაზე გულისტკივილს გამოხატავდა როგორც საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ისე პერიოდული პრესა და ცდილობდა აღმოეჩინა ქმედითი დახმარება, მაგრამ მათ კარგად მოეხსენებოდათ, რომ სანამ გლეხი არ მიიღებდა მიწას, მანამ მის მატერიალურ უზრუნველყოფისა და თავისუფლების მოპოვებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. რაც დრო გადიოდა, გლეხი მეტი სიღატაკისაკენ მიექანებოდა და მევახშის კლანჭებში ვარდებოდა.

ქართველი საზოგადოებრიობა ზრუნავდა გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამიტომ იყო, რომ საქართველოს თითქმის ყველა დიდ დასახლებულ ადგილებში იხსნებოდა საზოგადოებრივი სასურსათო მაღაზიები, სავაჭრო გამსესხებელი და ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, რომ ამით ცოტათი მაინც შეემსუბუქებინათ ღარიბი გლეხობის მდგომარეობა.

საზოგადოებრივი პურის მაღაზიები საქართველოს ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ რეფორმამდელი დროიდან არსებობდა, მაგრამ მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. ყოველი გლეხი ვალდებული იყო სოფლის მაღაზიაში შეეტანა გარკვეული რაოდენობის მარცვლეული.

საჭიროების შემთხვევაში მაღაზიიდან სესხად გაჰქონდა სურსათი. ახალი მოსავლის მიღებისთანავე სესხს უკან აბრუნებდა.

1880 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 293 საზოგადოებრივი მაღაზია, რომლებშიც ინახებოდა 160 ათასი ფუთი ხორბალი. 1882 წლისათვის სასოფლო მაღაზიების რიცხვი გაიზარდა 618-მდე, 345 ათასი ფუთი ხორბლით; აღნიშნულ წელს გლეხობამ მაღაზიებიდან სესხად გაიტანა 112 000 ფუთი მარცვლეული [27, გვ. 80; 91, გვ. 340].

ყველა აქ მოხსენებული ნაწარმოები თიანეთის მაზრიდან დამზოგველ საზოგადოებას აქვს თითქმის ხელში ყოველი დროისათვის, რადგან იგი საზოგადოება არის შემდგარი თვით ხსენებული საგანთა მწარმოებლებისაგან, ვისაც ზემოხსენებულ საგანთა პირდაპირ ყიდვა სურს, მიმართოს საზოგადოებას და მიიღებს საქონელს [214, 1861 წ., № 252].

დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის სასურსათო კაპიტალი შეადგენდა 103 156 მანეთს [27, გვ. 81].

70-იან წლებში საქართველოში დაარსდა სავაჭრო-გამსესხებელი და ფულის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობები.

1876 წელს, მაგალითად, შეიქმნა თუშთა ამხანაგობა, რომელიც ახერხებდა მატყლის პირდაპირ მარსელში გატანას [216, 1876 წ., № 3].

დიდი როლი შეასრულეს ფულის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობებმა, სოფლის წვრილმა კრედიტის დაწესებულებებმა.

ჯერ კიდევ 1866 წელს მლეთის სასოფლო საზოგადოებამ (დუშეთის მაზრა) გახსნა ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა [214, 1866 წ., № 25; 91, გვ. 340; 27, გვ. 83].

სათავადაზნაურო ბანკი, მართალია, წოდებრივი იყო, მაგრამ ღია იყო როგორც თავადაზნაურობისათვის, ისე გლეხობისათვის.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში მიწის ყიდვა-გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გლეხებს მიწების გამოსყიდვა არ შეეძლოთ მემამულეების თანხმობის გარეშე. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მემამულეები ჩაებნენ მიწით ვაჭრობის ოპერაციაში. სასაქონლო ფულადი და კაპიტალისტური

ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი შედეგი და გამოხატულება იყო ნადელის გამოსყიდვის პროცესისა და საერთო მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დაჩქარება; 60-80-იან წლებში საქართველოში 40 ათასმა კომლმა დროებითვალდებულმა გლეხმა 8,5 მლნ. მანეთად გამოისყიდა 160 ათასი დესეტინა სანადელო მიწა და საკუთრებაში დაიმტკიცა[252, საქ. 800, ფ. 25].

1868-1879 წლებში ქუთაისის გუბერნიაში გაყიდულა 25 190 დესეტინა მიწა. მიწის გამყიდველები ყოფილან 2 778 თავადაზნაური, 76 გლეხი, 10 სასულიერო პირი და სხვადასხვა სოციალური ფენის 16 წარმომადგენელი. მიწა შეუძენია 834 გლეხს, 678 თავადსა და აზნაურს და 128 სასულიერო პირს, 231 სხვადასხვა წარმომადგენელსა და 8 უცხოელს[199, გვ. 25].

ქუთაისის საადგილმამულო ბანკს 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში სესხად მიუცია 10 549 487 მან.

სანოტარო კანტორის ცნობით, თბილისის გუბერნიაში 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში 904 777 მანეთის 351 170 დეს. მიწა გაყიდულა და შემდგარა 2 477 ნასყიდობა[199, გვ. 25].

ქუთაისის გუბერნიაში სანოტარო კანტორის ცნობით 1868-1883 წლებში საჯარო ვაჭრობითა და პირადი გარიგებით შეუძენიათ 51 176 დეს. თავად აზნაურთა მამულები, რაშიც გადაუხდიათ 2 693 549 მან. ამავე დროს თავად-აზნაურობისაგან გამოუსყიდიათ 6 777 250 მან. ღირებულების 137 799 დეს. მიწა[229, № 4, გვ. 77].

არასრული ცნობებით (ალბათ მეტი იქნებოდა) ამ პერიოდში ქუთაისის გუბერნიის გლეხობას შეუძენია 188 975 დეს. მიწა.

1868-1888 წლებში დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) 34 617 გლეხს გამოუსყიდია 393 654 ქცევა მიწა 7 440 490 მან. ღირებულებით[27, გვ. 103].

რამ შეაძლებინა დასავლეთ საქართველოს გლეხობას მთავრობის დაუხმარებლად გამოესყიდა მიწები, რამ განაპირობა ქუთაისის გუბერნიის

გლეხობაში ასეთი რაოდენობის ფულის დაგროვება (მიუხედავად, ქუთაისის გუბერნიაში მიწის ფასი უფრო მაღალი იყო) ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოში უფრო მალე განვითარდა მესიმინდეობა, მეორეც, მარცვლეულის ბაზარზე გატანამ გლეხს მისცა დიდი შემოსავალი. ამან ხელი შეუწყო ფულის დაგროვებას. ქუთაისის გუბერნიაში 1865-80-იან წლებში გლეხებმა გამოისყიდეს 149 ათასი დესეტინა მიწა და გადაიხადეს 7,5 მილიონი მანეთი. მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა დროებითვალდებულ გლეხთა 67 % [40, გვ. 29].

ამრიგად, კაპიტალიზმის განვითარებამ მიწათმოქმედებაში საფუძვლიანად შეარყია საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნეებრივი უძრაობა. რეფორმის შემდგომდროინდელი საქართველო მჭიდროდ დაუახლოვდა და კავშირურთიერთობა დაამყარა რუსეთისა და ევროპის მოწინავე ქვეყნებთან და აქტიურად ჩაება საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს იყო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პროგრესული მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

საგლეხო რეფორმა, საერთოდ, და განსაკუთრებით კი საქართველოში, მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა; სოფლის მშრომელი მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდა. რეფორმის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა მიწის მფლობელობა. რეფორმამდე თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხების განკარგულებაში 84 665 დესეტინა მიწა იყო, რეფორმის შემდეგ მათ მხოლოდ 55 679 დესეტინა დარჩათ. გლეხებს ჩამოაჭრეს 28 986 დესეტინა მიწა, რაც მის სარგებლობაში მყოფი მიწის საერთო ფართობის 34,2 % უდრიდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა კანონით გათვალისწინებული 10 და 4,5 დესეტინის ნაცვლად კომლზე მიიღეს საშუალოდ 3,7 და 2,6 დესეტინა. ამან ქართველი გლეხი სრული ეკონომიკური გაღატაკების საფრთხის წინაშე დააყენა. გ. ზერცალოვი ერთ-ერთ თავის სტატიაში წერდა, რომ "განთავისუფლებული" გლეხი დარჩა სრულ დამოკიდებულებაში მემამულესთან, მას თითქმის ორჯერ გაუდიდდა ბეგარა-გადასახადები [234, 1914 წ., № 24]. ამის სისწორე არც ოფიციალური ხელისუფლების ისეთ თვალსაჩინო

წარმომადგენელს უარყვია, როგორც იყო ეკონომისტ-დაშკოვი[146, გვ. 54]. მაგრამ მთავარი მაინც ის კი არ არის, რომ რეფორმამ გლეხი ძნელ მატერიალურ მდგომარეობაში ჩააგდო, არამედ ის, რომ მისი მდგომარეობა დროთა განმავლობაში სისტემატურად უარესდებოდა. მწარმოებელი კლასის ნაწილი ეკონომიკურად ძლიერდებოდა და სოფლის ბურჟუაზიის რიგებში გადადიოდა, მაგრამ უმრავლესობა უძლურდებოდა და უკიდურესი სიღატაკისაკენ მიექანებოდა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. მესხი გულისტკივილით ლაპარაკობდა ქართველი გლეხის მცირემიწიანობის შესახებ, რომ "ბატონისაგან განთავისუფლებული" გლეხი ისევ დამოკიდებულ მდგომარეობაშია და რომ მას უბატონოდ "სულის მოზრუნება არ შეუძლია", ..."აბა მიიხედეთ - წერდა ს. მესხი, - ბევრს ნახავთ საქართველოში ისეთ გლეხს, რომელსაც იმდენი საკუთარი მიწა ჰქონდეს, რომ მებატონისაგან იჯარით, ლალით აღება აღარ სჭირდებოდეს[76[2], გვ. 238]. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხები, გაზეთ "ივერიის" კორესპონდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ზნეობით" განთავისუფლდნენ, მაგრამ ნივთიერად ისევ "მემამულეების ყმებად" დარჩნენ. ასეთ გლეხებს "თავისუფალი მონები" უწოდეს[216, 1882 წ., № 258].

დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო. ოფიციალურ პირთა მოხსენებები, გლეხთა საჩივრები, მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა წერილები და სხვა მასალები ერთხმად ლაპარაკობენ ყოფილ საბატონო ყმათა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მათი უმიწობა - მცირემიწიანობით იყო გამოწვეული.

ამას ემატებოდა მძიმე საგადასახადო სისტემაც. ყოფილი საბატონო გლეხები უხდიდნენ არა მარტო მემამულეებს (დესეტინა სანადელო მიწისათვის 28 მან. და 42 კაპ.), არამედ ხაზინასაც. ასრულებდნენ აგრეთვე სხვადასხვა სახის ბეგარას და ა.შ.

მდგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ სოფლისა და მაზრის ადმინისტრაციის მხრივ ნატურალური გადასახადების აკრეფის დროს ადგილი ჰქონდა თვითნებობას.

გლეხობის ბრძოლას მიწისა და საერთოდ აგრარული საკითხის სწორი, სამართლიანი გადაწყვეტისათვის მხურვალედ უჭერდა მხარს მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ი. ჭავჭავაძე, წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ერისთავი, ა. ფურცელაძე, ს. მესხი და სხვ. ისინი იმთავითვე ჟურნალ-გაზეთებში გაბედულად გამოდიოდნენ მთავრობის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ და ცდილობდნენ საქმე ისე წარემართათ, რომ მშრომელ კაცს ნამდვილი თავისუფლება და მატერიალური უზრუნველყოფა მიეღო. გლეხის უმამულოდ დატოვება, მათი აზრით, არა მარტო საზიანო, არამედ ქვეყნისათვის პირდაპირ დამღუპველი იყო. ამიტომ იყო, რომ ქართველმა სამოციანელებმა თავი აიმაღლეს ხმა. ბატონყმური ურთიერთობის ყოველგვარი გადმონაშთების, კერძოდ დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურად გლეხის დამოკიდებული ეკონომიკური მდგომარეობის ხელუხლებლად დატოვებას გულისხმობდა.

თერგდალეულებმა ენერგიულად გაშალეს ბრძოლა ჩაგრულ გლეხთა დასაცავად. ი. ჭავჭავაძემ 1877-1881 წლებში "ივერიაში" გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილების სერია "ცხოვრება და კანონი". ავტორმა მთელი ძალით დასვა საკითხი გლეხების მიწით უზრუნველყოფის შესახებ.

გლეხობის დასაცავად გამოდიან ხალხოსნები, რომელთა სამოქმედო პროგრამაში გლეხური რეფორმა იყო გათვალისწინებული და ხალხს ასამხედრებლად ამზადებდნენ. ხალხოსნები მოითხოვდნენ დროებითვალდებული ინსტიტუტის გაუქმებას და ამასთან დაკავშირებულ გადასახადების მოსპობას. ისინი ოცნებობდნენ სამართლიანი წყობილების დამყარებასა და საყოველთაო მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა აღშფოთებული იყო დროებითვალდებული გლეხთა ინსტიტუტის არსებობით. თვლიდა მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად და გაბედულად ასაბუთებდა მისი სასწრაფოდ ლიკვიდაციის აუცილებლობას.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას ხელი შეუწყო და გააღრმავა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმაც. ომი მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას, რადგანაც კავკასიაში წარმოებული ომი ძირითადად საქართველოში (მის დასავლეთ ნაწილში) მიმდინარეობდა.

ყოველივე ამან დაძაბა და გაამწვავა მდგომარეობა ამ რეგიონში. ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაუარესდა მშრომელთა ცხოვრების პირობები. გაიშალა კლასობრივი ბრძოლა. ასეთ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოში ობიექტურად გამოიკვეთა რევოლუციური სიტუაციის ნიშნები.

# თავი II.

## საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში 1866-1877 წწ.

### § 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ვ.ი. ლენინი განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთში სამ ეტაპად ყოფს. სტატიაში "რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან" წერდა: "განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-1861 წლამდე, 2. რაზნოჩინცული, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-1895 წლამდე, 3. პროლეტარული 1895 წლიდან დღემდე"[9, გვ. 94].

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ემთხვევა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპს, რომელსაც ვ.ი. ლენინმა უწოდა რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპი.

როგორც ცნობილია, განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი ვ.ი. ლენინის მიერ დათარიღებულია 1861-1895 წლებით. საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი თარიღდება 1864 წლიდან 90-იანი წლების ჩათვლით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველმა ახალგაზრდობამ, რომლებმაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს განათლება, საქართველოში ჩამოსვლისთანავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს. დაჩაგრული და უუფლებო კლასები პრივილეგიის მქონე კლასებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბეს.

ქართველმა ახალგაზრდა ინტელიგენციამ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ახალი სული შთაბერა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს სახელი მხოლოდ მოგონებადღა დარჩა, ქართველი ერის მოსარჩლე ადამიანთა უკანა-

...ე თავშესაფარად ქართული ენა გადაიქცა [91, გვ. 466]. "პირველი... ...ნი ერის ვინაობისა ენაა, - წერდა ი. ჭავჭავაძე, და აი სწორედ ...ქულმა ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგახნის დუმილისა, ამასთან ...ვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა მთელის ...ურებით რთულის ცხოვრების მოედნიდამ მცირე კუნჭულიღა ჰქონდა დათ-...ილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულშიღა გახდა შესაძლებელი ჩვენი ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა... ჩვენმა აზრთა სვლამ, მ...მართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი" [120, გვ. 206].

ენა და მწერლობა იყო ის იარაღი, რომელიც ხალხის განათლების საქმეს მოემსახურებოდა, მაგრამ ძველი ქართული სამწერლო ენა გაუგე-ბარი იყო ფართო მასებისათვის. ამიტომ დაისახეს ძირითად სამოქმედო პროგრამად თერგდალეულებმა ახალი ქართული ენის, ლიტერატურისა და აზროვ-ნების საბოლოო დამკვიდრება.

ეროვნული მოძრაობის გაფართოების მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ეროვნული საკითხი აგრარულ საკითხს დაუკავშირდა. ბრძოლა ახალი ქართული ლიტერატურული ენისათვის გამოხატავდა ეროვნულ მოძრაობას, ეროვნული ენის მოთხოვნას. ი. ჭავჭავაძე გამოხატავდა ერის გრძნობებს და მისწრა-ფებებს ქართულ მწერლობაში. იგი გახდა რეფორმატორი და ახალი სალიტერა-ტურო ენის ფუძემდებელი.

"შვილებმა" გაიმარჯვეს, მაგრამ ბრძოლა "მამებსა" და "შვილებს" შორის არ დამთავრებულა. 1874 წელს გრ. ორბელიანმა უკანასკნელად გაი-ლაშქრა თერგდალეულების წინააღმდეგ. იგი ბრალად სდებდა თერგდალეულებს, ...თქოს მათ ენა წაახდინეს. გრ. ორბელიანს ღირსეული პასუხი გასცეს ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა (ი. ჭავჭავაძის "პასუხის პასუხი" [121, გვ. 109] და აკაკის ლექსი "ხარაბუზა გენერალს") [116, გვ. 123].

გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის თაობ...ა შორის დიდი განსხვა-ვება იყო რუსეთთან დამოკიდებულების საკითხშიც. პირველმა რუსეთში დაი-ნახა თავადაზნაურული რუსეთი და ...ისი დროშის ქვეშ დადგა; მეორემ, წი-ნააღმდეგ თავადაზნაურული რუ...ეთისა, ...პოვა ახალი რუსეთის - ბელინსკის

და ჩერნიშევსკისა და ადგა გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ.

ი. ჭავჭავაძე "თავის მამულში" ეროვნულ გამათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების პასიური მომლოდინე როდი იყო. ილია და სხვა თერგდალეულები არ კმაყოფილდებოდნენ ლიტერატურული საქმიანობით, ისინი ეწეოდნენ აგრეთვე გარკვეულ პრაქტიკულ საქმიანობას, რის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ფარული საზოგადოების "ახალგაზრდა საქართველოს" დაარსება [29, გვ. 124]. ამ საზოგადოებას ქართველი ხალხი უნდა მოემზადებინა თავისუფლებისათვის საბრძოლველად, რომლის დამაგვირგვინებელი შედეგი ილიას ასე ჰქონდა წარმოდგენილი:

ხალხი აჰვირთა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, -
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა მერომდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, -
და ეგ ფიქრი მთელ კავკასიის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება! [121, გვ. 161-162].

ი. ჭავჭავაძემ პოემით "ქართვლის დედა" სათავე დაუდო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას, რომელიც შემდეგ გააფართოვა და გააღრმავა მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტიკაში.

ქართველი სამოციანელები, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატების ( გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი) მსგავსად, აყენებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს; მათი თანამოაზრენი იყვნენ და სავსებით მათ სიმაღლეზე იდგნენ რევოლუციურ-დემოკრატიის ყველა ძირითად საკითხში. კერძოდ კი გლეხთა განთავისუფლების საკითხში.

რევოლუციის იდეა წითელ ზოლად გასდევს თერგდალეულთა იმდროინდელ ნაწერებს, როგორც მხატვრულს, ისე პუბლიცისტურს. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ი. ჭავჭავაძის "მგზავრის წერილებს", სადაც რევოლუცია დაწყნარების სათავედ არის გამოცხადებული, ხოლო ავტორის, როგორც თერგდალეულთა ხელმძღვანელის მოქმედების პროგრამა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: "დავრდომილი აღვადგინო, მუშაკს შრომა გაუადვილო და ის ღვთიური ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება ყოველ კაცში არ ღვიოდეს,

ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო, ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად!" [24. გვ. 10]. პოემაში "აჩრდილი" ვრცლად და ამომწურავადაა ჩამოყალიბებული თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამა! დიდი მწერალი დარწმუნებულია, რომ,

"ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების" [121, გვ. 152].

XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის და მისი მეშვეობით იმდროინდელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო, წერდა ნ. ნიკოლაძე [80, გვ. 259-265].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე თავის ცხოველმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა მნიშვნელოვანი მოვლენები: საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, დემოკრატიული და ხალხოსნური მოძრაობა რუსეთში, ეროვნული აჯანყებები პოლონეთში, უნგრეთში, იტალიაში [91, გვ. 470].

თერგდალეულები თავიანთ საქმიანობას იქითკენ წარმართავდნენ, რომ მოესპოთ ეროვნული ჩაგვრა. მათ სწამდათ, რომ რევოლუციის ქარიშხალი მოსპობდა როგორც სოციალურს, ისე ეროვნულ ჩაგვრას რუსეთის მთელს იმპერიაში და, ცხადია, საქართველოშიც. ამიტომ იყო აღტაცებული და შესტრფოდა ი. ჭავჭავაძე იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მისი ბელადის ჯუზეპე გარიბალდის ბრძოლას, და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა "ხალხთ ბორკილის მტვრევის ხმას" საქართველოშიც გაიგონებდა [121, გვ. 76], იგი ერს მგზნებარედ მოუწოდებდა: "ქართველო ხელი ხმალს იკარ, გათენდა დღე დიდებისა, თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისა". ასე აშკარად და გაბედულად მოუწოდებდნენ ხალხს თავისუფლებისათვის საბრძოლველად თერგდალეულთა ხელმძღვანელები ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.

თერგდალეულები ჯერ კიდევ რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლისას აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციებში. გასული საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთის არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციებში მოღვაწეობდა რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი, თერგდალეულთა წრის აქტიური წევრები, რომლებმაც რუსეთის თვითმპყრობელობის მხრივ განიცადეს სასტიკი რესპესიები[87, გვ. 267](სასწავლებლებიდან გარიცხვა, დაპატიმრება და ა.შ.). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის უშუალო შემადგენელი ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა დაჩაგრული ხალხის განთავისუფლებას.

რუსეთის ცარიზმი და დიდმპყრობელი რუსი შოვინისტები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის, მოეხდინათ ქართველი ერის ასიმილაცია. ქართველი პატრიოტების ბრძოლას ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აძნელებდნენ ქართველი თავადაზნაურთა რეაქციული ელემენტები, რომლებიც იქამდეც კი დაეცნენ, რომ მეფის მთავრობას მხარში ამოუდგნენ ვერაგული გეგმის განხორციელების საქმეში. ზოგიერთმა მათგანმა ქართველი ერის მოსპობის ამ გეგმის თეორიული "დასაბუთებაც კი სცადა, 1372 წელს გაზეთ "კავკაზის" დამატების სახით გამოიცა თავად გ.კ. მუხრანსკის ბროშურა - "О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц" ავტორი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე პირობებში ცივილიზაციის გადამწყვეტი ძალა დიდი ერები არიან და მცირე ერებისათვის სასარგებლოა დაივიწყონ საკუთარი თვითარსებობა და დიდ ერებს შეერწყონო. პატარა ერების არსებობის დრო წავიდა და ახლა ისინი დიდ სახელმწიფოებში უნდა გაითქვიფნენო. ასეთი "თეორიით" ბროშურის ავტორი ცდილობდა გაემართლებინა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა - ქართველი ერისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის სრული მოსპობის პოლიტიკა [29, გვ. 133].

მეხრანსკის ბროშურის გამოცემა შემთხვევითი არ ყოფილა. ნ ხარკი გადაუხადა მეფის მთავრობას იმ შეღავათებისა და პრივილეგიები-სათვის, რომელიც ჯერ კიდევ მ. ვორონცოვის მეფის ნაცვლობის დროს მიიღო ქართველმა თავადაზნაურობამ (ხაზინიდან დიდი რაოდენობით აღებული სესხის გადახდა აპატია); ამით თავადაზნაურობა მეფის რუსეთის მომხრეთა სამ-სახურში ჩააყენა. გარდა ამისა, საგლეხო რეფორმა საქართველოში მემამუ-ლეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა, მემამულეებმა დიდძალი ფულადი საზღაური მიიღეს მადლიერი ქართველი რეაქციული თავადაზნაუ-რობა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაში მისი ერთგული მოკავშირე გახდა.

როგორც ს. მესხი წერდა, "ბროშურის ავტორი შეყვარებული ყოფილა რუსეთის ცარიზმზე და მის საამებლად აჩრჩქვევდა ასეთ "ბრძნულ" აზრებს. იგი აღშფოთებული იყო იმით, რომ "პატარა ხალხები უნდა გაუქმდნენო იმათი ენა უნდა მოისპოსო და ისინი დიდ ხალხებს უნდა შეეთვისონო... იმას ერთი კალმის მოსმით უსურს შეცვალოს ხალხის ხასიათი, ჩვეულება, ცხოვრება, უსურს წაართვას მას მშობლიური ენა, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასია კაცისათვის... ბროშურის ავტორის რჩევა ანგარიშგასაწევი არაა და ნურავინ შეეცდება მისი რეცეპტი გამოიყენოს ერების ასიმილიზა-ციისათვის" [214, 1872 წ., № 35].

გაზეთ "გოლოსში" გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორი ქებით მოიხსენიებდა მეხრანსკის მოსაზრებებს და ასაბუთებდა, რომ ამიერკავ-კასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენების სწავლება საჭირო არ არის, უმჯობესია დაანებონ თავი მშობლიურ ენებს და ცივილიზაციას რუსული ენის შემწეობით დაეწაფონო [29, გვ. 134].

თერგდალეულებმა მეხრანსკის ბროშურისა და "გოლოსში" გამოქვეყნე-ბული სტატიის გარშემო "დროებაში" გამოსთქვეს თავიანთი დიდი აღშფოთება და მოუწოდეს ქართველ ხალხს, გამოეჩინა ძალა და გამჭრიახობა, რათა ქართველობა გზას არ ასცდენოდა და არ მოქცეულიყო რუსიფიკატორული პოლი-ტიკის ბაჟთ ქვეშ.

ს. მესხი აცხადებდა ქართველ ხალხში "ერთობისა და ძმობის" დამყარების აუცილებლობას, მისი უკეთესი მომავლისაკენ წაყვანას. ს. მესხს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად პოტენციაში გლეხობა მიაჩნდა და XIX საუკუნის 70-იან წლებში სინანულით აღნიშნავდა, რომ გაღატაკებულ-დაბეჩავებული ეს მასა ჯერ კიდევ ვერ ასრულებდა აქტიურ როლს ამ დიდ საქმეში. მაგრამ იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ქართველი გლეხობა ადრე თუ გვიან გამოიღვიძებდა და ზემოდან, ინტელიგენციის მიერ უკვე დაწყებულ მოძრაობაში მასიურად ჩაებმებოდა[38, გვ. 152-153, 167].

ქართველი ხალხის ეროვნული ერთობის საძირკველი და ბურჯი, როგორც ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, მშობლიური ენაა. "ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე... თუ ენა უკან-უკან მიდის და ღარიბდება, აზროვნება ქვეითდება, დაუძლურდება და ღარიბდება"[62, გვ. 16].

ს. მესხი წერდა: "ქართულ ლიტერატურას ერთი მოვალეობა აქვს: "თვალი გამოაჭყეტინოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებათა და განათლებული ხალხის გაცნობით გამოაღვიძოს... ქართულმა ლიტერატურამ ქართველებს უნდა შეაყვაროს ქართული ენა, თვალები გამოაჭყეტინოს და წარმატების და უკეთესი მომავლის სურვილი აღუძრას. - ამის მეტს, ახლანდელ მდგომარეობაში, ქართულ ლიტერატურას ნურას მოსთხოვ. ესეც დიდი დამსახურება იქნება"[214, 1875 წ., № 96].

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მოსახლეობის ბრძოლის წინაპირობად ს. მესხს მიაჩნდა საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის გაერთიანება. მართალია, ყველა კლასს თავისი ინტერესი ჰქონდა, მაგრამ, ს. მესხის აზრით, მათ დროებით უნდა დაევიწყებინათ "წვრილმანი ეკონომიკური ინტერესები" და საერთო ეროვნული საქმისათვის ებრძოლათ ცარიზმის წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე ილაშქრებს რუსული ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ; კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მოხელეებს, რომლებიც თვითნებურად მოქმედებდნენ, ერების დევნა-შევიწროება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის

ამოცანად და სახელმწიფოს წარმატების საფუძვლად მიაჩნდათ. მათი მოქმედების შედეგი, ილიას გამოთქმით, ის იყო, რომ "რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალღონე, კეთილდღეობა, წარმატება" [125, გვ. 106-107].

ეროვნული საკითხის სამართლიან საფუძველზე გადაჭრის მოთხოვნილებამ, შენიშნავს ილია, ესოდენ ფართოდ რომ გაიდგა ფეხი, არ უნდა გვიკვირდეს, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ცივილიზაციის წინსვლას [125, გვ. 110-111].

ი. ჭავჭავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნულ რუსეთის სახელმწიფოს აბსოლუტურ-ბიუროკრატიული წყობილების დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია. ამ ფედერაციაში საქართველო და სხვა განაპირა ქვეყნები უნდა შესულიყვნენ თვითმმართველი ავტონომიური ერთეულების სახით.

ილიამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, წერს პ. ინგოროყვა, - ორი საბრძოლო საგანი დაისახა; ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ"[60, გვ. 60]. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დაიბადა "დიდი აზრი და სურვილი ერის წყლულისა და ტკივილის განკურნებისა" [$19^{2}$, გვ. 134].

თერგდალეულთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გ. წერეთელი წერდა: "რუსეთთან შეერთებით საქართველომ შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფობა. მეათე საუკუნიდან დაწყებული, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე ოთხმოცდაცხრამეტჯერ მაინც შემოსულა თურქი და სხვა ტომის მაჰმადიანები საქართველოს დასამხობად, მაგრამ ყველა ეს აუარებელი ურდოები საქართველოს ხალხის სიმტკიცეს შესკდომია... მეთვრამეტე საუკუნის გასულ გატყდა ხვანთქარი, დაბაბუნდა სპარსეთის შაჰი... ისინი დაყუჩდნენ მათ თავი მოიხარეს ახალი ძალის ქვეშ, რომელიც დღეს მთელს კავკასიის აქეთა მხარეს მშვიდობიანად განაგებს და არავის არავითარს შფოთსა და უწესობას აღარ აბედვინებს"[214, 1879 წ., № 16]. გ. წერეთელი სტატიაში "რა გვჭირდება" წერდა: "ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ

დროიდგან, როცა დიდებულმა რუსეთმა თავის მფარველს ქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან დაუწყნარებელი ბრძოლის აკლებულნი... ამის შემდეგ გაძარცულმა ქვეყანამ შეისვენა [225, 1871 წ., № 6, გვ. 176]. "მეთვრამეტე საუკუნიდან რუსეთი განათლების წყაროდ იქცა ჩვენთვის [225, 1872 წ., № 10, გვ. 90].

ს. მესხი დიდად აფასებდა ქართველი ხალხის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას, იგი წერდა: "1800 წლის შემდეგ ჩვენი ისტორიის დაწერა ხეირიანად და პატიოსნად არ მოხერხდება, ცენზურა და მმართველობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვისას, რომელშიაც ყველა იმის მოქმედებისა და განკარგულებების (საქართველოში) ქება არ იქნება, რომელშიაც გამოთქმული არ იქნება აზრი, რომ რუსეთთან შეერთებით საქართველოს ბედნიერი და ნეტარი ცხოვრება მიენიჭათ, - და ამისთანა ისტორია, სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს... მართალი გითხრათ, ჩვენის ისტორიით ძნელად შეიძლება იმის დამტკიცება და ჩვენება, რომ ძველად ჩვენი მეფეების ხელში საქართველო უფრო ბედნიერ მდგომარეობაში იყო, ვიდრე ეხლა - რუსეთის მფარველობაში. უბედურ საქართველოს მშვიდობით, ბედნიერად და კაცურად თითქმის არასოდეს არ ღირსებია ცხოვრება. მაგრამ წარსულ დროს ის უპირატესობა მაინც ჰქონდა, რომ ხალხი სხვა ხალხებისაგან დამოუკიდებელი იყო და იმედი ჰქონდა, რომ თავისი გაჭირვებულ, გაძაღლებულ ცხოვრებას დღეს თუ არა ხვალ შეიცვლიდა" [77, გვ. 45].

საქართველოს მშრომელი ხალხის განთავისუფლება ცარიზმის მძიმე უღლისაგან ყოველთვის იყო ქართველი პროგრესული ინტელიგენციის მამოძრავებელი მოტივი, მაგრამ ისინი კარგად ხედავდნენ იმ დადებით შედეგებსაც, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებით იყო გამოწვეული, საქართველო, რომელმაც მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა მოიპოვა, ევროპული ცხოვრების შესწავლას დაეწაფა, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკის, ეროვნული კულტურის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

ი. გოგებაშვილმა, რომელმაც საქართველოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას შეალია მთელი თავისი სიცოცხლე, საქართველოს რუსეთთან შეერთებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არა მარტო საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოებისა და სპარსეთისა და ოსმალეთის ძლიერების გასატეხად. ი. გოგებაშვილი წერდა: "გასულ საუკუნის დამდეგს ერთმორწმუნე რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებით საქართველომ მოიპოვა სრული საგარეო უშიშროება... თავის მხრივ რუსეთმაც უდიდესი სარგებლობა ნახა ამ ნებაყოფლობით შეერთებით. რუსეთმა გააფართოვა ტერიტორია საქართველოს მიწაწყლით, მტკიცედ დამკვიდრდა იქ და ქართველების აქტიური დახმარებით დაიპყრო ამიერკავკასიის სახანოები, აიძულა სპარსეთი და თურქეთი ქედი მოეხარათ მისი მძლავრი გავლენის წინაშე და თავისი ძალაუფლება დაამყარა და უაღრესად განმტკიცდა შუა აზიაში" [44ა, გვ. 140].

მოტანილი ადგილებიდან ნათელია, რომ ქართველი პროგრესული ინტელიგენცია სწორად აფასებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ მნიშვნელობას. ეს ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია თერგდალეულების მსოფლმხედველობის ანალიზისა და შეფასებისათვის.

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, რომელიც სწორად აფასებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტს, ამასთანავე ცდილობდა ჩვენში მიძინებული ქვეყნის გამოღვიძებას. იგი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეტაპზე საქართველოს ეროვნული თავისუფლების საკითხს რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირებდა. ქართველი განმანათლებლები კარგად ხედავდნენ ცარიზმისა და ადგილობრივი მოხელეების მიერ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციას და მშრომელ ხალხს ზრდიდნენ პატრიოტიზმის სულისკვეთებით, უნერგავდნენ მამულის უანგარო სიყვარულს და მიმართავდნენ ცარიზმის უღლისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

თერგდალეულები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას საკუთარი ძალებით ვერ მოიპოვებდა. მათი ღრმა რწმენით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ უაზრობა იქნებოდა საკუთარი ძალებით დიდ ურჩხულთან შებრძოლება, ვინაიდან ეს მხოლოდ დიდ ზიანს მოუტანდა ქართველ ხალხს. ამის შესახებ ს. მესხი სტატიაში "ცრუმორწმუნეობა და ჩვეულება" წერდა: "ცვლილება გვჭირია, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც თან ჩვენს გაუფერულებას, ჩვენს გაქრობას მოიტანს" [214, 1874 წ., № 453].

ი. ჭავჭავაძე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები კარგად გრძნობდნენ ქართველი ხალხის განათლების საჭიროებას და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელი შეეწყოთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლისათვის, ქართველი ხალხის თავისუფლებისადმი მისწრაფების გაღვივებისათვის. ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. მათ კარგად იცოდნენ, რომ მათი საქმიანობა, მათი ბრძოლა საქართველოს ხალხის თავისუფლებისათვის განპირობებული იყო ისტორიული მსვლელობით. ამ ბრძოლას მრავალი თაობის მოწინავე ადამიანი შეეწირა, მაგრამ ქართველი თერგდალეულების თავგანწირვას უკვალოდ არ ჩაუვლია და დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში. ქართველი ხალხის მებრძოლი, მოწინავე წინაპრები მომავალი თაობის შთამაგონებელ მაგალითად, გადაიქცა. ამიტომ ამბობდა ი. ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიღწევათა შესახებ: "თუმცა იმ დროზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა "ეხლანდელთა" "დროების" მოღვაწეთა თავისი მიმართულებით წააწერეს, მაგრამ ერთი დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებული დოდაშვილისაგან, გიორგი ერისთავისაგან [214, 1876 წ., № 24].

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, რომელიც რუსული რევოლუციურ-დემოკრატიზმის დიდ გავლენას განიცდიდა, ყოველთვის განასხვავებდა

ცარიზმის მიერ გატარებულ პოლიტიკას განაპირა ერების მიმართ იმ პროგრესულისაგან, რომლიდანაც ასე ბევრს სწავლობდა ქართველი ინტელიგენცია. იყვნენ ცარიზმის პოლიტიკის დამცველნიც და ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლნიც, რომლებიც იბრძოდნენ ყოველგვარი ექსპლოატაციის, კერძოდ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ კარგად იცოდა, რომ არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს სჩაგრავს. "ჩვენ ვემსახურებით იმ აზრს, - წერდა დ. მიქელაძე, - რომ საზოგადოებაში ძმობა და სამართლიანობა დამყარდეს"[214, 1879 წ., № 116].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის. მათი პოლიტიკური მოთხოვნები ითვალისწინებდა ქვეყანაში შექმნილი კონკრეტულ-ისტორიულ რეალობას. საქართველოს დემოკრატიულ ინტელიგენციას სამართლიანად მიაჩნდა, რომ XIX ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში და 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა ისტორიული პირობები, რომ დღის წესრიგში დამდგარიყო საკითხი რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის შესახებ. თერგდალეულების ეს პოზიცია, როგორც ისტორიამ დაადასტურა, იყო ერთადერთი სწორი და გამართლებული.

თერგდალეულები თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის თვითშეგნების ამაღლებას. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილობა გულისხმობს სხვა ერების პატივისცემას, მათი თავისუფლებისათვის ბრძოლის ხელისშეწყობას.

თერგდალეულები მიესალმებოდნენ კლასობრივ ბრძოლას არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ ევროპის ქვეყნებში. რევოლუციური მოვლენების მაგალითზე ისინი ცდილობდნენ საქართველოს მოსახლეობაში გაეძლიერებინათ პოლიტიკური აქტივობა.

ამის მკაფიო მაჩვენებელია ი. ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი "1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)". როგორც ცნობილია, მთელს რუსეთის იმპერიაში პარიზის კომუნისადმი მიძღვნილი ნაწარმოები არ შექმნილა.

პოეტი დრამატიზმით აღსავსე ლექსში წერს: "ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა დაიშალა... კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ იგი დროშა დასცა დაბლა... კვლავ შეჩერდა ისტორია, განახლების შესდგნენ ძალნი და კვლავ დღესასწაულობენ გამარჯვებულნი მტარვალნი" [121, გვ. 92].

ასე შეაფასა ი. ჭავჭავაძემ მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციის დაცემა. იგი გულისტკივილით აღნიშნავს ისტორიის განვითარების შეჩერებას და მტარვალთა გამარჯვების დღესასწაულს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებისათვის პატრიოტიზმი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი იყო. პატრიოტიზმის კლასიკურ განმარტებას გვაძლევს ა. წერეთელი. "პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი იმ კაცს, ვისაც თავისი სამშობლო უყვარს მიუხედავად პირდაპირი სარგებლობისა. ჩვენი ახალთაობა სწორედ იმგვარი პატრიოტია... ვისაც თავისი თავი არ უყვარს, იმას სხვისი სიყვარულიც არ შეუძლია, ვისაც თავისი სამშობლო სძულს, სხვა ხალხის სიყვარულს განა მოახერხებს, თუ რომ მართლა კაცია? და თუ პირუტყვია, მაშინ კი ერთი იქნება, სადაც საკვებს იშოვის, იქ მიეჩვევა და აქ ჩვენც აღარას ვეტყვით [117, გვ. 624-625].

თერგდალეულნი თავგამოდებით იბრძოდნენ კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. ამ საკითხთან დაკავშირებით აკ. წერეთელი წერდა: "სულითა და გულით ქართველი ვარ პატრიოტი. სამშობლოს კეთილდღეობა იმიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან მსოფლიოს. სიტყვა "პატრიოტი" დღეს ზოგიერთისაგან საკიცხავ სიტყვად არის გადაქცეული. იმათ პატრიოტობა შოვინიზმი ჰგონიათ, როდესაც ამ ორ სიტყვას შუა დიდი ზღვარია და ერთმანეთში საერთო არა აქვთ რა!" [117, გვ. 696].

თერგდალეულებისათვის ცხადი იყო, რომ ცხოვრება მუდამ განვითარებას, წინსვლას განიცდის, ამიტომ მათი მიზანი არასოდეს არ ყოფილა ძველის აღდგენა, ეს მათი შეუძლებლადაც მიაჩნდათ... "ჩვენში ძველი წესწყობილობის აღდგენის წადილი, ახალი აზრებისა და მიმართულებების უარყოფა,

არ შეუძლიანება". მის სიტყვებით, რომ ვთქვათ, წამლადაც ვერ ჩაისქვნია. ძველებური საქართველოს აღდგენა, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის დაწყობილებათა რესტავრაცია სიზმრადაც აღარავის ეჩვენება. უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულ დროდ, რომლის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ჩავლილი წყლის უკუქცევა: ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედებისა და ნატვრისა, მოქცეულ უნდა იქნას არა უკან... არამედ წინ [441, გვ. 113-114]. ეს ყველა თერგდალეულის საერთო თვალსაზრისი იყო.

არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს თერგდალეულების ცნობილი დევიზი "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს" სეპარატიზმისაკენ მიწოდება იყო და შემდეგ ილიამ თავისი შეხედულება შეცვალა. მას შესაძლებლად მიაჩნდა საქართველოსათვის პოლიტიკური უფლებების მოპოვება თვით რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში.

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია არასოდეს არ იზიარებდა სეპარატიზმის იდეას, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ იგი უტოპიური ოცნება იყო, რომელსაც საფუძველი არ გააჩნდა.

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა უშუალო კავშირში იმყოფებოდა იმპერიის სხვა ხალხების რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან.

რუსეთის XIX საუკუნის გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ლენინური პერიოდიზაცია გარკვეულ კავშირშია XIX საუკუნის საქართველოს გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი, რომელიც მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს ატარებდა, ჩვენი აზრით, შინაარსითა და თავისი ქრონოლოგიური ჩარჩოებით ყოველთვის არ ემთხვევა რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას.

სინამდვილეში საქართველოს ყველაზე მთავარი და მტკივნეული საკითხი, რომლის გარშემოც გაიშალა თერგდალეულთა მრავალმხრივი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა, იყო ეროვნული საკითხი, "მამულისა" და "მამულიშვილობის" საკითხი.

თერგდალეულებმა თავიანთი სამოქმედო პროგრამის ერთ-ერთ პირველ საკითხად ერის დაკემული ვინაობის აღდგენა, ნამდვილი მამულიშვილობის გრძნობის გაღვიძება, ე.ი. ეროვნული თვითშეგნების ამაღლება გამოაცხადეს. ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ ისტორიული ცხოვრების ძნელბედობამ ქართველობა გაათავისთავისა, გააცალკევა, დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლოს ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა წერდა იგი, - და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ოჯახები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი "მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით... დავაქციეთ მამათა ჩვენთა ძველთა ჩვენთა აკვანი; დიდი "მამული" დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა ზობსო [123, გვ. 73].

ქართველების გონებისა და აზრის ასეთმა გათავისთავებამ, ასეთმა ვიწრო ინდივიდუალიზმმა ქართველობის ცნება მოსპო. "სად არის საქართველო და ქართველობა", კითხულობს ილია. "ქართველები არ არიან, მაშ რა არიან? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი. ჩინიანი და უჩინონი - ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა - თავადი. გლეხსა-ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილი? თავადის აზრი - სათავადოა, აზნაურისა - სააზნაურო, გლეხისა - საგლეხო, ვაჭრისა - სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან. ერთს თესლზედ ამოსულნი?... თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, სადაც მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეული ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის მაშინ მეც ვიტყვი: "ქართველი აგერ იქ არის-მეთქი" [123, გვ. 68-69].

თერგდალეულთა მთელს მოღვაწეობაში ეროვნული და სოციალური საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მათ სწამდათ, რომ ერთი მეორის გარეშე არ გადაწყდებოდა, რომ ერის წარმატებასა და ბედნიერებაზე ზრუნვა

ამავე დროს იყო ზრუნვა მის "სოციალური რევოლუციონერობის ცვალებადობაზე" ეს ორი საკითხი (ეროვნული და სოციალური) მათი საქმიანობის მთავარ ხაზს წარმოადგენდა. თერგდალეულთა იდეოლოგიის მთელი არსი, საფუძველი, მოცემულია სიტყვებში "ჩვენ თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს", ეს მათი საბრძოლო ლოზუნგადაა აღიარებული.

არსებობს მოსაზრება თითქოს, თერგდალეულთა ეს ლოზუნგი სეპარატიზმისაკენ მისწრაფება იყო. მაგრამ თერგდალეულთა მთელი მოღვაწეობის პერიოდში არასოდეს არ ყოფილა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის დამახასიათებელი თვისება და ეს კურსი ბოლომდე უცვლელი დარჩება.

ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს კეთილდღეობა დიდად იყო დაკავშირებული რუსეთთან. "ჩვენ, რასაკვირველია, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ კავშირურთიერთობას, რომელიც გვაკავშირებს რუსეთთან, - აღნიშნავდა იგი, - მომავლის ქვეყანასთან და გვსურს, რომ ეს კავშირი იყოს არა მექანიკური, არამედ ბუნებრივი, ერთ-ერთი მტკიცე და სასარგებლო ორივე მხარისათვის"[79, გვ. 173].

ეს რწმენა არა მარტო ილიას და ნ. ნიკოლაძეს, არამედ ყველა თერგდალეულს ღრმად ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და რბილში. ი. გოგებაშვილი იმედით შეჰყურებდა რუსეთის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ზიზღით და გულამღვრეულები უყურებდნენ იმ სისტემას, რომლის მადლითაც ერთი ერი ფიქრობს მეორე ერის აღმოფხვრას; მაშინ როცა მეორე ერი მეგობრულად შეჰყურებს პირველს... ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი ბედი რუსეთისა და ამ საუკეთესო მის შვილთა ხელში იქნება. ეს გარემოება აძლიერებს ქართველთა შორის იმედს, რომ მოვახერხებთ და მშვიდობიანი გზით შევინარჩუნებთ ჩვენს მიწაწყალსაც ჩვენს ეროვნებასაც, ჩვენ თვითმმართველობასაც და უკეთეს მერმისსაც შევესწრებით"[43, გვ. 225-226; 226, 1913 წ., № 6].

აკაკი წერეთელი წერდა: "ჩვენ მართალია რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია რუსის ხალ-

ხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და აუცრუებთ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელსაც ეწოდება ძმობა, თანასწორობა"[2ა6, 1910 წ. № 6; 96, გვ. 108-109].

მოტანილი ამონაწერები ცხადყოფენ, რომ თერგდალეულები არც 60-იან წლებში, არც შემდეგ, სეპარატისტები არ ყოფილან, ისინი თავიდანვე ხედავდნენ ორ რუსეთს - ერთის მხრივ მეფის და მისი მოხელეების რუსეთს, რომელსაც დაუნდობლად ებრძოდნენ, მეორე მხრივ რევოლუციურ დემოკრატიულ რუსეთს, ახალ რუსეთს, რომელთანაც თანაცხოვრება და მჭიდრო თანამშრომლობა მიაჩნდათ ქართველი ერის დანიშნულებად და ლოზუნგს "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" არავითარი ცვლილებები არ განუცდია. თერგდალეულთა ეს ლოზუნგი ნიშნავდა მხოლოდ თვითმპყრობელობის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებას, იმ თვითმპყრობელობისაგან, რომელიც არარუს ხალხებთან ერთად რუს ხალხსაც ჩაგრავდა, ბატონყმობას ებღაუჭებოდა, ებრძოდა ყოველგვარ პროგრესს. თერგდალეულთა ასეთი მისწრაფება სავსებით ესიტყვებოდა რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, აფართოებდა მის მასშტაბებს.

თერგდალეულთა ეს ლოზუნგი "ჩვენ თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს", მისი არსი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისას მომწიფდა და მიმართული იყო რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ მას სხვა შინაარსი ჰქონდა წინიჭებული, ქართველ შეთქმულ თავადებს ბატონყმური ურთიერთობის ხელშეუხებლად სურდათ საქართველოს შინაგანი დამოუკიდებლობის აღდგენა.

60-იან წლებში ლოზუნგმა "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ახალი სოციალური შინაარსი შეიძინა, რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსით შეივსო. იგი ამიერიდან რუსეთის მფლობელობაში შემავალი ხალხების ეროვნულ სრულუფლებიანობას, მათ შინაგან დამოუკიდებლობას გულისხმობდა. ყოველივე ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან, ანუ როგორც თერგდალეულები იტყოდნენ ხოლმე, ახალ რუსეთთან ურთიერთობასა და თანამეგობრობით.

ქართველი სამოციანელები ილიასა და აკაკის მეთაურობით ყველაფერს აკეთებდნენ ერის გამოღვიძებისათვის, მისი ბრძოლისათვის მოსამზადებლად.

აკაკი ამბობდა: "ჩვენ უნდა წინდაწინვე გადავწყვიტოთ და მოვამზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ... ვიყოთ მსხვერპლი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისა. ვიღვაწოთ მამულის გულისათვის და ეს მოღვაწეობა დაჰბადებს ათას ჩვენზე უკეთესს მომავალ მუშას" [117, გვ. 293-294].

პოეტის ეს სიტყვები ზუსტად ასახავდა იმ პატრიოტთა განწყობილებას, რომლებსაც რევოლუციური მოძრაობის საერთო აღმავლობის ეპოქაში სამშობლოში მოეჩქარებოდათ.

ხალხთა მეგობრობის დიად იდეებზე დამყარებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას წარმატება მოჰყვებოდა რუს ხალხთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე. მაგრამ ამავე დროს თერგდალეულნი მკაცრად ილაშქრებდნენ რეაქციული რუსეთის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

1865 წელს პირწავარდნილმა რუსმა რეაქციონერმა კატკოვმა "მოსკოვსკიე ვედომოსტის" ფურცლებზე გამოაქვეყნა პროვოკაციული წერილი საქართველოსა და სომხეთის შესახებ და ამ ხალხს ბრალი დასდო სეპარატიზმში. ნ. ნიკოლაძემ "კოლოკოლის" ფურცლებზე გასცა მკაცრი პასუხი. ნ. ნიკოლაძე არ მოერიდა და ამხილა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ქართველი ხალხის ინტერესებთან შეუთავსებლობა, არც ის დაუმალია, რომ ქართველი ხალხი სიმპათიებით იყო გამსჭვალული პოლონეთის ეროვნული მო-

ძრაობისადმი, მაგრამ არც ქართველ და არც სომეხ ხალხს არ გამოუჩენია სეპარატიული განწყობილება, ხალხს კარგად ესმის რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობა, ისინი ებრძვიან მხოლოდ ცარისტულ რეჟიმს [79, გვ. 196]

ნ. ნიკოლაძეს, ჩერნიშევსკისა და გერცენის ერთგულ თანამებრძოლს, ღრმად სწამდა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება მიზანს მაშინ მიაღწევდა, თუ პოლონეთიც, კავკასიაც და რუსეთის სხვა განაპირა კოლონიური მხარეები რუს ხალხთან ერთად წარმართავდნენ ბრძოლას.

ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს სეპარატულ გამოსვლას იგივე ბედი ელოდა, რაც პოლონეთს და მიიყვანდა საქართველოს ისეთსავე "სასაკლაომდე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლიანად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზეთს" [79, გვ. 173].

თერგდალეული ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობაში ეროვნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროგრესული რევოლუციური დემოკრატიული ძალების ბრძოლასთან, რომელიც ცარიზმის დამხობას და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამყარების თავიანთი მოღვაწეობის ძირითად დევიზად თვლიდნენ, მხოლოდ ამ გზით ფიქრობდნენ ქართველი განმანათლებლები ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ლიკვიდაციას და ეროვნული დამოუკიდებლობის განხორციელებას. "დროა, დიდი ხანია დროა, - წერდა ი. გოგებაშვილი, - ბოლო მოეღოს ამ ფრიად სათაკილოს და დამამხობელს ჩვენს მდგომარეობასა, დროა მონურს ლაჩრობას ზურგი შევაქციოთ და ადამიანური უნარი გამოვიჩინოთ. დროა, ყველამ თავის წრეში უკანონო დაბრიყვება ითაკილოს, შეებრძოლოს მას და აღადგინოს თავისი ადამიანური ღირსება. დროა გავაჩაღოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ყოვლის ჩვენის დათრგუნვილის უფლებისა, საარსო მოთხოვნილებისა. გავაჩაღოთ არა მარტო ჩვენს ენაზედ, არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიც გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინაურებულს დასს რუსეთისას. დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და

ადგილი კავკასიის ერთა შორის. ერთა დაბალი დონის მდგომარეობა სამარცხვინოდ მივიჩნიოთ ყველამ და მაღალ დონეზე ჩვენს გადაქცევას მხნედ და გაბედვით ვეცადოთ"[44, გვ. 299].

ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობაში ეროვნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპერიის პროგრესული რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების ბრძოლასთან, რომელიც ცარიზმის დამხობისა და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამყარების თავიანთი მოღვაწეობის ძირითად დევიზად თვლიდნენ. მხოლოდ ამ გზით ფიქრობდნენ ქართველი განმანათლებლები ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ლიკვიდაციის და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას.

ქართველი განმანათლებლები თვლიდნენ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში ყველას თავისი წვლილი შეეძლო შეეტანა და, მათი აზრით, თავადაზნაურობა ამ დიად ისტორიული მისიის განხორციელებისათვის ბრძოლაში გარკვეულ ძალას წარმოადგენდა, ვინაიდან "ყველა მრავალეროვანი ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა მოძრაობაში, მეტნაკლებად საზოგადოების ყველა კლასი, ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა" [91, გვ. 461].

თერგდალეულები, რომლებიც აღიარებდნენ კაპიტალიზმის პროგრესულობას, ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. მათი მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის დაახლოება, საუკეთესო ზნე-ჩვეულებების გაცნობა. ისინი თვლიდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის დაახლოებას, ეროვნული დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციას ხელს შეუწყობდა რკინიგზის მშენებლობა, რომელიც კუთხურობასა და კარჩაკეტილობას მოშლიდა.

თერგდალეულებს უნდოდათ შეექმნათ ისეთი სამართლიანი საზოგადოება, სადაც ადგილი არ ექნებოდა ადამიანის არც სოციალურსა და არც ეროვნულ ჩაგვრას, მოისპობოდა ყოველგვარი წოდებრივი პრივილეგიები და კანონის წინაშე ყველა თანასწორი უფლებით ისარგებლებდა. ერთი სიტყვით,

თერგდალეულებს სურდათ ქვეყანაში ძმობა-თანასწორობა და თავისუფლება დაემყარებინათ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და აგრარულ-გლეხური მოძრაობა თავისი შინაარსით სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისა იყო, რომლის მიზანი არა მარტო კოლონიური ჩაგვრის უღლის გადაგდება, არამედ გლეხთა განთავისუფლება და ფეოდალურ-ბატონყმური დამოკიდებულების ყოველგვარი ნაშთების მოსპობა იყო, ამდენად ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მისი განვითარების ყველა ეტაპზე პროგრესულ მოძრაობას წარმოადგენდა [62, გვ. 250].

კონკრეტულ-ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ხოლო ამ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში წინა პლანზე წამოიწევდა ხან ეროვნული, ხან სოციალური საკითხი. განსახილველ პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩვენი აზრით ერთნაირი სიძლიერით აჟღერდა როგორც ეროვნული, ისე სოციალურ-პოლიტიკური საკითხები.

თერგდალეულები აკრიტიკებდნენ საგლეხო რეფორმის მახინჯ მხარეებს. თერგდალეულთა ერთ-ერთი პროგრამა აისახა ნიკო ნიკოლაძის წერილში "გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", რომელიც დაიბეჭდა 1866 წელს გერცენისა და ოგარიოვის "კოლოკოლში". ნიკო ნიკოლაძე აღნიშნულ წერილში წერს: "რადგან ბატონყმობის კვალის ბოლომდე დამთავრება შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ... გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მესაკუთრეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მესაკუთრეს მისცეს ან მის ხელში რჩება... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოაქვეყნა მებატონეობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულის დაკანონება" [80, გვ. 251–271, 91, გვ. 517].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გლეხთა სოციალური საკითხის გადაჭრის გარეშე არ მიმდინარეობდა. ი. ჭავჭავაძე მთელი თავისი

მოღვაწეობის მანძილზე დიდად უკმაყოფილო იყო საგლეხო რეფორმის გაუ-კუღმართებულად გატარებისა. მან მკაცრად გააკრიტიკა საგლეხო რეფორმა თავის ცნობილ წერილებში "ცხოვრება და კანონი", რომელიც დაიბეჭდა "ივერიის" ფურცლებზე 1877-1881 წლებში. ი. ჭავჭავაძე წერს: "1864 წელს მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდე-ბულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარ ჰქონდა... განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლე-ხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდე. ჩვენდა საკეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუ-ტოვეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის. აი, ჩვენის ფი-ქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა" [24, გვ. 201].

თერგდალეულები მოითხოვდნენ გლეხებისათვის მიწის მიცემას. გლე-ხების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, ხიზნების პრობლემის სა-მართლიანად გადაჭრას, სოფლის საზოგადოების მართვის სწორ საწყისებზე მოგვარებას და სხვ.

ქალაქის მშრომელი მოსახლეობის დუხჭირ ცხოვრებას, სოციალური და ეკონომიკურ უთანასწორობას, ადამიანის სიცოცხლის მიზნად "კეთი-ლი საქმისა" და "დაცემულის აღდგენის" აღიარების შემდგომ გაღრმა-ვებას მიუძღვნა გრ. ორბელიანმა ლექსი "მუშა ბოქულაძე" რომელშიც

ასახა ქალაქის მშრომელი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა. ლექსი წარმოადგენს მუშის მონოლოგს, რომელიც თვითონ აგვიწერს და ახასიათებს თავის სულიერ, ფიზიკურ და ნივთიერ მდგომარეობას, ესაა ალსარება შრომისაგან წელში გაწყვეტილი, უილაჯო და ლონემიხდილი ადამიანისა, რომელიც სოციალური ანტაგონიზმის მსხვერპლი გამხდარა. ლექსი იწყება მუშის გარეგნობის აღწერით: "ოფლით გასვრილსა და მტვრიანს", "კისერჩაღანგებულს", "ბედით დაჩაგრულ " და "სიყრმიდანვე სილარიბით დევნილ:" პროლეტარს, რომელსაც "სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია ლუკმა პურის შოვნით" [39, გვ. 122-124]

პოეტმა დაინახა საზოგადოების შინაგანი გათიშულობა და გულწრფელად თანაუგრძნო სოციალური უსამართლობის მსხვერპლ მუშა ბოქულაძის სახით

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულები კარგად ხედავდნენ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად როგორ ხდებოდა მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკება ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მცირერიცხოვანი, მაგრამ ეკონომიკურად მზარდი ადამიანთა ჯგუფი სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის რიგებში აერთიანებდა არა მარტო 60-იანელთა რევოლუციურ ახალგაზრდობას, არამედ ეგრეთწოდებულ "კონსერვატორულ" თავადაზნაურობას, რომელიც თავისი ახალგაზრდა თაობასთან ერთად იბრძოდა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის. თუმცა მათ შორის ე.ი. 60-იანელებსა და "კონსერვატორულ" თავადაზნაურობას შორის სოციალურ საკითხებში ურთიერთ საწინააღმდეგო პოზიციებიც არსებობდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ამ პერიოდში მიმდინარეობდა. ისინი დადებითად აფასებდნენ მოსახლეობის ისეთ დიდ გამოსვლებს, როგორიც იყო 1865 წლის აჯანყება თბილისში.

1865 წლის 27 ივნისს თბილისში მოხდა ამქართა აჯანყება. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ამქრები, წვრილი ხელოსნები და ვაჭრები. აჯანყება გამოიწვია ახალმა დამატებითმა გადასახადებმა. აჯანყების საბაბი გახდა ქალაქის თავის განკარგულება გადასახადების აკრეფის შესახებ; ამქრებმა ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკება სცადეს, მეფისნაცვალს განცხადება წარუდგინეს და გადასახადებისაგან განთავისუფლება სთხოვეს, მაგრამ ამით ვერაფერს გახდნენ, მაშინ 27 ივნისს დილიდან დაიხურა ყველა დუქანი, ათი ათასამდე კაცმა - ხელოსნებმა, მეეტლეებმა, თელუხჩებმა, მეფურნეებმა, შავმა მუშებმა, მემწვანილეებმა და, საერთოდ, ქალაქის ღარიბმა მოსახლეობამ თავი მოიყარა ერევანსკის მოედანზე და იერიში მიიტანა საპოლიციო სამმართველოზე. მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელმა გრ. ორბელიანმა და სამხედრო გუბერნატორმა ნ. ჭავჭავაძემ სცადეს ხალხის დაშოშმინება, მაგრამ უშედეგოდ. ხალხმა აიკლო ქალაქის თავის ბინა. მოკლა გადასახადების ამკრეფი. აჯანყებულთა წინააღმდეგ მთავრობამ ჯარი გამოიყენა და მღელვარება ჩაახშო. [ ]

ამ ისტორიული მოვლენისადმი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა გარკვეული პოზიცია დაიკავეს და შეაფასეს იგი, როგორც მშრომელი კლასის ჩაგვრის კიდევ უფრო გაძლიერება. ამ საკითხის გამო წერილები დაიბეჭდა გერცენისა და ოგარიოვის "კოლოკოლში", რომლის ავტორად სამართლიანადაა მიჩნეული, ნიკო ნიკოლაძე [ 162, გვ. 17 ].

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთა და შეგნებულ მონაწილეთა უმრავლესობა ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის პროპაგანდას და შეძლებისდაგვარად პრაქტიკულადაც საქმიანობდა ამ მიმართულებით. მომდევნო ხანაში საერთაშორისო ვითარება შეიცვალა. პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის შინაპოლიტიკური მდგომარეობაც გართულდა. გაძლიერდა მეფის მთავრობის რეპრესიები.

როგორც სოციალ-რევოლუციონერების, ისე ეროვნულ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, შეზღუდა ქართველ პატრიოტთა ეროვნული იდეალები. მათ ანგარიში გაუწიეს შექმნილ სიტუაციას, დროებით ხელი აიღეს პროგრამა-მაქსიმუმზე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაზე და ძალაუნებურად კმაყოფილდებოდნენ პროგრამა-მინიმუმით, ეწეოდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნისა და საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს მოწყობის იდეის პროპაგანდას, ცდილობდნენ ამ პროგრამის მხარდასაჭერად განეწყოთ რუსეთის საზოგადოებრიობა და მთავრობის წრეები [29, გვ. 130].

XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართველი მოღვაწეები იძულებული იყვნენ ეწერათ ეზოპეს ენით. ისინი ვერაფერს ამბობდნენ რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ. ქართველი პუბლიცისტები პრესის ფურცლებზე ავსტრიის იმპერიის შინაპოლიტიკური წყობილების ევოლუციას აშუქებდნენ, მიესალმებოდნენ ფედერაციის საწყისებზე ავსტრიის გარდაქმნის გეგმებსა და პრაქტიკას და სტრიქონებს შორის ამასვე ნატრობდნენ რუსეთის იმპერიისთვისაც [29, გვ. 131].

1870 წელს ნ. ნიკოლაძემ "დროებაში" გამოაქვეყნა წერილი "ავსტრიის მდგომარეობა", ავტორი აღნიშნავს, რომ ავსტრიის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ცალკეული ერების სურვილისათვის ყველაზე უწინ მან უნგრეთთან შერიგება მოინდომა. მისცა მას ავტონომია. ახლა თვითმმართველობას მოითხოვენ ჩეხები, სერბები, პოლონელები და სხვა ერები. თუ ავსტრიის მთავრობამ ეს სამართლიანი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა ეროვნული რევოლუციები გარდუვალი იქნება - დაასკვნის ავტორი [20, გვ. 73-77].

ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგებისა და ეროვნული საკითხის მართებული გადაწყვეტის ნიმუშს თერგდალეულები ხედავდნენ შვეიცარიის ფედერაციული რესპუბლიკის, აგრეთვე საფრანგეთისა და გერმანელებით დასახლებული პროვინციის - ელზასის ურთიერთობის მაგალითზე [29, გვ. 132].

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ საფრანგეთმა ელზასი XVII საუკუნეში დაიპყრო და ელზასელები საუკუნეზე მეტხანს იბრძოდნენ საფრანგეთის მეფეების წინააღმდეგ. "მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუციამ საფრანგეთსაც და მაშასადამე ელზასაც, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესი და წყობილება შეუცვალა... შეიცვალა ელზასელების გრძნობა საფრანგეთისადმი. რაკი საფრანგეთმა ელზასელს ჩინებული პოლიტიკური უფლებები მისცა, რაკი ელზასელი თავისუფალი შეიქმნა და მას მოქალაქეობრივი სიმართლე და თანასწორობა, კენჭი და თვითმმართველობა მიეცა, რაკი ელზასელმა თავისთავი დაუჩაგრავ მამულიშვილად ცნო, საფრანგეთს როდიღა დასჭირდა სხვანაირი ღონისძიებების ხმარება ელზასის "გასაფრანცუზებლად". ელზასელებმა შეინარჩუნეს გერმანული ენა, კულტურა, საკუთარი თვითმმართველობა და სწორედ ამიტომ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ისინი გადაიქცნენ საფრანგეთის ერთგულ მოქალაქეებად და პოლიტიკურად გაფრანგდნენ. ამის გამო ელზასელები 1870 წელს მტრულად შეხვდნენ გერმანიასთან შეერთებას "სამშობლო ოჯახში დაბრუნებას" [80, გვ. 125-126]

1673 წელს ნ. ნიკოლაძემ, დ. მიქელაძემ, პ. იზმაილოვმა პარიზში გამოსცეს თავისუფალი ქართული გაზეთის "დროშის" სამი ნომერი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული საკითხისადმია მიძღვნილი. პ. იზმაილოვს იდეალად მიაჩნდა თავისუფალი ფედერაცია კავკასიელი ხალხებისა, რომლისთვისაც საფუძველი უნდა მოემზადებინა მხარეში დაარსებული საერთო თვითმმართველობის ორგანოებს. ავტორი ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების საკითხს არც აყენებდა. იგი იმედს ამყარებდა გართულებულ საერთაშორისო ვითარებაზე, რაც ცარიზმს აიძულებდა დაეტოვებინა კავკასია. თუ ასეთი ბედნიერი მომენტი დადგებოდა, პ. იზმაილოვის ღრმა რწმენით, საერობო თვითმმართველობებში მუშაობით პოლიტიკური მოღვაწეობისათვის მომზადებული ამიერკავკასიის ხალხთა ლიდერები შეძლებდნენ ერობის ყრილობის გადაქცევას საყოველთაო პოლიტიკურ კრებად, რომელიც გამოაცხადებდა კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას [130, გვ. 315-316: 29, გვ. 140]

იმავე გაზეთის მეორე პუბლიცისტს დ. მიქელაძეს კი მიაჩნდა, რომ მშვიდობიანი ეკონომიკური პროგრესი და საერობო თვითმმართველობის მოპოვება ქვეყანას ვერ უშველიდა. ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკის პირობებში კავკასიის ერებს გაქრობა ელოდა. დ. მიქელაძის აზრით, იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი: მთელი ცოდნა გამოცდილება, ენერგია მოეხმარებინათ საყოველთაო აჯანყების მომზადებისათვის და, როცა რუსეთის ცარიზმი გარეშე მტერს შეებმოდა, ქუდზე კაცი გამოეყვანათ, თავგანწირული ბრძოლა დაეწყოთ სამშობლოს განთავისუფლებისათვის [130, გვ. 319].

1874 წელს ჟენევაში ჩატარდა კავკასიელ მოღვაწეთა კონგრესი, რომელსაც თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენელი ესწრებოდა. კონგრესის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთიდან გამოყოფას და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას [130, გვ. 321; 29, გვ. 140].

თერგდალეულები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის პროპაგანდას ეწეოდნენ და ამ მიმართულებით შეძლებისდაგვარად პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. მაგრამ მათმა უმრავლესობამ კარგად იცოდა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ აჯანყებას არ შეიძლება მოჰყოლოდა წარმატება და ამჯერადაც ანგარიში გაუწიეს შექმნილ სიტუაციას, დროებით ხელი აიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაზე. თერგდალეულები ცდილობდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნის და საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეის პროპაგანდა გაეწიათ და საზოგადოებრიობა და მთავრობის წრეები განეწყოთ ამ პროგრამის მხარდასაჭერად.

ი. ჭავჭავაძეს ამ პრობლემის გადაწყვეტა ასე ჰქონდა წარმოდგენილი; საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ჯერ შეზღუდული სუვერენიტეტის, ავტონომიის ფორმით, შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობით.

ი. ჭავჭავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნული რუსეთის სახელმწიფოს აბსოლუტურ-ბიუროკრატიული და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია. ამ ფედერაციაში საქართველო და სხვა განაპირა ქვეყნები უნდა შესულიყვნენ თვითმმართველი ავტონომიური ერთეულების სახით. ასეთი წყობილების შექმნით მოიპოვებდა რუსი ხალხი სხვა ერების თანამოქალაქეთა ნდობას და სიყვარულს, ასეთი წყობილება გახდებოდა ამ მრავალეროვნული სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების საფუძველი [29, გვ. 140.144].

ასე ჩამოაყალიბა ი. ჭავჭავაძემ თერგდალეულების სამოქმედო სამოღვაწეო პროგრამა, რომელმაც ძალა და მნიშვნელობა შეინარჩუნა XIX საუკუნის ბოლომდე. ამ პროგრამის განხორციელებით პროგრესული ძალების პოლიტიკურად გააქტიურებას იწვევდა, ეს კი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობებს ქმნიდა.

საქართველოში ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობა აღმოცენდა XIX საუკუნის დასაწყისში, 60-იანი წლებიდან იგი თვისობრივად თავის განვითარების ახალ ეტაპში გადაიზარდა და ეროვნულთან ერთად, სოციალური და დემოკრატიული შინაარსის მოძრაობად გადაიქცა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ფართო მასშტაბის პოლიტიკური მოძრაობა იყო. რომელსაც საკუთარი მოქმედების პროგრამა ედო საფუძვლად, ამ პროგრამაში უპირველესი ადგილი ეჭირა ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას, ბატონყმობისა და მისი გადმონაშთების აღმოფხვრას [62, გვ. 259].

მეფის თვითმპყრობელობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას მკაცრი ზომებით ცდილობდა, მაგრამ ვერ შესძლო გამათავისუფლებელი იდეების მოსპობა. პირიქით - რაც უფრო ძლიერდებოდა ორმაგი ჩაგვრით შეწუხებული ხალხის ტანჯვა, მით უფრო

ნოყიერი ნიადაგი იქმნებოდა გამათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ იდეებმა თავისი გამოხატულება და ანარეკლი ჰპოვეს ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ. 60-იანი წლებიდან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე ეს იდეები გააღრმავეს, გააფართოვეს და განამტკიცეს სახელოვანმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა - თერგდალეულებმა ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის მეთაურობით. თერგდალეულთა მოთხოვნები ასახავდნენ მაშინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საჭირბოროტო საკითხებს. თერგდალეულები ანტიბატონყმური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის საფუძველზე ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის დიდი ბრძოლის სამსახურში ჩადგნენ.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაყრდენი ხალხი იყო. ხალხის ძალებისადმი რწმენამ განაპირობა 60-იანელთა მთელი პროგრამა. თერგდალეულთა ღრმა რწმენით, რუსეთის შემადგენლობაში მოქცეული საქართველოს ისტორიული განვითარება, ქვეყნის რევოლუციურად გარდაქმნა და კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღლის დამხობა შეიძლებოდა მხოლოდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთსა და საქართველოში ერთნაირი შინაარსისა იყო მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

რუსეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის მიზანს მხოლოდ სოციალური ჩაგვრისაგან ხალხთა მასების განთავისუფლება შეადგენდა. კოლონიურ დამოკიდებულებაში მოქცეულ საქართველოში კი გამათავისუფლებელი მოძრაობა სოციალურ საკითხთან ერთად ეროვნულ საკითხსაც მოიცავდა, ამიტომ გამათავისუფლებელი მოძრაობა ორმაგად ჩაგვრის ქვეშ მყოფ საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსს ღებულობს. ამიტომ გახდა თერგდალეულებისთვის ეროვნული საკითხი ცარიზმის კოლონიური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების, ერის გადარჩენის, მისი ყოფნაარყოფნის, საკითხი.

თერგდალეულების მოღვაწეობის შესახებ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო არასწორი მოსაზრება, თითქოს თერგდალეულები - გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველები იყვნენ. საკმაო ხნის განმავლობაში ასეთი შეხედულება შეურყეველ ჭეშმარიტებად ითვლებოდა. დროთა მსვლელობაში შედარებით სწორი აზრი გამოჩნდა. დღევანდელმა ისტორიოგრაფიამ აღიარა, რომ თერგდალეულები არ იყვნენ და არ შეიძლება ყოფილიყვნენ გაბატონებული კლასების იდეოლოგიის წარმომადგენლები. ბოლო დროს მკვლევართა ნაწილმა თერგდალეულები მიიჩნია გლეხობის ინტერესების დამცველად (პ. რატიანი და სხვ.).

თერგდალეულები არ იყვნენ ერთი რომელიმე კლასის წარმომადგენლები. ისინი გამოხატავდნენ მთელი ხალხის, მათ შორის მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ვ.ი. ლენინი განმანათლებლების მსოფლმხედველობის შესახებ აღნიშნავს, რომ "განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ"[9, გვ. 656].

პ. რატიანი 1962 წელს გამოცემულ ნაშრომში "თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან" წერს, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ არა ექსპლოატატორული კლასების (თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის, ნ.გ.) არამედ მშრომელი ხალხის, პირველ რიგში გლეხობის იდეოლოგები" (88, გვ. 24).

პ. რატიანი თავის შეხედულებას თანმიმდევრულად იცავს 1965 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "ი. ჭავჭავაძე", სადაც იმეორებს: ი. ჭავჭავაძე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძირითადად "ერთი რომელიმე წოდების იდეოლოგად", პირიქით, შეიძლება და აუცილებელიცაა აღიარებული იქნას იგი ძირითადად სწორედ ერთი წოდების (კლასის) იდეოლოგად, სახელდობრ გლეხობის იდეოლოგიად"[86, გვ. 402].

ვ.ი. ლენინი წერს, რომ განმანათლებელთა თაობამ "მშრომელი მასების ინტერესებისათვის ზრუნვა გვიანდერძა" [9, გვ. 659].

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში ახალი ურთიერთობანი ღრმა სოციალურ-კულტურული ძვრებით აღინიშნა. კაპიტალისტური ურთიერთობანი სწრაფად ვითარდება. ამ ურთიერთობისათვის ხელის შეწყობა, მისი განვითარების დაჩქარება წარმოადგენს თერგდალეულების სამოღვაწეო პროგრამის ძირითად არსს. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი განმანათლებლები ბურჟუაზიის იდეოლოგები არიან, როგორც ამის შესახებ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ქვეყნის ევროპიზაციისათვის ხელის შეწყობა და ბურჟუაზიის იდეოლოგობა. ბურჟუაზიის იდეოლოგია ნიშნავს მათი სასიცოცხლო ინტერესების გამართლებას, არსებული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. ამდენად ბურჟუაზიის იდეოლოგები არ გამოდიან არსებული წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ, ისინი მხოლოდ აკრიტიკებენ ბურჟუაზიული წყობილების ცალკეულ მხარეებს.

თერგდალეულები ხელს უწყობდნენ ქვეყნის ევროპიზაციას, ამასთან არ ივიწყებენ, რომ არსებული ურთიერთობანი მომავალში შეიცვლება უფრო პროგრესული წყობილებით, სადაც შრომის სუფევა გაიმარჯვებს [107].

თერგდალეულთა მსოფლმხედველობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის რევოლუციური დემოკრატების მსოფლმხედველობასთან, ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თერგდალეულებს ბრმად არ გადმოუღიათ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის შეხედულებანი. თერგდალეულების პროგრამა შეესაბამებოდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური განვითარების მოთხოვნებს.

თერგდალეულების მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ საფუძვლიანი და ღრმა მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ ბანაკის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს ნ. ნიკოლაძეს სტატიაში "ახალი ახალგაზრდობა", სადაც საკმაოდ საფუძვლიანად იხილავს 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე

გამოსული ახალი თაობის მოღვაწეობის ძირითად მხარეებს, იმ რთულ ვითარებას, რომელშიც მათ მოუხდათ მოღვაწეობა.

ნ. ნიკოლაძე ძველი თაობის გადაგვარებას და დამორჩილებას კარგად ხედავს. მისი აზრით, "მათი დახმარების მიზეზი – უფრო ცხოვრებისა და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა" [80, გვ. 201, 202].

ნ. ნიკოლაძე გამოსთქვამს რწმენას, რომ ახალი თაობა "პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე ... ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ. ეს ახალი თაობა, თავისი რწმენებით, თავისი იმედით, თავისი მხურვალე სურვილით აღტაცებით გვაახლოებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულმომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევდგით" [80, გვ. 221].

თერგდალეულების გამოსვლა უთუოდ დიდ რევოლუციურ მოვლენას წარმოადგენდა ჟურნალისტიკის პუბლიცისტიკისა და მთელი საზოგადოებრივი აზრის სფეროში" [49, გვ. 341].

ჯერ კიდევ 60-იან, ხოლო შემდეგ 70-იან წლებში გაიშალა პოლემიკა, რომელიც იყო კონკრეტული გამოვლენა იმ წინააღმდეგობისა, რომლის დაძლევა უხდებოდათ რევოლუციურ დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულ თერგდალეულებს თავიანთი მოღვაწეობის გზაზე. თერგდალეულების ღრმა რწმენით, საქართველოში საჭირო იყო კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარება იმისათვის, რომ მომზადდეს ნიადაგი სახალხო რევოლუციისათვის, რომელიც ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ექსპლოატაციას. ერთ-ერთ კორესპონდენციაში, რომელიც "დროების" ფურცლებზე გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: "ვიწუგეშოთ თავი იმედით, რომ მუდამ ესეთი არ იქნება ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენს საზოგადოებას გაეღვიძება გონება, გამოფხიზლდება, სხვებს შეხედავს და მერე თავის თავზეც დაიხედავს. მოვა დრო, როცა ჩვენც ვიგრძნობთ ჩვენს ახლანდელ არარაობას, მკვდარ სიცოცხლეს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომ მოვინდომებთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას" [214, გვ. 123].

ქართველი თერგდალეულები-განმანათლებლები, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას, კარგად ხედავდნენ, რომ ბრძოლისაკენ მოწოდება იმ პერიოდში ყოვლად დაუშვებელი იყო. ჩვენის აზრით, ხალხოსნური ორგანიზაციების რევოლუციური მოღვაწეობის მარცხი გახდა გამაფრთხილებელი თერგდალეულებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ხალხოსნური ორგანიზაციების დამარცხების შემდეგ 1876–1877 წლებში ილია გამოვიდა კლასობრივი ბრძოლის საერთო ნიადაგის თეორიის ქადაგებით.

სწორედ აღნიშნული თეორიის ქადაგება წარმოადგენდა განმანათლებლების თვალსაზრისის დაცვის გაგრძელებას ახალ პირობებში. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ იმ პერიოდში არ არსებობდა რევოლუციური ძალა, რომელიც შესძლებდა არსებული წყობილების დამხობას. თერგდალეულები არ იზიარებდნენ გლეხური რევოლუციის ხალხოსნურ იდეას. მით უმეტეს, იმ პერიოდში ხალხოსნური მოძრაობის დამარცხებამ აიძულა თერგდალეულები თავიანთი ტაქტიკა შეეცვალათ. თვით ხალხოსნებსაც კი აღარ შეეძლოთ აშკარად გამოსულიყვნენ რევოლუციური ბრძოლის ქადაგებით.

მაშასადამე, ილია 1877 წელს თითქოს გაფრთხილებას იძლევა, რომ ჯერჯერობით რევოლუციისათვის ხალხი მზად არ არის. ამავე დროს თეორიულად განაზოგადებს ხალხოსნების რევოლუციური მოღვაწეობის დამარცხებას, მოუწოდებს ეროვნული კონსოლიდაციისაკენ. ნაროდნიკების როგორც გლეხური რევოლუციის ძირითადი შეხედულების წინააღმდეგ ბრძოლის თეორიული დებულება: ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება აღმოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური და მღვდელი ყველგან ერთი ძმურად ცხოვრობენ, არა, – ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამის მიზეზი თვითონ წოდებათა წყობას, მის შინაგან

არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ" [125, გვ. 56-57].

ი. ჭავჭავაძეს სურს საქართველო იხილოს მთლიანი და დაუქსაქსავი. იგი წინააღმდეგია შინაგანი განხეთქილებისა, მით უფრო წოდებათა შორის ანტაგონიზმის გამწვავებისა, ილიას მიაჩნია, რომ ყოველივე ეს საზიანოა საქართველოსათვის.

ზოგიერთი ქართველი მკვლევარი თერგდალეულებს მიიჩნევს დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეების გამტარებლად, რაც არასწორია და აი რატომ ვ.ი. ლენინს ჩერნიშევსკი მიაჩნდა ერთსა და იმავე დროს განმანათლებლადაც და ნაროდნიკადაც, ე.ი. მისი მსოფლმხედველობაში აღნიშნულ საზოგადოებრივ მიმართულებათა ნიშნები ერთიმეორეზეა გადანასკვული.

ხალხოსნობის მკვლევარი ბ. კოზმინი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩერნიშევსკი ერთსა და იმავე დროს განმანათლებელიც არის და ნაროდნიკიც [166, გვ. 659].

ზემოაღნიშნულის გამო არ შეიძლება ჩვენის აზრით, ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობის გაიგივება თერგდალეულების მსოფლმხედველობასთან.

ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას 70-იან წლებში გააჩნდა იდეური ცეცხლი და გზა. თერგდალეულები შექმნილი ვითარების შესაბამისად მოქმედებდნენ. მათ სწამდათ, რომ ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული სიტუაცია აჯანყებისათვის. თუმცა მათ ყველაფერი გააკეთეს ქართველი ერის გამოღვიძება გამოფხიზლებისათვის, გაუღვივეს სამშობლოს სიყვარული.

70-იანი წლების მეორე ნახევარში თერგდალეულთა სახელოვანი პლეადა ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი; ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, და სხვები, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში იდგნენ და ხელი ეპყრათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. თერგდალეულებმა გაუღვივეს ქართველ ხალხს ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, პატრიოტული შემართება, ყოველგვარი ჩაგვრისადმი შეურიგებლობა. ფსიქოლოგიურად ამზადებდნენ ქართველ ხალხს გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

თერგდალეულები მეტი გაბედულებით და დაჟინებით ახორციელებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში.

თერგდალეულები ცარიზმის რეაქციული კოლონიური პოლიტიკის მკაცრ პირობებშიც კი მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. "ნაროდნაია ვოლიას" წევრების მიერ ალექსანდრე მეორის მკვლელობას აღტაცებით მიესალმა აკ. წერეთელი, რომელმაც დაწერა ლექსი "გაზაფხული" ეს ლექსი ხელნაწერის სახით როგორც პროკლამაცია ხელიდან ხელში გადადიოდა და ახალგაზრდობას ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ამრიგად, თერგდალეულები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და განასახიერებდნენ მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ავანგარდულ ძალას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. თერგდალეულები რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების მხარდამხარ იდგნენ და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის 60-იან წლების მეორე ნახევრისა და 70-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ობიექტურად ითვალისწინებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წეს-წყობილების გამარჯვებას, რომელიც, მათი აზრით, ხალხს მისცემდა ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებას. მიზნის მიღწევას თერგდალეულები სხვადასხვა გზით აპირებდნენ. აქ ჩვენ შეგვიძლია არ გავიზიაროთ ზოგიერთის მოსაზრება, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ ერთი მაინც უდაოა - თერგდალეულები პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას ცდილობდნენ რუსეთის იმპერიის დემოკრატიულ ძალებთან ერთად.

თერგდალეულების პოლიტიკური ბრძოლა არ იყო მიმართული რომელიმე სხვა ხალხის წინააღმდეგ. პირიქით - თერგდალეულები ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი ნაკადი, წარემართათ თავიანთი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამაში იყო მათი ძალაც, მაგრამ ამავე დროს სისუსტეც, რადგან ამ ბრძოლაში ჩაგრული და მჩაგვრელი მოსახლეობის გაერთიანება ერთიანი მიზნის მისაღწევად ვერ მოხერხდა, მაგრამ თერგდალეულებმა ვერ

შესძლეს ის წინააღმდეგობის გადალახვა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის (გლეხებსა და აზნაურებს შორის, ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის) და ა.შ.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თერგდალეულების ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა იმდენად მაღლა იდგა, რომ მირითადი საზოგადოებრივი ძალები, უპირველეს ყოვლისა გლეხობა არ აღმოჩნდა მზად მისი ცხოვრებაში გასატარებლად, რაც ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობაში.

## § 2. კლასობრივი ბრძოლა საქართველოში 1866–1877 წწ.

ბატონყმობის გაუქმებას ქართველი ხალხი, როგორც მოსალოდნელი იყო, აღტაცებით შეხვდა. მაგრამ გლეხის ეს საზეიმო განწყობილება დროებითი აღმოჩნდა. სინამდვილემ ის მალე დაარწმუნა, რომ მთავრობა მხოლოდ მოვლენის ზედაპირულ მხარეს შეეხო და არა მის საფუძვლებს. რეფორმამ უშუალო მწარმოებელს მხოლოდ პირადი თავისუფლება მისცა და არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა. გლეხები უმიწოდ დარჩნენ. დებულების ძალით მთელი მიწები მებატონეთა საკუთრებად აღიარეს...

საგლეხო რეფორმამ, რომელიც საქართველოში მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა, სოფლის მშრომელი მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო, მთავარი საარსებო საშუალება - მიწა წაართვა; ამან, ბუნებრივია, სოფლის მშრომელი მოსახლეობა აქტიური კლასობრივი ბრძოლის გზაზე დააყენა, რომლის მიზანი საოცნებო მიწისა და სრული თავისუფლების მოპოვება იყო.

მეფის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებას იმედის გაცრუება და გულის გატეხა მოჰყვებოდა, ამიტომ იყო, რომ რეფორმის გამოცხადების ცერემონიალი ისე მოეწყო, რომ გლეხი ილუზიებიდან არ გამოსულიყო - "მზრუნველი" მეფე თითქოს მათ კეთილდღეობაზე ფიქრობდა.

უმაღლესმა მმართველობამ რეფორმის გამოცხადებამდე წინასწარვე შეიმუშავა საგანგებო ღონისძიება, რათა თავიდან აეცილებინა უსიამოვნება და არ მომხდარიყო გლეხთა "უწესრიგობა". ბატონყმობისაგან განთავისუფლება გლეხობას უნდა მიეღო, მეფის "წყალობად" და თავის ყოფილ მებატონეში დაენახა არა მტერი, არამედ მფარველი. ყოველივე ამან მართლაც მოახდინა ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს.

მანიფესტის გამოცხადების დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები გლეხობას მოუწოდებდნენ ზუსტად შეესრულებინათ ვალდებულება-მოვალეობები, ძველებურად ერთგულნი ყოფილიყვნენ ხელისუფლებისა და მემამულეებისა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: სიღნაღის მაზრის მღვდელი გ. ლამბაროვი გლეხებს მიმართავდა: "არ იფიქროთ, რომ ჭეშმარიტი მადლიერების დასამტკიცებლად საკმარისი იყოს მარტო სიტყვები, თქვენ საქმით უნდა დაამტკიცოთ თქვენი ერთგულება, განსაკუთრებით იმპერატორის წმინდათაწმინდა ნებისა, სცადეთ, ძმებო, სრულიად გაამართლოთ მისი მოლოდინი, ყოველთვის იხელმძღვანელოთ საკუთარი კეთილგონიერებით, გამოცდილი ადამიანების რჩევითა და თქვენი უფროსების შთაგონებით, არ გასწიოთ წინააღმდეგობა" [155, გვ. 58-60].

საგლეხო რეფორმის გამოცხადებამ პირველ ხანებში მართლაც მოახდინა გლეხებზე შთაბეჭდილება. მეფის ნაცვალი და უმაღლესი ჩინოვნიკები არ მალავდნენ თავიანთ სიხარულს გლეხობის საკითხის "მშვიდობიანად" გადაჭრის გამო. მეფის ნაცვალი მიხეილი მეფე ალექსანდრე მეორეს დეპეშით აცნობებდა: "აღტაცება საყოველთაოა და სიხარული-გულწრფელი, ყველაფერი კეთილად დამთავრდა" [156, გვ. 64]. მაგრამ მიუხედავად ამ საზეიმო განწყობილებისა, მალე გაირკვა, რომ გლეხებს საზეიმო არაფერი ჰქონდათ. 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით გლეხებმა ვერ მიიღეს ვერც მიწა და ვერც ჭეშმარიტი თავისუფლება. ამიტომ მაშინვე დაიძაბა ურთიერთობა მებატონეებსა და გლეხებს შორის. გლეხები რჩებოდნენ დროებითვალდებულნი მანამდე, სანამ არ გამოისყიდიდნენ სანადელო გამოყოფილ მიწებს; ყველა

სახაზინო ბეგარა-გადასახადი ძველებურადვე რჩებოდა; თუმცა დებულება გლეხებს უფლებას აძლევდა თავი დაეხსნა, ე.ი. ნადელი შეესყიდა და მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადასულიყო (მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა იგი სახაზინო გადასახადებისაგან და დამოუკიდებელი მეურნე ხდებოდა). მაგრამ ამის გაკეთება გლეხებს არ შეეძლოთ – ნადელის გამოსყიდვას სახსრები სჭირდებოდა, რაც მათ არ გააჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ბატონყმობის გაუქმების პირველივე დღეებიდან დაიწყო გლეხთა მოძრაობა.

გამოჩნდნენ აგიტატორები, რომლებიც ეწეოდნენ რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაციას. ისინი გლეხებს განუმარტავდნენ რეფორმის მძარცველურ ხასიათს, გლეხებს უხსნიდნენ: მიწა თქვენი საკუთრებაა, ყოფილ მებატონეს არავითარი ბეგარა-გადასახადები აღარ ეკუთვნის. თქვენ მინიჭებული გაქვთ სრული თავისუფლება.

აგიტაციამ ზემოქმედება მოახდინა გლეხებზე, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა საწესდებო სიგელების შედგენის დროს. გლეხი აგიტატორები მოუწოდებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ, ურჩევდნენ არ დამორჩილებოდნენ მებატონეებს, უარი ეთქვათ სიგელების შედგენაზე, ხელმოწერასა და მასში წარმოდგენილი პირობების ცხოვრებაში გატარებაზე.

ხელისუფლება სიგელების შედგენას ჩქარობდა, აგიტატორები კი ცდილობდნენ გლეხთა ბრძოლის გაძლიერებით შეეჩერებინათ ან დროებით შეეფერხებინათ დებულების ცხოვრებაში გატარება. რეფორმის პროცესში "საქმეების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იყო – ნახევრად განათლებულ პირთა საქმიანობა, რომელნიც თავიანთი განზრახვითა და ბოროტმოქმედებით ცდილობდნენ მღელვარება და უკმაყოფილება გამოეწვიათ ხალხთა ფართო ფენებში, ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში. [243, საქ. 7, ფ. 28].

ამგვარ აგიტატორთა რიცხვს ეკუთვნოდა ვინმე არსენ ასლამაზაშვილი, რომლის საქმიანობა ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ასეა დახასიათებული: ა. ასლამაზიშვილი ყალბ ხმებს ავრცელებს ხალხში საგლეხო რეფორმის შესახებ, ამახინჯებს დებულების აზრს, ურჩევს გლეხებს არ შეუთანხმდნენ

მემამულეებს, უარი უთხრან გადასახადების გადახდაზე, ხელი არ მოუწერონ არავითარ ქაღალდს, რადგან ეს მათ სამუდამოდ ყმურ მდგომარეობაში დატოვებს; იგი არწმუნებდა მოსახლეობას, რომ მეოთხედი ნაწილი და სხვა მსგავსი გადასახადები მემამულეების მიერაა მოგონილი და რომ იმ წიგნში, რომელიც მას სახლში აქვს, სულ სხვა წერია, ვიდრე გლეხებს უბნებიან [238, საქ. 227., ფ. 1; 153, გვ. 54]. ა. ასლამაზიშვილმა ეს განაცხადა სწორედ მაშინ, როცა 1866 წლის 16 იანვარს სოფ. გერანში (თბილისის მაზრა) მომრიგებელი შუამავალი უხსნიდა გლეხებს საწესდებო სიგელების არსსა და მნიშვნელობას. ამასთანავე ეს ისე "თამამად და თავხედურად" გააკეთა, რომ მომრიგებელი მოსამართლე იძულებული შეიქნა დაეპატიმრებინა იგი.

როდესაც ა. ასლამაზიშვილი მიჰყავდათ, ის გლეხებისაკენ მობრუნდა და აჯერებდა მათ, რომ ისინი არავითარ დათმობაზე არ წასულიყვნენ და საერთოდ უარი ეთქვათ ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე.

ა. ასლამაზიშვილის აგიტაციას უშედეგოდ არ ჩაუვლია "მეორე დღესვე, – ნათქვამია დოკუმენტში, – სოფელ გერანში გლეხები, რომლებიც აქამდე გულმოდგინედ ეხმარებოდნენ მიწის მზომელს გაიქცნენ. ამით ისინი ფიქრობდნენ შეეჩერებინათ მისი სამუშაოები და ჩაეშალათ საწესდებო სიგელების შედგენა [238, საქ. 227, ფ. 1; 153, გვ. 54].

ხელისუფლებამ ა. ასლამაზიშვილის მსგავს აგიტატორების რიცხვს მიეკუთვნებიან გორის მაზრის სოფ. ყინწვისელი დროებითვალდებული გლეხი კ. სააკაშვილი, სოფ. ბროწლეთელი გლეხი გ. ნიკოლაიშვილი, გორის მაზრის სოფლების ლოლისა და გიორგშენის გლეხებში მოღვაწე აგიტატორები – ძმები გუჩაშვილები [243, საქ. 7, ფ. 126]. ისევე გორის მაზრის სოფ. ყორნისელი გლეხები ჯუტაშვილი და კეხოშვილი, ისინი კარდაკარ დადიოდნენ და "დებულების" წინააღმდეგ აქეზებდნენ გლეხებს, ყორნისის მამასახლისი მაზრის უფროსს სწერდა შემდეგი შინაარსის მოხსენებით ბარათს: "მათ (კეხოშვილმა, ჯუტაშვილმა ნ.გ.) ჩამოუარეს ყველა გლეხს და აქეზებდნენ სხვა-

დასხვა ცრუ ხმებით... ურჩევენ გლეხებს არ დაემორჩილონ სოფლის ხელისუფალთა მოთხოვნებს, როგორც უკანონოსა და შემწუხებელს. ჯუტაშვილი და კეხოშვილი აღაგზნებენ გლეხებს საბრძოლველად, თესენ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი უნდობლობას, რაც ხშირად იწვევს ურჩობას" [245, საქ. 21179, ფ. 136-137].

იყვნენ ისეთი აგიტატორები, რომლებიც არა მარტო სიტყვიერ აგიტაციას ეწეოდა, არამედ გლეხების სახელით წერდნენ საჩივრებს, თხოვნებს და გზავნიდა ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციებში. გორის მაზრის მცხოვრებ ი. ელიოზაშვილს ბრალად ედებოდა მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის გამწვავება, უთანხმოებისა და შუღლის ჩამოგდება, უსაფუძვლო საჩივრების შეთხზვა და "ცილისმწამებლური" წერილების წერა [243, საქ. 7. ფ. 22; 26; გვ. 64].

გლეხი აგიტატორები აქტიურად მოქმედებდნენ კახეთშიც. ისინი საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ თანასოფლელებს, უარს აცხადებდნენ მემამულის მორჩილებაზე, დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, მთავრობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ეწეოდნენ დებულების კრიტიკას; ასეთების რიცხვს მიეკუთვნებიან თელავის მაზრის სოფ. კურდღელაურელი ნიკა ჩარექაშვილი, სოფელ იყალთოელი მათე შატირიშვილი, სოფელ კარდენახელი ლაზარე ბელიაშვილი, რომლებიც თანასოფლელებში რეფორმისა და დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებას ქადაგებდნენ [155, გვ. 65].

1869 წელს სოფ. ურიათუბანში ადგილობრივი მკვიდრი გლეხი-აგიტატორებისა ანდრია ლაზარიაშვილის, შერმაზან მამუკაშვილის, კირილე დათუნაშვილის გვერდით აგიტაციას ეწეოდა სოფ. წინანდლიდან გადმოსული გლეხი გიორგი ლუარსაბიშვილი.

ვხვდებით აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთ საქართველოდან გადმოსულ აგიტატორებსაც. კახეთში აგიტაციას ეწეოდა გურიიდან გადმოსული აგიტატორი ანტონ ქიქოძე; მან ენერგიული მუშაობა გაშალა კახეთის გლეხობაში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მომზადე-

ბით, გამჭრიახობითა და გამოცდილებით 26, გვ. 55 ანტონ ქიქოძე იყო არა მარტო აგიტატორი, არამედ კარგი პროპაგანდისტიც. მან მთელი ჯგუფი შემოიკრიბა, მათ შორის მოიხსენიება გოდაბრელიძე, ჩიტაშვილი, ყარალაშვილი, კოსოლაშვილი, ბაქრაძე და სხვ.[243, საქ. 152, ფ. 90].

ანტონ ქიქოძე დროებითვალდებულ გლეხებს მოუწოდებდა უარი ეთქვათ "კარიგების სიგელებზე"; ავრცელებდა ხმებს, რომ 9 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ გლეხები სავსებით განთავისუფლდებიან ბატონყმური ურთიერთობისაგან და მათ სარგებლობაში არსებული მიწები საკუთრებაში რჩებათ.

ხელისუფლების საწინააღმდეგო ასეთი პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ ნეჩაეველები რუსეთში; ამდენად ანტონ ქიქოძის საქმიანობა საყურადღებო ფაქტია და არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს.

რეფორმის საწინააღმდეგო მოძრაობა გაიშალა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შორაპნის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრები. სენაკის მაზრაში მთავრობისა და მებატონეების საწინააღმდეგო საქმიანობაში ჩაბმული იყო ნიკო გრიგოლია. იგი გლეხებს შთააგონებდა უარი ეთქვათ გადასახადებზე[238, საქ. 1302, ფ. 3; 26, გვ. 57].

შორაპნის მაზრის დროებითვალდებული გლეხები ლომიძეები ასევე დროებითვალდებულ გლეხებს მემამულეთა წინააღმდეგ განაწყობდნენ.

აგიტატორთა ფართო წრე მოღვაწეობდა ოზურგეთის მაზრაში. 1869 წელს სოფ. ნანეიშვილისეულში დებულების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ ბასილა ვაჩეიშვილი, გიორგი გიორგაძე, გაბილა ძნელაძე, ივანე მიქაშავიძე, ოტია და ბიძინა მალულარიები, მოიდარი ვაჩეიშვილი და ივანე კეშელავა. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევდნენ გიორგი გიორგაძე და ბასილა ვაჩეიშვილი. ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ საწესდებო სიგელების პირობებს და არ შეესრულებინათ მასში გათვალისწინებული ვალდებულებანი[238, საქ. 1126, ფ. 1-6].

გლეხებში მომუშავე აგიტატორებს შორის იყვნენ აგრეთვე თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც. რამ მიიყვანა თავადაზნაურთა ერთი ნაწილი განდგომოდა გაბატონებულ კლასს და მხარი დაეჭირა გლეხობის მოძრაობისათვის? რეფორმის შედეგებისადმი აშკარა უკმაყოფილება გამოსთქვა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ, რომლის წარმომადგენლებიც უპირატესად თავადაზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი. მათ მხარი დაუჭირეს გლეხობას ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში. ეს მხარდაჭერა და თანაგრძნობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მათი წარმომადგენლები სრულად გლეხებს შორის დებულების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ.

ოზურგეთის მაზრაში გლეხი აგიტატორების გვერდით იხსენიება თავადი ივლიანე ერისთავი, სოფ. ვანში ლევან ვაშაყმაძე და სხვ. თავადაზნაურთა წრიდან გამოსული პროგრესულად მოაზროვნე პირები გლეხთა ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ და ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ისინი ხედავდნენ ხელისუფლების უსამართლობას. მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლაში თავადაზნაურთა ზოგიერთი წარმომადგენლის მონაწილეობა უნდა აიხსნას რევოლუციური იდეების თანაგრძნობითა და მხარდაჭერით.

ადგილობრივ ორგანოებს აშინებდათ აგიტატორების საქმიანობის გაძლიერება. 1869 წლის 28 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი სპეციალური მითითებით აფრთხილებდა გუბერნატორებს, რომ "განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ იმ პირთათვის, რომლებიც აქეზებენ გლეხებს ურჩობისა და უწესრიგობისაკენ". [238, აწაფ 3 საქ. 7815. ფურც. 32].

ბარონ ნიკოლაის გამაფრთხილებელი მითითება გუბერნატორებისადმი, ხელისუფლების მიერ საგანგებო ღონისძიება და სრულად მეტი სიფხიზლის გამოჩენა მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოში გლეხთა კლასობრივი ბრძოლა საკმაოდ გამწვავებულია.

მეფის მოხელეები მასობრივ რეპრესიებს მიმართავენ "ურჩობაში" შემჩნეული გლეხების მიმართ: დაიწყეს დევნა და დაპატიმრება გლეხი აგიტატორების ასლამაზიშვილის, ნიკოლაიშვილის, ქიქოძის, ლაზარიაშვილის, მამუკაშვილის, დათუნაშვილის, ლუარსაბიშვილის, გიორგაძის, ვაჩეიშვილის, გრიგოლიას და სხვების, მაგრამ რეპრესიებმა ვერ შეაჩერა სოციალური მოძრაობა სოფლად; ვერ გატეხა გლეხების საქმისადმი თავდადებულ ადამიანთა საბრძოლო სულისკვეთება. ერთი დაპატიმრებული გლეხის ადგილს ორი იჭერდა, მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო აგიტაცია არამცთუ წყდებოდა, არამედ კვლავ გრძელდებოდა და სხვადასხვა სახით ვლინდებოდა 26,გვ.64.

დროებითვალდებული გლეხის საპროტესტო მოძრაობის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო საწესდებო სიგელების შედგენაში მონაწილეობაზე უარის თქმა ან თავის არიდება. 1866 წელს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მონაცემებით 1 500 საწესდებო სიგელიდან გაფორმდა მხოლოდ [167 153, გვ. 241].

1866 წელს გორის მაზრის მესამე განყოფილებაში შედგენილი იყო 140 საწესდებო სიგელი, აქედან 29 გლეხმა უარი განაცხადა ხელის მოწერაზე [243, საქ. 27. ფურც. 123]. პირველ განყოფილებაში შედგენილი იყო 70 სიგელი. მათგან 11 გლეხმა არ მოაწერა ხელი. სიღნაღის მაზრის პირველ განყოფილებაში 1866 წელს 40 საწესდებო სიგელიდან გლეხებმა ხელი მოაწერეს მხოლოდ 13 სიგელს. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ცნობით, 1867 წელს გლეხებმა ხელი არ მოაწერეს 275 საწესდებო სიგელს [243, საქ. 27. ფურც. 168].

გორის მაზრის უფროსი მკაცრად იქნა გაფრთხილებული, რომ გლეხები აეძულებინათ შეესრულებინათ ყველა ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში კაზაკთა ეგზეკუციას ჩააყენებდნენ. მართლაც, უკანასკნელის განკარგულება აღსრულებულ იქნა, მაგრამ გლეხებმა კაზაკები სოფლებში არ შეუშვეს. როგორც მემამულე კვალიაშვილი იტყობინებოდა, გლეხებმა სცემეს 9 კაზაკსა და გზირს. -ერთ-ერთი დოკუმენტში ნათქვამია, რომ გლეხები გაქვავულ კაზაკებს მისძახოდნენ: - "ჩვენ ხელთ გვაქვს უმაღლესი ხელისუფლების ბრძა-

ნება, რომ მოეკლათ ყველა, ვინც ჩვენთან მოვა და მოგვთხოვს მემამულის მორჩილებას". "ურჩი" გლეხების მიმართ გამოყენებული იყო ძალადობა; დააპატიმრეს და თბილისის ციხეში ჩასვეს ამ გლეხების წინამძღოლები. [155, გვ. 70-71].

ქუთაისის გუბერნიაში საწესდებო სიგელებზე ხელმოწერის მდგომარეობა ასეთი იყო: 1869 წლის თებერვლისათვის გუბერნიაში 27 304 კომლიდან სიგელების ხელმოწერაზე უარი თქვა 16 012 კომლმა [26 გვ. 66].

დასავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა ქუთაისის მაზრა, სადაც 7 025 კომლიდან სიგელებს ხელი არ მოაწერეს 4 131 კომლმა (58,8 %). სენაკის მაზრაში 8 235 კომლიდან 4 115 კომლმა (50 %), ხოლო შორაპანის მაზრაში 5 020 კომლიდან ხელმოწერაზე უარი თქვა 2 302 კომლმა [26, გვ. 66].

ქუთაისის გუბერნიის გლეხები უფრო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაში იყვნენ. როგორც ცნობილია მცირემიწიანი მებატონეები სულ იმის ცდაში იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ მათი გაღატაკებული გლეხების მიწის ნაკვეთები. ამიტომ იყო, რომ მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლამ დასავლეთ საქართველოში მწვავე და შედარებით ფართო ხასიათი მიიღო [76, გვ. 20].

იყვნენ ისეთი მემამულეები, რომლებსაც ერთი ან ორი ყმა ჰყავდათ და ფლობდნენ მცირე რაოდენობის მიწებს; ასეთი მემამულეები ცდილობდნენ ჩამოერთმიათ გლეხებისათვის ის მცირე ნაკვეთებიც კი, რომლებიც ამ უკანასკნელთა საკუთრებას შეადგენდა. ბუნებრივია, მათი გლეხები სიგელებზე ხელს არ მოაწერდნენ.

რამ გამოიწვია დებულების საწინააღმდეგო მოძრაობა გლეხობაში.

ჯერ ერთი, აგიტატორ გლეხთა მოღვაწეობამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო, და რეფორმისადმი უნდობლობას ნერგავდნენ; გლეხობამ უმეტეს შემთხვევაში ირწმუნა აგიტატორთა ქადაგება, ბრძოლა გამოუცხადა რეფორმას.

მეორე: გლეხები სრულ უნდობლობას უცხადებდნენ მემამულეებს, ეჭვი შეჰქონდათ სანადელო მიწების ოდენობაში. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მებატონეთა დიდი ნაწილი თვითონ უშლიდა ხელს ამ საქმეს. განგებ აფერხებდნენ გლეხებთან ნორმალური ურთიერთობის მოგვარებას, რათა ბატონ-ყმური ურთიერთობის ძველი ნორმები რამდენადმე შეენარჩუნებინათ.

მომრიგებელ-შუამავლები ხშირად ტენდენციურობას იჩენდნენ და განგებ აყოვნებდნენ და ართულებდნენ სადავო საქმის მოგვარებას.

ამასთანავე გლეხები სიგელებს ხელს არ აწერდნენ იმის გამო, რომ მემამულეებს მათი საკარმიდამო ნაკვეთი გადაჰქონდათ სხვა ადგილებში, ურწყავ მიწებს უთვლიდნენ სარწყავად, აწესებდნენ მაღალ გადასახადებს საძოვრებზე, ტყეებზე, სარწყავ წყალზე და სხვ.

იყო სხვა მიზეზებიც, რომელნიც საქართველოს სოფლებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას უწყობდა ხელს: სიგელებზე ხელის მოწერისას ადგილი ჰქონდა მოტყუებას, მუქარას; მებატონეები ყოველნაირ მაქინაციებს მიმართავდნენ, რომ გლეხებს სიგელებზე ხელი მოეწერათ. ხშირი იყო ძალადობაც. მებატონეებს მიხეილ, გიორგი, ბიძინა, რევაზ, სოლომონ, გრიგოლ, დავით ერისთავებს(გორის მაზრა) აბაშიძეებს, მიქელაძეებს (ქუთაისის მაზრა), ჯორჯაძეებს, ანდრონიკაშვილებს (თელავის მაზრა) გლეხებმა კატეგორიული უარი უთხრეს სიგელებზე ხელის მოწერაზე, მაგრამ მებატონეებმა ძალას მიმართეს, "ჯავის უბანში მომრიგებელმა შუამავალმა, - წერდნენ გლეხები, - ჩვენი საზოგადოებიდან დააპატიმრა ორი საპატიო გლეხი, დანარჩენები კი იძულებული გაგვხადა სიგელებზე მოგვეწერა ხელი"[243, საქ. 186, ფურც. 302-303]. გორის მაზრის სოფ. დიციდან ნიკოლოზ ორბელიანის ყმები აღნიშნავდნენ: "ნაბატონარმა თავად ნიკოლოზ ორბელიანმა... მიიყვანა დებულების ოქმი აღსრულებაში ჩვენდა ხელ მოუწერავად".[26, გვ. 69]. ასევე ძალით მოაწერინეს სიგელებზე ხელი სოფ. ტირძნისის გლეხებს[243, საქ. 212, ფურც. 22-30].

ყოფილი მებატონეები, მართალია, ძალადობითა და მოტყუებით ხშირად აღწევდნენ მიზანს, გლეხებს ხელს აწერინებდნენ სიგელებზე, მაგრამ არც

გლეხები რჩებოდნენ ვალში, აგიტატორთა მიერ შეგულიანებულნი სულ უფრო გაბედულად გამოდიოდნენ დებულებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ.

გორის მაზრის სოფ. ქემერტის გლეხებმა ისე დააშინეს მომრიგებელ-შუამავალი, რომ იგი მაზრის უფროსს წერდა: "დროებითვალდებული მაისურაძეები სიგელების ხელის მოწერაზე უარს აცხადებენ, ურჩობენ და მოკვლით იმუქრებიანო"[243, საქ. 7, ფურც. 22].

ქემერტის გარდა, გლეხების გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ერედვში, ბროწლეთში, ზემო და ქვემო ერმანში, ზემო და ქვემო კაპუსტაში, ხოჯაში, ედისში, აწრისხევში, ბაჯიაანთკარში, კვირიკეთში, ორტევში, ბელოთში, ანდარეთში, საკანაფოში, ვანათში და სხვ. [243, საქ. 7. ფურც. 9].

გორის მაზრის ოსეთის უბანში ორი წლის განმავლობაში არც ერთი სიგელი არ შემდგარა, ხელისუფლება ერიდებოდა გლეხთა მასობრივ გამოსვლებს, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გასატარებლად გაგზავნილი იქნენ საკრებულოს წევრები, მაგრამ არც ამან გამოიღო სასურველი შედეგი, ოსეთის უბნის მთის ზონის 26 სოფლის გლეხები კატეგორიულად აცხადებდნენ უარს სიგელების ხელის მოწერაზე. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ტყეებსა და საძოვრებზე მაღალი ბაჟის დაწესებისა, სოფლის მოშორებით მწირ და მოუსავლიან ადგილებში ნადელების მოზომვისა, მემამულეებს ედავებოდნენ ნადელებად ჩვენი საკუთარი მიწები მიითვალესო და სხვ.

კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა დებულების ცხოვრებაში გატარება კახეთში, 1869 წელს თელავის მაზრის სოფლებში – ურიანთუბანში, ნაფარეულში, წინანდალსა და სხვ. გლეხები იწვევდნენ კრებებს, უთანხმდებოდნენ ერთმანეთს, უარს აცხადებდნენ სიგელების შედგენაზე და სანადელო მიწების მოზომვაზე. თავს ესხმოდნენ მემამულეთა სახლ-კარსა და მამულებს, ანადგურებდნენ სამზღვრო და საგლეხო მიწების სამანებს, უარს ამბობდნენ სანადელო მიწების მოზომვაზე. მდგომარეობა სულ უფრო რთულდებოდა. ხელისუფლება შეშფოთდა. გლეხთა მღელვარების მიზეზების გამოსარკვევად და ჩქარი ღონისძიებათა გასატარებლად სოფ. ნაფარეულში სასწრაფოდ გაემგზავრნენ მაზრის უფროსი, მომრიგებელ-შუამავალი და მიწისმზომელი. მათ

უნდოდათ დაემორჩილებინათ გლეხები, მაგრამ უშედეგოდ - გლეხებმა არავითარი ჩვენება არ მისცეს და მაზრის უფროსი განრისხებული დაბრუნდა თელავში[243, საქ. 452, ფურც. 64].

მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოშიც. აქ ათასობით გლეხი აღსდგა მთავრობის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, რომ გლეხთა ამგვარ ურჩობას არ ჰქონოდა ადგილი. სიგელების შედგენის დროს გლეხები გაერთიანებული ძალებით ხვდებოდნენ მემამულეებსა და ადგილობრივ მოხელეებს, არ აძლევდნენ მოძალადეებს დებულების განხორციელების საშუალებას, ერთიანი ძალით იცავდნენ თავიანთ მიწებს.

ამის მკაფიო მაგალითია სოფ. ვანში მემამულე ჩიჯავაძეების წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლები, რამაც ხელისუფლება სერიოზულად ჩააფიქრა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბარონ ნიკოლაის უგზავნის წერილს და ატყობინებს, რომ ვანში მცხოვრები ურჩი გლეხების საბრძოლო განწყობა თანდათან ძლიერდება და მან შეიძლება დიდი არეულობა გამოიწვიოს[261, საქ. 895, ფურც. 10].

ასევე მწვავე ხასიათს ატარებდა გლეხთა ბრძოლა სამეგრელოშიც. სენაკის მაზრის სოფ. ონტოფოს დროებითვალდებული გლეხები მემამულე ფალავებს ეურჩებოდნენ და არ ასრულებდნენ არავითარ ვალდებულებებს. სენაკის მაზრის უფროსი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: "გრიგოლიას აგიტაციის გამო ადგილი აქვს უწესრიგობას, ირღვევა საერთო მყუდროება არა მარტო ონტოფოს, არამედ მეზობელ სოფლებშიც"[338, საქ. 1302, ფურც. 3]. სამეგრელოს სოფლებში გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. გლეხები ყოველ ღონეს მიმართავდნენ ბეგარა-გადასახადებისათვის თავი აერიდებინათ.

სიგელების შედგენისა და ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ ბრძოლის ხანძარი მთელს საქართველოს მოედო. ოზურგეთის მაზრის სოფ. ნანეიშვილისეულში მიხეილ ერისთავის დროებითვალდებულმა გლეხებმა ბრძოლა გააჩაღეს საწესდებო სიგელების თვითნებურად შედგენისა და გადასახადების

გადასახადის გამო. "შევიწროება, რომელსაც გვაყენებს ყოფილი მებატონე თავადი მიხეილ ერისთავი, - წერდნენ გლეხები, ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავლის ყენიას დახმარებით, - ბევრად აღემატება გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლების დებულებით გათვალისწინებულ ყოველგვარ საზღვრებს [238, საქ. 2551, ფურც. 8].

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხთა მოძრაობა იმდენად ძლიერი იყო, რომ საჭირო ხდებოდა შეიარაღებული ძალების გამოყენება, "დიადი რეფორმის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი შეიქნა ისე, რომ არ მიემართათ სამხედრო ეგზეკუციისათვის და არ დაეხვრიტათ გლეხები, რომლებიც უარს ამბობდნენ საწესდებო სიგელების შედგენაზე" - წერდა ვ.ი. ლენინი [11 გვ. 518].

მემამულეებსა და გლეხებს შორის გაჩაღებული აგრარული ბრძოლა სხვა ფორმებთან ერთად მასობრივ საჩივრებშიც გამოიხატებოდა.

გლეხებისა და მემამულეების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ აღძრულ მრავალრიცხოვან საჩივრებში ლაპარაკია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებზე. გლეხები უჩიოდნენ მემამულეებსა და სოფლის მოხელეებს იმ თვითნებობისა და ძალმომრეობაზე, რასაც სჩადიოდნენ ისინი გადასახადების გაწერისა და მისი აკრეფის დროს.

მმართველობის ორგანოებს საჩივრით მიმართავდნენ არა მარტო გლეხები, არამედ მემამულეებიც. საჩივრებში ლაპარაკია ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმის, ან თავის დროზე გადაუხდელობის, საძოვრებისა და ტყეებით თვითნებურად სარგებლობის, სანადელო ნაკვეთების მოსავლიანობის დაცემისა და სხვა საკითხებზე.

მასობრივი საჩივრები პროტესტის თავისებური ფორმა იყო. საჩივრები, ურჩობა, ძალმომრეობა და ბრძოლის სხვა ფორმები წინ უსწრებდა შეიარაღებულ აჯანყებებს.

თუ რამდენ მასობრივ ხასიათს ატარებდა გლეხთა მოძრაობის ეს ფორმა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, მოვიყვანთ მონაცემებს.

1867–1878 წლებში მთავრობის ორგანოებში შესული საჩივრების საერთო რაოდენობა თბილისის გუბერნიაში შემდეგ სურათს იძლევა: 1867 წ. საჩივართა საერთო რაოდენობა ყოფილა 9 983; 1869 წ. – 3 219; 1871 წ. – 5 468; 1872 წ.–2 668; 1873 წ. – 4 192; 1874 წ.–2 661 1875 წ. 6 967; 1876 წ. – 3 676; 1877 წ. – 2 739; 1878 წ. – 2 665; 1879 წ.– 2 508; 1880 წ. 1 325 [26, გვ. 75].

ზემოთ მოტანილი ცნობები წარმოადგენს მხოლოდ გორის მაზრის I–II III და IV, თბილისის მაზრის I და II, სიღნაღისა და თელავის მაზრების I განყოფილების ანგარიშებიდან ამოკრეფილი ცნობების ჯამს. არ აღმოჩნდა და ვერ დავადგინეთ შემაჯამებელი ცნობები, სიღნაღისა და თელავის მაზრების II განყოფილებებიდან. აგრეთვე გორის მაზრის V განყოფილებიდან, ვერ მივაკვლიეთ ახალციხის, დუშეთის, ბორჩალოს, მაზრებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ამსახველ სრულ ცნობებს. ვერ მივაკვლიეთ 1868 და 1870 წლების საბუთებშიც, ამიტომ ცხრილშიც ვერ შევიტანეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ მოტანილი ცხრილი მაინც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ბრძოლის ამ ფორმის მასობრიობისა და სიმწვავის შესახებ საქართველოში.

ქუთაისის გუბერნიაში არსებული დავა-საჩივრების ამსახველი ანალოგიური ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ხელმოუწერელ სიგელთა და კომლთა რაოდენობის შედარება საშუალებას გვაძლევს ერთგვარი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე. თუ 1869 წელს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც სიგელებს ხელი არ მოაწერა 16 012 კომლმა, დავა-საჩივრები, ცხადია, უფრო მეტი რაოდენობით იქნებოდა შეტანილი.

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, საჩივრების რაოდენობა 1867–1873 წლებში უფრო მეტი იყო, ვიდრე 1874–1878 წლებში. ეს გამოიწვია იმან, რომ რეფორმის დროს საქართველოში გაშლილი კლასობრივი ანტაგონიზმი სამომრიგებლო დაწესებულებებში აღძრულ მასობრივ დავა-საჩივრების ფარგლებს არ სცილდება, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გლეხთა შეიარაღებული გამოსვლისათვის სათანადო საფუძვლები არ არსებობდა, არამედ იმას, რომ

სოფლის მოსახლეობას ჯერაც არ განელებოდა დებულების გამოქვეყნების პირველი დღეების სიხარული, მაშინდელი შთაბეჭდილებებითა და ილუზიებით იკვებებოდა და ჭეშმარიტ თავისუფლებას ელოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მიწისათვის საუკუნოვანი ბრძოლა ბოლოს და ბოლოს წარმატებით დამთავრდებოდა. ამ ეტაპზე გლეხობა ფიქრობდა, რომ მემამულეების ძალადობა დროებითი იყო და შველას ზემდგომი ორგანოებიდან მოელოდა, მთელს იმედებს ჯერ კიდევ მეფეზე ამყარებდა. ამით აიხსნება, რომ საქართველოს სოფლებში კლასობრივი ანტაგონიზმი 60-იანი წლების მეორე ნახევარში ძირითადად ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრებით განისაზღვრებოდა.

რეფორმის პირველ წლებში ყველაფერი ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო, გლეხობის ბრძოლას მიზანსწრაფული მიმართულება არა ჰქონდა, იგი იფარგლებოდა მხოლოდ საჩივრებით და განაპირობებდა სტიქიურობა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გლეხთა საჩივრებმა იკლო. ზოგი რამ გაირკვა, სიგელებში დაცული პირობების ცხოვრებაში გატარება დაიწყო. გამოირკვა, რომ გლეხობაზე არავინ არ ფიქრობს; მან დაინახა, რომ კანონმდებლობა და ხელისუფლების ორგანოები იცავენ არა გლეხობის ინტერესებს, არამედ მემამულეებისას. როცა საჩივრების წერასა და ზემდგომ ინსტანციებში სიარულს შედეგი არ მოჰქონდა, იმედგაცრუებული გლეხები თავიანთი უფლებების დასაცავად იარაღს ჰკიდებდნენ ხელს.

გლეხთა საჩივრები, რომლებმაც XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო, ძირითადად ეხებოდა იმ თვითნებობას, რომელსაც ზოგიერთი მემამულე სოფლის მშრომელთა მიმართ იჩენდა საწესდებო სიგელების შედგენისა და ადგილობრივი დებულების ცხოვრებაში გატარების დროს. რეფორმის გატარების პირველსავე დღეებიდან მემამულეები ცდილობდნენ გლეხებისათვის წაერთმიათ კუთვნილი მიწები, რომლებიც მათგანვე ნასყიდობით ჰქონდათ შეძენილი, შეეჭრათ ნადელებში და მათზე მაღალი გადასახადები დაეწესებინათ. მემამულეთა ამგვარი მოქმედება გლეხობის პროტესტს იწვევდა, რაც სიგელების ხელმოწერაზე უარის თქმასა და მასობრივ საჩივრებში გამოიხატებოდა.

თბილისის გუბერნიის ოთხ მაზრაში (თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის) 1868 წლის მარტისათვის საწესდებო სიგელებზე ხელმომწერ კომლთა რაოდენობა იყო 11 241. სიგელების ხელმოწერაზე უარი თქვა 1 141 კომლმა, ხელი მოაწერა 1 858-მა.[251, საქ. 410, ფურც. 7].

აღმოსავლეთ საქართველოში სიგელების შედგენის ირგვლივ გაჩაღებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო შიდა ქართლში. გორის მაზრაში სიგელების 73 % ხელმოწერილი დარჩა.

1873 წელს ბარონ ნიკოლაის ცნობით, თბილისის გუბერნიაში 13 872 კომლზე ყოფილა შედგენილი 2 388 სიგელი, აქედან მხარეებს ხელი არ მოუწერიათ 248 სიგელზე[182, გვ. 17].

რეფორმის შემდეგ საქართველოში გაიშალა გლეხთა ბრძოლა ბატონყმობის დროს საკუთრებაში შეძენილი მიწების შენარჩუნებისათვის. ასე, მაგალითად, გორის მაზრის სოფ. ხანდაკის გლეხებმა - იორდანიშვილებმა, ქერიშვილებმა და სხვ. უარი განაცხადეს ნასყიდი ნაკვეთების გადასახადის გაღებაზე.

1868 წელს გ. იორდანიშვილის საქმე საკრებულომ უარყოფითად გადაწყვიტა. გ. იორდანიშვილს დიდი შეუპოვრობა გამოუჩენია. 1869 წელს იგი დაუპატიმრებიათ. შემდეგ წლებში მას კვლავ აღუძრავს საჩივარი მაგრამ კვლავ უარი მიუღია. მსგავსი მაგალითები თბილისის გუბერნიაში უამრავი იყო[42, გვ. 87].

ანალოგიური ამბები ხდებოდა ქუთაისის გუბერნიაში. როგორც საბუთებიდან ჩანს, 1865-1869 წლებში საწესდებო სიგელების შედგენის დროს მემამულეებთან ურთიერთშეთანხმების გზით, 19 783 დოკუმენტის საფუძველზე, გლეხებს 27 134 ქცევა მიწა დაუმტკიცდათ (დაახლოებით 10 175 დეს.), თვითეულ კომლზე 0,5 ქცევა.[251, საქ. 883, ფურც. 154].

გლეხების კლასობრივი ბრძოლის შედეგად მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მათი სამართლიანი მოთხოვნისათვის. გლეხებს უფლება მიენიჭათ წარედგინათ ნასყიდობითი ზარალი უძრავ ქონებაზე, მაგრამ უფლება

საკუთრებაზე უნდა დამტკიცებულიყო. მემამულისა და გლეხის შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქმეს განიხილავდა გლეხთა საქმის მომწესრიგებელი დაწესებულება - საკრებულო.

დამტკიცებული ნაკვეთი გლეხის საკუთრებათ ითვლებოდა. ნაღდი არ გაიცემოდა და მისგან გადასახადი არ გაიღებოდა. რეფორმის გატარებისას გლეხობამ ფართო ბრძოლა გააჩაღა და ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი იყო გლეხობის ხელში არსებული საბუთების საფუძველზე მიწების საკუთრებად მიღება-დამტკიცება. "გლეხის მიერ მიწის საკუთრებად მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მისი საკუთარი მეურნეობის გაუმჯობესების, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით" [16,გვ.116-117].

უამრავი საარქივო საბუთი არსებობს, როცა გლეხები უარს ამბობდნენ სიგელებზე ხელის მოწერაზე, საჩივრით მიმართავდნენ ზემდგომ ორგანოებს, მწვავდებოდა ურთიერთობა გლეხსა და ყოფილ მებატონეს შორის. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემებს:

თბილისის მაზრაში საჩივარი აღძრულია 1866 წ. 139.

1867 წ. - 250, გორის მაზრაში: 1866 წ. 1 221, 1867 წ. - 735, 1868 წ. - 207, სიღნაღის მაზრაში: 1866 წ. - 797, 1867 წ. - 661, 1868 წ. - 10, თელავის მაზრაში: 1866 წ. - 1 367, 1867 წ. - 185. 1868 წ. 1 063.[42, გვ. 85].

ზემომოტანილი ცნობებით რეფორმის შემდგომ პერიოდში დროებით ვალდებული გლეხების ურჩობის სხვა ფორმებიც არსებობდა, მაგრამ პირველ პერიოდში გლეხთა უკმაყოფილება, ურჩობა, მღელვარება, მაინც სტიქიური ხასიათისა იყო. გლეხი ჯერ კიდევ არ ჰკიდებდა ხელს იარაღს. პოლიტიკური შეგნებულობაც არ იყო სათანადო დონეზე, მონარქისტული ილუზიებით იკვებებოდა და ა.შ. რაც ხანი გადიოდა, უფრო საგრძნობი ხდებოდა რეფორმის მძიმე შედეგები, მით უფრო აქტიურად ებმებოდნენ გლეხები კლასობრივ ბრძოლაში [150, გვ. 17-38].

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს; გორის მაზრის ქვემო ხვითელი გლეხები წერდნენ: "მემამულე ქაიხოსრო ჯავახიშვილმა სან

ღელოდ გვიზოძა 2 ვენახი, ბაღი და სახნავ-სათესი მიწა, რომლებიც ჩვენი მამა-პაპების მიერ ნასყიდობითაა შეძენილი"[243, საქ. 359, ფურც. 13-14]. სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხის დროებითვალდებული გლეხი ზაქრო სამადაშვილი აღნიშნავდა: "ჩვენმა წინაპრებმა ორი საბუთით შეისყიდეს ვენახები, მაგრამ ელენე ვაჩნაძემ მოგვიხსნა იგი ნადელებში"[243, საქ. 359, ფურც. 1]. თელავის მაზრის სოფ. იყალთოს გლეხები თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს აცნობებდნენ: "მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მაყაშვილმა წაგვართვა მამული პურით დათესილი[243, საქ. 369, ფურც. 1].

დასავლეთ საქართველოში მემამულეთა თვითნებობა კიდევ უფრო შორს წავიდა. ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდადიდან 30 კომლი დროებითვალდებული გლეხი ქუთაისის გუბერნატორს აცნობინებდა: "ყოფილმა მებატონეებმა წერეთლებმა, ნიჟარაძეებმა სიგელში ჩაგვიწერეს ის მამულები, რომლებსაც დიდი ხანია ვფლობდით". 1869 წელს ქუთაისის მაზრის სოფლებში - ვაკანში, დიდ ჯიხაიშში, ლანირში, ქვიტირსა და გუბში მცხოვრები 650 კომლი დროებითვალდებული გლეხთა სახელით ივანე შენგელია, ქაიხოსრო ქამუშაძე, ბიჭია ცაგურია და სხვები მეფის ნაცვალს სწერდნენ: მემამულე მიქელაძეებმა, ჩხეიძეებმა, წულუკიძეებმა და სხვებმა დროებითვალდებულ გლეხებს ნადელები მიუზომეს არა იმ ზომით და წესით, რასაც დებულება ითვალისწინებდა"[251, საქ. 86, ფურც. 1].

ზუგდიდის მაზრის დროებითვალდებული 500 კომლი გლეხი წერდა: "ჩვენ ყველანი ვიყავით თავად მინგრელსკის ყმები, გვქონდა შემოსავალი, რითაც ვუხდიდით გადასახადებს როგორც სახელმწიფოს, ისე თავად მინგრელსკის. აგრეთვე ვარჩენდით ჩვენს გაჭირვებულ ოჯახებსაც. სიგელების შედგენის შემდეგ მოკლებული ვართ ყოველივე ამ შესაძლებლობას[251, საქ. 806, ფურც. 7].

ამრიგად, ზემომოტანილი საჩივრებიდან აშკარად ჩანს მემამულეთა ძალმომრეობა, საგლეხო მიწების მითვისება-მიტაცება.

ასეთი რამეც ხდებოდა: დროებითვალდებული გლეხი თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთს კარგად უვლიდა, უფრო შემოსავლიანს ხდიდა, მემამულეები ხედავდნენ რა ამას, ცდილობდნენ სხვადასხვა ხერხებით და მაქინაციებით (ძირითადად სამომრიგებლო დაწესებულებების მოქრთამვის გზით) ასეთი მიწები ხელში ჩაეგდოთ. მემამულეების ამგვარ მოქმედებას სოფლის მწარმოებელი კლასი ხშირად ბრძოლას უპირისპირებდა. 1871 წელს მარტო სიღნაღის მაზრაში ნადელების ჩამორთმევის 27 შემთხვევა ყოფილა, რასაც მოჰყოლია საჩივრები და მღელვარება[243, საქ. 669, ფურც. 11-12].

1872 წელს გორის მაზრის მეორე განყოფილებაში მებატონეების მიერ გლეხებისათვის სანადელო მიწების წართმევის 88 შემთხვევა ყოფილა; 143, საქ. 733, ფურც. 8 . 1873 წელს იმავე გორის მაზრის პირველ და მეორე განყოფილებაში მემამულეებმა სანადელო მიწები წაართვეს 1 152 კომლ გლეხს,[243, საქ. 783, ფურც. 11]. ხოლო სიღნაღის მაზრის პირველ განყოფილებაში - 750 კომლს[243, საქ. 1580, ფურც. 12]. ამავე წელს გორის მაზრის პირველ და მეორე განყოფილებაში მემამულეებსა და გლეხებს შორის სახნავ-სათესი მიწების შესახებ შეხლა-შემოხლის 721 შემთხვევა ყოფილა და ყველა მიწის ჩამორთმევით დამთავრებულა.

1877 წელს გორის მაზრის პირველ განყოფილებაში მემამულეებმა სხვადასხვა გზით სანადელო მიწები წაართვეს 487, ხოლო მეორე განყოფილებაში კი 605 კომლს[243, საქ. 1084, ფურც. 7].

არა მარტო გორისა და სიღნაღის მაზრებში აწარმოებდა გლეხობა ბრძოლას მემამულეთა თვითნებობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, არამედ ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

გლეხების ნადელების წართმევაში მემამულეები იშველიებდნენ დებულების 130-ე მუხლს, რომელშიც ეწერა: "თუ მებატონეს საკუთრებაში რჩება მის ადგილ-მამულზე ნახევარზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში მას უფლება ეძლევა ნადელებს ჩამოაჭრას და თავის საკუთრებად დაიტოვოს გლეხების მიერ დაკავებული მიწების ნახევარი". მემამულეები ფართოდ იყენებ-

დნენ ამ მუხლს, გლეხებს "ჩამონაჭრების" სახით არჩევდნენ საუკეთესო, ნოყიერ მიწებს[26, გვ. 81]. საქართველოს გლეხობა ერთიანად გამოდიოდა 130-ე მუხლის ცხოვრებაში განხორციელების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გლეხთა კლასობრივი ბრძოლა საქართველოში ძლიერდება როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად. რეფორმის გამოცხადებიდან 10 წლის შემდეგ, როდესაც აგრარული მოძრაობა სრულიად ახალ აღმავლობას განიცდიდა; უმამულო და მცირემიწიანი გლეხებს არ გააჩნდათ ცხოვრების არავითარი სახსარი. კანონ-სამართალში გაწბილებულნი ძალადობას მიმართავდნენ. მთავრობა ხედავდა, რომ გლეხთა მოძრაობას შეიძლება გაცილებით მწვავე ხასიათი მიეღო და ცდილობდა შეექმნა ილუზია, თითქოს დაინტერესებული იყო უმიწაწყლო გლეხების მდგომარეობით. სინამდვილეში კი სრულიად ფეთქებადი ვითარების განსამუხტავად პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს.

გლეხთა ძალმომრეობით შეშინებული მემამულე მელიქიშვილი (გორის მაზრა) მაზრის უფროსს სწერდა: ...გლეხებმა მიიტაცეს ჩემი მამულები და ამუშავებენ მას"[243, საქ. 227] ;ფურც. 89 ბეკოშვილებმა და ჭონქაძეებმა, ჩიოდა მომრიგებელ-შუამავალი, - აბალუბანში (გორის მაზრა) ძალით დაიკავეს მემამულეთა კუთვნილი 20 დღიური მიწა". [243, საქ. 385; ფურც.7].

კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო დუშეთის მაზრის სოფ. ზახაროში მემამულე ივანე ამილახვრისა და 30-მდე კომლ დროებითვალდებულ გლეხებს გორაშვილებს, ბოჩოშვილებს, კოდალაშვილებს, სოლომონიშვილებსა და სხვ. შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ. გლეხები თვითნებურად შეუდგნენ ამილახვრების მიწების დამუშავებას, მემამულეს კეტებით შეიარაღებულნი დაემუქრნენ, ლანძღვა-გინებით მიმართავდნენ მომრიგებელ-შუამავლებს, რომლებმაც მათი დაშოშმინება სცადეს [26, გვ. 87].

1872 წელს ბულაჩაურიდან, ხოდაკიდან, ჭალიდან და სხვა სოფლებიდან მაჩაბელები იწერებოდნენ: "გლეხები დათარეშობდნენ ნებართვის გარეშე ჩვენს ბაღ-ვენახებში, ...ძალმომრეობის თავიდან აცილება უნდა მოახდინოს საპოლიციო ხელისუფლებამ; თუ ეს მამულები არ იქნება დაცული, იძულებული

ციქნებით ძალას ძალა დავუპირისპიროთ. შეიძლება ყოველივე ამას მოყვეს შეჯახება და სისხლისღვრა[245, საქ. 166. ფურც. 78].

დუშეთის მაზრის სოფლების ხილის, ქსოვრისის, თვალისის, ბრელის, ხევის მემამულეები რატიშვილები, მიქელაშვილები, ზანდუკელები უწიოდნენ დროებითვალდებულ გლეხებს თვაურებს, ინაურებს, ბედოშვილებს, კობიაშვილებს, ოდიშელიძეებს, ჩიხინაშვილებს, მამულაშვილებს ძალმომ-რეობის გამო. ისინი ხელჩართული ბრძოლითა და სიკვდილით ემუქრებოდნენ მემამულეებს.[247, საქ. 462, ფურც. 72, საქ. 847, ფურც. 18].

ტყითა და საძოვრებით სარგებლობის საკითხი ასევე ძალზე აწუხებდა გლეხობას. თუ ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხებს უფლება ჰქონდათ საძოვ-რებით და ტყით უსასყიდლოდ ესარგებლათ, შემდეგ ტყეცა და საძოვრებიც მემამულეთა საკუთრებაში გადავიდა და გლეხებს ეკრძალებოდა სარგებლობა. გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი მიზეზი ესიც იყო. ამის თაობაზე გლეხებმა არაერთგზის მიმართეს ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ სადაო საკითხის მათთვის სასურველ გადაწყვეტას ვერ მიაღწიეს. მეფის ნაცვალთან არსე-ბულმა გლეხთა მოწყობის კომიტეტმა 1868 წლის 4 აპრილს ეს საკითხი განიხილა. ვითარება კიდევ უფრო რომ არ გამწვავებულიყო, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის საკრებულოები მოითხოვდნენ ტყეები უწინდებურად საზოგადოებრივ მფლობელობაში დარჩენილიყო.[251, საქ. 883, ფურც. 63, 64]. მთავარსამმართველო კი საკრებულოებს აძლევს რჩევას, ტყეებით სარ-გებლობისათვის თბილისის გუბერნიაში დაწესებულიყო გადასახადი თითოეულ გლეხზე 3 მანეთი, ქუთაისის გუბერნიაში კი 1-2 მანეთი. ხელისუ-ფლების ასეთმა გადაწყვეტილებამ გლეხობაში მღელვარება გამოიწვია. ზოგან საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც კი მივიდა.

ტყეებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა სა-ქართველოს ისეთ კუთხეებში, სადაც მებაღეობა-მევენახეობა იყო განვი-თარებული (გორისა და თელავის მაზრები); თელავის მაზრის სოფ. ყვარელში 1872 წელს ტყით სარგებლობისათვის გლეხებსა და მემამულე ჭავჭავაძეს შორის მღელვარებას ისეთი ხასიათი მიუღია, რომ თბილისის გუბერნატორი

ჩასულა და 7 დღეს დარჩენილა საქმის მოსაგვარებლად [243, საქ. 844, ფურც. 4-5].

თუ გავითვალისწინებთ, რომ გუბერნატორი ხანგრძლივი ვადით არსად წავიდოდა, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს გლეხთა ეს მღელვარება სერიოზული ხასიათის მოვლენად მივიჩნიოთ.

1874 წელს სოფ. ქარელში ციციშვილების წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლები გამწვავებულა [243, საქ. 844, ფურც. 4-5]. ციციშვილებმა ტყეებით სარგებლობისათვის მაღალი ბაჟი დააწესეს, თითოეულ კომლზე 16 მანეთი [243, საქ. 844, ფურც. 5]. ადრე გლეხები ტყეებით უსასყიდლოდ სარგებლობდნენ. ციციშვილების მიერ ტყის სარგებლობისათვის ასეთი მაღალი ბაჟის დაწესებამ გამოიწვია გლეხების ძლიერი პროტესტი.

ყველაზე უფრო აქტიურობდნენ გიო და გლახა საზანდრიშვილები, თედო ქერივიშვილი და სხვები. ისინი მოუწოდებდნენ გლეხებს დარაზმულიყვნენ თავიანთი უფლებების დასაცავად. მემამულეებს ემუქრებოდნენ "სახლების დანგრევითა და განადგურებით".

გლეხების დიდი ჯგუფი მიიჭრა მომრიგებელ-შუამავალთან და კატეგორიულად განუცხადა: "საერთო ტყის მასივების იმ წესით სარგებლობა, რომელსაც მემამულე გვთავაზობს, ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, ამაზე არასოდეს დავეთანხმებით" [243, საქ. 844, ფურც. 4-6].

ვერც დაპირებამ და ვერც მუქარამ ვერ გაჭრა, 300-მდე გლეხი ბორჯომში მეფის ნაცვალთან გაემგზავრა საჩივლელად.

მღელვარების მოთავეებს მკაცრად გაუსწორდნენ, ისინი დააპატიმრეს; საქმეს არც ამან უშველა - ბრძოლა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. გლეხები იარაღით ხელში შედიოდნენ ტყეებში. 1878 წელს სარდიონ ციციშვილი გორის მაზრის უფროსს ატყობინებდა: "გლეხები აშკარა წინააღმდეგობას მიწევენ, რომელიც სისხლის ღვრით შეიძლება დამთავრდეს" [243, საქ. 436, ფურც. 1-2]. გაავებული გლეხები თავს ესხმოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ როგორც ტყის მცველებს, ისე მემამულეების მოსამსახურეებს. გორის მაზრის სოფ. ხოვლეს მემამულე სოფიო ჯავახიშვილი მაზრის უფროსს

ატყობინებდა: "ჩემს კუთვნილ ტყეში ავკეთში შეცვივდნენ გლეხები, ცემეს ტყის მცველს, წაართვეს დამუშავებული მასალა და დაიტაცეს... ამის შემდეგ გლეხები მოვიხდნენ სახლში, ცემეს ჩემს მოურავს, დაანგრიეს ყველაფერი რაც ხელთ მოხვდათ და მიიმალნენ[245, საქ. 223, ფურც. 3].

ტყეებით სარგებლობისათვის 1869-1870 წლებში გლეხთა ბრძოლას ადგილი ჰქონდა ქუთაისის მაზრის სოფლებში - ბილდათში, კინკნალეთში, ზეგანში, ზეკარში, აჯამეთში, ხრეისში, სიმონეთში, თელავის მაზრის სოფლებში - ვეჯინიში, საბუეში, ვაჩნაძიანში, დუშეთის მაზრის სოფლებში - ქსოვრისში, გუდარეხში, გუდამაყარში, კოდისწყაროში, ჟინვალში, ზემობოდაში, ფრეზერში, დამისყანაში [243, საქ. 844, ფურც. 4-5].

1874-1876 წლებში გორის მაზრის სოფლებში ქარელში, კეხიჯვარში, სანებლიეში, აგარაში, ყინწვისში, სამწვერისში, წრომში, ტინისხიდში, ორტევში, კავთისხევსა და სხვა სოფლებში[245, საქ. 1179, 1434, 1732, 2174].

ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა მღელვარე გლეხობას, აპატიმრებდა მათ მოთავეებს, ასახლებდა მშობლიური სოფლებიდან. ამ გზით ცდილობდნენ გლეხების დამორჩილებას, მაგრამ გლეხთა საბრძოლო სულისკვეთება ვერავითარმა რეპრესიამ ვერ გატეხა; გლეხების რევოლუციური განწყობილება სულ უფრო ძლიერდებოდა. გლეხები აცხადებდნენ: თავს დავიხოცავთ და ჩვენს სარჩოს ხელიდან არ გავუშვებთ. უფრო გაბედულადაც მიმართავდნენ ხელისუფლებას "თუ გინდათ თით-თითობით სატუსაღოში გამოგვალპეთ, ჩვენს ლუკმას პირიდან მაინც ვერ გამოვიღებთ"[26, გვ. 112]. გლეხების ასეთი განწყობილება მიგვითითებს სოციალური ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ქართულ სოფელში.

საქართველოს გლეხობა იბრძოდა აგრეთვე საძოვარი ადგილების სარგებლობისათვის, ეს ბრძოლა აგრარული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. საძოვრებს გლეხკაცის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მეცხოველეობა იყო ძირითადი საქ-

მიანობა; მემამულეებსა და გლეხებს შორის დავა-უთანხმოება წყდებოდა მემამულეების სასარგებლოდ. თუმცა ლებულებით საძოვარი ადგილებით გლეხებს თავისუფალი სარგებლობის უფლება ჰქონდათ, მემამულეებმა საძოვარზე დააწესეს მაღალი ბაჟი. 1871 წელს ზუგდიდის სასოფლო საზოგადოების მიერ მეფისნაცვლის სახელზე შედგენილ საჩივარში ვკითხულობთ: "საწესდებო სიგელების შედგენამდე გვყავდა საქონელი, ვაძოვებდით და ამისათვის არაფერს ვიხდიდით... ეხლა კი მინგრელსკი საჩოვარი და საჯარეხე ადგილებისათვის თხოულობს გადასახადებს, რაც გვიჭირს"[251, საქ. 124, ფურც. 5].

გლეხთა მოძრაობით დაშინებული მემამულეები დუშეთის მაზრიდან 1872 წლის 18 ოქტომბერს იწერებოდნენ: "მიუხედავად სპეციალური დადგენილებისა, ჩვენს საკუთრებაში არსებული საძოვარი ადგილებით გლეხების მიერ თვითნებურად სარგებლობის კატეგორიულად აკრძალვისა, ისინი მაინც იჭრებიან წინადუშეთის მამულებში, ერეკებიან საქონელს და აძოვებენ მას"[26, გვ. 119],ხოლო კობიაანთკარიდან კი კობიაშვილები გლეხებს უჩიოდნენ: რომ "ისინი ჩვენი ნებართვისა და თანხმობის გარეშე, მიუხედავად არაერთხელ აკრძალვისა, მაინც აძოვებენ საქონელს სოფ. მლაშეს საძოვრებზე, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის [26, გვ. 119].

დუშეთის მაზრაში 1871 წელს გლეხებსა და მუხრან-ბატონს შორის მომხდარა შეტაკება ჭალაში თვითნებურად საქონლის ძოვების გამო. 1869 წლის 17 ოქტომბრის დუშეთის სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებას გლეხები არ დაეთანხმნენ და თვითნებურად შერეკეს პირუტყვი საძოვრებში. მოხდა შეიარაღებული შეტაკება. მემამულეებისა და მოხელეთა ცდა-გაერეკათ გლეხები საძოვრებიდან - უშედეგოდ დამთავრდა. როცა ვერაფერს გახდნენ, მემამულეებმა დაიჭირეს გლეხების პირუტყვი და მეთვალყურე მიუჩინეს, ამან კიდევ უფრო აღაშფოთა გლეხობა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ პირუტყვის დაბრუნებას, მაგრამ მემამულის მსახურნი წინააღმდეგნი იყვნენ. გლეხებმა გადაწყვიტეს ძალა გამოეყენებინათ. შეშინებული მუხრან-ბატონი გაიქცა და მიიმალა. აღშფოთებული გლეხების რისხვა მუხრან-ბატონის მოურავს დაატყდა თავს.იგი გლეხებმა შეიპყრეს და კეტებით სცემეს, გან-

დევნეს მეთვალყურენი, დაიხსნეს პირუტყვი და კვლავ საბალახოში შერეკეს. ამ მღელვარებაში მონაწილეობდა მესხრან-ბაჭინის ყველა დროებითვალდებული გლეხი.

გლეხების ამ გამოსვლას თან მოჰყვა რეპრესიები, მღელვარების მოთავენი ლუკა კარიაული, ხუტა მჭედლიშვილი, ივანე კონცელაშვილი, შეიპყრეს და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს[26, გვ. 119-120]. გლეხთა მღელვარებას საძოვრების თაობაზე ადგილი ჰქონდა მაზრის სხვა სოფლებშიც.

მართალია, მემამულეებისა და გლეხებს შორის წარმოშობილი უთანხმოება ფართო მასშტაბის გამოსვლებში არ გადაზრდილა, მაგრამ მაინც გარკვეული გავლენა მოახდინა საერთო ვითარებაზე; ნიადაგი მოამზადა ახალი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

საძოვრებისათვის ბრძოლა გამწვავდა სიღნაღისა და თელავის მაზრებში. აქ მემამულეებს ჩოლოყაშვილებს, ჭავჭავაძეებს, ანდრონიკაშვილებს, მაყაშვილებს და სხვებს მტრულად დაუპირისპირდნენ მათივე დროებითვალდებული გლეხები.

საძოვრებისათვის ბრძოლამ ასევე მასიური ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოშიც. აქაც ხშირი იყო შეიარაღებული შეტაკების შემთხვევები.

1871 წლის 22 ოქტომბერს სოფ. მარანიდან (ქუთაისის მაზრა) დროებითვალდებულ გლეხთა 10 კომლის სახელით ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და ათანასე კვირკველია წერდნენ: "ჩვენ, მარნის საზოგადოების გლეხნი, ვართ შევიწროებულნი, აზნაურნი ნანეიშვილები არ გვიშვებენ პირუტყვის საძოვრად და მის გამო გვეხოცება შიმშილით პირუტყვი ჩვენი და ვართ დიდ ზარალსა და შრომას მათ მიერ უდიერი მოქმედებით"[251. საქ. 103, ფურც. 4-5]. ასეთივე შინაარსისა იყო შორაპნის, რაჭის, ზუგდიდისა და სხვა მაზრების გლეხების თხოვნა.

1875 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. გუბის მემამულეებსა და გლეხებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. გლეხები საძოვრებისათვის თითო სულ პირუტყვზე ათ შაურს იხდიდნენ. გლეხებმა შემთხვევით იპოვეს ძველი დროის საბუთი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეს საძოვრები გლეხებს ეკუთვნოდა. ამიტომ მათ ამ ადგილებით უსასყიდლოდ სარგებლობა მოინდომეს. მემამულეები გლეხებს მისცვივდნენ და ჩხუბი აუტეხეს. მალე მემამულეებსა და გლეხებს შორის თავი იჩინა დავამ, "თუ სასამართლომ ეს ადგილები გლეხებს არ დაარჩინა, – წერდა გაზ. "დროება", – გლეხები სწორედ იძულებული იქნებიან, რომ ამ სოფლიდან აიყარნონ და სადმე სხვაგან დასახლდნენ, რადგან პირუტყვს კარზე ვერ გამოუშვებენ და გამოჯავრებული თავადები ადრინდელ გადასახადებს არ დასჯერდებიან [214. 1875 წ. № 1].

1870 წელს კავკასიის კომიტეტი დაინტერესდა საძოვრებით სარგებლობის საკითხით. სცადეს საერთო კანონის შემუშავებაც, მაგრამ უშედეგოდ. 1870 წლიდან საბალახო გადასახადი ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა, 1 სულ მსხვილფეხა საქონელზე დაწესდა 1–2 მანეთი და ჯარიმები. ეს კი ძიმე ტვირთად დააწვა გლეხს. 1875 წელს თბილისის გუბერნატორი თავის მოხსენებით ბარათში წერდა: მემამულეებთან მუდმივი შეჯახება და უზარმაზარი ჯარიმები, რასაც გლეხებს ახდევინებდნენ მემამულის კუთვნილ საძოვარზე პირუტყვის შემთხვევით გადასვლის გამო, აიძულებდა მათ იჯარით აეღოთ ეს ადგილები.[243, საქ. 1638, ფურც. 13]. გლეხები კი ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. საძოვრებზე დაწესებული გადასახადები ყოველწლიურად იზრდებოდა, ამან მრავალი უკმაყოფილება გამოიწვია, რის ნიადაგზე არა მარტო საჩივრებს, არამედ ხშირად შეიარაღებულ ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი.

დიდი დავის შემდეგ გორის მაზრის მთის ზონის 26 სოფლის მცხოვრებმა 277 დროებით-ვალდებულმა გლეხურმა კომლმა მიიღო 616 დესეტინა, ე.ი. კომლზე 2.23 დესეტინა საძოვარი. ამავე მაზრის 35 სოფელში დიდი დავის შედეგად გლეხებსა და მემამულეებს შორის მოხდა შეთანხმება, 470 კომლს 1 333 დესეტინა, ანუ საშუალოდ კომლს 2,83 დესეტინა საძოვარი ხვდა წილად.

საძოვრებით სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადებზე უარი განაცხადეს ოსეთის უბნის სოფლების ქურთას, წირქვლის, ყანჩავეთის, ბოლის, იკოთის, ბეყანიანთკარის, ახმაჯის, ოძისის, საბის, ორჩოსნისა და სხვ. სოფლის გლეხებმა [243, საქ. 28, ფურც. 100-205].

გლეხები ხშირად თვითნებურად, უნებართვოდ შერეკავდნენ ხოლმე მემამულის კუთვნილ საძოვრებში პირუტყვს, დუშეთის მაზრის მემამულე ქუმსიშვილი ჩიოდა: გლეხები შეთანხმების გარეშე აძოვებენ პირუტყვს ჩემს კუთვნილ საძოვრებზე, რითაც დიდ ზარალს მაყენებენ". [26, გვ. 119].

რეფორმის შემდეგ ქართველი მშრომელი გლეხობა ძალა-კულუხს ისევ იმ ოდენობით იხდიდა, როგორც ბატონყმობის დროს. იმდროინდელი გლეხი ფაქტიურად არ განსხვავდებოდა წინანდელი ყმისაგან გარდა პირადი, იურიდიული თავისუფლებისა. საგრძნობლად გაუარესდა გლეხობის დიდი ნაწილის ეკონომიკური მდგომარეობა. [11, გვ. 520]. ასეთ პირობებში საქართველოს გლეხობა ისევე როგორც რუსეთისა, განაგრძობდა მღელვარებას, განაგრძობდა სრული, ნამდვილი თავისუფლების ძებნას.

კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა. მართალია, ამ შემთხვევაში ქართველ გლეხობას იარაღისათვის არ მიუმართავს, მაგრამ გადასახადებზე უარის თქმა გაბედულ პროტესტს წარმოადგენდა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმის ყველაზე მეტ შემთხვევას 60-იანი წლების მეორე ნახევრისა და 70-იან წლებში ჰქონდა ადგილი, 1867 წელს გორის მაზრაში ბეგარა-გადასახადების გამო ურჩობის 3.969 შემთხვევა ყოფილა, ხოლო 1871 წელს – 2.724 . [26. გვ. 165].

ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმას მასობრივი ხასიათი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. 1866 წელს ქუთაისის გუბერნიაში 5.489 საჩივარი აღძრულა. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა ბეგარა-გადასახადების გადაუხდელობაზე მოდიოდა. [251. საქ. 892, ფურც. 38]

დებულების წესით, საწესდებო სიგელების შედგენის პროცესში მემამულეებისა და გლეხების ურთიერთობა ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნებით ხასიათდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დროებით-ვალდებული გლეხი მოვალე იყო გადაეხადა ყველა ის გადასახადი, რომელიც ბატონყმობის დროს ჰქონდა შეწერილი, აგრეთვე უნდა შეესრულებინა შრომითი ბეგარაც, მემამულესათვის მიეცა შინაყმა. ამან აღაშფოთა გლეხობა. შეიძლება მას მოჰყოლოდა უფრო მძიმე შედეგები, რომ ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს არ მიეღო შემამსუბუქებელი დადგენილება: "მემამულეებს არა აქვთ უფლება გლეხებისაგან მოითხოვონ შრომითი ბეგარა არა უმეტესი კვირაში ერთი დღისა". [238, საქ. 308, ფურც. 34]. მაგრამ გლეხები მაინც უარს ამბობდნენ სამუშაოდ გასვლაზე ანდა საკომპენსაციოდ ფულად ანაზღაურებაზე.

1867 წელს მემამულეებსა და გლეხებს შორის გაუთავებელმა დავამ ხელისუფლება აიძულა შინაყმები ბატონყმობისაგან გაეთავისუფლებინა. თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო გლეხთა საქმეების საკრებულოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გლეხი ვალდებული იყო წელიწადში 52 დღე ემუშავა მემამულის სასარგებლოდ.

გლეხებს უნდა შეესრულებინათ სახელმწიფო ბეგარაც, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მათ. მემამულეთა და სახელმწიფოს ასეთ ძალ-

მომრიგებას არ შეიძლება მასების პროტესტი არ გამოეწვია. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი თავადაზნაურობა და დროებითვალდებული გლეხები.

1874 წლის 15 აგვისტოს სურამელი მემამულე ხადირბეგაშვილი გორის მაზრის უფროსს ატყობინებდა: "დროებითვალდებული გლეხების ურჩობის გამო მისავალი აუღებელი დამრჩა... მოსალოდნელია შეიარაღებული შეტაკება" [245. საქ. 225, ფურც. 8].

1875 წლის 22 ივნისს გლეხების ურჩობით შეშინებული მემამულე გ. ერისთავი მაზრის უფროსს სწერდა: "როდესაც დროებითვალდებულ გლეხებს სათიბად ვთხოვე გამოსვლა, გლეხებმა არა მარტო უარი განმიცხადეს სამუშაოს შესრულებაზე, არამედ უხეშად მიპასუხეს და ამით შეურაცხმყვეს" [243, საქ. 186, ფურც. 173].

1876 წლის 18 ივნისს გორის მაზრის სოფ. ტყვიავის მემამულეები იწერებოდნენ: "გლეხებმა უარი განაცხადეს რა საბეგარო შესრულებაზე, დაიწყეს უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება". უფრო მეტიც - კეტებით შეიარაღებულნი თავს დაესხნენ მემამულეებს [245, საქ. 1884. ფურც. 4-6]. გორის მაზრის სოფ. ქლავის გლეხები მოსაკლავად მისცვივდნენ მემამულეს, რადგან იგი გლეხებისაგან ბეგარაზე სამუშაოდ გასვლას მოითხოვდა. ამავე მიზეზით იფეთქა გლეხთა მღელვარებამ სოფ. ბერბუკში, ხიდისთავში, მსხლებში, ახალჯვარში, აღაიანში (გორის მაზრა) კარდენახში, ზიარში (სიღნაღის მაზრა) და სხვა სოფლებში. [26, გვ. 139. 140].

დროებითვალდებული გლეხები უარს ამბობდნენ სახელმწიფო ბეგარაზეც.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ არ იყო არცერთი დროებითვალდებული გლეხი, ვისაც ბატონყმობისდროინდელი გადასახადები არ ჰქონოდა დარჩენილი, ამიტომ შეიტანა ხელისუფლებამ ადგილობრივ დებულებაში ერთი პუნქტი, რომლის ძალით მემამულეებს ნება ეძლეოდათ რეფორმის გამოცხადების შემდეგ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ნაყმევებისაგან

ამილლით დარჩენილი გადასახადები. იქვე იყო ნათქვამი, რომ ორი წლის გასვლის შემდეგ მათ ეკრძალებოდათ ამ უფლებით სარგებლობა. ამიტომ იყო, რომ მემამულეები პირველსავე წლებში ყოველნაირად ცდილობდნენ აეძულებინათ გლეხები დარჩენილი გადასახადები გადაეხადათ. გლეხები მაინც განაგრძობდნენ დარჩენილი გადასახადების გადახდაზე უარს. არ იყო სოფელი, სადაც ხსენებულ საკითხებს შეხლა-შემოხლა არ გამოეწვია – [243. საქ. 28, ფურც. 29]. წერდა გორის მაზრის მომრიგებელი შუამავალი.

1867 წელს სოფელ ჯართისხეველებმა უარი განაცხადეს გადასახადის გადახდაზე. წესრიგის დამყარების მიზნით იქ მიავლინეს "კოლეჟსკი სეკრეტარი" ჩივაძე, მან გლეხებს უბრძანა დაეფარათ დავალიანება, მაგრამ უარი მიიღო. ჯართისხეველებმა წარმომადგენლები გააგზავნეს სოფ. მურდის მცხოვრებლებთან, რომ მემამულე ერისთავის წინააღმდეგ ყველა დროებითვალდებული გლეხი ერთსულოვნად გამოსულიყო და ბრძოლა გაეწიათ ხელისუფლებისათვის [243,. საქ. 186, ფურც. 189]

მეორე დღეს ჩივაძის განკარგულებით გლეხებს წაართვეს მსხვილფეხა პირუტყვი. ამან უფრო აღაშფოთა გლეხები. კეტებით შეიარაღებული 80 მურთელი და ჯართისხეველი ჩაუსაფრდა ჩივაძეს. როცა იგი გამოჩნდა, ყვირილით დაესხნენ თავს და განუცხადეს, რომ ეკლესიაში მიღებული ფიცის თანახმად, სანამ ცოცხლები არიან, საქონლის წაყვანის უფლებას არავის მისცემდნენ. ამასთანავე ამბობდნენ, რომ საერობო ხელისუფლების მიერ მისჯილ გადასახადს ერისთავების სასარგებლოდ არ გადაიხდიდნენ . [243. საქ. 186, ფურც. 189. 26, გვ. 148].

ჯართისხეველებისა და მურთელების გამოსვლა წინასწარ მომზადებული ჩანს. ამაზე მეტყველებს ის, რომ გლეხები ფიცს დებდნენ ერთად ებრძოლათ მემამულეთა წინააღმდეგ; მათი გამოსვლა რომ უფრო ძლიერი და ორგანიზებული ყოფილიყო, თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიდნენ სხვა სოფლებში მემამულეების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დასარაზმავად.

ჯართისხევში გლეხთა გამოსვლამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მემამულე ერისთავი აიძულა დათმობაზე წასულიყო, შეემცირებინა გადასახადები.

1868 წელს თელავის მაზრის სოფ. შალაურში მემამულე მაჭავარიანების გადასახადებზე უარი თქვა სოფლის გლეხობამ. წინააღმდეგობა გლეხებსა და მაჭავარიანებს შორის გამწვავდა. შეიარაღებული გლეხები მისცვივდნენ მემამულეს და სცემეს. თანაც განაცხადეს, "ვინც ჩვენ ხელს მოგვაკარებს, აქვე ადგილზე მოვკლავთო" [26, გვ. 149].

ხელისუფლებამ მოთავე გლეხები: საბა ვაშაკიძე, გაბრიელ, სტეფან, გიგლა, ისაკი, ბეთო, შაქრო, იაკობ, სიმონ, დიმიტრი წიგნაძეები დააპატიმრა და თითო წელი პატიმრობა მიუსაჯა. [26, გვ. 149]

1873 წლის 16 ივნისს დავით მაჩაბელმა საჩივარი შეიტანა ზემდგომ ორგანოებში. საჩივარში წერია: "გორის მაზრის სოფ. შუაცხვირელი გლეხები უარს ამბობენ სიგელით გათვალისწინებულ გადასახადებზე, კეტებით გამოდიან ჩემს წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სურთ თავდასხმა მოაწყონ ჩემს მოსაკლავად, ამგვარ მკვლელობებს ხშირი ხასიათი აქვს გორის მაზრაში". [247, საქ. 466, ფურც. 22]

სოფლად რომ გლეხთა მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო, ამას მოწმობს აგრეთვე 1872 წლის 15 აგვისტოს თბილისის გუბერნატორის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: "სოფ. გორგაშენის გლეხები... წინააღმდეგობას უწევენ მემამულეს და მოუწოდებენ სხვა სოფლის გლეხებსაც მათ მაგალითს მიბაძონ". 1874 წელს გარეჯვრელი ამილახვრები აღნიშნავდნენ: "გლეხები არ იხდიან პურის, სიმინდის, ქერის, ღვინის, თივისა და სხვა სახის გადასახადებს" [247, საქ. 392, ფურც. 96.].

გადასახადების ირგვლივ გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა დასავლეთ საქართველოშიც. ქუთაისის მაზრის მემამულემ გერონტი წულუკიძემ საგლეხო საქმეების საკრებულოში აღძრა საჩივარი, რომელშიც ვკითხულობთ: "დროებითვალდებულ ყმათა ჩემთა ჩხარის უჩასტკის სოფ. სიქთარვაში

ცხადაძეებმა, წალაძეს და სხვებმაც განმიცხადეს უარი ჩვეულებრივ სამსახურზე" [251, საქ. 813, ფურც. 23].

შორაპნის მაზრის სოფ. საზანოს, კაცხის, საქარის, ჭალატყის, ბავრეთის, ტყემლიანწვაკის, რგანისა და მორძგვეთის გლეხთა მღელვარება მიმართული იყო მემამულე აბაშიძეების წინააღმდეგ. [26. გვ. 152].

სოფ. მორძგვეთში გლეხები შეტევაზე გადავიდნენ და თავს დაესხნენ მომრიგებელ შუამავალს, წაართვეს ჩანთა, სიგელები დაწვეს, თვითონ შუამავალი სოფლიდან გააძევეს. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა მორძგვეთელების სამაგალითო დასჯა მოითხოვა. მისი განკარგულებით სოფელში ეგზეკუცია ჩააყენეს, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები კი დააპატიმრეს. [26, გვ. 152].

გადასახდელების გადაუხდელობის გამო გლეხების გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე 1871 წელს გორგაშენში, ატოცში, ხვედურეთში, ზრილში, ლამისყანაში, კასპში, კარალეთში (გორის მაზრა); კუმისში, მარაბდაში (თბილისის მაზრა); შალაურში, ზეგანში (სიღნაღის მაზრა); ნაფარეულში, შილდაში, გრემში, ალტაში (თელავის მაზრა); 1872 წელს - მეჯვრისხევში, გარეჯვარში, (გორის მაზრა); კურდღელაურში (სიღნაღის მაზრა);. 1875 წელს - ფცაში და სხვ. სოფლებში. [26. გვ. 152].

გლეხების მიერ გადასახადების გადახდაზე უარის თქმამ ხელისუფლება ძლიერ ჩააფიქრა. გამოსავალს ნატურალურიდან ფულად გადასახადებზე გადასვლაში ხედავდა. ფულად გადასახადებზე მასიურად გადასვლა მოხდა 1870 წლიდან.

მემამულეები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ფულადი გადასახადი დაეწესებინათ, ეს კი გლეხებს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლის შედეგად მოთხოვნილება ფულზე გაიზარდა. "გლეხს ფული უნდა ეშოვნა რადაც უნდა დასჯდომოდა: გადასახადთა შესატანადაც, რომელიც ასე გაადიდა კეთილშო-

ცალმა რეჟიმმა, მიწის იჯარის აღებისთანავე, საფაბრიკო მრეწველობის ამ მცირეწლოვანი პროდუქტების საყიდლადაც, რომლებმაც თანდათან განდევნეს ქვეყნის წინანდელი პროდუქტები, პურის საყიდლადაც და სხვა." [11, გვ. 619].

განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა გორის მაზრაში; 1870 წ. 400 კომლმა პირველ განყოფილებაში უარი განაცხადა გაზრდილ ფულად გადასახადზე; 1871 წ. იმავე მაზრის მთის ზონის 1447 კომლი გამოვიდა გაზრდილი ფულადი გადასახადის წინააღმდეგ. 1872 წელს გორის მაზრის მეორე განყოფილებაში მემამულეებთან ფულადი გადასახადების თაობაზე დაიჩივლა 2159 კომლი გლეხი (1737 საჩივარი).

ახალქალაქის მაზრაში 1871 წ. გაზრდილ ფულად გადასახადზე უარი განაცხადა 275 კომლმა გლეხმა;

სიღნაღის მაზრაში 1871 წ. 984 კომლმა, ხოლო 1873 წ. 1073 კომლმა. [243, საქ. 733, ფურც. 8-9]

მსგავსი ვითარება იყო ქუთაისის გუბერნიაშიც. 1874 წელს ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობაზე დარჩენილი გადასახადების რაოდენობა შეადგენდა 20.896 მანეთს, 1876 წელს 23.657 მანეთს, 1878 წელს კი 116.896 მანეთს მიაღწია. [238, საქ. 308, ფურც. 65].

ფულადი გადასახადების გვერდით იურიდიული ძალა ჰქონდა აგრეთვე ნატურალურ გადასახადებსაც. ამიტომ ქართველი გლეხი იძულებული იყო ებრძოლა როგორც ერთი, ისე მეორე სახის გადასახადის წინააღმდეგ.

გლეხები დაობდნენ ნადელების შესყიდვის თაობაზეც. გლეხთა საპროტესტო მოძრაობა ნადელების შესყიდვის ირგვლივ ყოველწლიურად ძლიერდებოდა და სულ უფრო ფართო მასებს მოიცავდა.

1871 წელს ნავარეულელი გლეხები ერთობლივად აღსდგნენ ნადელების წესების წინააღმდეგ: მათ დასამორჩილებლად გაიგზავნა დამსჯელი რაზმი; სოფელში ეგზეკუცია ჩააყენეს. გლეხები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ეგზეკუციის მოხსნა, "მოუსავლიანობისა და სიღარიბის გამო არ ძალუძს ღალის გადახდა ხაზინისა და მებატონის სასარგებლოდ", [243, საქ. 462,

ფურც. 25-26]. წერდნენ გლეხები ზემდგომ ინსტანციაში. საჩივარი ზემდგომმა ინსტანციამ თელავის მაზრის უფროსს გადაუგზავნა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გლეხებისადმი უსამართლობის კიდევ ერთი ფაქტის - ეგზეკუციის ჩაყენების დასაფარავად ურცხვად განაცხადეს: "სოფელ ნაფარეულში არავითარი ეგზეკუცია არ ყოფილა" [243, საქ. 452. ფურც. 1105. 418-419].

სიღნაღის მაზრის სოფ. ზეგანში 1878 წელს გლეხებმა უარი განაცხადეს გამოსასყიდი თანხის დაფარვაზე და მოითხოვეს სხვა მიწებზე გადასახლება. სოფელში გაიგზავნა ჩაფრები, ჩააყენეს ეგზეკუცია. [243. საქ. 452. საქ. 452].

მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა ნადელების გამოსყიდვის გამო სამეგრელოში; განსაკუთრებით აქტიურად გამოდიოდნენ მინგრელსკების სანადელო მიწების გამოსყიდვაზე. გლეხების ბრძოლამ სანადელო მიწების შესყიდვის წინააღმდეგ ფართო ხასიათი მიიღო. ამან ხელისუფლება ისე შეაშფოთა, რომ საჭირო გახდა მკაცრი ღონისძიებების გატარება, კერძოდ: - თუ ყოველგვარი ცდა გლეხებიდან სახელმწიფო სესხის მიღებისა უშედეგოდ დამთავრდა, მოვალე გლეხების მიწები უნდა გაიცეს იჯარით და ამოღებული იქნეს დავალიანება. თუ ერთი წლის იჯარა ვერ დაფარავს ვალს, მაშინ საიჯარო ვადა უნდა გაგრძელდეს ვალის საბოლოო დაფარვამდე. [243, საქ. 1105, ფურც. 3-4].

მთავრობის მიერ გატარებული ეს ღონისძიებები "ურჩი" გადამხდელი გლეხებისათვის სანადელო მიწების ჩამორთმევას ნიშნავდა და გლეხი უარეს მდგომარეობაში ვარდებოდა. რეფორმის გატარების შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარება დროებითვალდებულ გლეხებს ობიექტურად ბრძოლის უფრო აქტიური ფორმებისაკენ უბიძგებდა.

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ საქართველოში გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი მიზეზი ადგილ-მამულის გაუმიჯნაობა იყო;

ადგილმამულების დიდი ნაწილი სადაო შეიქნა, მამულით სარგებლობას ხშირად კეტისა და ხმალ-ხანჯლის ტრიალი მოჰყოლია. "მთელ საქართველოში ოცი მემამულე არ იპოვება,- აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, - რომ მიდავე არ ჰყავდეს, სრულად უდავო იყოს". [126ა, გვ. 17].

ხშირი იყო დავა საბატონო, საეკლესიო და სახელმწიფო გლეხებს შორის. მამულების გაუმიჯნაობა ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი იყო და დაქსაქსულობის გამო გაურკვეველი რჩებოდა თვით თავადაზნაურობის მიწების ფარგლებიც კი. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შემფერხების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს სწორედ მამულების გაუმიჯნაობა წარმოადგენდა, - მემამულეები დაინტერესებულნი არ იყვნენ მამულში რაიმე სიახლის შეტანით, რადგან მათ არ იცოდნენ საბოლოოდ ვის დარჩებოდა მოსავალი.

საზოგადოებრიობა დიდ იმედს ამყარებდა მამულის გამიჯვნის კომისიის მუშაობაზე. მაგრამ ცხოვრების სირთულემ, საადგილმამულო ურთიერთობამ და მისმა განვითარებამ არ გაამართლა იმედები. ივ. მაჩაბელი გულისტკივილით აღნიშნავდა: "არ იქნა და არ მოელო ბოლო ჩვენში მიწა-წყლის საქმეს. ეს გახიახებული და გაშანშლული საქმე არის მიზეზი ათასგვარი უწესობისა და მტრობისა ერთმანეთში. ისე კვირა როგორ გავა, რომ სახლიკაცი სახლიკაცს, სოფელი სოფელს, მებატონეები გლეხებს და ზოგჯერ ერთმანეთს თოფ-იარაღით არ დაერივნენ, თავპირი არ დააჩეხონ და კიდევ არ მოჰკლან რამოდენიმე კაცი". [214, 1880 წ. № 144].

მიწების გაუმიჯნაობამ სოციალური დაძაბულობა უფრო გაამწვავა. გაჭიანურებული დავა, კაცის კვლა, სახლ-კარის გადაწვა და აოხრება რეფორმის შემდეგ პერიოდში, განსაკუთრებით 70-იან წლებში ისე გახშირდა, რომ საქართველოში ვერ ნახავდით სოფელს, სადაც გლეხებსა და მემამულეებს შორის დავასა და ჩხუბს ადგილი არა ჰქონდა. ჩვენში

ჯერჯერობით თითქო ყოველივე უფლება მალას აქვს მინიჭებული და ვინც ღონიერი არ არის, ვინც ხანჯლის ტრიალს ერიდება, თავის ნაწილზე ხელი უნდა აიღოს. [108, გვ. 122].

"დროების" კორესპონდენტი გორის მაზრიდან იტყობინებოდა: "გლეხებსა და ზოგიერთ უფრო მაღალის წოდების პირთ მამულზედ ჩხუბი მოუვიდათ და რამდენიმე კაცი დაჭრილი წაიღეს. საციციანოში ერთ ციციშვილს კიდევ მამულის თაობაზე ერთი გლეხკაცი შემოკვდომოდა. რამდენიმე თავადიშვილის გვარს ერთმანეთში მოსვლიათ ჩხუბი საზღვრების გამო და რაც ერთმანეთში ერთისა და იმავე გვარის წარმომადგენელთ ჩხუბი მოსდით, ამას ვინ მოსთვლის". [214: 1880. № 144]. არსებული რთული მდგომარეობით იყო გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება და მღელვარება. ღრმავდებოდა და მწვავდებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლები კი არ ცდილობდნენ გაეტარებინათ რაიმე ღონისძიება დაბეჩავებული გლეხობის დუხჭირი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის; პირიქით, გლეხობის წინააღმდეგ სამხედრო ეგზეკუციას აგზავნიდნენ, რაც ძალზე დიდ ტვირთად აწვა სოფელს.

1864-1870 წლებში თბილისის გუბერნიაში 36.000.000 დესეტინა მიწიდან გაიმიჯნა სულ 1.225.216 დესეტინა, ე.ი. დაახლოებით ერთი მესამედი. ქუთაისის გუბერნიაში საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო. 16.000.000 დესეტინა მიწიდან გამიჯნული იყო მხოლოდ 275.030 დესეტინა. [26, გვ. 127].

მიწების გამიჯვნის საქმე მთლიანად მემამულეების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, რაც მათ გზას უხსნიდა ყოველგვარი ბოროტმოქმედებისაკენ. [243. საქ. 4, ფურც. 32].

მემამულეები გლეხებს გაუმიჯნავ მიწებს აძლევდნენ, თანაც გამიჯვნის ვადა არ იყო გარკვეული; როცა გლეხები გაუმიჯნავ ნაკვეთებს დაამუშავებდნენ და მაღალნაყოფიერს ხდიდნენ, გამიჯვნისას მემამულის საკუთრება ხდებოდა. ეს ქმნიდა იმის საფუძველს, რომ გლეხებსა და მემამულეებს შორის საპროტესტო მოძრაობა გამწვავებულიყო. ხშირად

იყო შემთხვევა, როცა გლეხები იარაღით ხელში გამოდიოდნენ გამიჯვნის წინააღმდეგ.

1874 წელს ბორჩალოს მაზრის სოფ. სარვანში გენერალ-ლეიტენანტ მუხრან-ბატონის მამულში მუშაობა დაიწყო გამმიჯნავმა კომისიამ. ის მიწები, რომლის გაზომვაც წარმოებდა, გლეხებს ეკუთვნოდა. სოფელში კომისიის მოსვლა ელვის სისწრაფით გავრცელდა. კეტებითა და ხანჯლებით შეიარაღებული 70 გლეხი გამოცხადდა ადგილზე და მოითხოვა კომისიას მუშაობა შეეწყვიტა. ალყა შემოარტყეს მიწისმზომელს და აიძულეს მიეტოვებინა სამუშაო და გაქცეულიყო. [26, გვ. 131].

მეორე დღეს მიწისმზომელი დამხმარე ძუშებით და ბოქაულის ორი მოხელის თანხლებით კვლავ გამოცხადდა მუშაობის გასაგრძელებლად. ამჯერად მათ ორასამდე შეიარაღებული გლეხი დაესხა თავს და მოითხოვეს ხელი აეღოთ მიწის გადაზომვაზე. გლეხები ამტკიცებდნენ, მიწის ნაკვეთები, რომელთა წართმევას მემამულე აპირებდა, მათ მიწის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, რაზედაც დამადასტურებელი წერილობითი საბუთებიც წარუდგინეს. მემამულემ ყურად არ იღო მათი მტკიცება, მაშინ მოთმინებადაკარგულმა გლეხებმა ქვები და კეტები დაუშინეს მოხელეებს. [26, გვ. 131].

ეს ამბავი ცნობილი გახდა გუბერნატორისათვის და გასცა განკარგულება დამნაშავეების სასტიკად დასჯის შესახებ. დაპატიმრებულ იქნა 31 კაცი. მათ საბრალდებულო დასკვნაში ვკითხულობთ: "გლეხებმა არამცთუ არ შეასრულეს მიწისმზომელის კანონიერი მოთხოვნა, არამედ ალყა შემოარტყეს მას და აიძულეს იგი შეეწყვიტა მუშაობა. გლეხების ამ მოქმედებას თან ახლდა მუქარა და არეულობა". [26, გვ. 132].

ქუთაისის მაზრის სოფ. კორთხას მიწების გამიჯვნის გამო დავა წარმოიშვა ხაზინას, ეკლესიასა და გლეხებს შორის, რამაც მიიღო გაჭიანურებული ხასიათი. [246, საქ. 461].

ხდებოდა ისიც, რომ მიწების სადაო საკითხი წყდებოდა გლეხის სასარგებლოდ, სოფელ კაკაბეთში გლეხს კეწერაშვილსა და მემამულე გიორგი ჭავჭავაძეს შორის წარმოიშვა დავა, მიწის ნაკვეთი კეწერაშვილს მიეწოჭა. [246, საქ. 456, ფურც. 24-28] .

ქუთაისის მაზრის სოფ. დიხაშხოს გლეხებს მაღლაკელიძეებს, შენგელიებს, მსხილაძეებს, ჭოხონელიძეებს ქუთაისის საგლეხო საქმეების კომიტეტმა მიაკუთვნა მიწის ნაკვეთები, რის გამო თავადმა ლორთქიფანიძეებმა აღძრეს საჩივარი, მაგრამ საჩივრის განხილვისას მიწები აღნიშნულ გლეხებს დაუტოვეს საკუთრებაში. [251, საქ. 366] .

ქუთაისის მაზრის სოფ. დიმის დროებითვალდებული გლეხები ვახტანგ, მათე და დიმიტრი ჭრიალაშვილები დაობენ მიწის ნაკვეთის გამო თავად მერაბ ჩხეიძესთან; დავა გამწვავდა; გ. ჩხეიძე იძულებული შეიქნა მიწის ნაკვეთი მიეცა როსტომ ჭრიალაშვილისათვის. [251, საქ. 200, ფურც. 4-6] .

შორაპნის მაზრის მენამულე მიხეილ წერეთელი ქუთაისის გუბერნიის უფროსს სწერდა, რომ საყაჩლის სასოფლო სასამართლომ მიწის ნაკვეთი მიაკუთვნა გლეხებს ძოძუაშვილებს. გუბერნატორმა საყაჩლის სასოფლო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერად სცნო. მ. წერეთელმა საჩივრით მიმართა მეფისნაცვალს, საიდანაც მიიღო ცნობა, რომ მ. წერეთლის საჩივარი არასწორია და წინანდელი გადაწყვეტილება დატოვა ძალაში. [251, საქ. 221, ფურც. 14-16] .

ქუთაისის მაზრის სოფ. გეგუთის მცხოვრები გლეხის გლახუა ჯაბუნიას მიწის ნაკვეთი-ექვსი ქცევა - მიიტაცა თავადმა ნ. იაშვილმა. ეს ნაკვეთი გაბუნიას ცოლის მზითევში ერგო, ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე. გამწვავდა დავა გლეხსა და მემამულეს შორის. ზემდგომმა ორგანოებმა საქმე გლახუა გაბუნიას სასარგებლოდ გადაწყვიტა. ნ. იაშვილმა მეფის ნაცვალს მიმართა, მაგრამ მეფის ნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონ ნიკოლაი სწერს ნ. იაშვილს, რომ დიდმა მთავარმა მიწის ნაკვეთი გლეხის საკუთრებაში დატოვა. [251, საქ. 199] .

თელავის მაზრის სოფ. არტაანის დროებითვალდებული გლეხები ივ. ქიტოიაშვილი, იასე და ანდრო შიოლაშვილები ედავებიან მემამულე ყარალაშვილს მიწის ფართობის გამო; დავამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ გლეხები თვითნაკეთი იარაღით დახვდნენ მემამულეს და აიძულეს დაეთმო მიწის ნაკვეთი [251, საქ. 22.]

გამწვავებული ხასიათი მიიღო გლეხებისა და მემამულეების დავამ ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვში; გლეხები გიგილო, ფირანა და ასანო შავიშვილები ამუშავებდნენ სახაზინო მიწას. მემამულე ხაბურზანიამ გლეხებს წაართვა მიწა. ბახვის სასოფლო სასამართლომ სადავო საკითხი მემამულის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ამან თავის მხრივ გაზარდა გლეხების უკმაყოფილება და ღელვა. ხელისუფლებამაც მემამულეს დაუჭირა მხარი [251, საქ. 351, ფურც 44]

გორის მაზრის სოფ. ყარაღაჯის გლეხები უჩივიან თავად გიორგი ჯავახიშვილს, რომელმაც უკანონოდ მიისაკუთრა მიწის ნაკვეთები. გლეხები სასამართლოში ჩივიან, რომ ჯავახიშვილის მიერ წართმეული მიწები მათ ნაყიდი ჰქონდათ მემამულისგან. მართალია, დავა გაჭიანურდა, მაგრამ გლეხების მოთხოვნა იმდენად კანონიერი იყო, რომ სასამართლომ მიწები გლეხებს მიაკუთვნა. [251, საქ. 95ა, ფურც 30-31] .

როგორც მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალები გვიჩვენებს, XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ძალზე გახშირდა და გამწვავდა გლეხებსა და მემამულეებს შორის ანტაგონიზმი. გლეხებს არცთუ იშვიათად, თავიანთი კანონიერი უფლებების დაცვა იარაღით უხდებათ. ხელისუფლება ზოგჯერ მოჩვენებით გლეხების მხარეს იჭერს, მაგრამ, ამით არ ნელდება კლასობრივი ბრძოლა, რაც დრო გადის, მით უფრო ღრმავდება და საშიშ ხასიათს იღებს.

შეიარაღებული გლეხები ხშირად არ უშვებდნენ მემამულეებს მათ მიერ დაკავებულ მიწებზე, ბრძოლით და სიკვდილით ემუქრებოდნენ. 1873 წელს სოფ. ლამბალოს მემამულე იასე მაჩაბელი გლეხებმა არ შეუშვეს თავის ბამულში და თურმე მოკვლას უპირებდნენ, - იწერებოდა მომრიგებელი შუამავალი [245, საქ. 1297, ფურც. 8].

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფართო ხასიათი მიიღო გლეხების ძალადობამ დასავლეთ საქართველოში. 1870-1872 წლებში ზუგდიდის მაზრის სოფ. ზენში, ჯაპში, შაქარასა და სხვ. სოფლებში მცხოვრები ერთობით ვალდებული გლეხები – ზარანდიები, ქაჯაიები, ადამიები, წიქვაიები, ნადარაიები, ახალაიები, შამათავები, კვარაცხელიები და სხვ. აშკარა ბრძოლის გზას დაადგნენ, ძალად შეიჭრნენ მემამულე ჩიჩუების მიწებზე და იწყეს მისი დამუშავება. [251, საქ. 74, ფურც. 18].

მსგავს მოვლენებს იმერეთის სოფლებშიც ჰქონდა ადგილი. სოფელ სვირის (შორაპნის მაზრა) მემამულეებს მიუტაციათ 60 ქცევა საგლეხო მიწა. მის შესახებ გლეხებს არაერთხელ აღუძრავთ საჩივარი, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ 500-მდე სვირელმა გლეხმა იარაღით ძალით დაიკავა მემამულეების მიერ მიტაცებული მიწები. ახლა მემამულეები მოგვევლინენ მომჩივანთა როლში. ამას მოჰყვა შეიარაღებული აჯანყება. საქმეში ჩაერია მაზრის მმართველობა, დააპატიმრეს და ქუთაისში გადააგზავნეს მღელვარების 6 მოთავე. [26, გვ. 89].

ამრიგად, საგლეხო რეფორმის გამოცხადების პირველივე წლებიდან საქართველოს სოფლებში მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობა საკმაოდ მწვავე იყო. რაც დრო გადიოდა, გლეხობის ბრძოლა უფრო აქტიურ ხასიათს ღებულობდა. გლეხობა ბრძოლის სხვადასხვა ფორმით ცდილობდა დაეცვა თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. გლეხობის კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას წარმოადგენდა შეიარაღებული აჯანყება, რომელშიც, როგორც სარკეში, აისახა იმდროინდელი საზოგადოების წიაღში არსებული წინააღმდეგობანი, დაუყონებლივ გადაჭრას რომ მოითხოვდნენ. გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო 1866 წლის აჯანყება აფხაზეთში. იგი საკმაოდ კარგად და ღრმად არის შესწავლილი საისტორიო ლიტერატურაში, [151] ამიტომ ჩვენ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ამ ისტორიული მოვლენის უმთავრეს ასპექტებს.

აფხაზეთის 1866 წლის აჯანყება დაიწყო ივლისში. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდა მთავრობის როგორც პოლიტიკური (სამთავროს გაუქმება 1864 წ.), ისე სოციალური ღონისძიებებით უკმაყოფილო თავადაზნაურობა, მაგრამ ძირითადი მამოძრავებელი ძალა გლეხობა იყო. დღეს დამტკიცებულია, რომ აჯანყება მიმართული იყო როგორც ბატონყმური, ისე კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 20 ათასმა კაცმა. აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს აფხაზეთში რუსული ადმინისტრაციის დასაყრდენ პუნქტზე – სოხუმის ციხე-სიმაგრეზე, მაგრამ ეს ცდა, მიუხედავად მეიერიშეთა თავდადებისა, წარუმატებლად დამთავრდა. სამხედრო ძალების მეშვეობით ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ შეძლო აჯანყების ჩახშობა. აჯანყების სამი გამოჩენილი მესვეური სიკვდილით დასაჯეს, რამდენიმე ათეული მონაწილე ციმბირში და ქვეყნის სხვა რეგიონში გადაასახლეს.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მოსახლეობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, ასეთ პირობებში აფხაზთა ერთმა ნაწილმა მიიღო უკიდურესად მცდარი გადაწყვეტილება – გადასახლებულიყო თურქეთში. [151]. ამაში, უპირველეს ყოვლისა, ბრალი მიუძღვის აფხაზთა პრივილეგირებული წოდების იმ ნაწილს, რომელმაც პოლიტიკური ორიენტაცია აიღო თურქეთზე, რუსეთის თვითმპყრობელობას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა "გაეწმინდა" მხარე ურჩი ელემენტებისაგან და თურქეთის მმართველ წრეებს, რომლებსაც ამოძრავებდათ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები.

მიუხედავად აფხაზეთში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობისა, ამ მხარის მოსახლეობას არ შეუწყვეტია ბრძოლა კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს. გლეხთა უკმაყოფილება-უთანხმოების ზრდა, მემამულეთა ბეგარა-ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, მემამულეთა სახლ-კარის დარბევა და აოხრება, მათი მიწების მითვისება და

ა.შ. ბრძოლის ახალი ფორმასა და შინაარსს იძენს. ბრძოლა ძირითადად მი-
მართული იყო ბატონყმობის ისეთი გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორიც იყო
დროებითვალდებული გლეხთა ინსტიტუტი.

თუ გლეხთა მოძრაობაში 60-იანი წლების მეორე ნახევარს და 70-იანი
წლების დასაწყისში ძირითადად დროებითვალდებული გლეხები იყვნენ ჩაბმული,
70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბრძოლაში ებმება სოფლის მშრომელთა
თითქმის ყველა კატეგორია. ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია
სამეგრელოს, სვანეთისა და კახეთის (ქიზიყი) გლეხთა შეიარაღებული აჯან-
ყებები. იარაღასხმულმა გლეხობამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხა-
და მემამულეებსა და მათი ინტერესების დამცველ სახელმწიფო მმართველობას.

სამეგრელოში აგრარულ ბრძოლას 70-იან წლებში თვალსაჩინო ადგილი
უკავია. ამ ბრძოლამ თითქმის ოთხი წელი გასტანა და იგი საყურადღებო და
მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ გამოწვეული იყო არა მარტო რეფორმის შედეგე-
ბით, არამედ მასში ხალხოსნების ხელიც ერია. 1876 წელს ქუთაისის გენე-
რალ-გუბერნატორი ჩიოდა: "უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ზუგდიდის
მაზრაშ არაერთხელ წარმოშობილა უკმაყოფილება გლეხების მხრივ მემამულეთა
წინააღმდეგ." [261, საქ. 75, ფურც. 3].

იმ ხშირი და მასობრივი აჯანყებებიდან, რომლის შესახებაც კავკასიის
მეფისნაცვალი და ქუთაისის გუბერნატორი მიუთითებდნენ, ყურადღებას იპყ-
რობს 1873 წლის მღელვარება სოფელ ზუგდიდსა და კირცხში (ზუგდიდის მაზრა).

1873 წლის სამეგრელოს გლეხთა მღელვარების მიზეზი თავადაზნაურთა
მამულების გადამიჯვნა გახდა. მემამულეები საუკეთესო მიწებს თვითონ
ისაკუთრებდნენ, მწირი და მოუსავლიანი კი გლეხებს მიუზომეს. რამაც აღაშ-
ფოთა გლეხობა და იარაღს მოჰკიდა ხელი. 1873 წლის აგვისტო-სექტემბერში
დროებით ვალდებულმა გლეხებმა სოფ. კირცხში მიწათმზომელს განუცხადეს,
თუ არ დაანებებ თავს მოზომვას, ადგილზე მოგკლავთ. "ჩემი დროებით ვალ-
დებული გლეხები არ მიხდიან არავითარ გადასახადს, ეხლახან მაზრის უფროს-
თან გამოცხადდა ბრბო და მოითხოვა წინა წლებში გადახდილის უკან დაბრუნე-
ბა, [26, გვ. 215]. წერდა კავკასიის მეფის ნაცვალს ზუგდიდელი მემამულე
მინგრელსკი.

ზუგდიდისა და კირცხის 600 კომლი დროებით ვალდებული გლეხი გამოვიდა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიების წინააღმდეგ. მღელვარებამ ზემდგომ ორგანოებში მითქმა-მოთქმა და შიში გამოიწვია. 1873 წლის 3 ნოემბრის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს წერდა: "გუბერნიის მმართველობამ გლეხების დასამშვიდებლად დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები" [26, გვ. 216].

მთავრობამ რეპრესიები განახორციელა. გუბერნატორის ბრძანებით დააპატიმრეს სამი გლეხი. გლეხთა ეს გამოსვლა მარცხით დამთავრდა.

1874 წელს სამეგრელოში ხელახლა იფეთქა მღელვარებამ. ზუგდიდის მაზრის სოფლებში კოკში, ლიაში, ხიბულასა და ნოსირში /სენაკის მაზრა/ გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე. აღნიშნულ გლეხთა გამოსვლები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა. გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და დაიწყეს ბრძოლა თავიანთი ადამიანური უფლებების დასაცავად. [26, გვ. 216].

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ზუგდიდის მაზრის უფროსს წინადადება მისცა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ შეიარაღებული კაზაკთა რაზმი გამოეყენებინა. რაზმმა იერიში მიიტანა სოფ. ლიაზე. გლეხებსა და კაზაკებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ლიაში თოფის გასროლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სამეგრელოს. ლიასა და კოკის გლეხების წინააღმდეგ ხელისუფლებამ კიდევ 60 კაზაკი გაგზავნა. უთანასწორო ბრძოლა კაზაკთა შეიარაღებული რაზმის გამარჯვებით დამთავრდა. რეპრესიებმა და ბალტომრეობამ გატეხა გლეხობის წინააღმდეგობა, აიძულა გლეხები დაეფარათ გადასახადები.

1874 წელს გლეხთა აჯანყებამ იფეთქა ხიბულაში. როგორც სხვა სოფლებში, აქაც გლეხთა ამბოხების მიზეზი მშრომელთა უმოწყალო სოციალური ჩაგვრა იყო. შეიარაღებული გლეხობა თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ კაზაკთა კარგად შეიარაღებული რაზმის შეტევას ვერ გაუძლეს და მიმოიფანტნენ. ბრძოლაში მოკლეს ორი გლეხი და დაიჭრა რამდენიმე კაცი. კაზაკებს მოუკლეს

ერთი კაცი, ორი დაუჭრეს. [238, საქ. 3553 ფურც. 12-13]. ხელისუფლებამ ხიბულაში დამატებით გაგზავნა ახალი ძალები, სოფელი ალყაში იყო მოქცეული. გლეხებმა დაინახეს, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და შეწყვიტეს წინააღმდეგობა. მემამულეებმა აიძულეს გლეხები დარჩენილი გადასახადები გადაეხადათ.

ამბოხების მეთაურები ივ. ირემაძე, ანტონ შენგელია, ალექსი გოლუა დააპატიმრეს და ოთხ-ოთხი წლით ხარკოვის გუბერნიაში გადაასახლეს.

1875 წელს გლეხთა მღელვარებამ მოიცვა სოფ. ნოსირი /სენაკის მაზრა/. ხელისუფლებამ გლეხთა ეს გამოსვლაც ჩაახშო, თუმცა ამით მაინც ვერ აიცილეს 1876 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყება.

1876 წლის თებერვალში გავიდა სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წელი. ამასთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელდა ხმები დროებით-ვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმებისა და სანადელო მიწების გლეხთა საკუთრებაში გადაცემაზე. ეს იყო ძირითადი მიზეზი 1876 წელს სამეგრელოს სოფლებში ლიასა და ფახულანში გლეხთა გამოსვლებისა, რომელიც შემდეგ თითქმის მთელს კუთხეს მოედო.

გლეხებმა უარი განაცხადეს დადიანებისათვის ყოველგვარი სანადელო გადასახადების მიცემაზე.

გლეხთა ამ გამოსვლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. 1876 წლის 17 ივნისს, როცა მეფის ჯარებსა და აჯანყებულ გლეხებს შორის გაიმართა შეიარაღებული ბრძოლა, მთავრობამ ზუგდიდში დამატებით გაგზავნა რეგულარული ჯარის ორი ბატალიონი. შეიარაღებულ გლეხებსა და რეგულარულ ჯარს შორის მოხდა შეტაკება სოფ. ლეწურწუმესთან. ამ შეტაკებაში მოკლეს 18 და დაჭრეს 30 კაცი. [87, გვ. 124]. მთავრობის ჯარის ნაწილებმა დაძლიეს გლეხობის წინააღმდეგობა და გლეხთა ეს გამოსვლაც მარცხით დამთავრდა. მიუხედავად გლეხთა აჯანყების დამარცხებისა, დადიანები იძულებული გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. ის გადასახადებიც კი შეამცირეს, რომლებიც მათ გლეხებისაგან დებულებით ერგებოდათ. აჯანყებულთაგან დააპატიმრეს 99 კაცი. [26, გვ. 228].

სამეგრელოს სხვა სოფლების აღშფოთებული გლეხთა ცხენოსანი რაზმები ლეწურწუმელთა დასახმარებლად დაიძრნენ; ისინი მთავრობის ჯარის განლაგებაში შეიჭრნენ და მოითხოვეს დაპატიმრებულ მეამბოხეთა განთავისუფლება. ჯარების მეთაურმა პოლკოვნიკმა პრინცმა სცადა ამბოხებულთა დაწყნარება, მაგრამ უშედეგოდ. გლეხებმა იერიში მიიტანეს მთავრობის ჯარებზე. [238, საქ. 3974, ფურც. 4]. პრინცის ბრძანებით აჯანყებულებს ტყვიები დაუშინეს. ამ შეტაკებაში ხელისუფლებამ არტილერია გამოიყენა. [222, 1876 წ. № 161]. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ გლეხთა ცალკეული ჯგუფები წინააღმდეგობას მაინც უწევდა რეგულარულ ჯარს.

ახალი გართულების თავიდან აცილების მიზნით და აჯანყებულ გლეხთა გულის მოსაგებად დაპატიმრებული 99 კაცი გაათავისუფლეს. [26, გვ. 229].

მიუხედავად სამეგრელოს გლეხთა 1876 წლის აჯანყების დამარცხებისა, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ქართველი გლეხობის ბრძოლამ მემამულეებისა და ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ XIX საუკუნის 70-იან წლებში მწვავე ხასიათი მიიღო.

გლეხთა შეიარაღებული ბრძოლის საერთო მსვლელობაში სვანეთის 1875-1876 წლების აჯანყებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საგლეხო რეფორმა, რომელიც საქართველოში გატარდა, არ შეხებია თავისუფალ სვანეთს, რადგან აქაური გლეხობა რეფორმამდე დიდი ხნით ადრე იყო მიწის მესაკუთრე და თავისუფალი ბატონყმური ექსპლოატაციისაგან. ადმინისტრაციის ცალკეული განკარგულებით მოისპო ტრადიციით შემორჩენილი მცირე, შეიძლება ითქვას, სიმბოლური ვალდებულებანი და აიკრძალა შინაყმების ყიდვა-გაყიდვა, რომელიც თავის დროზე პრაქტიკაში შემოვიდა მეზობელი (ბატონყმური) რაიონების გავლენით. [104, გვ. 104].

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალს ზემო სვანეთში ფართოდ გავრცელდა ხმები გლეხთა მიწების აზომვის, ახალი გადასახადების შეწერისა და სვანი ახალგაზრდების ჯარში გაწვევის შესახებ. ხმები დადიოდა, რომ ფულადი გადასახადი გაწერილი იქნებოდა არა მარტო მიწებზე, არამედ ყველა შინაურ პირუტყვზე. ასეთი გადასახადები ხომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო შემოღებული და არ იყო გამორიცხული, რომ მთავრობა მსგავს ღონისძიებას სვანეთშიც განახორციელებდა. ამას ისიც ადასტურებდა, რომ ბოქაულმა ჯორჯაძემ გლეხებს დაურიგა სპეციალური ბლანკები, რაშიც უნდა ჩაწერილიყო კომლების მიხედვით გლეხთა საკუთრებაში არსებული მიწის რაოდენობა.

ხალხის უკმაყოფილება მანამდეც ძლიერად იგრძნობოდა, მაგრამ მთავრობის ამ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ აღაშფოთა ისედაც მეფის რეჟიმით შევიწროებული სვანები. "თავისუფალი სვანეთის ორიათასამდე წარმომადგენელმა 1876 წლის ივნისში თავი მოიყარა სოფ. ლალხორში, სადაც უ. შარვაშიძისა და ა. ფარჯიანის მეთაურობით კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიაში ფიცი დადეს, რომ თუ მთავრობა ხელს არ აიღებდა თავის განზრახვაზე, მაშინ იარაღით იბრძოლებდნენ თავის დასაცავად. მეფის წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლას აზნაურებმაც დაუჭირეს მხარი, სვანი აზნაურები პირველნი გადაელობნენ მთავრობის ღონისძიებებს. იქაურ აზნაურებს საგლეხო რეფორმის გატარების დროს (1869-1871 წწ) მთავრობისაგან კომპენსაციის სახით არავითარი დახმარება არ მიუღიათ [16, გვ. 88-89].

შექმნილი ვითარების გამო 1876 წლის ივლისში სვანეთში გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია. ხელისუფლების წარმომადგენლებმა აჯანყებულებს პირობა მისცეს, რომ მთავრობა არ შემოიღებდა ახალ გადასახადებს და სამხედრო ვალდებულებას; ამით მიაღწიეს აჯანყებულთა [illegible]-ბას და სვანეთში მშვიდობიანად შევიდნენ. მთავრობის ღონისძიებათა

წინააღმდეგ სისტემატიური გამოსვლისა და მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაადანაშაულეს და მეთაურად სცნეს 16 კაცი, რომელთაც რამდენიმე წლის პატიმრობა ან სვანეთიდან გასახლება მიუსაჯეს. ბრალდებულთაგან გ. გასვიანმა, ჯ. ჯოხაძემ, და შ. ქურდიანმა გაქცევით უშველეს თავს. იმავე წელს 4 პატიმარი ქუთაისის ციხეში გარდაიცვალა [101, გვ. 309].

ერთი წლის უშედეგო დევნის შემდეგ მაზრის სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციამ სოფ. ხალდეს მცხოვრებთ მოსთხოვა უზრუნველეყოთ თანასოფლელების გ. გასვიანისა და ჩ. ჯოხაძის პოლიციაში გამოცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს დასჯით ემუქრებოდნენ. ულტიმატუმის შეუსრულებლობის გამო სამხედრო ასეული სოფელში შევიდა და ჯარისკაცები მოსახლეობას დაერივნენ. ხალდელებმა თავიანთი კოშკებიდან მომხვდურებს ცეცხლი დაუშინეს. ასეულის უფროსი, ჩამასახლისი და რამდენიმე ჯარისკაცი დახოცეს, ამას მოჰყვა მაზრის უფროსის, ბოქაულის, მომრიგებელ მოსამართლის, აგრეთვე რამდენიმე სამოქალაქო და სამხედრო პირის სიკვდილი თუ დაჭრა. პირველსავე ბრძოლაში თითქმის მთელი ასეული განადგურდა. ხალდეთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი დაიჭრა [101, გვ. 309].

საგანგებო ვითარების გამო სვანეთში ახალი, დიდი სამხედრო ექსპედიცია გაიგზავნა (1 200 კაციანი რეგულარული ნაწილი, საარტილერიო ბატარეა, მესანგრეთა რაზმი და მილიციის 3 ასეული). ყაბარდოსა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები საჭირო შემთხვევაში სვანეთში ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან უნდა შეჭრილიყვნენ. 1976 წლის 21 აგვისტოს დილით დაიწყო იმერეთში, რომელიც 27 აგვისტოს აჯანყებულების შეპყრობით, ხალდეს აღებით და სრული მოსპობით დამთავრდა. შეპყრობილ 8 კაცს სახელდახელო სამხედრო საველე სასამართლომ სამუდამო კატორღა ან შორეულ მხარეში

გადასახლება მიუსაჯა. ამასობაში დააპატიმრეს 22 მონაწილეც, რომელთა დასაცავად აღსდგა საქართველოს ფართო საზოგადოება ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, და დ. ღორთქიფანიძის, ლ. ღოღუას და სხვ. მეთაურობით.

მიუხედავად მხურვალე თანაგრძნობისა და მხარდაჭერისა, ყველა შეპყრობილ აჯანყებულს ხანგრძლივი კატორღა ან სამუდამო გაციმბირება მიესაჯა. ამასთანავე აიკრძალა ხალდეში დასახლება, შემდგომ სოფელს ახალი იფარლო უწოდეს.

სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება მარცხით დამთავრდა, ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა აჯანყების მეთაურებს. ეს იყო გლეხთა სტიქიური აჯანყება. სვანეთის გლეხთა 1875-1876 წლების შეიარაღებულ აჯანყებას საფუძვლად ედო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზები. ობიექტურად იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც ასე დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის [30, გვ. 252].

მიუხედავად დამარცხებისა, სვანეთის გლეხთა აჯანყებას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

სვანეთის გლეხთა აჯანყებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საქართველოს, ისე რუსეთისა და ევროპის პროგრესულ საზოგადოებრიობაში. ქართულ, უცხოეთისა და რუსეთის პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და პუბლიკაციებში სვანეთის გლეხობამ სიმპატიები და მხარდაჭერა დაიმსახურა. მხოლოდ რეაქციული გაზეთი "მოსკოვსკიე ვედომოსტი" აქვეყნებდა სვანეთის აჯანყების საწინააღმდეგო წერილებს და განგაშს ტეხდა აჯანყების თაობაზე, გაზ. "დროებამ" მას საკადრისი პასუხი გასცა.

რუსეთის ნაროდნიკული ორგანიზაციები დიდ ინტერესს იჩენდნენ და თვალყურს ადევნებდნენ საქართველოში ხალხოსნურ მოძრაობას. მათ უნდოდათ ყველაფერი სცოდნოდათ - რა ხდებოდა და როგორ მიმდინარეობდა მასების რევოლუციური გამოსვლები. 1876 წლის აგვისტოში მიშა ყიფიანს

პეტერბურგიდან მიუღია წერილი. ავტორი სთხოვს მას აცნობოს საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. განსაკუთრებით აინტერესებს გლეხთა აჯანყებები (ლაპარაკია სამეგრელოსა და სვანეთის გლეხთა აჯანყებებზე; ნ.გ.) პეტერბურგში ამ ამბით ძლიერ დაინტერესებული არიან, და კარგი იქნება, თუ ერთ მაგარ წერილს გაგზავნი "ვპერიოდში" დასაბეჭდადო [130, გვ. 37].(იგულისხმება ორკვირეული ჟურნალი "ვპერიოდ" ).

სვანეთის გლეხთა აჯანყება და საერთოდ საქართველოში საზოგადოებრივი მოძრაობა XIX საუკუნის 70-იან წლებში არ იყო ერთმანეთისაგან მოწყვეტილი. როგორც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მალჩევი მეფისნაცვლისადმი თავის მოხსენებაში წერდა, "თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გლეხობაში სოციალურ-რევოლუციურ იდეებს ავრცელებენ, პროპაგანდას ეწევიან და საჭიროა ენერგიული ზომების მიღება" [36, გვ. 144].

სვანეთის გლეხთა გამოსვლები დაკავშირებული იყო საქართველოს ცენტრებსა და საერთოდ მთელს იმპერიაში გაშლილ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ჩრდილო კავკასიის ხალხოსნებმა რომ გაიგეს სვანეთის გლეხთა აჯანყების ამბავი, მაშინვე გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი არდასენოვი ორ ოსთან ერთად, თან აჯანყებულთა დასახმარებლად 399 მანეთი მოჰქონდათ. მათ აჯანყება ჩახშობილი დახვდათ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ სვანეთის გლეხთა აჯანყება კავკასიის გლეხთა მოძრაობას უერთდებოდა, ქართველი ხალხოსნები ცდილობდნენ გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებაში ჩაება [26, გვ. 160].

რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში სოფლის მოსახლეობასთან ერთად მძიმე სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა ქალაქის მოსახლეობის ღარიბი ნაწილი (მუშები, ამქრები, წვრილი ხელოსნები, ვაჭრები და ა.შ.). ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი 1865 წლის თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება, რომელსაც სწორი შეფასება მისცა ა. ჰერცენისა და ნ. ოგარიოვის "კოლოკოლმა".[220].

კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი განვითარებასთან ერთად საზოგადოებრივ სარბიელზე გამოდიან ახალი ძალები - ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ქართველი პროლეტარიატის ჩამოყალიბების საწყისი პროცესი მიმდინარეობდა რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობაში გლეხთა გამოსვლებს, შეიარაღებულ აჯანყებებს საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. რაც შეეხება მუშათა კლასის როლსა და ადგილს რევოლუციური სიტუაციის ფორმირებასა და მომწიფებაში, მას ჯერ კიდევ არ შეეძლო სერიოზული ძალად მოვლინებოდა მშრომელთა მასებს, რადგან ის-ის იყო პირველ ნაბიჯებს დგამდა.

70-იანი წლები საქართველოში მუშათა კლასის ფორმირების პირველ ეტაპს წარმოადგენდა. მუშათა კლასის როლი საზოგადოებრივ მოძრაობაში მოკრძალებული იყო. იგი ჯერ კიდევ ვერ ასრულებდა მშრომელი მასების წინამძღოლის როლს. ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, სარკინიგზო სახელოსნოები. კაპიტალისტური ურთიერთობანი ახლად იწყებდნენ ფეხის მოკიდებას. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი სუსტად იყო განვითარებული, კაპიტალისტური ექსპლოატაციის სიმძიმე, პოლიტიკური უუფლებობა, რასაც ეროვნული ჩაგვრა ერთვოდა, საქართველოში მუშათა რევოლუციური გამოსვლებისათვის ობიექტურ პირობებს ქმნიდა.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა გაფიცვაა, იგი კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური პროლეტარული ბრძოლის საშუალებაა. ვ.ი. ლენინი აშუქებდა რა გაფიცვის წარმოშობის მიზეზებსა და მის მნიშვნელობას, წერდა: "...რადგან გაფიცვა თვით კაპიტალისტური საზოგადოების არსებიდან გამომდინარეობს, იგი ნიშნავს მუშათა კლასის ბრძოლის დასაწყისს საზოგადოების ამ წყობილების წინააღმდეგ ... გაფიცვები აჩვევს მუშებს გაერთიანებას, გაფიცვები უჩვენებს მათ, რომ მხოლოდ ერთად შეუძლიათ იბრძოლონ კაპიტალისტების წინააღმდეგ, გაფიცვები

ასწავლის მუშებს იფიქრონ მთელი მუშათა კლასის ბრძოლაზე მთელი მეფაბრიკეთა კლასისა და თვითმპყრობელური, პოლიტიკური მთავრობის წინააღმდეგ" [11, გვ. 383, 387].

მეფის თვითმპყრობელობამ იმთავითვე ყველაფერი იღონა, რათა მირშივე ჩაეკლა მუშათა მოძრაობა. იმპერატორის ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1870 წლის 6 ივლისს გუბერნატორებს საიდუმლო ცირკულარი დაუგზავნა. მასში ნათქვამი იყო: "მიმდინარე წლის დამდეგს მუშები, პეტერბურგის ახლო მდებარე ერთ უდიდეს ფაბრიკაში მომუშავენი, გაიფიცნენ იმ მიზნით, რომ ფაბრიკის მეპატრონეს მოემატებინა მათთვის ხელფასი... ხელმწიფე იმპერატორი უბრძანებს ყველა გუბერნატორს, რომ მათ სასტიკი და შეუწყვეტელი ყურადღება ადევნონ საქარხნო და საფაბრიკო მოსახლეობას, განსაკუთრებით ყველა იმ არაკეთილსაიმედო პირს, რომელთაც შეუძლიათ მავნე ზეგავლენა იქონიონ მუშებზე, ვინაიდან, ეჭვს გარეშეა, რომ მუშების გაფიცვა აუცილებლად უნდა მიეწეროს იმ პირთა გავლენას, რომლებიც ცდილობენ რუსი ხალხისათვის უცხო უკმაყოფილების გამოხატვის ეს ფორმა გამოიყენონ ჩვენს ნიადაგზე არეულობისა და მღელვარების გამოსაწვევად. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, რომ გუბერნატორებმა, როგორც კი მიიღებენ ცნობებს მათდამი რწმუნებული გუბერნიის რომელიმე ქარხანაში ან ფაბრიკაში მუშების გაფიცვის შესახებ, წამქეზებლები აღმოჩენისთანავე გაუსამართლებლად გადაასახლონ არხანგელსკის, ვოლოგდის, ვიატკის, კოსტრომის, ნოვგოროდის, ვილინსკის და სამარის გუბერნიებში. ამ უფლებას გუბერნატორები ახორციელებენ ისე, რომ არ არის საჭირო შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვა. [185, გვ. 42-43].

აღნიშნული ცირკულიარი იმპერატორის კანცელარიის მე-3 განყოფილების გამგემ 1870 წლის 14 ივლისს საიდუმლოდ გაუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს [41, გვ. 5].

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ღრმა ცვლილებებმა გაღატაკებული გლეხი და ქალაქის წვრილი მწარმოებელი კიდევ უფრო აუტანელ მდგომარეობაში

ჩააგდო. უფრო სასტიკი და უღმობელი გახადა ახალი სახის ექსპლუატაცია.

ახალფეხადგმული საფაბრიკო წარმოება თბილისში და საერთოდ საქართველოში მოკლებული იყო ელემენტარულ პირობებს, აუცილებელს იმისათვის, რომ მუშას ფიზიკური გამძლეობა შეენარჩუნებინა.

„არავისთვის საიდუმლო არაა, რომ თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე თუნდაც საათნახევრიანი შესვენებით თავისთავად მავნეა მუშებისათვის, განსაკუთრებით-მცირეწლოვანთათვის. მუშები ზეზეულად, ფეხშიშველები, პერანგის ამარა, შეუსვენებლივ, ყურადღების განუწყვეტელი დაძაბვით მუშაობენ. ისეთ ცუდ პირობებში არიან, ღმერთმა დაიფაროს შეუჩვეველი მუშები კი მიჩვეულნი არიან ყოველგვარ უბედურებას", - წერდა 1874 წ. მირზოევის ფაბრიკის მუშათა მდგომარეობის შესახებ ერთი მოხელე [158].

საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში ყველა მუშა 14-16 საათს მუშაობდა და ძალზე დაბალ ხელფასს იღებდა; მუშები მოკლებული იყვნენ ნორმალური შრომის ყოველგვარ პირობებს. საწარმოებში იყო სიბინძურე, უჰაერობა, სიცხე. როგორც გაზ. „კავკაზში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი აღნიშნავს, მას მირზოევის ფაბრიკაში მხოლოდ 45 წუთი გაუტარებია, და თავბრუ დასხმია, საფეთქლები ასტკივებია [158]. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქართველოში არსებულ სხვა ფაბრიკა-ქარხნებში.

მუშების შრომისა და ცხოვრების ძალზე ცუდი პირობები, დაბალი ხელფასი და სხვ. იწვევდა მუშათა მღელვარებას, რომელიც შემდგომ საგაფიცვო ბრძოლაში გადაიზარდა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში საქართველოს მუშათა პირველ გაფიცვად მიჩნეული იყო 1869 წელს თბილისის სამხედრო არსენალის მუშათა გაფიცვა. [171, გვ. 168]. ამ გაფიცვის დასადასტურებლად მ. ჩოდრიშვილის მოგონების გარდა არ მოიპოვება არავითარი საბუთი. მკვლევარმა ე. ხოშტარიამ სამართლიანად შენიშნა, რომ მ. ჩოდრიშვილის ცნობა არსენალის მუშათა გაფიცვის შესახებ არავითარ საბუთს არ ეყრდნობა [127, გვ. 76].

არ არსებობს სხვა მემუარული მასალა და არც რაიმე დოკუმენტი, რომელზედაც შეგვეძლოს თბილისის სამხედრო არსენალის მუშათა 1869 წლის გაფიცვის დადასტურება.

მ. ჩოდრიშვილი თავის მოგონებაში ეხება აგრეთვე მირზოევის ნართის საქსოვი ფაბრიკის მუშათა 60-იანი წლების გაფიცვის დასასრულს. აქ იგი ასახელებს შეგნებულ მუშას იოსებ გრიგორიჩს, რომელსაც მოსკოვისა და პეტერბურგის ფაბრიკებში უმუშავია. მ. ჩოდრიშვილის ცნობით, გრიგორიჩის გარშემო თავს იყრიდნენ უკმაყოფილო მუშები, რომელთაც იგი ესაუბრებოდა [illegible] ცხოვრების აუტანელ პირობებზე და ეწეოდა პროპაგანდას [111, გვ. 75]. მირზოევის ფაბრიკის მუშათა გაფიცვის თარიღი არ არის ზუსტი: ფაბრიკა 1870 წელს ამუშავდა და 60-იანი წლების დამლევს მუშათა გაფიცვა ვერ მოეწყობოდა.

საქართველოს მუშათა პირველი გაფიცვად მირზოევის ნართის საქსოვი ფაბრიკის 1872 წლის გაფიცვა უნდა ჩაითვალოს.

გაფიცვის გამომწვევი მიზეზი იყო მუშათა ხელფასის შემცირება და მეფაბრიკის უხეშობა. 1872 წლის 3 აპრილს მირზოევის ფაბრიკის მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა, ამ მოვლენამ პერიოდულ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა [214, 1872, 14 აპრილი].

მირზოევის ფაბრიკის გაფიცული მუშები ხელფასის მომატების გარდა მოითხოვდნენ მუშაობის პირობების გაუმჯობესებას, მუშაობის პროცესში მანქანის მიერ დასახიჩრებული მუშებისათვის პენსიის დანიშვნას და სხვ. გაფიცვამ მუშებს ვერავითარი სიკეთე მოუტანა, ისინი დაითხოვნენ, მაგრამ კაპიტალისტიც დიდად დაზარალდა, რადგან სამი კვირის განმავლობაში ფაბრიკაში მუშაობა შეწყვეტილი იყო.

1872 წლის მუშათა გაფიცვა მირზოევის ფაბრიკაში სტიქიური ხასიათისა იყო. მ. ჩოდრიშვილის ცნობით, მუშები მანქანებსაც კი ამტვრევდნენ [111, გვ. 72]. გაფიცვა წარმოადგენდა კაპიტალისტების ექსპლუატაციის წინააღმდეგ საქართველოს მუშათა აშკარა გამოსვლას და დასაბამი

მისცა მუშათა მოძრაობას საქართველოში; ამიტომაც ენიჭება ამ გაფიცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა.

1872 წლის გაფიცვის შემდეგ მირზოევის ფაბრიკაში მუშაობის პირობები გაუარესდა. მეფაბრიკეს ინგლისიდან მოყვანილი კვალიფიციური მუშები ძვირი უჯდებოდა და დაითხოვა. მათ ნაცვლად ადგილობრივ, დაბალი კვალიფიკაციის მუშებს ამუშავებდა. "მაშინას, ცხქვათ, როგორც ცხენის ძალა ჰქონდა, - ქარხნის პატრონს სურდა ორმოცდაათი ცხენის საქმე გაეკეთებინა. ამის გამო ჩარხებს კბილები სცვიოდა, ღერძები ემტვრეოდა და მუშაობა ათით კვირაობით და თვეობით ჩერდებოდა" [224, 1877 წ. 26 მაისი]. კაპიტალისტი კვლავ თავის დროზე არ აძლევდა მუშებს ხელფასს.

1876 წლის ზაფხულში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე მღელვარება გამოწვეული იყო მუშათა მძიმე პირობებით. მუშები ისედაც მცირე ხელფასს დაგვიანებით ღებულობდნენ და თანაც 15-20 პროცენტს უქვითავდნენ. მუშები სამი თვის განმავლობაში ელოდნენ ანგარიშის გასწორებას და მხოლოდ დიდი წინააღმდეგობის შემდეგ მიიღეს ჯამაგირი [208, გვ. 91].

1872 და 1876 წლების მუშათა გაფიცვები მირზოევის საქსოვ ფაბრიკასა და რკინიგზის ხაზზე სტიქიური ხასიათისა იყო. მუშებს არ ჰქონდათ ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ამ გაფიცვებს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშების შემდგომი ორგანიზებული ბრძოლისათვის. მუშებმა შეიძინეს ბრძოლის გამოცდილება და მათი გამოსვლები საზოგადოებრივ ძალად გადაიქცა; ეს ძალა დაუკავშირდა ცენტრალური რუსეთის მუშათა მოძრაობას, მოგვიანებით კი ერთიანი მოძრაობის მძლავრ ნაკადად იქცა.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარსა და 70-იან წლებში.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობა თანაბარი ინტენსივობით არ ვითარდებოდა. საქართველოში გლეხთა მოძრაობა

განსაკუთრებით გამწვავდა XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში. ამ პერიოდზე მოდის გლეხთა ყველაზე დიდი შეიარაღებული აჯანყებები.

რით აიხსნება ეს?

ამ კითხვას პასუხი, რომ გავცეთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ბატონყმური ურთიერთობის გაუქმება საქართველოში ერთდროულად არ მომხდარა. აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმა გატარდა, როგორც ცნობილია, 1864 წელს. თავის მხრივ ეს იმას ნიშნავს, რომ 1864 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა იბრძოდა უმთავრესად აგრარული ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. ამავე დროს იმერეთ-გურიის გლეხობა 1865 წლამდე აწარმოებდა ბრძოლას ბატონყმური უღლის გადაგდებისათვის. სამეგრელოს გლეხობა ამ ბრძოლას აწარმოებდა 1866 წლამდე. რაც შეეხება აფხაზეთის, სვანეთის და საქართველოს მაღმადიან მოსახლეობას, ისინი ამ ბრძოლას აწარმოებდნენ უფრო ხანგრძლივად, 1871 წლამდე. მაშასადამე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება გლეხობას არ აძლევდა საშუალებას, ქვეყნის ფარგლებში ერთობლივად ეწარმოებინა ბრძოლა თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისათვის. ბუნებრივია, მათ რიგებში არ იყო ერთიანობა, ამიტომ გლეხთა წინარობა უკიდურესად დაქსაქსული და სტიქიური იყო.

გლეხთა წინარობის შესახებ მოტანილი მასალა მეტყველებს იმაზეც, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში გლეხობას აღარ სურს ძველებურად ცხოვრება. თავის მხრივ ეს ფაქტი მეტყველებს, რომ "ზედაფენებს" - მმართველ აპარატს არ შეუძლია ძველებურად მართვა. "ზედაფენები" ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი მდგომარეობა სამხედრო-პოლიტიკური მეთოდებით, ამავე დროს შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებული ხდებიან სულ უფრო მეტად მიმართონ დათმობების პოლიტიკას.

ასეთ რთულ ვითარებაში მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელსაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ დროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაზე.

## § 3 ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში

ნაროდნიკული სოციალიზმი, რომელმაც ჩამოყალიბებული სახე XIX საუკუნის 70-იან წლებში მიიღო, რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ეს იყო ნაირსახეობა იმ წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმისა, რომელიც ევროპაში აღმოცენდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და რომლის იდეური განადგურება წილად ხვდათ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებს კ. მარქსს, ფ. ენგელსს და ვ.ი. ლენინს.

ამ წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის შედარებით გვიანი გამოსვლა რუსეთის საზოგადოებრივ ასპარეზზე უნდა აიხსნას განვითარების შედარებითი ჩამორჩენილობით. ეკონომიკური ბაზა, რომელზედაც რუსეთის ნაროდნიკობა აღმოცენდა, ხასიათდებოდა გარდამტეხი მოვლენებით, ისეთი მდგომარეობით, როცა კაპიტალიზმი ქვეყანაში სათანადოდ არ იყო განვითარებული და მხოლოდ თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა; როცა პროლეტარიატს არ დაემთავრებინა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ კლასად ჩამოყალიბება, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველაზე მრავალრიცხოვან და ფართო შესაძლებლობის მქონე ძალად წვრილ მწარმოებლებს ჯერ კიდევ წამყვანი ადგილი ეკავათ.

ნაროდნიკების მოძღვრების საკვანძო საკითხს წარმოადგენდა რეფორმისშემდგომი რუსეთის განვითარების საკითხი. მათ არ შეეძლოთ არ დაენახათ ის ცვლილებები, რომელსაც რუსეთის ეკონომიკა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ განიცდიდა. აკვირდებოდნენ რა ამ ცვლილებებს, ისინი ხედავდნენ მათ კაპიტალისტურ ხასიათს. აქედან გამომდინარე, ნაროდნიკებმა საზოგადოების წინაშე კაპიტალიზმის საკითხი დააყენეს. რუსეთში კაპიტალიზმის შესახებ საკითხის დაყენება, როგორც ვ.ი. ლენინი მიუთითებს, წარმოადგენდა ნაროდნიკების მიერ წინგადადგმულ ნაბიჯს განმანათლებლობასთან შედარებით, მაგრამ ნაროდნიკებმა ვერ შესძლეს აეხსნათ ვერც კაპიტალისტური განვითარების გარდაუვალობა, ვერც ის დადებითი როლი, რომელსაც

კაპიტალიზმი იმ ეტაპზე რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ასრულებდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის გაბატონებულ ფორმას ნაროდნიკობა წარმოადგენდა; ლენინის აზრით, ნაროდნიკული მიმდინარეობა შეხედულებათა ისეთი სისტემაა, რომელსაც შემდეგი სამი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: 1) კაპიტალიზმის გამოცხადება რუსეთის სინამდვილისათვის დაცემულობად, სოციალურ-პოლიტიკურ რეგრესად; 2) რუსეთის ეკონომიკური წყობილებისა და მისი განვითარების სპეციფიურობა-თავისებურების აღიარება და 3) ინტელიგენციისა და ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკური დაწესებულებათა კავშირის უარყოფა საზოგადოებრივი კლასების მატერიალურ ინტერესებთან. [9, გვ. 539]

ჩერდება რა თვითეულ მათგანზე ცალ-ცალკე, ლენინი პირველ ნიშანთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ნაროდნიკებმა, 60-იანი წლების განმანათლებლებისა და რევოლუციონერ-დემოკრატებისაგან განსხვავებით რეფორმის შემდგომდროინდელი რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კაპიტალისტური გზით განვითარება უხეირობად, ღრმა შეცდომად და ქვეყნისათვის განკუთვნილი გზიდან სამწუხარო გადახვევად აღიარეს. "როგორც კი დაისვა საკითხი რუსეთში კაპიტალიზმის შესახებ, - წერდა ლენინი, - სულ მალე გამოირკვა, რომ ჩვენი ეკონომიკური განვითარება კაპიტალისტურია და ნაროდნიკებმა ეს განვითარება გამოაცხადეს რეგრესად, შეცდომად, იმ გზიდან გადახვევად, რომელსაც თითქოს ერის მთელი ისტორიული ცხოვრება გვიკარნახებდა. იმ გზიდან გადახვევად, რომელიც თითქოს ნაკურთხი იყო საუკუნოებრივი ტრადიციებით და სხვ. და ა.შ. ჩნდება მიწოდებანი "შევაფერხოთ" და "შევაჩეროთ" ეს განვითარებაო, ჩნდება თეორია, რომ ჩამორჩენილობა რუსეთის ბედნიერებააო და სხვ. ყველა ამ თვისებას "მემკვიდრეობასთან" (ე.ი. 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებთან - ნ.გ.) არა თუ საერთო არაფერი აქვს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას" [9, გვ. 643-644].

ნაროდნიკების მეორე დამახასიათებელ ნიშანს, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, წარმოადგენს რუსეთის თვითმყოფობის რწმენა გლეხისა და თემის

იდეალიზაცია, ამ უკანასკნელის ქვეყნის ბედნიერებად და მხსნელ ძალად გამოცხადება. ნაროდნიკების აზრით, რუსეთს თუმცა აკლდა ცივილიზებული კაცობრიობის ესა თუ ის მხარე, მაგრამ სამაგიეროდ მოწოდებული იყო ეჩვე-ნებინა მსოფლიოსათვის მეურნეობის გაძღოლის ახალი (თემური) წესები. ნა-როდნიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა თვალი დაეხუჭათ და რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებიდან არ გაეკე-თებინათ ის დასკვნები, რაც სავსებით ბუნებრივად გამომდინარეობდა.

ნაროდნიკული მიმდინარეობის მესამე დამახასიათებელი თვისებაა უგულებელყოფა ინტელიგენციისა და ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესე-ბულებათა კავშირისა საზოგადოებრივი კლასების მატერიალურ ინტერესებთან. ნაროდნიკებისათვის უცხო იყო სოციალური მოვლენების მატერიალისტური ახსნა, რაც მათ საფუძველს აძლევდა ინტელიგენცია ისეთ ძალად მიეჩნიათ, რომელ-საც შეეძლო ისტორიული ვითარების სხვა გზით წარმართვა. [9, გვ. 639]. ამ იდეალისტურმა თვალსაზრისმა წარმოშვა "აზროვნებისა და მსჯელობის ის განსაკუთრებული მანერა", რომელიც ესოდენ გაზვიადებით ახასიათებდა ინტელიგენციის როლსა და ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ აქე-დან გამომდინარეობდა ნაროდნიკების თეორია "ბრბოსა და გმირების", "კრი-ტიკულად მოაზროვნე პირების" შესახებ.

ნაროდნიკობას, მის რეაქციულ ნაკადს, კიდევ ერთი პრინციპული მნიშვნელობის მქონე ნიშანი ჰქონდა - ეს იყო გლეხური რევოლუციის გზით არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამხობისა და სამართლიანი წყო-ბილების დამყარების იდეა. [13, გვ. 639].

ყველა აქ ჩამოთვლილ ნიშნებს მეტ-ნაკლებად ქართველ ხალხოსნებთანაც ვპოულობთ, თუმცა არა იმ უკიდურესობამდე მისული სახით, რაც რუსი მოღვა-წეებისათვის იყო დამახასიათებელი. კაპიტალიზმის თაყვანისმცემლები არც ქართველი ხალხოსნები ყოფილან, მაგრამ ეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მათ ხელაღებით არასოდეს არ უარყვიათ. თუმც მათი წარმოდგენითაც

თემს მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი სამართლიანი წყობილების დამყარების საქმეში, მაგრამ მისი გაზვიადებული შეფასება მათთვის უცხო იყო. ქართველი ხალხოსნების თავისებურებას წარმოადგენდა აგრეთვე ეროვნული საკითხისათვის შედარებით დიდი ადგილის დათმობა, მოქმედების ტერორისტული ტაქტიკის თუ სრული უარყოფა არა, ყოველ შემთხვევაში მისი შესამჩნევად უკანა პლანზე გადაწევა, ქართველ ხალხოსანთა პროპაგანდას გაცილებით მეტი წარმატება ჰქონდა გლეხთა წრეში, ვიდრე რუსი ნაროდნიკების საქმიანობა და სხვ. [105, გვ. 43-48].

ვ.ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა 70-იანი წლების ნაროდნიკებს, იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად თვლიდა არა მარტო ა. გერცენს, ბ. ბელინსკისა და ნ. ჩერნიშევსკის, არამედ "70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადასაც". [12, გვ. 242].

ნაროდნიკობის, როგორც იდეური მიმდინარეობის წარმოშობა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შედარებით ჩამორჩენილობით იყო განპირობებული. "ისეთ ქვეყანაში, როგორიც თქვენი ქვეყანაა, - სწერდა ფ. ენგელსი პლეხანოვს 1895 წლის 26 თებერვალს, სადაც თანამედროვე მსხვილი მრეწველობა დამყარებულია პირველყოფილ გლეხურ თემზე და სადაც ერთდროულად წარმოდგენილია ცივილიზაციის ყველა შუალედი სტადიები, ისეთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია დესპოტიზმის მიერ აღმართული მეტნაკლებად მყარი ინტელექტუალური ჩინური კედლით, გასაკვირი არაა იდეათა ყოვლად უცნაური და გაუგონარი კომბინაციების წარმოშობა ... თანდათანობით, ქალაქების ზრდასთან ერთად, ნიჭიერ ადამიანთა იზოლირება გაქრება და მასთან ერთად გაქრება აგრეთვე ის იდეური ცდომილებანიც, რომლებიც გამოწვეულია მარტოობით, შემთხვევითი ცოდნის უსისტემობით".
[7, გვ. 425-426]

იმავე აზრს ავითარებს ვ.ი. ლენინი თავის შრომებში. ასე მაგალითად, ნაშრომში "ნაროდნიკობის ეკონომიკური შინაარსი" პირდაპირაა მითითებული, რომ ნაროდნიკული მიმდინარეობის აღმოცენება გამოწვეული იყო

წვრილ მწარმოებელთა კლასის დომინირებით რეფორმის შემდეგი ხანის რუსეთში. [8, გვ. 401-473]. ამასვე იმეორებს ლენინი თავის მეორე ნაწარმოებში "წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი". "რუსეთის ჩამორჩენილობა,- წერს იგი, - ბუნებრივად ხსნის სოციალიზმის სხვადასხვა ჩამორჩენილ მოძღვრებათა დიდ სიმყარეს ჩვენს ქვეყანაში". [13, გვ. 539].

მარქსიზმის კლასიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებები სავსებით მიესადაგება საქართველოს სინამდვილესაც. მართალია, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჩვენში, ისე როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, კაპიტალისტური ურთიერთობა შედარებით ინტენსიურად იკაფავდა გზას, მაგრამ მაინც ძლიერ იგრძნობოდა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის, ვაჭრობის, ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების განვითარების შედარებით დაბალი დონე. რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთების უხვად არსებობა, გლეხური მეურნეობის არაინტენსიური ხასიათი, უშუალო მწარმოებელი კლასების უკიდურესი სიღატაკე, მათი მკაცრი ექსპლუატაცია პრივილეგიურ წოდებათა და სახელმწიფოს მხრივ და სხვ.

საგლეხო რეფორმის გატარებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაამართლა სოფლის მშრომელი მოსახლეობის იმედი, ის მალე დარწმუნდა, რომ მთავრობა ხსენებული ღონისძიების გატარებით მხოლოდ მოვლენის ზედაპირულ მხარეს შეეხო და არა მის საფუძვლებს. გლეხის თავდაპირველი სიხარული მწუხარებით შეიცვალა. მან ვერ მიიღო ვერც ჭეშმარიტი თავისუფლება და ვერც მიწა. ამან გამოიწვია სოფლად პოლიტიკური ვითარების გამწვავება. გაიზარდა გლეხთა უკმაყოფილება და მღელვარება, რომლის მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი აგრარული ურთიერთობა იყო. საქართველოში გახშირდა გლეხთა აშკარა უკმაყოფილება და პროტესტები, ნაბატონარსა და ნაყმევს შორის მტრულმა დამოკიდებულებამ ფართო ხასიათი მიიღო. გლეხებმა ხმა აღიმაღლეს მემამულეების ძალადობის წინააღმდეგ.

თავდაპირველად გლეხები იმედს მეფის კანონზე ამყარებდნენ და სასამართლოების გზით ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას. მაგრამ გლეხები მალე დარწმუნდნენ, რომ სასამართლო სრულებით არ ზრუნავდა მათი კანონიერი უფლებების დაცვაზე და იძულებული გახდნენ განუკითხაობის წინააღმდეგ თვითონ ებრძოლათ. საქართველოს სოფლებში გახშირდა და ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა გლეხების მიერ გადასახადების გადახდაზე უარის თქმა, ტყისა და საძოვრების ძალით სარგებლობა, მემამულეთა სახლ-კარისა და ქონების დატაცება-განადგურება. ქართველი გლეხობა დარწმუნდა იმაში, რომ რეფორმა უსირცხვილო მოტყუება იყო: გლეხის ცხოვრება კი არ გაუმჯობესდა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა.

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე რეფორმის შემდეგ შექმნილ ურთიერთობას ახალ ბატონყმობას უწოდებდა და მას ძველ ბატონყმობასთან შედარებით უფრო მკაცრად მიიჩნევდა. [79, გვ. 182-183]. რეფორმის შემდეგდროინდელი იურიდიულად თავისუფალი ქართველი გლეხის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე და სავალალო იყო. მას უმიწობა და ძველი ურთიერთობის ნაშთები სტანჯავდა.

ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები საგრძნობლად აფერხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი და ახალგაზრდობა გულწრფელად თანაუგრძნობდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას და ეძებდა გზებსა და საშუალებებს მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. სწორედ ამ ძიებამ მიიყვანა მოწინავე ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ხალხოსნობამდე.

საქართველოში ხალხოსნური იდეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა 60-70-იანი წლების რუსული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლების - ა. გერცენის, ნ. დობროლუბოვის, ნ. ჩერნიშევსკის, ლავროვის, ბაკუნინის და სხვათა მოღვაწეობა. ქართველი ახალგაზრდობა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდა მათ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილი აღზრდილის

გ. უთურგაურის 1873 წლის 23 ოქტომბრის წერილი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტ შიო შიუკაშვილისადმი, რომელიც ჟანდარმერიის თარჯიმნის სიტყვებითაა გადმოცემული. "წერილის ავტორი სთხოვს შიო შიუკაშვილს დაწვრილებით აცნობოს იმის შესახებ, რომ მან (უთურგაურმა; ნ.გ.) გაიგო, თითქოს პეტერბურგში ჩამოვიდა ჩერნიშევსკი ... მართალია თუ არა ეს. ნუთუ არც ერთხელ არ შეხვედრიხარ ამ წმინდან ადამიანს და არ აღწერ მას... თუ გაიგებ რაიმეს მასზე, დაწვრილებით ყველაფერი მომწერე". [91, გვ. 592].

ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე დავით კეზელი მწუხარებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ცდილობდა აღეზარდა მორჩილი ჩინოვნიკები და არა ჩერნიშევსკები, ნეჩაევები და მათი მსგავსი ადამიანები. [258, გ. 39, 44, 46]. დ. კეზელი თავის გარშემო შემოიკრებდა მოსწავლეებს და ამბოხებისაკენ მოუწოდებდა საერთოდ რუსეთის ხელისუფლებისა და კერძოდ სემინარიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი დიდი ინტერესით და აღტაცებით კითხულობდა "აღმაშფოთებელი" ხასიათის პროკლამაციას" "ახალგაზრდა რუსეთი".[91, გვ 593].

ჟანდარმერიის პოლკოვნიკი ესაძე 1873 წელს თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნავდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე დ. კეზელი დიდი მარხვის წირვის დროს კითხულობდა პროკლამაციას "ახალგაზრდა რუსეთი", რომელიც პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა შიო შიუკაშვილმა გადასცა. პროკლამაცია ხელნაწერი იყო; ტექსტი ეკუთვნის ჩერნიშევსკის. ესაძე სთხოვს ჟანდარმერიას, რათა გაჩხრიკონ შიო შიუკაშვილი, ხომ არ მოასწრო მან პროკლამაციის გავრცელება. ჩხრეკისას აღმოჩნდა ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილი პროკლამაციები, რომლებიც ჩამოართვეს; დ. კეზელი დააპატიმრეს.

პოლკოვნიკი ესაძე დ. კეზელის დაკითხვის ოქმში აღნიშნავდა, რომ პატიმარი საერთოდ მოხიბლული იყო ჩერნიშევსკის ნაწერებით და განსაკუთრებით კი მისი რომანით "რა ვაკეთოთ? [174, გვ. 420]. მისივე ჩვენებით,

დავით კეზალს ხელთ ჰქონდა "ალმაშფოთებელი" ხასიათის პროკლამაცია "ახალგაზრდა რუსეთი" [91, გვ. 593].

ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი წერს, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში და ცხადია, საქართველოშიც, ფართოდ ყოფილა გავრცელებული და დიდი პოპულარობა ჰქონია პეტრე ლავროვის ჟურნალ "ვპერიოდ", და მის "ისტორიულ წერილებს", ბაკუნინის საპროგრამო ხასიათის ნაშრომებს და სხვა განთქმულ მოღვაწეთა შემოქმედების ნიმუშებს. ყველა მოწინავე ქართველ ახალგაზრდას დასახელებული რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ნაროდნიკების სახელი ჰკერებია ენაზე [76, გვ. 68, 54, გვ. 37].

რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოს სოფელსა და ქალაქში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენდა სწორედ იმ ნიადაგს, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენს ქვეყანაში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების შემდგომი გავრცელება-განვითარება. ის ხელს უწყობდა პროტესტანტული სულის შეჭრას საზოგადოებაში, კერძოდ – მოსწავლე ახალგაზრდობაში და განაწყობდა მათ იმ დროის გაბატონებულ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. ყოველივე ამას ხელისუფლებაც კარგად ამჩნევდა და არა მარტო ამჩნევდა, არამედ მთავრობის საწინააღმდეგო პარტიის არსებობასაც კი ვარაუდობდა. აი, რას წერდა ამის შესახებ მეფის ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე გრიგოლ ორბელიანს 1866 წლის 19 აგვისტოს: "მე ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ამიერკავკასიაში, ისე როგორც ყველა სახელმწიფოში, და, სამწუხაროდ, თვით რუსეთშიც არსებობს პარტია, მართალია, შეიძლება მცირერიცხოვანი, მაგრამ რომელსაც სძინავს. ეს პარტია სარგებლობს ... ყველა ხელსაყრელი შემთხვევით, რათა გაატაროს თავისი მავნე სოციალური იდეები და ამით ავნოს მთავრობის კეთილ მიზნებს... 1861 წელს, როდესაც ადგილი ჰქონდა არეულობას პეტერბურგსა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, მაშინ კავკასიელი სტუდენტებიდან ბევრი იქნა დაპატიმრებული და გადასახლებული დედაქალაქიდან. ამიტომ სრულიად სამართლიანი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს ახალგაზრდობა ახლაც აგრძელებს დანაშაულებრივ კავშირურთიერთობას თავიანთ

ყოფილ ამხანაგებთან. [21, გვ. 42-43]. თბილისის ამბებამდე /ლაპარაკია 1865 წლის თბილისის ამქართა აჯანყებაზე ნ.გ.) და ამ ამბების დროსაც ისინი ავრცელებდნენ ცრუ ხმებს და ცდილობდნენ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას. ეს ხმები შორს გავრცელდა, რაც ჩემთვის სარწმუნოდაა ცნობილი. თავადი სვიატოპოლკ-მირსკი ქუთაისიდან სწერდა თავად პაპკოვს, რომ ხალხში დადის ხმა რეკრუტების მოსალოდნელ გაწვევაზე ... ყველაფერი ეს იმის დამადასტურებელი ფაქტია, რომ კავკასიაში არსებობს მთავრობის საწინააღმდეგო ტენდენცია. ამიტომ ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, თვალყური ვადევნოთ ყველა საეჭვო პირს. ციმბირში ამ ზაფხულს აღმოჩენილი იქნა ფართო შეთქმულება, რომლის მიზანი იყო რუსეთიდან ციმბირის მთლიანად ჩამოშორება, რესპუბლიკის დაარსება და ა.შ. მრავალრიცხოვანი დაპატიმრება მოხდა ციმბირის ყველა დიდ ქალაქში. ყველა ეს პირი იმ სასწავლებლებში აღზრდილი აღმოჩნდა, რომლებიც მე ზემოთ მოვიხსენიე" [21 გვ. 43]. (ლაპარაკია პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებზე, სამედიცინო ქირურგიულ აკადემიასა და რუსეთის ზოგ სხვა სასწავლებელზე - ნ.გ.).

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის მკვლევარი ზ. შველიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ჯერჯერობით არ არის საფუძველი ვილაპარაკოთ რევოლუციური ძალების გამაერთიანებელი ცენტრის არსებობაზე 60-70-იანი წლების საქართველოში. ვერც ჩვენი ხანგრძლივი კვლევის შედეგად მივაგენით ისეთ საბუთს, რომელი ადასტურებდა ამგვარი ცენტრის არსებობას, მაგრამ არ შეიძლება დავეჭვდეთ ლეგალური და არალეგალური წრეების არსებობაში, რომლებიც შეძლებისდაგვარად ეწეოდნენ მოწინავე აზრების პროპაგანდას. ერთ-ერთი ასეთი კერა იყო 1870 წ. შექმნილი ეგრეთწოდებული "ივანოვის ბიბლიოთეკა", რომელიც აწარმოებდა ფრიად ნაყოფიერ საგანმანათლებლო, არსებითად რევოლუციურ საქმიანობას. ბიბლიოთეკის დამაარსებლები და სულის ჩამდგმელნი ნიკო ნიკოლაძე და ეგნატე იოსელიანი იყვნენ. ბიბლიოთეკაში შაბათობით იკრიბებოდნენ და აწყობდნენ ჟურნალ-გაზეთების, ახლადშეძენილ ლიტერატურისა და აკრძალული წიგნების კოლექტიურ კითხვას.

ბიბლიოთეკის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ს.მესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ. როგორც პროფ. ტრ. ხუნდაძე აღნიშნავს, ივანოვის ბიბლიოთეკა არა ივანოვის ან სხვა რომელიმე პირის კუთვნილება ყოფილა, არამედ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ შექმნილი ლიტერატურული კერა-სხვაგვარად "ივანოვის ბიბლიოთეკა" წარმოადგენდა პოლიტიკურ კლუბს, ქართული საზოგადოებრივი აზრის კერას. [131, გვ. 213].

იგივე ითქმის აკ. წერეთლის, ლორთქიფანიძის, გ. ზდანოვიჩის, ნ. თავდგირიძისა და ა. ზედგენიძის მონაწილეობით ცოტა უფრო მოგვიანებით გახსნილ ქუთაისის ბიბლიოთეკაზე.

1871 წელს თბილისის გიმნაზიაში შეიქმნა ღარიბ მოსწავლეთა ბიბლიოთეკა, რომელიც ასევე მოწინავე იდეების დანერგვის საქმეს ემსახურებოდა. გიმნაზიის მოსწავლეებში ბობოქრობდა რევოლუციური სული. ისინი მიილტვოდნენ რევოლუციურ, გმირული საქმეების ჩადენას, გამოსცემდნენ ხელნაწერ ჟურნალებს - "საქართველოს მოამბე", "კავკასკაია სირენა", "კოკორი", "შრომა.", "გადასაშრელი საგნები". ამ ჟურნალების გამოცემაში აქტიურობდნენ გიმნაზიის მოსწავლეები და თუმანიშვილები, ი. მიქელაძე, ზუბოვი და სხვ. [21, გვ. 45]. ჟურნალებში ქვეყნდებოდა მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები, რომლითაც ილაშქრებდნენ სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ამჟღავნებდნენ დიდ სიმპატიებს მშრომელი ხალხისადმი, ისწრაფოდნენ მისი სრული განთავისუფლებისაკენ, რაც, მათი აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ არსებული უსამართლო წყობილების ძალით დამხობის გზით.

ხალხოსნური ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე თბილისის გიმნაზიებსა და სემინარიის მოსწავლეებში ადგილი აქვს ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობას. მოსწავლეები აქტიურად გამოდიან სასწავლებლების ხელმძღვანელობისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ.

1882 წლის დეკემბერში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოხდა მოსწავლეთა "ბუნტი" მოსწავლე [illegible] ხელმძღვანელობით. ჩათ სცემეს

დირექტორს" ჟელიხოვსკის და მოითხოვეს მისი თანამდებობიდან გადაყენება.

გიმნაზიის მოსწავლეთა გამოსვლის მიზეზი იყო არსებული წყობილებისადმი სიძულვილი და სასწავლებელში გამეფებული მკაცრი რეჟიმი. ჟელიხოვსკიმ მოინდომა გიმნაზიიდან გაეძევებინა პროგრესულად მოაზროვნე რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი ლავრენკო. მოსწავლეებმა იგი დაიცვეს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გიმნაზიიდან გაირიცხა 20 მოსწავლე, [241, 17.162, ფ. 8] მათ შორის მოკრიცკიც და გადაასახლეს თემირ-ხან-შურში (დაღესტანი). სამსახურიდან გაათავისუფლეს ლავრენკო და აუკრძალეს საქართველოში მასწავლებლად მუშაობა და ცხოვრება. გარიცხული მოსწავლეების, როგორც რევოლუციური სულისკვეთების და არასაიმედო პირების გვარები დაეგზავნა ყველა სასწავლო ოლქს. ამიერიდან მათთვის დახშული იყო ყველა სასწავლებლის კარი. დაიხურა გიმნაზიის მე-7 კლასი - 1869 წლის სექტემბრამდე.

მოსწავლეთა უკმაყოფილებას და პროტესტს არსებული წყობილებისა და ხელისუფლების მიმართ ადგილი ჰქონდა 1870 წელს. თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა ზაქრაძემ, პოტაპოვმა, ავთანდილოვმა, ლუკოვსკიმ, ძიუბენკომ თეატრში სპექტაკლის მსვლელობის დროს ატეხეს დებოში, ლანძღავდნენ ხელმწიფე იმპერატორს, გაიძახოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს. როგორც სასწავლებლის დირექტორი ამტკიცებდა, ეს მოსწავლეები სხვა დროსაც ყოფილან შემჩნეული მსგავს საქციელში. [241, საქ. 68, ფ. 1-2].

თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა მოძრაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის იდეური აღზრდის, წრთობისა და რევოლუციური განწყობილების გაღვივების საქმეში, ამან თავის მხრივ გამოიწვია თბილისელ სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა რუსეთის საერთო რევოლუციურ მოძრაობაში.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ცნობილი ხალხოსანი ი. ჯაბადარი აღნიშნავს: "სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია შედგებოდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისაგან, რომლებმაც იდეური

მომზადება და წვრთნა გაიარეს ჯერ კიდევ სასწავლებლებში, რუსეთის სხვადასხვა, ყველაზე უფრო შორეულ რაიონებში, ერთ-ერთი ასეთი საქართველო იყო. [174, გვ. 349].

თბილისის სასწავლებელდამთავრებულები მ. ჩიკოიძე, ა ლ . ციციშვილი და სხვები ი. ჯაბადართან ერთად გახდნენ "რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის" აქტიური წევრები.

ახალი რევოლუციური იდეების შეთვისების მხრივ გიმნაზიებს არც სასულიერო სასწავლებლები ჩამორჩებოდა. იქ, მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა და გაძლიერებული მეთვალყურეობისა, მთავრობის საწინააღმდეგო აზრები მაინც იკიდებდა ფეხს. სემინარიის მოწაფეებში პოლიტიკური აზრების ფორმირებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ისეთ გამოჩენილ პედაგოგებს, როგორიც იყვნენ ი. გოგებაშვილი, თ. ტურიაშვილი, გ. იოსელიანი, ნ. ცხვედაძე და სხვ. უწმინდესი სინოდის მიერ 1873 წლის შემოდგომაზე გამოგზავნილ რევიზორის კერსკის გადაუჭარბებელი მოწმობით, დასახელებულ მასწავლებელთა დანიშვნამდე სემინარიის მოსწავლეებს არ სცოდნიათ, თუ "რა იყო აკრძალული წიგნი"[268, საქ. 131, ფ. 12]. იმავე თანამედროვის ცნობით. ი. გოგებაშვილს "დაუწესებია რაღაც ლიტერატურული კრიჟკის მსგავსი", რომლის დროსაც ის თავის ბინაზე მიწვეულ მოწაფეებს აცნობდა თურმე "საეჭვო" შინაარსის წიგნებს. სწორედ მისმა ასეთმა საქმიანობამ მისცა საფუძველი სოფრომ მგალობლიშვილს განეცხადებინა, რომ გოგებაშვილს მაშინდელ საქართველოში ჰქონდა ისეთი სახელი, როგორიც სტანკევიჩს რუსეთის ინტელიგენციაში.[76, გვ. 46]. სემინარიის მოსწავლეები თავიანთი მასწავლებლების რჩევითა და მითითებით გულდასმით კითხულობდნენ გერცენის, პისარევის, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწარმოებებს "სოვრემენნიკსა" და "კოლოკოლში" დაბეჭდილ სტატიებს. 1872 წელს ფერმე სემინარიელ ცაგარეიშვილს (გაშციევს) უნახეს ზაიჩნევსკის ცნობილი პროკლამაცია "მოლო-როსსია", რომელიც გამოხატავდა მხოლოდ სისხლიანსა და ულმობელ რევოლუციის ხედავდა, რევოლუციაში, რომელსაც რადიკალურად უნდა შეეცვალა "ყოველდღიური საზოგადოების საფუძვლები" და მოესპო "ყველა მისი დამცველი" [21, გვ. 55-56].

თბილისის სემინარიის მოწაფეების საქმიანობა ცარიზმით აკრძალული ლიტერატურის კითხვით არ ისაზღვრებოდა. მათ საიდუმლო ორგანიზაციაც შეუქმნიათ დ. კეზელის ხელმძღვანელობით. 1873 წელს ჟანდარმერიამ კვალს მიაგნო და დააპატიმრა მისი წევრები (დ. კეზელი, სტ. ჭრელაშვილი, ი. მახვილაძე, ცამციეშვილი (ცამციევი) და სხვ.) და მათ სათანადო სასჯელი გადაუწყვიტა. საგამომძიებლო ორგანოებმა ხელთ იგდეს მრავალი მამხილებელი საბუთი, მათ შორის მახვილაძე-კეზელის წერილები და ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი პროკლამაცია "საქართველოს ახალ თაობას"[21, გვ. 55-56]

დასახელებული საბუთების შინაარსი გვიჩვენებს, რომ საიდუმლო წრის წევრები უდიდესი სიძულვილით ყოფილან გამსჭვალული მონარქიული წყობილებისადმი. მათ ცარიზმის ძალით დამხობა და ადამიანთა საერთო განთავისუფლება სურდათ. თავისუფლება დ. კეზელს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გარდაუვალ მსხვერპლთან დაკავშირებული მოვლენა, მაგრამ მსხვერპლის გაღება დესპოტიზმის მოსასპობად და ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრიდან გამოსაყვანად მას ადამიანის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა.

დ. კეზელი წინააღმდეგი იყო არა მარტო მონარქიული, არამედ საერთოდ ყოველგვარი საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელიც ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობაზე იყო დაფუძნებული. ამიტომ იყო, რომ დ. კეზელმა თავის ფსევდონიმად პოლიტიკური ტერმინი "მეამბოხე" და "რესპუბლიკანელი" აირჩია: 1873 წლის 7 ივნისს მახვილაძისადმი მიუწერია, რომ ავტორის ღრმა რწმენით, რესპუბლიკის დამყარება გარდაუვალია და რომ ის ნამდვილად დამყარდება რევოლუციის შედეგად.[258, საქ. 131, ფ. 47].

დ. კეზელი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობის საქმეში გადამწყვეტ როლს რჩეულ ადამიანებს, ტალანტებს, გმირებს აკუთვნებდა. ხალხს კი ის უყურებდა როგორც ბრბოს, რომლის სათანადო მომზადება და აჯანყებისათვის დარაზმვა გმირებს უნდა აეღოთ თავიანთ თავზე. იმისათვის, რომ უკეთ შეესრულებინათ ხელმძღვანელისა და ბელადის როლი, ისინი, კეზელის აზრით, უნდა ყოფილიყვნენ მცოდნენი, განათლებულნი და საერთო საქმის ერთგულნი. აცხადებდა რა თავს ხალხის მომავალ მესვეურად და განსა-

კეთილი ნიჭის მქონე ადამიანად, იგი, ვითარცა ხელმოკლე ოჯახის შვილი, ითხოვდა თანამემამულეებს, მიექციათ მისდამი ყურადღება, აღმოეჩინათ ნივთიერი დახმარება და გაეგზავნათ საზღვარგარეთ სწავლის გასაღრმავებლად, რათა მეტი სარგებელი მოეტანა თავისი ხალხისათვის.

აი, რას წერს დ. კეზელი პროკლამაციაში "საქართველოს ახალ თაობას": ვიმყოფები სემინარიაში, არავისგან თანაგრძნობას არ ველოდები. ყოველმხრიდან თავს მატყდება ლანძღვა და დევნა... თქვენ, როგორც ახალგაზრდა ადამიანები, მოგმართავთ პირდაპირ, რომ მე როგორც ნიჰილისტი, მომაქციოთ ყურადღება. ჩემს პიროვნებისაგან თქვენ უნდა ელოდოთ ადამიანს, რომლის სასიცოცხლო მიზანია დაუღალავი შრომით ხალხის კეთილდღეობის მოპოვება, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მიზნის მიღწევაში ხელს შემიწყობს დიდი ტალანტი და უშრეტი ენერგია. მინდა დაუღალავად ვიშრომო და თავი წინასწარ მოვამზადო ზედადად [21, გვ. 67-68].

ხალხის სრული განთავისუფლება, მისი სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრიდან გამოხსნა, კეზელის აზრით, შეიძლებოდა მხოლოდ რჩეული პირების მოქმედების შედეგად.

კეზელის ჯგუფის პოლიტიკურ შეხედულებათა ფორმირებაზე გარკვეული გავლენა ჰქონდა ნაროდნიკულ დოქტრინას, მაგრამ იგი ნაროდნიკული მიმართულებისა მაინც არ იყო. ამის სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც ის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ატარებდნენ წრის წევრები ა. გერცენის, დ. პისარევის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვის, "მოლოდაია როსიას" ავტორისა და რუსული დემოკრატიული აზრის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებისადმი. ამ

მოსაზრებას მხარს უჭერს შ. დავითაშვილიც, რომლის მოწმობით, კეზელის ჯგუფს არა მარტო არავითარი კავშირი არ ჰქონდა ხალხოსნურ მოძრაობასთან, არამედ "ამ მოძრაობისა სემინარელებს არაფერი გაეგებოდათ, თუმცა თავის ამხანაგებთან შედარებით ისინი უფრო ნაკითხი და განვითარებული ყმაწვილები იყვნენ" [54, გვ. 15].

საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაზე დიდი გავლენა იქონია პარიზის კომუნამ, რომელსაც აღტაცებით შეხვდა ინტელიგენცია. ზემოთ უკვე ითქვა ილია ჭავჭავაძის ლექსზე "კომუნის დაცემის დღე" იგივე ითქმის ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და გაზ. "დროების" ფურცლებზე კომუნის თემაზე დაბეჭდილ სტატიებზე. [129, გვ. 116-126]. პარიზის კომუნამ ძლიერი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზრის შემდგომ განვითარებაზე [176, გვ. 353].

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა მოღვაწეობა და ნაფიქრალი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ქართული რევოლუციური აზრის შემდგომ წინსვლა-განვითარებაზე, მაშინდელ მოწინავე ახალგაზრდობას რაზმავდა ხალხის ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარება, რეფორმის მძარცველური ხასიათი, ქართველი გლეხის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მისი გაუმჯობესების გზების ძიების საკითხები, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის მსჯელობის საგანი გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი XIX საუკუნის 70-იანი წლების ხალხოსნებს უჭირავთ, რომლებიც მშრომელი გლეხობის ინტერესებს გამოხატავდნენ და მისი იდეოლოგები იყვნენ. მოღვაწეობის ასპარეზად მათ სოფელი აირჩიეს, ძირითად რევოლუციურ ძალად გლეხობა აღიარეს და მთავარ მიზნად არსებული წყობილების დამხობა გამოაცხადეს.

უკეთებდა რა ანალიზს 1864 წლის საგლეხო რეფორმას და მის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ გლეხთა მძიმე მდგომარეობას, ნ. ნიკოლაძე წერდა: "კაცმა რომ იკითხოს საიდღაა აქ ბატონყმობის მოსპობა? ცარიელი სიტყვებით ბევრი რამე შეგიძლიათ ილაპარაკოთ, მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა სადაა გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება? საკმარისია ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს "კანონმდებლობებს", რომ ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა, იმდენად "აუმჯობესებს" თქვენი დებულება ხალხის მდგომარეობას. ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი თქვენს, ეგრეთწოდებულ რეფორმას, რომელსაც მემამულე გლეხობის მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, რომელსაც გლეხებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე, რომელსაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, რომელსაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინაარსს?" [79. გვ. 182-183].

აგრეთვე აღვნიშნეთ, რომ საქმეში კარგად ჩახედული ნ. ნიკოლაძე რეფორმის შემდეგ შექმნილ ურთიერთობას "ახალ ბატონყმობას" უწოდებდა და მას ბატონყმობასთან შედარებით უფრო მძიმედ მიიჩნევდა. მართლაც არსებული ფაქტიური მასალა მკაფიოდ ადასტურებს აქ გამოთქმული აზრის სისწორეს, სახელდობრ იმას, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი იურიდიულად თავისუფალი ქართველი გლეხის მდგომარეობა მეტად სავალალო იყო.

დროებითვალდებული გლეხის ცხოვრების პირობების დახასიათებისას გაზ. "ივერია" წერდა: "ამას არაფრისაგან არაფერი არ აბადია; მხოლოდ ბატონისაგან ერგებია ერთი სახლის ადგილი და ერთი კვალი ვენახი... ცარიელი მჭადიც კი სანატრელია, თორემ პურს ვინ იტყვის, ... ბავშვები ხომ სრულიად თავშიშვლები და ფეხშიშვლები არიან. მხოლოდ დაძონძილი პერანგი აცვიათ. არც ბავშვების დედაა უკეთეს მდგომარეობაში. ამასაც დაძონძილებში ამოსდის სული. ამისათვის არც ძილია ხეირიანი. კერას უდგიათ ძველი ფარდაგი და ბავშვები ამ ფარდაგზე გოჭებივით მისწოლიან

დღეს ერთ ტურმელიან და დაგლეჯილ საბნის ქვეშ". [224, 1877 წ. № 34].

ძირითადი მწარმოებელი კლასის – გლეხობის შრომისა და ცხოვრების ისედაც მძიმე პირობებმა საგონებელში ჩააგდო იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. ამან მიიყვანა იგი საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაციის შექმნამდე. ქართველმა რევოლუციონერ-ხალხოსნებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ბატონყმობის გადმონაშთებს. ისინი ცდილობდენ გაბატონებული კლასებისა და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული ხელისუფლების მიერ მრავალტანჯული გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ხალხოსნური ორგანიზაცია საქართველოში 1873–1874 წლებში შექმნილა. სოფრომ მგალობლიშვილი ამის შესახებ წერს: "1872 წლიდან თბილისში, აქა-იქ იმართება კრებები, რომლებსაც ესწრება მოსწავლე-ახალგაზრდობა; კითხულობენ არა მარტო ნებადართულ, არამედ აკრძალულ წიგნებსაც. სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება "სოვრემენიკი", "ველიკორუსი", დობროლუბოვის, პისარევის, ჩერნიშევსკის, ლასალისა და სხვათა ნაწერები. მიზნად დავისახეთ თვითგანვითარება და შემდეგ ხალხში გასვლა საქადაგებლად მონარქიული წყობილების საწინააღმდეგო აზრებისა". [76, გვ. 71].

ს. მგალობლიშვილის სიტყვებიდან გამოდის, რომ ხალხოსნური ორგანიზაციის ჩასახვა-აღმოცენების თარიღად 1872 წელი უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა თვითონ ს. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში ლაპარაკობს, რომ "საქართველოში აქტიური ხალხოსნური მოძრაობა" კონკრეტულად 1873 წლიდან დაიწყო". [76, გვ. 71].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ხალხოსნური მიმდინარეობის გაშლა-გაფართოების საქმეში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებულ და სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ ახალგაზრდობას წამყვანი როლი შეუსრულებია. ხალხოსნების ორგანიზაციის შექმნის თარიღად 1874 წელი უნდა ვაღიაროთ. ხალხოსნური მოძრაობის გაშლა-გაფართოებაში დიდი წვლილი შეიტანეს ი. ქიქოძემ, ჯაბადარმა, რ. ფავლენიშვილმა, ი. იოსელიანმა და სხვ. [21, გვ. 73].

ხალხოსნების მოქმედების მთავარი ცენტრები იყო თბილისი, გორი, ქუთაისი, ცხვავი და ოზურგეთი. ყველაზე დიდი იყო თბილისის ორგანიზაცია, სადაც 200 კაცი ირიცხებოდა. [21, გვ. 73. 76, გვ. 73. 91, გვ. 495-596] .

ქართველი ხალხოსნების მოქმედების მთავარ ასპარეზს სოფელი წარმოადგენდა. თავიანთი რუსი მასწავლებლების მსგავსად გადამწყვეტ რევოლუციურ ძალად სწორედ სოფლის მშრომელ მოსახლეობას თვლიდნენ. მაგრამ გლეხებთან ერთად ჩვენი ხალხოსნები ახალი აზრების პროპაგანდას ხელოსნების წრეშიც ეწეოდნენ. [54, გვ. 35-37].

უფრო მოგვიანებით, კერძოდ 1877 წელს ხალხოსნებმა ქარხნის მუშებსაც მიმართეს და იქაც სცადეს სამართლიანი წყობილებისათვის მებრძოლი ადამიანთა ბირთვის შექმნა. ამ საქმისათვის თვითონ შიო დავითაშვილს მოუკიდნია ხელი, მაგრამ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. [54, გვ. 62].

ხალხოსნებს პროპაგანდა რკინიგზის მუშებშიც უწარმოებიათ. 1877 წლის აგვისტოში თბილისის პოლიცმეისტერს ანონიმური წერილი მიუღია, რომელშიც ეწერა, რომ სადგურ მიხაილოვის (დღევანდელი ხაშური) მცხოვრები ვინმე შპიგანოვიჩი, სპეციალობით მემანქანე, წარმოშობით პოლონელი, თურმე დამსმენს არწმუნებდა, რომ რუსეთში მალე მეფის ხელისუფლება დაეცემა და რესპუბლიკა დამყარდება, რადგან მთავრობა არ აქცევს ყურადღებას მშრომელი ხალხის დუხჭირ მდგომარეობას. გაჩხრეკის დროს შპიგანოვიჩს აღმოაჩნდა აკრძალული ლიტერატურა, მათ შორის "სამარაში შიმშილობის გამო" და 1874 წლის ჟურნალი "ვპერიოდ", გამოცემული ქალაქ ლონდონში. ამ ლიტერატურით მას ქართველი ხალხოსნები ამარაგებდნენ. [21, გვ. 75].

ხალხოსნები დიდ იმედებს ამყარებდნენ ინტელიგენციაზე საერთოდ და მოსწავლე-ახალგაზრდობაზე, კერძოდ გორის სასულიერო სასწავლებელში მომუშავე მასწავლებლები მოსწავლეებში რევოლუციური შინაარსის იდეებს ავრცელებენ. მოსწავლეებს შეაყვარეს ქართული მწერლობა, ქართული

ისტორია, ლილაევა, სამშობლო, გაილეიძე მათში მოლენებელმა სუქმა. "თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ამისთანა მიმართულებით, გორის სასულიერო სასწავლებელმა თვალსაჩინო ლიტერატურული მოღვაწენი და რევოლუციონერები მისცა სამშობლოს" [76, გვ. 79].

შიო დავითაშვილი გადმოგვცემს: ჩემს ხალხში სიარულს იმდენი და ისეთი შედეგი არ მოჰყვა, რამდენი და როგორი იმედიც მქონდა. ცოტა არ იყოს ყურებჩამოყრილი ვიყავი, როცა გორიდან ტფილისს დავბრუნდი, ისევ ახალგაზრდობაში შევუდექი რევოლუციონურ მუშაობას. ეგნატე იოსელიანი დროგამოშვებით ღებულობდა აკრძალულ წიგნებს. მე ვავრცელებდი ამ წიგნებს მოსწავლეთა შორის. ჩვენი წრე თანდათან ფართოვდებოდა... ხშირად ვიკრიბებოდით... ვკამათობდით და ვმსჯელობდით რევოლუციის მიზნისა და ამოცანების შესახებ". 64, გვ. 39 .

ქართველ ხალხოსნებს სამხედრო ნაწილებშიც უწარმოებიათ მუშაობა. თბილისის იუნკერთა სასწავლებელში, განსაკუთრებით მის მაღალ კლასებში, ძალიან გავრცელებულა რევოლუციური შინაარსის ლიტერატურა. 1876 წლის 10 ივნისს კაპიტან ხრისტოფოროვმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს წარმოუდგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც წერია, რომ მომავალი ოფიცრები საიდუმლოდ კითხულობდნენ რევოლუციური შინაარსის წიგნებს, სასწავლებლის ეზოს უკანა ნაწილში მოთავსებულ შეშის საწყობში. ამ წიგნებით მათ ქალაქის კონსპირაციული წრეები და მთავრობის საწინააღმდეგო აზრებით გატაცებული ახალგაზრდები ამარაგებდნენ. ნ. ხრისტოფოროვს ამის შესახებ ცნობები მიაწოდა დედაქალაქში მოქმედ რევოლუციურ წრეებთან ერთ დროს დაკავშირებულმა ა. ბენეცკიმ, რომელმაც შემდეგ უარყო მთავრობის საწინააღმდეგო აზრები; თბილისის რევოლუციური წრის მთავარი პირები და საერთოდ რევოლუციონერთა გვარები დაასახელა, ესენი იყვნენ ეგ. იოსელიანი, სარაჯიშვილი, ჯანდიერიშვილი, ჯაფარიძე და სხვ.[249, საქ. 33, ფ. 7-9].

ამრიგად, გლეხები, მუშები, სამხედრო ნაწილები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ექიმები - აი ის წრე, რომელშიაც ტრიალებდნენ ქარ-

თვით ხალხოსნებში. ამათგან ისინი ყველაზე მეტ მნიშვნელობას სოფლის მშრომელ მოსახლეობას - გლეხობას ანიჭებდნენ.

ქართველი ხალხოსნების პროგრამამდე ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ სხვადასხვა მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია აღვადგინოთ ნაროდნიკების უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნები. როგორც ლიტერატურაში დამტკიცებულია, საქართველოში მოქმედი საიდუმლო ნაროდნიკული ორგანიზაციის მიზანი ყოფილა არსებული უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დამხობა და მის მაგივრად ისეთის დამყარება, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანის სრულსა და ყოველმხრივ თავისუფლებას. ჟანდარმერიის ცნობებში პირდაპირაა მითითებული, რომ საზოგადოების მიზანს საყოველთაო აჯანყების მოწყობა და მის შედეგად "თანამდებობის პირთა, სამღვდელოებისა და თავად-აზნაურთა მოსპობა-განადგურება წარმოადგენდა". ამ მონაცემებს ადასტურებენ სხვა დოკუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ ხალხოსნები საერთო-სახალხო აჯანყების მოწყობისა და ამ გზით მეფის ხელისუფლების დამხობას ფიქრობდნენ. შიო დავითაშვილის მოწმობითაც, ხალხოსნების მთელი საქმიანობა სწორედ იქითკენ ყოფილა მიმართული, რომ დამხობილიყო დესპოტური რეჟიმი და შექმნილიყო ახალი, სოციალისტურ პრინციპებზე აშენებული საზოგადოება.[21.გვ. 77].

საიდუმლო ორგანიზაციას რომ ნამდვილად ჰქონდა ასეთი მიზანდასახულება, ამას პასუხისგებაში მიცემულ პირთა ჩვენებებიც ადასტურებენ. ერთ მათგანს, მაგალითად, პირდაპირ განუცხადებია, რომ ქართველი ხალხოსნები და მათი ხელმძღვანელები - მიხეილ ყიფიანი, ისიდორე ქიქოძე - ხშირად ლაპარაკობენ ""კავკასიაში კომუნის აუცილებლობაზეო", ბაქრაძის 1876 წლის 26 აგვისტოს წერილში, რომელიც ეკნატე იოსელიანისათვის გაუგზავნია, გამოთქმული ყოფილა სურვილი, რომ "ხალხი ამდგარიყო არსებული წყობილების წინააღმდეგ და მოეწყო თავისი ცხოვრება სულ სხვა სოციალურ საფუძველზე"; ყოველივე ამან

საშუალება მისცა ტფილისის სასამართლო პალატას დაესკვნა, რომ ხალხოსნები მიისწრაფოდნენ და ჰქონდათ მიზანი დაემხოთ არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება. [239, საქ. 2506, ფ.87].

ქართველი ნაროდნიკები ქადაგებდნენ ხალხში, რომ თვითმპყრობელური მონარქიული მთავრობის მოსპობის შემდეგ ყველა თანასწორი იქნება და ყოველგვარი ქონება თანაბრად განაწილდება. მათი მტკიცებით, თითქოს რუსეთის 37 გუბერნიის გლეხობა მზად იყო პირველი დაძახებისთანავე საბრძოლველად გამოვიდეს მთავრობის წინააღმდეგ და რომ ჯარი მხარს უჭერს მათ და ა.შ. [249, საქ. 35, 29].

ხალხოსნები სოფლისა და ქალაქის მშრომელ მოსახლეობას უნერგავდნენ თვითმპყრობელური მონარქიის დამხობის, ექსპლუატატორული კლასების მოსპობის და სამართლიანი წყობილების დამყარების იდეებს. მაგ; მიხეილ ყიფიანის წერილში აფაქიძისადმი ნათქვამია: შთააგონე ყველა მშრომელს, რომ მიწა, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, მათი სრული საკუთრებაა და რომ მემამულეებს არა აქვთ მასზე არავითარი უფლება [249, საქ. 35, ფ. 34].

ვარლამ გაბიჩვაძე 1876 წლის 3 ივნისს ისიდორე ქიქოძესთან გაგზავნილ წერილში აქებდა ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, სადაც ყველა ადამიანი ცხოვრობს პატიოსანი შრომით და გამორიცხულია ერთის მიერ მეორის ექსპლოატაცია. ამის საწინააღმდეგო პრინციპებზე აშენებული წყობილება მას უსამართლო, სრულიად უვარგის და ქრისტეს მოძღვრების უარმყოფელ წყობილებად ჰქონია გამოცხადებული [21, გვ. 79]. ვ. გაბიჩვაძე პროკლამაციაში "ღვთაებრივი ისტორია გლეხებისა და მუშებისათვის" ეპიგრაფად შეურჩევია სიტყვები: "ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა" ამოღებულია "დაბადებიდან". იგი მკაცრად, დაუნდობლად აკრიტიკებს არსებულ წყობილებას. მე უნდა დავამტკიცო, რომ საწყალი გლეხი გაჩენილა მხოლოდ იმისათვის, რომ იხადოს სახელმწიფო გადასახადები, არჩინოს მოხელეები, მღვდლები და სხვ. - წერდა იგი ი. ქიქოძეს.

დაახლოებით ასეთივე აზრებისა და შინაარსის შემცველი ყოფილა სტეფანე ჭრელაშვილის პროკლამაციაც სათაურით "გლეხების გამოღვიძება" მასში ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის მოწმობით დაშვებული ყოფილა "თავხედური გამოთქმები ხელმწიფე იმპერატორის" და მისი "ოჯახის წევრების მიმართ" [239, საქ. 2506, ფ. 78].

თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოსწავლე ალექსანდროპოლის სამაზრო სამმართველოს შტატგარეშე მოხელე ალექსანდრე იოაკიმოვი ბირჟების დასახლებაში შეხვედრია ნიკოლოზ ალექსეევს და თევდორე ზამანოპულოს, მას წაუკითხია ერთი ლექსი, სადაც ნათქვამია: "აიღეთ ხელში ნაჯახი და გაილაშქრეთ მტერზე, მღვდლებზე, არამზადა მოხელეებზე, ყველა კანონი და სასამართლო საქმეები უნდა დავწვათ", ამასთან იოაკიმოვი ლაპარაკობდა თავისუფლებაზე, თანასწორობაზე და ძმობაზე; ლაპარაკობდა იმაზე, რომ საფრანგეთის რევოლუციაში ყველა აღსდგა მთავრობის წინააღმდეგ, და უხსნიდა, რა თავგანწირვით იბრძოდნენ პარიზელები. ამას გარდა ბირჟების ეკლესიის წინ ჯარისკაცებს მიმართავდა: რატომ იბრძვით მეფისათვის? რისთვის გვინდა რუსეთში არსებული დაწესებულებანი? უნდა იყოს თანასწორობა და ა.შ. ასეთ პროპაგანდას ეწეოდა იოაკიმოვი ხალხში და სამხედრო ნაწილებში.

ალექსანდრე იოაკიმოვი მუშაობდა სოხუმსა და თელავის სამაზრო სასწავლებლებში, მაგრამ 1874 წელს ის იქიდან დაუთხოვიათ არაკეთილსაიმედოობის გამო და აუკრძალავთ ყოველგვარი პედაგოგიური მოღვაწეობა. 1877 წელს ა. იოაკიმოვს ალექსანდროპოლის სამაზრო სამმართველოში დაუწყია მუშაობა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისევ გაუგრძელებია რევოლუციური საქმიანობა. [239, საქ. 2606, ფ. 19].

სოფლის მშრომელი მოსახლეობის გამოღვიძებისა და გათვითცნობიერების მიზნით ხალხოსნები, როგორც აღვნიშნეთ, ფართოდ იყენებდნენ რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას, კერძოდ, ისეთ ნაწარმოებებს,

როგორიცაა "ოთხი ძმის ზღაპარი", "ცბიერი მექანიკა", "გლეხკაცის ისტორია", "რა უნდა ხალხს", და სხვ. აქ დასახელებული ზოგი ნაწარმოებიდან ქართველ ხალხოსნებს უთარგმნიათ კიდეც მშობლიურ ენაზე და მოსახლეობაში საპროპაგანდოდ გამოუყენებიათ. [91, გვ. 501, 76, გვ. 102].

ქართულად თარგმნილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის ნაწილი, რომელსაც ხალხოსნები ავრცელებდნენ, გასაგები უნდა ყოფილიყო სოფლის წერა-კითხვის უცოდინარ მშრომელ მოსახლეობისათვის. ქართულად იწერებოდა არაერთი რევოლუციური შინაარსის პროკლამაცია, რომელიც იბეჭდებოდა გორის მაზრის სოფელ ტყვიავში მოწყობილ საიდუმლო სტამბაში მღვდლის ვ. სამადაშვილის ხელმძღვანელობით.

მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებაში დიდი ადგილი ჰქონია დათმობილი ცოცხალ საუბრებს და წარმოდგენა-სალამოების გამართვას. სოფრომ მგალობლიშვილი წერს: "ხალხური სცენების კითხვა პირველად მე შევიტანე სცენაზე. ვკითხულობდი ჩემს საკუთარ სცენებს, სცენებში გამოხატული იყო ცხადად თუ თვალსაჩინოდ მუშა-გლეხის ჭირ-ვარამი, ნაბატონარისაგან, სხვადასხვა მოხელეთაგან მიყენებული უჯიათობა, უსამართლობა, შეწუხება. სცენების საკითხავად საგანგებოდ მქონდა გლეხური ტანისამოსი, ვკითხულობდი ნამდვილი გლეხური კილოთი. ხამი, უცნობი კაცი... გლეხში ვერ მარჩევდა. ამ სცენებს დიდი გავლენა ჰქონდა სოფლად. [76, გვ. 84].

როგორ შეხვდა ქართველი გლეხობა ხალხოსნურ პროპაგანდას, როგორ მიიღო და შეითვისა მან ის სიტყვა, რომლითაც მასთან რევოლუციონერები მოვიდნენ? სოფლის მშრომელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გულგრილად შეხვედრია ხალხოსნების საქმიანობას და არ გაჰყოლია მათ მიერ ნაჩვენებ გზას. [76, გვ. 83].

მართალია, ხალხოსნურ პროპაგანდას დიდი წარმატება არ ჰქონია, მაგრამ რევოლუციურ იდეებს ხარისხზე გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია, თუმცა საბოლოო მიზანი მიუღწეველი დარჩენილა. "როგორც [illegible]

ისე სხვა სოფლების გლეხობაში, – ვკითხულობთ შ. დავითაშვილის მოგონებაში, – ცოცხალ ინტერესს იწვევდა, მაგრამ მჭიდრო კავშირი გლეხობასთან მაინც ვერ შევკარით". [54. გვ. 30].

ეწეოდნენ რა მემამულეებისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას, ხალხოსნები გლეხებს მოუწოდებდნენ ქონებრივი უთანასწორობის მოსპობისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლისაკენ. ხალხოსნური პროპაგანდა გლეხობისათვის მისაწვდომი და გასაგები იყო. ეს აიხსნებოდა იმით, რომ იგი ასახავდა სოფლად შექმნილ ობიექტურ ვითარებას, ბედკრული გლეხკაცის მდგომარეობას და მძიმე ეკონომიკური ცხოვრების წარმომშობ მიზეზებს.

ხალხოსნებისა და გლეხ-აგიტატორთა მიერ მასებში ჩატარებული საუბრების თემა ერთმანეთს ემთხვევა. ერთნიც და მეორენიც გლეხების ასამხედრებლად იყენებდნენ 9-წლიანი ვადის შესახებ გავრცელებულ ხმებს, მოუწოდებდნენ სოფლის მშრომელებს უარი განეცხადებინათ ბეგარა-გადასახადებზე, უბიძგებდნენ მათ შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

საგიტაციო საუბრების ორგანიზებულად ჩატარებისათვის სხვადასხვა საბაბით ხშირად იმართებოდა კრებები, რომელიც ზოგჯერ მიტინგის სახეს ღებულობდა. სიტყვით გამოდიოდნენ არა მარტო აგიტატორები, არამედ გლეხებიც კი. ერთ-ერთი ასეთი კრების ჩატარება 1876 წლის 2 აგვისტოს სოფელ მერეთში (გორის მაზრა) განუზრახავთ. ხალხოსნების ინიციატივით მდინარე ლიახვის პირას ვითომ თევზის დასაჭერად შეიკრიბნენ ხალხოსანთა ერთი ჯგუფი – რომან ფავლენიშვილი, ანტონ ფურცელაძე, კონსტანტინე ფურცელაძე, მიხეილ ყიფიანი და მერეთელი გლეხები პეტრე და ბერი ბაიაძეები, ვანო გორგიშვილი, სოსია გლახაშვილი და სხვ., სულ 12 გლეხი. სინამდვილეში კი მათი თავშეყრის მიზანს კრების ჩატარება წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ხალხოსნებმა ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. [230ა. № 29-30, გვ. 49]. შეკრებილებს შორის

შენიშნულ იქნენ უცხო პირებიც. მოსალოდნელი საფრთხე რომ თავიდან აეცილებინათ, კრება არ შემდგარა.

ხალხოსნური ორგანიზაციები ხშირად იწვევდნენ სხდომებს, მართავდნენ თათბირებს, რომლებზედაც განიხილავდნენ გლეხობაში სააგიტაციო მუშაობის მიმდინარეობისა და საერთო აჯანყებისათვის მზადების საკითხებს. ამას თანამედროვენიც არ უარყოფენ. "როდესაც ჩვენ, - წერს სოფრომ მგალობლიშვილი, - ვუამბობდით "ოთხი ძმის ზღაპარს", "ცბიერი მექანიკის" შინაარსს, ან... ბატონების უდიერებას, ეგრეთწოდებულს, "პირველი ღამის" ჩვეულებას..., დიამბეგების დროის შეწუხებაზე, დღევანდელ ბოქაულებზე, რომ მეფიდან დაწყებული უკანასკნელ ჩაფრამდე მუშა-გლეხის კისერზე სხედან, მაშინ ჩაფიქრდებოდნენ. მართალს ამბობენ, ხალხო, მართალს. მართალია, მართალია - გაისმოდა ყოველ მხრიდან". [76, გვ. 87].

ნაროდნიკულმა პროპაგანდამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. რაჭაში პლატონ გაბიჩვაძეს აჯანყებაში მონაწილეობისათვის მოუმზადებია სოფლების ჩარჯოს, სადმელის, ქვანისა და ხვანჭკარის გლეხები. [249, საქ. 34, ფ. 218]. გურიის გლეხობამ აგიტაციის შედეგად სრული თანხმობა განაცხადა აქტიურად ჩაბმულიყო "მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში" [249, საქ. 36, ფ. 38-39].

სხვებზე არც კახეთის მშრომელი მოსახლეობა ჩამორჩენია. ისინი თანაუგრძნობდნენ ახალი იდეების პროპაგანდას და თანხმობას აცხადებდნენ ჩამდგარიყვნენ სიმართლისათვის მებრძოლთა რიგებში. [91. გვ. 606].

ნაროდნიკების გავლენა უფრო ნათლად აისახა XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრის გლეხთა კლასობრივ ბრძოლაში. ამას ქუთაისის გუბერნატორის 1876 წლის ანგარიშიც ადასტურებს. "არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში, - წერს იგი, - არაერთხელ აურიდებიათ თავი ზუგდიდის მაზრის გლეხებს მემამულეების ვალდებულების შესრულებაზე. გლეხებთან საუბრისას მე სრულიად დავრწმუნდი იმაში, რომ ისინი (გლეხები - ნ.გ.) იმყოფებიან

ხალხოსნების გავლენის ქვეშ, რომლებიც არწმუნებენ გლეხებს, რომ მიწა მათი საკუთრებაა. ბევრ გლეხს ამ საგანზე ჰქონდა არა მხოლოდ ერთნაირი აზრი, არამედ სოციალურ-რევოლუციური პროპაგანდის გამავრცელებლებისადმი თანაგრძნობელური დამოკიდებულება. ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში გასული 1876 წლის აპრილ-მაისის თვეში აღმოჩენილი საიდუმლო ორგანიზაცია ამის მკაფიო დადასტურებაა. მე ვბედავ, ასე დიდხანს შევაჩერო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყურადღება ამ საკითხზე... გლეხობის მოსახლეობა მოხიბლულია რევოლუციონერთა მოძღვრებით, რომელიც მის ნამდვილ ინტერესებს ემთხვევა. ახლა გლეხობა კარგად ითვისებს აზრს იმის შესახებ, რომ მიწა მისი საკუთრებაა, ვინც მას ამუშავებს. ამ მოძრაობის ერთადერთი შედეგი არის, რომ მიწის სარგებლობისათვის უარს უცხადებენ მემამულეებსა და ხაზინას გადასახადის გადახდაში". [238, საქ. 3974, ფ. 1-8].

ქუთაისის გუბერნიის ხელისუფლების წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხალხოსნების საქმიანობას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოს სოფლებში, არა მარტო კვალი დაუტოვებია, არამედ გამოუწვევია 1876 წლის სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა. [21, გვ. 87].

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ხალხოსნების იდეების პროპაგანდას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

ხალხოსნები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხალხის აჯანყებისათვის მომზადებას ცდილობდნენ. ამ აჯანყებას, მათი აზრით, საერთო საიმპერიო ხასიათი უნდა ჰქონოდა. "ჩვენ, ადგილობრივი რევოლუციონერები მიზნად ვისახავთ მოვემზადებინა მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის და როდესაც შიდა რუსეთის ბრძოლის საათი დაჰკრავდა, აქაც მზად უნდა ვყოფილიყავით" [54, გვ. 40], - წერს შ. დავითაშვილი.

ქართველი ხალხოსნებს გლეხების გამოღვიძება და საუკუნეობრივი მონობის წინააღმდეგ დარაზმვა შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ სისტემატური და ხანგრძლივი ახსნა-განმარტების შედეგად. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას რევოლუციური აზრების ხალხში პროპაგანდას უთმობდნენ. რევოლუციური შინაარსის ლიტერატურის და პროკლამაციების გავრცელება ქართლის, კახეთის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სოფლებში, საბეჭდი მანქანის გამართვა ტყვიავში, სრულყოფილი სტამბის გამოწერა საზღვარგარეთიდან და სხვა ამგვარი ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ ქართველი ხალხოსნები, რუსი ნაროდნიკების მსგავსად, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის გეგმავდნენ თავიანთ საქმიანობას. ისინი ბაკუნინივით არ ფიქრობდნენ, რომ ყოველი ჯანყი, თუნდაც უშედეგოდ დამთავრებულიყო, სასარგებლოა და მისასალმებელი. სწორედ ამიტომ არ დაუჭირეს მათ მხარი 1876 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას, რომლის წარმოშობაშიც დიდი როლი შეასრულა ხალხოსნურმა პროპაგანდამ. "ის დღეს-დღეობით ნაადრევია და შეაჩერეთ", - სწერდა მიხეილ ყიფიანი მეგრელ რევოლუციონერ ბათუ აფაქიძეს.[249, საქ. 35. ფ. 34].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოქმედ ხალხოსნებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოითხოვდნენ აჯანყების დაწყებას. მათი აზრით, ხალხი რევოლუციისათვის სავსებით მზად იყო და ისინი საჩქაროდ სიტყვიდან საქმეზე უნდა გადასულიყვნენ. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, ინტერნაციონალისტი ალექსანდრე იოაკიმოვი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ხალხს ნაჯახისაკენ და მონარქიული წყობილების დაუყოვნებლივ დამხობისაკენ მოუწოდებდა. იგივე ითქმის ელიზავეტპოლის რეალური სასწავლებლის მასწავლებელ პ. დოლინსკიზე, რომლის წერილში მიხეილ ყიფიანისადმი, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სიტყვით, ნათქვამი ყოფილა: "ხალხის მომზადება აჯანყებისათვის წიგნების დარიგებით და პროპაგანდით ძალზე რთულად მიდის, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს და მეტწილად მხარდაჭერა არ მოვაკლოთ ხალხის ამბოხებას, ვისარგებლოთ აღშფოთების შემთხვევით... განცდებით და გავაღვივოთ ისინი შეძლებისამებრ"[239, საქ. 2506, ფ. 16].

ქართველ ხალხოსნებს, როგორც მასალებიდან ჩანს, მჭიდრო კავში-
რი ჰქონიათ რუს და რუსეთში მყოფ ქართველ რევოლუციონერებთან. ეს კავ-
შირი, პირველ ყოვლისა, კავკასიის მოწინავე ახალგაზრდობის პროპაგან-
დისტული ლიტერატურით მომარაგებაში გამოხატულა. იაგორა იოსელიანის
ცნობით, მაგალითად, ვლადიკავკაზის ბიბლიოთეკის შექმნა-დაარსება,
რასაც ვფიქრობთ ადგილი ჰქონია არა უადრეს 1874 წლისა, მოხერხდა
რუსეთის რევოლუციური წრეების უშუალო დახმარებით. ეს დახმარება,
როგორც მოსალოდნელი იყო, არც მომდევნო ხანაში შეწყვეტილა. "მოსკო-
ველთა" ორგანიზაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ზდანოვიჩი
(მაიაშვილი) ერთ თავის ქართველ მეგობარს სწერდა: გიგზავნი წიგნებსა
და რევოლვერებს, გაშალეთ მუშაობა, დაერიეთ მტერს და დაუნდობლად
ხოცეთ იგინი. [174. გვ. 466]. კაპიტან ხრისტოფოროვის მოხსენების
თანახმად კი, 1876 წლის 20 აგვისტოს ქუთაისში ჩასულა პეტერბურგის
უნივერსიტეტის სტუდენტი გლუხოვსკი, რომელსაც პროპაგანდისტული წრის
დავალებით ისეთი "აკრძალული ლიტერატურა" ჩაუტანია, როგორიცაა: "ინ-
ტერნაციონალის განვითარების ისტორია", "რევოლუციური პროპაგანდის
ამოცანები რუსეთში", "სახელმწიფოებრიობა და ანარქია", "რა უნდა
ხალხს", "რუსეთის არმიის ოფიცრებს" და სხვ. [21, გვ. 90. 91, გვ. 609].

რუსეთის რევოლუციური ცენტრი პერიფერიაში მომუშავე ნაროდნიკებს
მატერიალურ შემწეობასაც აძლევდა. ქართველ ნაროდნიკულ ორგანიზაციას
საკუთარი სახსრებიც გააჩნდა. მის სალაროში შედიოდა არა მარტო ის
თანხა, რაც ფასიანი წარმოდგენების გამართვით გროვდებოდა, არამედ რე-
ვოლუციური პროპაგანდის წარმატებით დაინტერესებულ პირთა ფულადი თუ
ნივთიერი შეწირულებანიც. ხრისტოფოროვის მოხსენების თანახმად, ასეთი
შეწირულებანი გაუღიათ გორელ ნაროდნიკებს ანტონ ფურცელაძეს /40 მან/,
ქაიხოსრო და დავით ფურცელაძეებს (60 მან), ვასილ სამადაშვილს (33 მან),
მიხა ერისთავს (30 მან), რომან ფავლენიშვილს (40 მან), ვანო ხიმშია-
შვილს (60 მან) და სხვ. სულ მათ მარტო ერთ შეკრებაზე, რომელიც 1876

წლის 2 აგვისტოს ბრძანებით, 500 მანეთი შეუგროვებიათ. [249, საქ. 35, ფ. 38]. ერთი საბუთის თანახმად ვინმე სტუდენტ რაჭიევს (რაჭი-შვილს) მოსკოვიდან ჩამოუტანია 40 მანეთი და არსენ კალანდაძის შე-შვეობით ეგნატე იოსელიანისათვის გადაუცია. მეორე საბუთის მიხედვით კი, მოსკოვის წრეს სხვა დროს უფრო დიდი თანხა – 700 მანეთი გამოუ-გზავნია. დასასრულ, ჟანდარმერიის მიერ შეკრებილი მასალების მიწმობით ქართველ ხალხოსნებს გადაწყვეტილი ჰქონიათ "აერჩიათ თავიანთ რიგებიდან ერთი პირი, ვინც მოსკოვს გაემგზავრებოდა და იქაურ წრისა-გან ისესხებდა 2 ათას მანეთს, ამ ფულით ჩამოიტანდა საბეჭდ დაზგას". [21, გვ. 90].

საქართველოში რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთიდან "მცირე ხნით" საქართველოში ჩამოსული რევოლუციონერები. ერთი მათგანი ყოფილა პეტერბურგის სატყეო ინსტი-ტუტის სტუდენტი ვიქტორ ალექსანდრეს ძე დანილოვი. 1874 წელს ის თბილისში ჩამოსულა და მოწაფეების მომზადების საფარქვეშ პროპაგანდი-სტულ მუშაობას შესდგომია. ნალე ვ. დანილოვი თბილისიდან დაშორე-ბით დასახლებულ სოფ. ვორონცოვკაში გადასულა და იქ რევოლუციური იდეების პროპაგანდა დაუწყია. ის, თურმე, მშრომელ მოსახლეობას "უმაღლესი მთავრობის, რელიგიისა და მიწაზე საკუთრების საწინააღმდეგო აზრებს უნერგავდა". [104, გვ. 74]. ვ. დანილოვის ეს საქმიანობა ჟან-დარმერიას შეუმჩნეველი არ დარჩენია. იგი 1874 წლის სექტემბერში დაუპატიმრებიათ [264. საქ. 2855/31]. და ციხეში ჩაუსვიათ. როცა დანილოვი პოლიციას მიჰყავდა, ერთმა პატარა ბიჭმა წერილი გადასცა. მან წერილი მაშინვე დახია, მაგრამ პოლიციამ შეაკოწიწა და აღმოჩნდა, რომ ამ წერილში მოწოდება იყო ხალხისადმი. "რუსეთის რევოლუციური პარ-ტია ვიხსნით თქვენ ტანჯვისაგან". წერილის ავტორი პეტერბურგის მიწათ-მოქმედების ინსტიტუტის სტუდენტი გლუშაკოვი იყო. [249, საქ. 25, ფ. 91-99]. წელიწადნახევრის პატიმრობის შემდეგ ის რუსეთში გადაუ-ყვანიათ და მის თბილისელ თანამოაზრე მარიამ ნალენტინა-ზავერდაშვილ-თან ერთად გაუსამართლებიათ 1877 წელს "193-ის პროცესზე", მათ ბრალად

ედებოდათ კანონის საწინააღმდეგო საზოგადოების შედგენა, რომლის "მიზანი იყო არსებული წყობილების ძალდატანებით შეცვლა ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში". სასამართლომ 1878 წლის 23 იანვრის განაჩენით დანილოვს ციმბირში გადასახლება, ხოლო ნადეჟდინა-შავერდაშვილს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვება მიუსაჯა. [104, გვ. 78]. იაგორა იოსელიანის მოგონებაში მოხსენებულია ვინმე იური ბოგდანოვიჩი, რომელიც ჩამოსულა თბილისში და განზრახული ჰქონია ერთ-ერთი ობიექტის აფეთქება. [264, საქ. 2855/31].

რუს ნაროდნიკებს შორის საქართველოში მოქმედებდა სერგეი შევცოვი. პეტერბურგის ჟანდარმთა სამმართველოს ცნობით, კავკასიაში ჩამოსვლამდე მას უწარმოებია მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა ნოვგოროდის გუბერნიის ჩერეპოვეცკის მაზრის გლეხებში, რაც სიტყვიერ პროპაგანდასა და აკრძალული ლიტერატურის გავრცელებაში გამოხატულა. [239, საქ. 2606, ფ. 34]. 1876 წლის სტუდენტ ბოიარსკის სახელზე გაცემული მოწმობით თბილისში ჩამოსულა და ეგნატე იოსელიანის ბინაზე მოწყობილა. ს. შევცოვი ქართველი მეგობრების დახმარებით მელიქიშვილის ტიპოგრაფიაში მოწყობილა და მუშებს შორის რევოლუციური საქმიანობა გაუშლია. [239. საქ. 2606, ფ. 36]. საქართველოს დედაქალაქში ს. შევცოვის ცხოვრება ხანგრძლივი არ ყოფილა. 1876 წლის ოქტომბერში ეგნატე იოსელიანის ბინის გაჩხრეკისას ჟანდარმერიას მასპინძელთან ერთად ისიც დაუპატიმრებია. [239, საქ. 2606, ფ. 29].

ქართველ ხალხოსნებს კავშირი ჰქონდათ აგრეთვე უცხოეთთანაც (შვეიცარიასთან), საიდანაც იღებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. ამ მხრივ მათ დახმარებას უწევდა ევროპაში მყოფი ქართველი სტუდენტების საზოგადოება "უღელი", რომელიც დაარსდა 1873 წელს ქ. ციურიხში, ეს საზოგადოება თავის რიგებში ქართველების გარდა აერთიანებდა კავკასიიდან შვეიცარიაში სასწავლებლად ჩასული სხვა ერის წარმომადგენლებსაც..

საზოგადოება "უღელში" გაერთიანებული იყვნენ: ოლღა გურამიშვილი, პელაგია ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი), ოლღა ნიკოლაძე, ეკატერინე ნიკოლაძე, ეკატერინე ზემიანსკაია, ბოგიემილა ზემიანსკაია, ვლადიმერ ივანიშვილი, პოლოს (პავლე) იზმაილოვი, დავით ქადაგიძე, ალექსანდრე სუმბათოვი (სუმბათაშვილი), ივანე მესხი, ვლადიმერ ონანოვი და სხვ. ციურიხში თავიანთი წრე ჰქონდათ აგრეთვე სომხებსაც, რომელიც ქართულ საზოგადოებასთან კავშირი ჰქონია და სამოქმედო პროგრამაც ერთად შეუმუშავებიათ" [201, საქ. 130, ფ. 20-30].

1874 წელს ჟენევაში ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით შედგა კავკასიელი ახალგაზრდობის კონგრესი, რომლის მიზანი იყო ღონისძიებების შემუშავება კავკასიელი ხალხების ფედერაციული გაერთიანებისათვის. ივანე ჯაბადარი წერილში - "50-ანთა პროცესი" კონგრესის მონაწილეთა შორის ასახელებს დაღესტნელ დომლატს, სომეხ ალიბეგოვს, ქართველებიდან: გიორგი წერეთელს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, პეტრე მელიქიშვილს, რევაზ ჩოლოყაშვილს, ალექსანდრე ციციშვილს, სერგეი და კოტე მესხებს, მიხ. ჩიკოიძეს, ელიოზოვს (ელიოზიშვილს), დებს ნიკოლაძეებს, ეკატერინე მელიქიშვილს, კონგრესს სულ დასწრებია 40 კაცი; თავმჯდომარეობდა გიორგი წერეთელი, მდივანი და იმავე დროს მომხსენებელი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი. კონგრესის უმრავლესობა სავსებით შესაძლებლად თვლიდა კავკასიის ხალხების ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას, თვითმპყრობელი რუსეთის დაცემისთანავე, ან მას შემდეგ. ჯაბადარი, ჩიკოიძე, დომლატი, ელიოზოვი და ჩოლოყაშვილი ილაშქრებდნენ კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. არავითარი ფედერაცია! კავკასიის ხალხები რუსეთის იმპერიის ფარგლებში! ასეთი იყო ნაროდნიკული ინტელიგენციის მოთხოვნა [231, 1907].

ხალხოსნების საქმიანობას ჟანდარმერია კარგა ხნის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს და ჯაშუშების იაგორა იოსელიანის, გაბრიელ ბაქრაძის და სიმონ გოგოლაძის დახმარებით აგროვებდა მასალებს მათი "დანაშაულებრივი" მოქმედების შესახებ. ამ მასალების საფუძველზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს

უფროსის თანაშემწემ შტაბს-კაპიტანმა ხრისტოფოროვმა 1876 წლის სექტემბერში ხელისუფლებას წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი მთავრობის საწინააღმდეგო საიდუმლო ორგანიზაციის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ. იმავე წლის 4 ოქტომბრის განკარგულებით დაიწყეს ხალხოსნების მასობრივი დაჭერა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ადგილებშიც, სადაც კი ქართველ ხალხოსნებთან დაკავშირებული რევოლუციონერები ეგულებოდათ. საიდუმლო ორგანიზაციის გამომჟღავნებისთანავე ჟანდარმერიამ პასუხისგებაში მისცა 80-ზე მეტი კაცი [264, საქ. 2855/31, 239, საქ. 2506, ფ. 114-119].

საქართველოს ნაროდნიკული მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლები და მეთაურები ე. იოსელიანი და მ. ყიფიანი გაასამართლეს და გადაასახლეს ორენბურგში. [239, საქ. 2506, ფ. 170]. ისიდორე ქიქოძემ თერქეთს შეაფარა თავი; ვასილ დეკანოზიშვილი ციხეში დაავადდა და 1879 წელს გარდაიცვალა; ასეთივე ბედი ეწია რომანოზ ფავლენიშვილს და სხვ.

ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში წარმოადგენდა იმპერიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის განუყოფელ, ერთიან ნაკადს.

"სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციაში", რომელიც მოსკოვში 1874 წელს დაარსდა, აქტიურ როლს ასრულებდნენ ივანე ჯაბადარი, გიორგი ზდანოვიჩი, ანთიმოზ გამყრელიძე, მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი. მათ მუშაობასთან იყო დაკავშირებული ქართველი ხალხოსნების ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნა. [65. გვ. 298]. მთავრობამ მალე გაანადგურა "მოსკოველთა" რევოლუციური ორგანიზაცია, მისი მეთაურები, სხვა რუს ხელმძღვანელებთან ერთად ივ. ჯაბადარი, ალ. ციციშვილი, მ. ჩიკოიძე, ა. გამყრელიძე, გ. ზდანოვიჩი, დააპატიმრეს. მათთან ერთად ციხეში იჯდა მუშა რევოლუციონერი პეტრე ალექსეევი, რომელმაც სასამართლო პროცესზე გამოსვლისას თქვა თავისი ცნობილი სიტყვა. გამოსვლის ტექსტის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ი. ჯაბადარმა, ა. ციციშვილმა და მ. ჩიკოიძემ.

სასამართლო პროცესმა დაადასტურა, რომ ი. ჯაბადარი, ა. ციციშვილი, ს. ჩიკოიძე და სხვები მოსკოველთა ორგანიზაციაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ. 1077 წლის 14 მარტის განაჩენით ისინი მკაცრად დასაჯეს.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართველი ხალხოსნები თავიანთ საქმიანობას მჭიდროდ უკავშირებდნენ სრულიად რუსეთის რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. მათ კვალი დატოვეს რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიაში.

ქართველი ხალხის განთავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცარიზმისა და გაბატონებული კლასების დამხობის გზით.

ცნობილი ხალხოსანი შ. დავითაშვილი ქართველი ხალხოსნების პოზიციას ასე გადმოგვცემს: "საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთთან, ქართველი ხალხი თავს ვერ დაიხსნის, თუ რუსეთის სახელმწიფო წყობილება არ დაიმსხვრა. მაშასადამე, თუ ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის რევოლუციურ საქმეს ემსახურება, ამით ის ემსახურება არა მარტო რუსეთის ხალხს, არამედ საქართველოს ინტერესებსაც". [54, გვ. 40].

ქართველ, ისე როგორც რუს, რევოლუციონერ-ნაროდნიკებს, XIX საუკუნის 70-იან წლებში ამოძრავებდათ მხოლოდ ხალხის ინტერესები და ისინი გულწრფელად ისწრაფოდნენ სოციალური რევოლუციისაკენ, რომლის მოხდენას ისინი აპირებდნენ მუშათა კლასის გარეშე, მხოლოდ გლეხობაზე დაყრდნობით. ამ გზით სოციალური რევოლუციის განხორციელება უტოპია იყო, თუმცა რევოლუციონერ ნაროდნიკებს სწამდათ ხალხის თავისუფალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის შესაძლებლობისა.

საქართველოს რევოლუციური ხალხოსნები, რომლებმაც ვერ შეძლეს მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარება, დამარცხდნენ. მაგრამ მათ თავდადებულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის გამოღვიძებისა და ახალი რევოლუციური ბრძოლისაკენ წარმართვის საქმეში.

საქართველოში ნაროდნიკული ორგანიზაციის განადგურების შემდეგ საზოგადოებრივი მოძრაობა კი არ შეწყდა, არამედ "1876 წლის დამარცხების შემდეგ, - წერდა ს. ხუნდაძე - არ გაუვლია რამდენიმე ხანს, რომ ჩვენში კვლავ გააჩაღა მუშაობა ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ". [130. გვ. 47].

# თ ა ვ ი III

## საქართველო სრულიად რუსეთის 1879–1881 წწ მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში

### § 1. საქართველო სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის წინ

როგორც წინა თავში ვთქვით, 70-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში ინტენსიურად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაციის ძირითადი ნიშნები.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოს მშრომელების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობა სულ უფრო ხშირად გამოსთქვამდა თავის უკმაყოფილებას და მოითხოვდა არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის პროტესტი კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებში ვლინდებოდა. ობიექტურად მწიფდებოდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეეძლო გამოეთქვა თავისი პროტესტი კლასობრივი ბრძოლის აქტიური ფორმების საშუალებებით. ასეთ რთულ პირობებში 1877 წლის აპრილში დაიწყო რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი.

ომმა კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე. შეიქმნა ერთგვარი შთაბეჭდილება, რომ ომის წლებში შეწყდა კლასობრივი ბრძოლა საქართველოში და ყველა დაირაზმა გარეშე მტრის წინააღმდეგ. ეს რომ ასე არ იყო, ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გაჩაღდა შეიარაღებული ბრძოლა ადგილობრივი პრივილეგირებული კლასებისა და თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია აფხაზეთის მშრომელების შეიარაღებული აჯანყება. რომელიც დაიწყო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.

1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ აფხაზეთში მომწიფებული იყო აჯანყების ყველა პირობა, ომის დაწყებამ მხოლოდ დააჩქარა იგი და

ძალზე გაართულა პოლიტიკური ვითარება მხარეში. აფხაზი ხალხის აჯანყება მონაწილეს ანტირუსულ აჯანყებად და მოსახლეობას "ღალატად" ჩაუთვალეს. წყაროს ხელისუფლებას "საფუძველი მიეცა ეთქვათ, რომ ეს იყო მთელი აფხაზი ხალხის ანტირუსული ამბოხება" და "ღალატი" [152, გვ. 314].

აფხაზეთის 1877 წლის აჯანყების მიზეზებში საფუძვლიანად ვერ გაერკვნენ და აძლევდნენ არასწორ შეფასებებს. მ. კრიჟანოვსკიმ დაწერა წიგნი საინტრიგო დასათაურებით: "აფხაზეთის უკანასკნელი ამბოხება. 1877 წლის ამბების მიმოხილვა". ამ წიგნმა სინათლე ვერ იხილა [152, გვ. 314].

1877 წლის აჯანყება, მიუხედავად მისი ყველა სირთულისა, აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელება იყო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გაზ. "გოლოსის" კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ აფხაზები აჯანყებისათვის რამდენიმე წლის წინ იყვნენ მზად, იარაღს ხელი მოჰკიდეს პირველსავე მათთვის ხელსაყრელ შემთხვევაში, [219, 1877 წ. № 182]. ამასვე წერდა გაზეთი "ტიფლისკი ვესტნიკი" [222, 1877 წ. № 170].

1876 წლის 23 ოქტომბერს ოდესიდან ვინმე ედუარდი ვ. ლიპინსკის მოსკოვში ატყობინებდა, რომ სოხუმიდან ოდესაში მიმავალი გემის გამოსვლის დღეს ამ ქალაქში მოხდა ძლიერი ხანძარი. დაიწვა ბევრი სავაჭრო ფარდული, სახლები და ღვინის დიდი საწყობი. ქალაქში დადიოდა ხმები, რომ ხანძარი უნდა იყოს აჯანყების ნიშანი. და მართლაც, მაშინ 70 მთიელმა, თავით ფეხებამდე შეიარაღებულებმა, იერიში მიიტანეს სოხუმზე და მალე გაეცალნენ, რადგან რომ სოხუმში არ დახვდათ მომზადებული აჯანყება. სამწუხაროა, რომ მაშინ მთავრობამ ამას არ მიაქცია ყურადღება [152, გვ. 315].

1876 წლის ნოემბერში ბიჭვინთის ოლქის უფროსმა სოხუმის განყოფილების უფროსს აცნობა იმის შესახებ, რომ ააცის, კულანურხვის, აწუხევისა და ეშერის თემებში წამქეზებლები მოსახლეობას აღაგზნებენ, და უბიძგებენ დაუმორჩილებლობისაკენ. საჭიროა აღნიშნულ რაიონში ჩამოყალიბდეს სპეციალური რაზმი 80 კაცის შემადგენლობით, კავკასიის სახაზო მე-3 და მე-4 ბატალიონებიდან. 1876 წელს უკვე შეიქმნა ეგრეთწოდებული სოხუმის რაზმი, რომელიც დაიცავს წესრიგს აფხაზ მოსახლეობას შორის [152, გვ. 315].

აფხაზეთის 1877 წლის აჯანყება გამოწვეული იყო ეროვნულ-კოლონიალური და სოციალური ჩაგვრით, განსაკუთრებით კი 1870 წლის საგლეხო რეფორმის გატარება[218, 1878 წ. № 198].

გლეხების განწყობილება უარყოფითად შეიცვალა ხელისუფლების მიმართ, რადგან რეფორმის გატარებით მათ ჩამოართვეს საუკეთესო მიწები. სოხუმის განყოფილების უფროსი გენერალი კრავჩენკო აფრთხილებდა მოსახლეობას, რომ მოსალოდნელი იყო ყაჩაღობა, ცეცხლის წაკიდება, ძარცვა და სხვა დანაშაულობანი. მოუწოდებდა ოჩამჩირესა და ბიჭვინთის ოლქებში პირადი უშიშროების დაცვის მიზნით შექმნილიყო სპეციალური რაზმები.[152, გვ. 316]. გენერალი კრავჩენკო აჯანყებისათვის მომზადებულ გლეხობას ყაჩაღებს და მძარცველებს უწოდებდა, სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო. აჯანყების მიზეზი ჭეშმარიტება კარგად ესმოდა.ბევრ პროგრესულ თანამედროვეს.

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გ. წერეთელი 1877 წლის 15 აგვისტოს გაზ. "გოლოსში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში პირდაპირ წერდა: "აფხაზებს არ შეეძლოთ არ აჯანყებულიყვნენ, იმათ თავიანთი გაგება აქვთ სიმართლისა და სამართლიანობის შესახებ, რომელიც აფხაზების ზნე-ჩვეულებაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები. კანონიერება მათთვის წმინდათა წმინდა საქმეა. მითუმეტეს, ამ ბოლო დროს ისინი არა მარტო შეურაცხყოფილნი, არამედ უსამართლოდ მოტყუებულნი იყვნენ. აფხაზებისათვის მიწის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლო საკითხი იყო, რომელიც უსამართლოდ იქნა გადაჭრილი".

აფხაზებს შეჰპირდნენ, რომ საქმე გადასინჯული იქნებოდა და შეცდომები გასწორდებოდა. გადიოდა წლები, შეცდომების გასწორებაზე არავინ ფიქრობდა. მოტყუებული და ნაწყენი აფხაზები დიდი ხანია ლესავდნენ დანებს და აი, მოჰკიდეს იარაღს ხელი, მათთვის პირველივე მოხერხებულ შემთხვევის დროს[218, 1877 წ. № 226]. გაზ. "კავკაზში" ა. ველენსკი ამტკიცებდა, აფხაზეთში აჯანყება გამოიწვია სამხარო მოქმედების სისტემამ [219, 1877 წ. № 222].

ინგლისური გაზეთის " დეილი ნიუსის" კორესპონდენტი აჯანყების წინა დღეს წერდა: "ალჟირიდან ზღვის სანაპიროთი სამხრეთისაკენ წასვლა შეუძლებელია; აფხაზეთში დღეს თუ არა ხვალ მაინც იფეთქებს აჯანყება [207, 1878 წ. გვ. 367].

ძალზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ჟურნალმა "ოტეჩესტვენიე ზაპისკიმ": "ჩვენ თუ ყურადღებით შევხედავთ აფხაზეთის აღელვების მიზეზებს, დავინახავთ ტაქტის უქონლობას, თუ როგორ უნდა მივმართოთ ჩვენთვის უცხო ხალხს. ჯერ ჩვენ მდიდარ თავადებს დავუპირეთ მხარი, დავურიგეთ ჩინ-მენდლები, რათა მათი მეშვეობით მოსახლეობაზე ზემოქმედება მოგვეხდინა, მაგრამ ეს ხერხი უძლური აღმოჩნდა, და დელიკატური ზომებიდან გადავედით რეპრესიული ძალის გამოყენებაზე, იარაღის ჩამორთმევასა და გადასახლებაზე. მთავარი მიზეზი კი იყო მათი დაცემული ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალურ-პოლიტიკური უუფლებობა".[236, 1878 წ. № 3 გვ. 35-37]. აფხაზეთში საშინელი სიღატაკეა, სამურზაყანოს უბნის სოფლების გუდავასა და ბარლებში გლეხების მეურნეობა დააზარალა ხანგრძლივმა წვიმებმა. ასევე დაზარალდა მეცხოველეობა. შავი ჭირისაგან დაიღუპა 34 109 სული ადამიანი[245, საქ. 986, ფ. 7-8].

ომის წინა წლებში მთელს დასავლეთ საქართველოში ძალზე ცუდი მოსავლიანობა ყოფილა. ამას ადასტურებს გაზ. "დეილი ნიუსის" ქუთაისელი კორესპონდენტი, რომელიც წერს, რომ საომარი მოქმედების დაწყებამდე აფხაზეთში პურის მარაგი და სურსათ-სანოვაგე თითქმის გამოლეულა.[207, 1878 წ. გვ. 267]..იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში ხორბლისა და სიმინდის მოსავალი "თითქმის მთლიანად განადგურდა".[222, 1876 წ. № 219].

აფხაზეთის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააღრმავა სახელმწიფოს სხვადასხვა ბეგარა-გადასახადებმა. მშრომელი მოსახლეობის მოთმინების ფიალა აივსო.

1877 წლის 15 აპრილს ღარიბ-ღატაკი და უსახლკარო აფხაზების ჯგუფი თავს დაესხა გუდაუთაში ვაჭრების ფარდულებს და გაძარცვეს ისინი.[256,

საქ. 3103, ფ. 318]. მილიციის უფროსმა შტაბს-კაპიტანმა ტიტე მარღანიამ სცადა დაესაჯა დამნაშავეები, რომლებიც მონაწილეობდნენ გუდაუთის თავდასხმაში, მაგრამ უშედეგოდ. ტ. მარღანიამ მიმართა ოლქის უფროსს, რომელმაც გუდაუთაში გაგზავნა შეიარაღებული კაზაკთა ასეული დამნაშავეთა დასაპატიმრებლად. კაზაკთა რაზმმა სოფ. ლიხნსა და კულანურხვას მოსახლეობას მოსთხოვა 2 000 მანეთი ჯარიმა. ხალხი შეიარაღებული იყო ხანჯლებით, ხმლებით, კეტებით. 1866 წლის ამბები ჯერ კიდევ ცოცხლობდა მათ მეხსიერებაში. მოსახლეობამ უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე. 27 აპრილს ოლქის უფროსი ორი ასეული კაზაკითურთ მივიდა "დანაშაულის" ადგილას. კულანურხვისა და ლიხნის მოსახლეობიდან აიკრიფა ის ფული, 30 კაცი – "დამნაშავედ" ცნობილი – თან წაიყვანა. ამ ღონისძიებამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება [172, 1877 წ. № 198].

როცა გენ. ალხაზიშვილი 1877 წლის 15 მაისს ჩავიდა სოფ. ჯგერდაში, მან მიიღო ცნობა, პარტიზანული რაზმი 200 კაცის შემადგენლობით გადავიდა მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე და დაესხა თავად შერვაშიძის სახლს, სოფ. ათარაში. გენ. ალხაზიშვილი გაეშურა ამ სოფლისაკენ. პარტიზანები ნამდვილად ყოფილიყვნენ მაგრამ მხოლოდ 70 კაცი [152. გვ. 318]. ამავე დროს თურქეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – გუდაუთა, ლიხნი, სოხუმი. აფხაზეთში დაიწყო საყოველთაო აჯანყება, მაგრამ დედაქალაქის პრესის ზოგიერთი ორგანო ცდილობდა ეს აჯანყება განემარტა, როგორც ზოგიერთი უკმაყოფილო ადამიანის ბოროტმოქმედება. ჟურნ. "ოტეჩესტვენიე ზაპისკი" სწორედ ამისთანა შეფასებას აძლევდა და ისეთ აქცენტირებას ახდენდა, თითქოს არაფერი არ მომხდარა. [236, 1878 წ. № 3, გვ. 36]. ამასვე იმეორებდა "ტიფლისკიე ვესტნიკი", რომელიც წერდა, რომ აჯანყება კი არა, ანგარებიანი პირები უწევდნენ ექსპლოატაციას მოსახლეობას, რითაც სახელს უტეხდნენ და ავტორიტეტს ურყევდნენ მთავრობასო [222, 1878 წ., № 135].

გ. წერეთელმა ამხილა აფხაზი ხალხის "ღალატის" ოფიციალური ვერსია და გამოაშკარავა სიყალბე: "ერთხელ კიდევ ვიყოთ გულახდილნი",

აღნიშნავდა იგი აფხაზეთში ...უბრალოდ იგივე მოხდა, რაც წარსულ წლებში ჭალოდსა და სვანეთში[218, 1877 წ. № 257].

რაც შეეხება რელიგიურ მომენტებს, გ. წერეთელი პირდაპირ წერდა: "თურქების მიმართ მთელ მუსულმანთა თანაგრძნობა შეიძლება აიხსნას რელიგიური ფანატიზმით, მაგრამ ასეთი ახსნა მიუღებელია აფხაზებისადმი. ისინი ხომ მე-4 საუკუნიდან თვლიან თავს ქრისტიანებად"[218, 1877 წ. № 257]. აღნიშნული სტრიქონები დაიწერა მაშინ, როდესაც ა. მეფის მოხელე ა. ზისერმანი აფხაზეთს აცხადებდა მაჰმადიანურ ქვეყანად.[161, 1877 წ. № 514]. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის აფხაზეთში მუსულმანი მოსახლეობა მხოლოდ 30 % შეადგენდა[152, გვ. 319].

ომის გამოცხადებამდე 2 დღით ადრე აჯანყებულებმა მოაწყეს თავდასხმა გუდაუთაზე. გენ. კრავჩენკო 1877 წლის 8 მაისს ფოთის კომენდანტს რაპორტით ატყობინებდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა კელასურიდან კოდორამდე აჯანყდა.[152, გვ. 320]. ზუგდიდის მაზრის უფროსს სთხოვს დაიცვას სამურზაყანო[152, გვ. 320]. 1877 წელს აჯანყდნენ აგრეთვე თერგის ოლქი, ჩეჩნები და დაღესტნელები. დაღესტნელი ფეოდალები აჯანყებას მიემხრნენ, რათა დაებრუნებინათ დაკარგული პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები. აქ აჯანყებას პროთურქული აგიტაციის რეაქციული ანაბეჭდი დაეტყო [152, გვ. 320-321].

პროთურქული აგიტაცია დიდი მასშტაბით გაიშალა როგორც აფხაზეთში, ისე ყუბანის იქით და დაღესტანში. ამ აგიტაციას არ ექნებოდა წარმატება, რომ ამ მხარეებში არ ყოფილიყო ცარიზმთან შეიარაღებული ბრძოლის მიზეზი.

1877 წლის აჯანყების ხასიათის შეფასებისას ცალმხრივი იქნებოდა განცხადება იმისა, რომ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ თავიანთი ბატონობით უკმაყოფილო აზნაურები; არც ის იქნებოდა სწორი გვეთქვა, თითქოს გლეხმა ვერ გაიგო საგლეხო რეფორმის მნიშვნელობა და არსი. არ შეიძლება დაეთანხმო იმასაც, თითქოს აფხაზეთის ფეოდალები ყველა ერთსულად აქეზებდა ხალხს რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ყველა წინამორბედი

აჯანყებში აფხაზეთის ეს აჯანყებაც ჩახშობილია. მოგვიანებით ხელისუფლებამ დაიწყო 1877 წლის აჯანყების გამოძიება და მონაწილეთა დასჯა. ცნობილია, რომ ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, ტარდებოდა ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ მოსახლეობის ურჩი ნაწილი აეძულებინათ დაეტოვებინა მშობლიური მხარე.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში.

ომი ორივე მხრიდან უსამართლო, დაპყრობითი იყო. ამავე დროს მან უდიდესი როლი შეასრულა თურქეთის ბატონობაში მყოფი ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში.

ამ ომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, რადგან მან დაიბრუნა დაკარგული მიწები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თურქეთის მფლობელობაში იყო. თურქეთთან გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობამ. ომის დაწყების პირველივე დღიდან ქართველი ხალხი რუსეთის არმიის რიგებში ჩადგა და გმირულად იბრძოდა თურქეთის წინააღმდეგ. იგი მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო მიტაცებული ქართული მიწების განთავისუფლებისათვის. ცარიზმი კარგად იყენებდა ქართველი ხალხის ამ მისწრაფებას. თურქთა მონობაში მოქცეული ქართველთა ბედით, ასევე დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი – ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ. ისინი იმედის თვალით შეჰყურებდნენ მომავალს და სწამდათ, რომ დადგებოდა დრო, როცა ქართველების უძველესი კულტურის კერა – სამხრეთ საქართველო აუცილებლად შეუერთდებოდა თავის ღვიძლ სამშობლოს.

ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი მისი მოსისხლე მტერი იყო, რუსეთ-თურქეთის ომში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს, რადგან მას ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა მისი სასიცოცხლო, ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას, უზრუნველყოფდა თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიისა და იქ მცხოვრები თანამოძმე ქართველების განთავისუფლებას[94, გვ. 87, 90]. გარდა

ეპისა, ქართველობა, როგორც მართლმადიდებელი სარწმუნოების ერი, მხარში ამოუდგა ერთმორწმუნე რუს ხალხს საერთო მტრის – თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ხალხი ადრეც არაერთხელ გამოსულა რუსეთთან ერთად გარეშე მტრის წინააღმდეგ.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში კავკასიის მეფის ნაცვალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ქართველ მხედრობას მიმართავდა: "თქვენს უკან კავკასიის მხედრობის სახელოვანი წარსულია, თქვენ წინ – ბრძოლის ველი და სიმაგრენია, სადაც თქვენს მამებსა და ძმებს თავიანთი სისხლი დაუღვრიათ[224, 1877 წ. № 7].

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გამოცხადებისთანავე, ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო მასში. საქართველოს ყველა კუთხეში ადგენდნენ ლაშქარს, რომელშიაც ხალხი სურვილით ეწერებოდა. სიღნაღის მაზრაში 300 კაცისაგან შემდგარ ლაშქარს ომში აცილებდნენ მოლაშქრეების დედები, ცოლები, დები და ახლობლები. მათ მოლაშქრეებისათვის ასეთი სიტყვებით მიუმართავთ: წადით, გასწირეთ თავი, დაიცავით სახლი, დედა და ცოლშვილი, ნუ გაამუსვრინებთ თავს მტერს, თავზედ დუშმანს ნუ გადაიტარებთ, დაღვარეთ სისხლი მამულის მომავლისათვის, გაშმაგებულ სიკვდილს წინ მიეგებენით"[214, 1877 წ., № 12, გვ. 2].

ომის დაწყებისთანავე 1877 წლის 19 აპრილს კახეთის თავადაზნაურობამ თავი მოიყარა სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში. აქ სხვადასხვა ადგილებიდან მოვიდა მრავალი ქალი და კაცი.

24 აპრილს გამოუტანიათ თავადაზნაურობის დროშა და პარაკლისი გადაუხდიათ. ამ პროცესს დიდძალი ხალხი დასწრებია.

მღვდელს სამსონ კოპაძეს სიტყვა წარმოუთქვამს: "დღეს რუსეთს ებრძვის ის მტერი, რომელიც საქართველოს სისხლსა წოვდა. ეს ის მტერია, რომელიც სთესავდა ღვარძლს შვილსა და მამას შუა, ძმებსა და მეზობლებს შუა, მეფეთა და ყმათა შუა ... ეს ის მტერია, რომლის ხელში დღესაც კვნესის ძველი ერუშეთი, აჭარა თავისი ქართველებით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი

ქართველი კაცი მათი დახსნისათვის თავს შესწირავს. ["224, 1877 წ. № 11. გვ. 3].

ქართველი ლაშქრის წინაშე გამოვიდა აგრეთვე რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე ცნობილი გენერალი ზაქარია ანდრონიკაშვილი; "დღეს, - თქვა მან, - ჩვენ გავდივართ ოსმალეთთან საომრად. ჩვენი ძმები, ქართველები, დღესაც იმათ ხელში, იმათის კირთების ქვეშ იმყოფებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქართველი კაცი მათის დახსნისათვის თავს შესწირავს და არ დაიშურებს თავისი სისხლის დანთხევას"[224, 1877 წ., № 11 გვ. 3].

ზ. ანდრონიკაშვილი სიამაყით აცხადებდა, რომ "მხედრობამ არ მიაქცია ყურადღება თავის მატერიალურ ნაკლოვანებებს და ყველა გამოვიდა პირველ დაძახილზე, თითქოს ლხინში იყვნენ წვეულნიო"[214, 1878 წ. № 49].

ქართველ ლაშქარს თბილისში გაცილება მოუწყეს. მხცოვანმა პოეტმა გრ. ორბელიანმა, რომელმაც მხედრობა დალოცა და მიმართა: "ივერიის ხატი გიძღოდეთ ამ სახელოვან საქმეშიო" მხედრობის მეთაურმა იოსებ ჯორჯაძემ გრ. ორბელიანს უპასუხა, რომ ქართველები მამა-პაპის სახელს არ უღალატებენო, ქართველებმა იციან, რომ ნაძრახსა სიცოცხლესა სახელოვანი სიკვდილი სჯობსო [224, 1877, № 11].

ქართველ ლაშქარში დიდი ხალისით ეწერებოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში. შორაპნის მაზრაში 100 კაცზე 2 კაცი უნდა ჩაწერილიყო ლაშქარში, მაგრამ 20 კაცი აცხადებდა სურვილს ომში წასასვლელად. "დროების" კორესპონდენტი წერდა: "ჩვენი ხალხი სრულებით არ არის შეშინებული ომის მოლოდინისაგან და ხალისით აწერს ხელს ომში წამსვლელ მსურველთა სიაზე"[214, 1877, № 1. გვ. 3]. ქუთაისის გუბერნიაში ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი ორჯერ მეტი აღმოჩნდა გასაწვევ კონტიგენტთან შედარებით.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა გურიის მილიციაში ჩაწერამ, 14 წლის ახალგაზრდიდან 60 წლის მოხუცებამდე ყველა ითხოვდა მილიციაში ჩაწერას. გაზ. "დროების" კორესპონდენტი გურიიდან წერდა: "1876 წლის დეკემბრის დასაწყისში გასაწვევ პუნქტში 1 000 კაცის ნაცვლად გამოცხადებულია 3 000 გურული. გაწვევის სურვილი განუცხადებია 13-14 წლის

ყმაწვილებსაც კი, რომლებიც "ცრემლმორეულები ითხოვდნენ" ჩაეწერათ ლაშქარში. პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი დაჰპირებია, რომ ჩარიცხავდა ლაშქარში ერთი წლის შემდეგ, რაზედაც ყმაწვილებს უპასუხიათ: "რად გვინდა ერთი წლის შემდეგ ჩარიცხვა, როდესაც იმ დროისათვის ომიც დამთავრდება. ახლავე გვსურს თავი დავდოთ სამშობლოსათვის"... სადაც ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვნეთ...[214, 1877 წ. № 48, გვ. 2].

თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას კმაყოფილებით შეხვდა არა მარტო მეფის ერთგული თავადაზნაურობა, არამედ მთელი ქართველი ხალხი.

რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობისათვის საქართველოში შეიქმნა 200 ცხენოსანი და 85 ქვეითი ასეული, რაც 108 დიდ თუ პატარა სამხედრო შენაერთში იყო გაერთიანებული. საერთო რიცხვი მილიციისა კი 25 000 ცხენოსანი და 14 000 ქვეითი იყო. სულ 39 200 კაცი. თუ ამას დავუმატებთ შევსებისათვის გაწვეულთა რიცხვს, იგი 42 ათასამდე აღწევს. ეს კი თითქმის უტოლდება მოქმედი კორპუსის ჯარების რიცხვს [78, გვ. 68].

საყურადღებოა, რომ 39 000-იდან ტფილისის გუბერნიაზე მოდიოდა 8 462 ქვეითი და 1 812 ცხენოსანი მილიციელი, სულ 10 274 კაცი, ქუთაისის გუბერნიაზე – 11 000, ელისავეტპოლისა – 3 200 და დანარჩენი კი კავკასიის სხვა ხალხზე ნაწილდებოდა, ე.ი. საქართველოზე მოდიოდა კავკასიის მილიციის ნახევარზე მეტი[78, გვ. 69].

როდესაც ვლაპარაკობთ ომში ქართველი ხალხის მონაწილეობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები არა მარტო სამხედრო ოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ აწესრიგებდნენ გზებს, ხიდებს, ამზადებდნენ შეშას, თივას, პროდუქტებს, ემსახურებოდნენ ჰოსპიტლებს და აღალს. 1877-1878 წლების ომში ქართველმა ხალხმა დიდი დახმარება აღმოუჩინა კავკასიაში რუსეთის მოქმედ არმიას, რის შედეგადაც განიცადა როგორც ცოცხალი ძალების, ისე მატერიალური ზარალი.

ქართველი ხალხის ბრძოლამ თურქეთის წინააღმდეგ ჭეშმარიტად სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი მიიღო. ქართველები არა მარტო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ, არამედ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ რუსეთის არმიას, რამაც განაპირობა ამ ომში რუსეთის

მლევამოსილი გამარჯვება. ქალაქად და სოფლად ყველგან სამშობლოსადმი სიყვარულით ხვდებოდა საბრძოლველად მიმავალ ჯარს, მოსახლეობა კრეფდა ფულს, თამბაქოს და სხვა პროდუქტებს დაჭრილებისა და ავადმყოფების დასახმარებლად, ხოლო ფრონტს აძლევდა გამწევ ძალას. საყურადღებოა, რომ 1877 წელს საშინაო გადასახადები ამიერკავკასიის მთელი ქალაქებისა შეადგენდა 135 938 მანეთს, აქედან 108 280 მანეთი მარტო ქალაქ თბილისზე მოდიოდა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა არმიის მომარაგებას, მის მატერიალურ უზრუნველყოფას.[78, გვ. 54].

როდესაც ხალხთა მასების საერთო პატრიოტულ აღმავლობაზე ვლაპარაკობთ, სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და ჩარჩების დაინტერესება და მიზნები სულ სხვა იყო. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ომით შექმნილი მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ომმა ძალზე გააძვირა სურსათი და პირველი მოთხოვნილების საგნები, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ჯარის ნაწილები იყო თავმოყრილი. ბაზრგადოების ეს ნაწილი პირადი გამდიდრებისათვის ყოველგვარ მაქინაციებს მიმართავდა, მაშინ, როცა მასების ფართო ფენა მთელი შესაძლებლობით ხელს უწყობდა რუსეთის არმიის გამარჯვებას. მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათით, ფურაჟით, ტვირთის გადაზიდვით, ბინებით და სხვა მატერიალური საშუალებებით. მარტო თბილისის გუბერნიამ ჯერ კიდევ 1875 წელს ტვირთის გადასაზიდად გამოიყვანა 13 871 დღე ურემი 10 706 გამყოლით, გზებისა და ხიდების შესაკეთებლად - 142 516 დღე ურემი, ხოლო 1877 წელს იმავე გუბერნიამ გამოიყვანა 342 467 დღე ურემი, 1 441 ფურგონი და 4 582 ცხენი, ჯარებისათვის გამოყოფილი იყო 170 000 ბინა. 1877 წელი თბილისის გუბერნიისათვის ნატურალური გადასახადების ყველაზე მძიმე წელი იყო[78, გვ. 58].

არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებით და სურსათით უდიდეს ძალლონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა. კავკასიის არმიის სარდლობა თავის ერთ-ერთ მოხსენებაში თვითონ აღიარებდა, "ტვირთის გადაზიდვა ისეთ უზარმაზარ ოდენობამდე ავიდა, რომ მოსახლეობაში გადაზიდვის საშუალებათა შეგროვებამ

უკიდურეს ზღვარს მიაღწია" [94, გვ. 90]. მიუხედავად ამისა, ხალხი სძლევდა ყოველგვარ სიძნელეს და უზრუნველყოფდა ფრონტის მოთხოვნილებებს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა თავისი შედეგებით სავსებით გაამართლა ქართველი ხალხის იმედები. აღსრულდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება - თურქეთის სამსაუკუნოვანი მონობისაგან განთავისუფლდა და თავის მკვიდრ ძმებს შეუერთდა ასიათასობით ქართველი. "ბერლინის ხელშეკრულებამ, - წერდა ი. ჭავჭავაძე, - ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირსსახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად "მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა" [125, გვ. 158].

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს დიდი ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მან ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქართველი ერის კონსოლიდაციას და ა.შ.

1878 წლის თებერვალში კონსტანტინოპოლის ახლოს, დაბა სან-სტეფანოში ხელმოწერილი იქნა წინასწარი ხელშეკრულება რუსეთისა და თურქეთს შორის. ამ ხელშეკრულებით თურქეთი იძულებული იყო მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო, რაც ძირითადად შეესაბამებოდა როგორც რუსეთის მიერ ომში დასახულ მიზნებს, ისე ბალკანეთის და ამიერკავკასიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესებს. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით, რუსეთს უერთდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები და სიმაგრეები ამიერკავკასიაში, როგორიცაა არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი და ბათუმი, აგრეთვე ალაშკერტის მთელი დაბლობი მიმდებარე ტერიტორიებით.

ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთმა შემოიერთა თურქეთის მიერ წინათ მიტაცებული სამხრეთ-საქართველოს მიწა-წყალის ნაწილი, სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი - ოლთისი [94, გვ. 91].

ასე დაუბრუნდა საქართველოს თავისი დაკარგული ტერიტორიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა დიდი გავლენა იქონია მშრომელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

არმიაში გაწვეულთა უმრავლესობა სოფლის მშრომელები იყვნენ, რომლებიც მოსწყდნენ მშობლიურ კერას, ომმა გამოიწვია კოლოსალური ხარჯები, იგი მძიმე ტვირთად დააწვა ხალხის ფართო მასებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ თურქეთთან ომი რუსეთს 1 020 498 მლნ მანეთი დაუჯდა. აქედან კავკასიაზე მოდიოდა 94 674 783 მანეთი[78, გვ. 84]. ომში მშრომელი მოსახლეობის გაწვევამ, საფინანსო სიძნელეებმა, ფასების ზრდამ სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი გახადა, რამაც თავისი ასახვა გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ახალ აღმავლობაში პოვა.

1877-1878 წლებში საქართველო ერთ-ერთ საომარ ასპარეზად გადაიქცა. ამ გარემოებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

ომის წლებში საქართველოში, კერძოდ კახეთში, შეიქმნა მძიმე მდგომარეობა, რასაც ზედ დაერთო აგრეთვე ვაჭარ-მევახშეებისა და ადგილობრივი მოხელეების თვითნებობა. სხვადასხვა თანამდებობაზე მოკალათებული ჩინოვნიკები, სოფლის მამასახლისები, ჩარჩ-ვაჭრები და მემამულეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გლეხობის ექსპლოატაციაში.

ყოველმხრივ შევიწროებულ კახეთის სოფლებში შიმშილი და სიღატაკე მძვინვარებდა.

მიწების ნაკლებობას, ვაჭარ-მევახშეებისა და სოფლის მოხელეების თვითნებობას ემატებოდა აგრეთვე ის მრავალი ბეგარა-ვალდებულებანი, რომელიც კახეთის გლეხობას უნდა ვაეღო.

გარდა ომით შექმნილი სიძნელეებისა, კახეთის გლეხობას მოსვენება არ ჰქონდა თურქების მიერ წაქეზებული კახ-ზელაქანის ლეკების შემოსევით. მათი გამუდმებული თავდასხმებისაგან შევიწროებულ გლეხობას საშუალება არ ჰქონდა საკუთარ მეურნეობაზე ეზრუნა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, წერდა პოლკოვნიკი კრავცოვი თავის უფროსს, აფხაზეთი და საერთოდ საქართველო ჩააყენა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. მოსახლეობა ისევ აღზნებულია და ვცდილობ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველა ღონე და საშუალება გამოვიყენო მოსახლეობის დასამშვიდებლად. ვითარება ისეთია საჭირო ზომები, რომ არ მივიღოთ შეიძლება ახალი აფეთქება მოხდეს. იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით, მხარეში სიმშვიდე დავამყაროთ [255, საქ. 1674. ფ. 1].

პოლკოვნიკ კრავცოვის ვარაუდი გამართლდა. ომის დამთავრებისთანავე საქართველოში სახალხო მღელვარებამ იმატა. ერთ-ერთი ძლიერი მღელვარება მოხდა კახეთში (ქიზიყი) 1878 წლის ივნისში. ამ მღელვარების გამომწვევი მიზეზები იგივე იყო, როგორიც სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის აჯანყებებისა.

1878 წელს სიღნაღის მაზრაში გლეხთა მღელვარებამ იფეთქა. ამ მღელვარებას რუსეთ-თურქეთის ომის დროს გლეხობის ჯარში გაწვევა ედო საფუძვლად, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ქართველი ხალხი თითქოს ამ ომს პროტესტით შეხვდა.

1877-1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომს ქართველი ხალხი ეროვნულ-გამათავისუფლებელი თვალსაზრისით უდგებოდა, და ამიტომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიდიოდა ჯარში.

ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობა გართულდა, ამან გამოიწვია ახალი სახალხო რაზმების ფორმირება. ხელისუფლების მსახურნი ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას თავიანთი საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდნენ.

1878 წლის გლეხთა გამოსვლა კახეთში სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია როგორც გლეხთა აჯანყება.[23, 26, 126]. მაგრამ საკითხის გაღრმავებულმა შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს აჯანყება კი არ იყო, არამედ მღელვარება. ამ კუთხით იგი განიხილება წინამდებარე ნაშრომშიც.

ომის წლებში, როცა სახალხო მილიციის რაზმების ფორმირება დაიწყო, მილიციაში იწვევდნენ პირდაპირ ღარიბ მოსახლეობიდან, მდიდარი გლეხებიდან და კულაკებისაგან ქრთამს იღებდნენ. "ჩვენ, - აცხადებდნენ ისინი,- ღარიბები ვართ, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეცა ქრთამი მილიციისა და სოფლის თანამდებობის პირთათვის, ამიტომ წაგვართვეს ურემი, ხარი, კამეჩები, ეხლა ითხოულობენ, რომ წავიდეთ სალაშქროდ, მდიდრები კი, რომლებმაც მოახერხეს ქრთამის გაღება, გაათავისუფლეს როგორც ურმების გაყვანისა, აგრეთვე სამხედრო ბეგარისაგან [215, 1878 წ. № 23, გვ. 2].

აღმოსავლეთის ომმა, წერდა გ. წერეთელი, ხალხი დიდ გასაჭირში ჩააყენა, როგორ იქცეოდნენ თავადაზნაურობის შვილები უეზდებში? სოფლებში ჩინოვნიკებად დაყენებულნი უეზდის უფროსიდან დაწყებული მამასახლისამდის, ყველანი ხალხის ხელში შეწყურენი გახდნენ, და როცა იმის შვილები, საწყალი მილიციონერები, ბრძოლის ველზე იხოცებოდნენ, თავადაზნაური ჩინოვნიკობა ჯაერია ხალხს და ქრთამებით ტყავს აძრობდნენ. [214, 1879 წ. № 10, გვ. 1-2].

სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ხელისუფლების შეუზღუდველი თვითნებობა - აი, რამ აიძულა ქიზიყის ისედაც არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა აღმდგარიყო ხელისუფლების წინააღმდეგ. უსამართლობა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს და მის მომდევნო ხანაში.

მაზრისა და სოფლის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იყვნენ გაწაფულნი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ხელიდან არ უშვებდნენ ხელსაყრელ მომენტს მშრომელი მოსახლეობიდან რაც შეიძლება უფრო მეტი ქრთამები გამოეძალათ. ისინი ცდილობდნენ მდიდრების ქრთამის აღების ხარჯზე, ყოველთვის ღარიბები გამოეყვანათ, რადგან ღარიბებს ქრთამის მიცემის საშუალება არ ჰქონდათ, ამიტომ ყოველთვის მიმართავდნენ ცბიერებას. მაგალითად, რომელიმე სოფელს მილიციაში 10 კაცი უნდა წარედგინა.

მამასახლისები აცხადებდნენ, რომ მათ მთავრობამ 25 კაცის გამოყვანა დაავალა, 15 მდიდარს ქრთამსართმევდნენ და ათავისუფლებდნენ და 10 ღარიბი მიჰყავდათ. ასე ხდებოდა თითქმის ყველა სოფელში[221, 1878 წ. № 309].

1878 წელს მილიციაში კახეთის გლეხთა გაწვევის შესახებ ს. მესხი წერდა: ხალხს არ სურდა იმ წესით მომხდარიყო მილიციონრების აკრება, როგორც მარშან მოჰკრიბეს, როდესაც ხდებოდა ყოველგვარი უსამართლობა და უწესობა, როდესაც მამასახლისები და პრისტავები მდიდარი ხალხიდან ქრთამს იღებდნენ და ისე ათავისუფლებდნენ ლაშქარში გასვლიდგან და ღარიბები კი, რომელნიც ოჯახის ერთი იყვნენ; რომლისაც ჯერი არ იყო გასვლისა, გაჰყავდათ. ვამბობთ, ხალხს არ უნდოდა, რომ ახლაც ამგვარად წასულიყო მილიციონერების აკრება და ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ამ მილიციონრების კენჭის ყრით გაყვანას. ხალხს არ უნდოდა, მაგრამ ადმინისტრაციას კი უნდოდა, რადგან ბრძანება ჰქონდა მიღებული.[77, გვ. 475-476, 150, გვ. 38-40]. იყო კიდევ ერთი, მეტად მძიმე გარემოება, რომელიც განსაკუთრებით აღელვებდა ხალხს: უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში დიდი გვალვების გამო, მოსავლიანობა ძალზე დაბალი იყო, რამაც მოსახლეობა ქრონიკულ შიმშილში ჩააგდო. 1878 წელს ხელსაყრელი ამინდის წყალობით მოსავალსაც კარგი პირი უჩანდა; ხალხი სიხარულით აღივსო და დიდი ხალისით მიდიოდა სამუშაოდ. ამ დროს დაატყდა თავს ქიზიყელ გლეხობას ურმებით ბეგარაზე გამოსვლა და მილიციაში გაწვევა. ისინი სამაზრო ხელისუფლებას სთხოვდნენ დაეცადათ მოსავლის აღებამდე და ჭირნახულის დაბინავებამდე.

4 ივნისს დილით, სოფელ ზემო მაჩხაანის აღელვებულმა გლეხებმა, რომლებმაც საკმაო რაოდენობით მოიყარეს თავი (შეიარაღებული იყვნენ ხანჯლებით, წალდებით, კომბლებით და კეტებით), ალყა შემოარტყეს მამასახლისს დავით ბოსტოღანაშვილს და მას გასაწვევ პირთა სია მოსთხოვეს. როცა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს თავს დაესხნენ მას და ძლიერ სცემეს. ხალხი გაიძახოდა, მილიციონერებს კენჭისყრით არამც და არამც არ მოგცემთო. სიღნაღის პრისტავის თანაშემწე ჯანიევი გამოცხადდა და წესრიგის აღდგენა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. გაბრაზებულმა ჯანიე-

ვმა თავის მხლებელ/ გზირ სოლომონ ბეჟაშვილს უბრძანა შეეპყრო ერთი, ყველაზე უფრო აქტიური ახალგაზრდა გლეხი, მაგრამ აზვირთებულმა მასამ ბრძანების სისრულეში მოყვანა ჩაშალა. ხალხი თავს დაესხა გზირს, სცემა და დაჭერილი ამხანაგი გაათავისუფლა[91, გვ. 583].

ზემო მაჩხაანში მომხდარმა მღელვარებამ აიძულა მაზრის ადმინისტრაცია 5 ივნისისათვის დანიშნული კენჭის ყრა დროებით გადაედო და ალაზნის მიდამოებში განლაგებული ჯარების უფროს გენერალ-მაიორ იოსებ ორბელიანისათვის კაზაკთა ერთი ასეული ეთხოვა, ძალის დახმარებით შეედგინა სახალხო რაზმეულთა ლაშქარი.[91, გვ. 583]. სიღნაღის მაზრის უფროსი გრაფი ტიზენჰაუზენი წარმდაც შეხვდა გენ. ორბელიანს, რომელიც იმ დღეს (6 ივნისს) სტუმრად იმყოფებოდა სოფ. ბაკურციხეში თავად რევაზ ვაჩნაძესთან.

ბაკურციხეში მიმავალი ტიზენჰაუზენი და ხისი თანმხლები პირები ანაგის ხეობაში შეხვდნენ ვაქირიდან, მაშნაარიდან, საქობოდან და სხვა სოფლებიდან მომავალ გლეხთა დიდ ჯგუფს. გლეხებმა ალყა შემოარტყეს ტიზენჰაუზენს და განუცხადეს, რომ კახეთის მოსახლეობა მზადაა ქუდზე კაცი გამოვიდეს სამშობლოს დასაცავად, მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგია "სალდათობისა" და სახალხო ლაშქარის კენჭის ყრის წესით შედგენისა. 23, გვ.[208, 26, გვ. 255-240, საქ. 69, ფ. 5-6]. ტიზენჰაუზენმა სცადა აბობოქრებული მასის დაშოშმინება, მაგრამ გლეხები უფრო განრისხდნენ. ისინი თავს დაესხნენ ტიზენჰაუზენს და მოსთხოვეს მილიციაში გასაწვევთა სიები. მაზრის უფროსის დაცვას მამასახლისი მჭედლიშვილი შეეცადა, გლეხები ახლა მას მივარდნენ, ჩამოგლიჯეს მამასახლისობის ნიშნები და სცემეს. ამით ისარგებლა ტიზენჰაუზენმა, ეტლით ბაკურციხეში გაიქცა და ვაჩნაძის სახლს მიადგა. აქ სტუმრად იმყოფებოდნენ გენერალი ს. ორბელიანი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

მაზრის უფროსს ჯერ სანახევროდაც არ ჰქონდა ნაამბობი თავსგადახდენილი, რომ ვაჩნაძის სახლს მოუახლოვდა 5 ათასამდე გლეხი. ტიზენჰაუზენი და ს. ორბელიანი შეთანხმდნენ, რომ ალაზნის გაღმა დაბანაკებული ჯარიდან 100 კაზაკს გამოიძახებდნენ გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დეპეშა შეადგინეს და სიღნაღში წასაღებად გაატანეს ვაჩნაძის მზარეულს გერონტი ქადანიძეს, მაგრამ შიკრიკი გლეხებმა შეიპყრეს, დეპეშა ჩამოართვეს და დახიეს.[23, გვ. 208, 221, 1878 წ. № 309].

ტიზენჰაუზენისა და გენერალ ორბელიანის მოქმედებამ კიდევ უფრო აღაშფოთა გლეხობა. ისინი ხანჯლებით, კეტებითა და ქვებით შეიარაღებულნი შეიჭრნენ ზ. ვაჩნაძის სახლში და მოითხოვდნენ ტიზენჰაუზენის, ჯანიევის, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ზაქარია ანდრონიკაშვილისა და სხვათა გაცემას. მათ რევაზ ვაჩნაძე, თავად ილია აფხაზი, მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ხოსროევი გადაეღობნენ და წინადადება მისცეს დაშლილიყვნენ, მაგრამ ამაოდ. გლეხები თავისას არ იშლიდნენ. ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ, "მოგვეცით მაზრის ნაჩალნიკი ჯანიევი და სხვანი. ვითომ ჩვენ არ ვიცით, რომ კომისიაში ეს პირები არიან დანიშნულები? ჩვენ გვცემენ, გვძარცვავენ, მოგვეცით სიები, წილისყრით არ მოვცემთ მილიციონერებს"[23, გვ. 208, 221, 1878 წ. № 309].

გულზე მიხუტებული ჩვილბავშვიანი ქალები გაიძახოდნენ: "სად არის სამართალი, ამდენი მოთმინება აღარ შეიძლება, ერთხელ გაჩენილები ერთხელ უნდა დავიხოცოთ, ცოცხალი თავით მილიციას სალდათებს არ მივცემთ. [23, გვ. 210, 126, გვ. 23].

ამ მღელვარებაში ქალებმა დიდი როლი შეასრულეს, ისინი მიუბრუნდნენ მამაკაცებს და შემდეგი სიტყვებით მიმართეს: "თქვენ რა კაცები ხართ, მოიხადეთ თქვენი ქუდები და მოგვეცით ჩვენ, დედაკაცებს." 23, გვ. 23 ქალებმა ქვები დაუშინეს ვაჩნაძის სახლს; ერთმა ქალმა ნიშანი მისცა და ხალხი ვაჩნაძის სახლში შეცვივდა. იმ ოთახში, სადაც მაზრის უფროსი იყო, გლეხები შევიდნენ და მილიციაში გასაწვევი სიები მოითხოვეს. მაზრის უფროსმა მათ აღუთქვა, სიები მაზრაშია, ქაღალდს გადავგზავნი მაზრის სამმართველოში, იქ ჩემი თანაშემწეა და ნამდვილ სიებს დაგიბრუნებთ.[214, 1878 წ. № 10]. ერთმა ქალმა დაიძახა: "ეს გვატყუებს, უნდა გაგვეპაროს". მაშინ ხალხი მიუხტა ტიზენჰაუზენს, გამოჰგლიჯეს ქაღალდები და განაცხადეს, ეს კი არ გვინდა, თვით სიები მოგვეცით.

შემდეგ ს. ორბელიანის პოლკოვნიკს მივარდნენ და გაჩხრიკეს, რაც ყველა-ფერი იპოვეს, მაზრის უფროსი ეზოში ჩაიყვანეს და ცემა დაუწყეს. იგი გლეხებს ევედრებოდა, სიღნაღში წამიყვანეთ და ჩემი ხელით მოგცემთ სიე-ბსო. მისი ხვეწნა-მუდარა შეისმინეს და გლეხთა ერთმა ჯგუფმა იგი სიღნაღში ჩაიყვანა.[26, გვ. 257-258].

მშვიდობით გადარჩენილმა მაზრის უფროსმა გლეხებისათვის მიცემული პირობა არ შეასრულა და სასწრაფოდ გუბერნიის ხელმძღვანელობას შეატყობინა მაზრაში დაწყებული მღელვარების შესახებ და დახმარება სთხოვა მას [26, გვ. 256].

მღელვარების მონაწილეთა ერთი ჯგუფმა მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ზ. ანდრონიკაშვილის ძებნა დაიწყო, ამ დროს მათ წინ შეხვდათ გენერალ ს. ორბელიანი. ეს არის ჩვენი დამღუპველიო, ხალხი მისცვივდა მას და სცემა. იგი შეეშალათ ზ. ანდრონიკაშვილში, რომელიც ძალზე სძულდა მოსახლეობას. დაარბიეს რ. ვაჩნაძის სახლი, დალეწეს ავეჯი, ჭურჭელი, ბროლის ჭაღი, თან წაიღეს ხანჯლები, ხმლები, დამბაჩები, რევოლვერები და თოფები. მილეწ-მოლეწეს ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა. რ. ვაჩნაძის ოჯახი მთლიანად გაძარცვეს, დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს [91, გვ. 685].

რ. ვაჩნაძის სახლის დარბევის შემდეგ გლეხებმა თავიანთ სოფლებში დაბრუნება იწყეს. გზაში ისინი უსწორდებოდნენ საძულველ მამასახლისებს, ვაჭრებს. სოფ. კარდენახში თავს დაესხნენ მამასახლისის გიორგი საშადაშვილის სახლს, დაამტვრიეს ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდათ. მთლიანად დაუნგრიეს სახლი ანაგის მამასახლისს სისონა მჭედლიშვილს, წაიღეს ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა, დაარბიეს დუქნები, გაძარცვეს საქობოს მამასახლისის დიმიტრი ცხოველიშვილისა და ვაქირის მამასახლისის მოსე ათაბეგოვის სახლები. შური იძიეს ხელისუფლების ადგილობრივ მოხელეებზე[221. 1978 წ. № 609].

ამრიგად, გაუსწორდა რა ყველა მჩაგვრელს და ჩაშალა რა ფაქტიურად სახალხო ლაშქარის შექმნის საქმე, აჯანყებული ხალხი წავიდ-წამოვიდა

დამთავრდა სიღნაღის მაზრის სოფლებში 1878 წლის 5 ივნისის გლეხთა მღელვარება. ქიზიყში მომხდარი მღელვარების ამბავი შეიტყო თუ არა მეფის ნაცვალმა, მაშინვე გაგზავნა რაზმი და დაიწყო გლეხებისა და მათი მოთავეების დაპატიმრება. შეიპყრეს რამდენიმე ათეული კაცი.

კახეთის გლეხთა მღელვარება იმდენად გახმაურდა, რომ მისი დაფარვა შეუძლებელი გახდა, ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა პირადად იმპერატორისათვის მოეხსენებინა. ხელმწიფე იმპერატორმა სათანადო რეზოლუციით კავკასიის კომიტეტს გადაუგზავნა დოკუმენტი, სადაც ბრძანა საგანგებო ზომების მიღება[26, გვ. 259].

კახეთის 1878 წლის მღელვარების მოთავეებად ცნობილი იქნა 22 კაცი. 15 ნოემბერს ქალაქ სიღნაღში დაიწყო სასამართლო პროცესი, სასამართლომ 22 კაციდან დამნაშავედ ცნო 11, აქედან 9 მამაკაცი და 2 ქალი. რომლებსაც 3-დან 15 წლამდე საკატორღო მუშაობა მიესაჯათ 26, გვ. 262 . ამასთანავე სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა მეფისნაცვლის წინაშე, რათა გამოტანილი სასჯელი შეემსუბუქებინათ ციმბირში გადასახლებით. მეფისნაცვალმა შუამდგომლობა აღძრა იმპერატორის წინაშე მისჯილთა სრული პატიების შესახებ. იმპერატორმა მეფისნაცვლის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და 1879 წლის იანვარში ყველა მისჯილი განთავისუფლებულ იქნა[23, გვ. 260].

მეფისნაცვლის შუამდგომლობის მიზეზი იყო ის, რომ მთელს საქართველოში მშრომელი მასების უკმაყოფილება იმდენად იყო გამწვავებული, რომ შეიძლებოდა კვლავ მომხდარიყო მღელვარება და აჯანყება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში უფრო სავალალო შედეგებით. ამ მიზეზით დათმობებზე მიდიოდნენ როგორც მეფის ნაცვალი, ისე იმპერატორი.

კახეთის გლეხთა გამოსვლას თუმცა ფართო მასშტაბი არ მიუღია, მღელვარებამ მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ქართულ-რუსულ, ისე უცხოეთის პრესაშიც. კახეთის გლეხთა მღელვარების შესახებ სტატია დაბეჭდა გერმანულმა გაზეთმა "პოლიტიშე კორესპონდენტმა", სადაც თბილისელი კორესპონდენტი ქიზიყელების გამოსვლის შესახებ წერდა: აჯანყებულებმა დაიკავეს ყველა საომარი საყარაულო, ინსურგენტები (მე-

ამბოხეები) იერიშით მიადგნენ ალაზნის მხედრობის უფროსს თავად ორბელიანს, რომელიც გაიქცა, გრაფი ტიზენჰაუზენი კი ტყვედ წაიყვანეს. თავად ვაჩნაძის სახლს იერიშით მიადგნენ და მას დიდი ზარალი მიაყენეს. კიდევ უფრო უარესი დღე დაადგებოდათ, რომ დროზე არ მოეშველებინათ რამდენიმე ასი ყაზახი". ეს სტატია გერმანული გაზეთიდან გადმობეჭდა გაზ. "გოლოსმა", საიდანაც გადმოთარგმნა და გამოაქვეყნა "ივერიამ" [215, 1878 წ., № 27].

კახეთის (ქიზიყის) გლეხთა მღელვარების ჩახშობის შემდეგ ადმინისტრაცია და ადგილობრივი მოხელენი იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ გლეხობისათვის. ამიერიდან ისინი ვეღარ ეწეოდნენ ალვირახსნილ ბოროტმოქმედებას, ერიდებოდნენ ხალხის აშკარა გაღიზიანებას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აფხაზეთისა და სიღნაღის მაზრაში მოსახლეობის გამოსვლებს სოციალური და ეროვნული ჩაგვრა ედო საფუძვლად.

საქართველოში საზოგადოებრივი მოძრაობა (გლეხთა გამოსვლები, აჯანყებები), რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, მიგვითითებს არა მარტო იმაზე, რომ "ქვედაფენებს" აღარ სურდა ძველებურად ცხოვრება, არამედ იმაზედაც, რომ "ზედაფენებს" არ შეეძლოთ ძველებურად მართვა.

მშრომელი მასების ჩაგვრის გაძლიერებამ, მძიმე სოციალურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო რევოლუციური სიტუაციის ობიექტური ნიშნების მომწიფებას.

## § 2. კლასობრივი ბრძოლა საქართველოში სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში

1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ომმა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. მძიმე ბეგარა-გადასახადები, მემამულეთა ექსპლუატაციის გაძლიერება, ნადელების წართმევა-მიტაცება და ა.შ.

გლეხებს აიძულებდა მიემართათ ბრძოლის სხვადასხვა ფორმისათვის. ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო საჩივრები. საქართველოში არ იყო დარჩენილი არც ერთი მაზრა რომელშიც გლეხებისა და მემამულეების ურთიერთობა არ ყოფილიყო გამწვავებული.

გლეხებისა და მემამულეების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ აძრულ მრავალრიცხოვან საჩივრებში ლაპარაკია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებზე. გლეხები უჩიოდნენ მემამულეებსა და სოფლის მოხელეებს იმ თვითნებობასა და ძალმომრეობაზე, რასაც სჩადიოდნენ ისინი გადასახადების გაწერისა და მისი აკრეფის დროს.

მასობრივი საჩივრები ადასტურებდა არსებული წყობილებით გლეხთა უკმაყოფილებას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს თბილისის გუბერნიაში გლეხთა პროტესტის ეს ფორმა მასობრივ ხასიათს ატარებდა. 1877 წელს ზემდგომ ორგანოებში შეუტანიათ - 2 739, 1878 წელს - 2 856, 1879 წელს - 2 508, 1880 წელს - 1 325 საჩივარი [26, გვ. 75].

დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის გუბერნატორის ცნობით, 1876-1879 წლებში მემამულეებსა და გლეხებს შორის 6 221 საჩივარია აღძრული. მათი უმრავლესობა ბეგარა-გადასახადების გადაუხდელობაზე მოდიოდა 38, საქ. [327, ფ. 17-19].

მემამულეებსა და გლეხებს შორის უკიდურესად გამწვავებული მდგომარეობაზე მეტყველებს საჩივართა ის რაოდენობა, რომელიც აღუძრავს ორივე მხარეს ადმინისტრაციულ ორგანოებში. ასე, მაგალითად, 1877 წელს გორის მაზრის მეორე განყოფილებაში შემოსულა წერილობითი და ზეპირი საჩივრები: გლეხების მხრიდან - 741, მემამულეების მხრიდან - 787. სულ - 1 528. იმავე წელს სიღნაღის მაზრის მეორე განყოფილებაში შემოსული წერილობითი და ზეპირი საჩივრები: გლეხების მხრიდან - 412, მემამულეების მხრიდან - 357 - სულ 769. 1881 წელს გორის მაზრის მეორე განყოფილებაში შესული ყოფილა გლეხების - 898, მემამულეების - 722, სულ 1620 საჩივარი. იმავე

წელს სიღნაღის მაზრის მეორე განყოფილებაში შესული ყოფილა გლეხების - 786, მემამულეების - 743. სულ - 1 529 საჩივარი[251, საქ. 889, ფ.7-11]

გორის მაზრის პირველ და სიღნაღის მაზრის პირველ განყოფილებაში შემოსული საჩივრები ერთად: 1877 წელს გლეხებიდან - 1 153 და მემამულეებიდან - 1 144, სულ - 2 297 საჩივარი. 1881 წელს გლეხებიდან - 1 508, მემამულეებიდან - 1 641, სულ - 3 149 საჩივარი[251, საქ. 590, ფ. 15-17].

ზემომოტანილი მასალები კიდევ ერთხელ აშკარად მოწმობენ იმაზე, რომ გლეხებსა და მემამულეებს შორის სულ უფრო მწვავდებოდა ურთიერთობა.

რევოლუციური სიტუაციის წლებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც გლეხები მასობრივად უარს ამბობდნენ ბეგარა-ვალდებულებების შესრულებაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ მრავალი ასეული საარქივო საქმე, რომელთა ანალიზის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს რაიონებში (აფხაზეთის და სვანეთის გამოკლებით) 1879 წელს ადგილი ჰქონდა ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის დაახლოებით 3 200 შემთხვევას. ჩვენ მონაცემებს ადასტურებენ ოფიციალური საბუთებიც, რომელთა ძალით დასავლეთ საქართველოში გლეხებს უარი უთქვამთ ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე 2 800 შემთხვევაში[251, საქ. 892, ფ. 38].

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობას ჰქონია ადგილი აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1879 წელს გლეხებს 6 000-ჯერ განუცხადებიათ უარი მემამულეებისათვის ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ურთიერთობა მემამულეებსა და გლეხებს შორის უკიდურესად დაძაბული იყო, აღნიშნული ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ გაბატონებულ კლასს არ შეეძლო "ძველებურად მართვა" აშკარა იყო, რომ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური აპარატი სათანადოდ ვერ უზრუნველ-

ყოფდა გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვას. ეს კი თავისთავად მეტყველებს გაბატონებული კლასის საშინაო პოლიტიკის კრიზისზე.

ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმის დამადასტურებლად, თუ როგორ მიმდინარეობდა ქართულ სოფელში გლეხების ბრძოლა ბეგარა-ვალდებულების შესრულების წინააღმდეგ.

გადასახადების გადახდაზე უარის თქმასა და ამის შედეგად წარმოშობილი კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე კარგად მეტყველებს გლეხებზე დარჩენილი გადასახადების რაოდენობა. 1879 წელს ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ არ გადაიხადა – 116 896 მანეთი. თბილისის გუბერნიაში, ამავე წელს მოსახლეობას არ გადაუხდია – 136 733 მანეთი [238, საქ. 308, ფ. 55, საქ. 311, ფ. 9].

მოსახლეობა უარს აცხადებდა არა მარტო ფულად, არამედ ნატურალურ გადასახადებზეც.

ადგილობრივი ადმინისტრაცია ურჩი გლეხების მიმართ იყენებდა ძალადობას. გაზ. "დროება" 1878 წლის მარტში წერდა: გორის მაზრის სოფ. მერეთი გლეხთა მღელვარებამ მოიცვა. სიმშვიდის დასამყარებლად მერეთში ჩავიდა ხუთი იასაული. დაარბიეს სოფელი, დააკვლევინეს ქათმები, წაართვეს ღვინო და სხვა სარჩო-საბადებელი. ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, მას ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ. შეიქმნა დედაკაცების წივილ-კივილი, წყევლა-კრულვა. ვაი იმ ოჯახის ბრალი, ვინც რამდენიმე ქათამს არ გააგორებდა (დაკლავდა) ან გამხდარი გამოდგებოდა. ასე და ამგვარად ამ ბაშიბუზუკებმა უამრავი ქათამი დააკვლევინეს, ხურჯინებში უკრეს თავი და წაიღეს. მეორე დღეს იგივე გაიმეორეს.

არა გაემტყუნება ასენებულ იასაულებს, როცა ჩვენი უეზდის უფროსის თანაშემწე მათზე უარესია ... ბატონყმობა კარგა ხანია გადავარდა და გლეხები იმ შევიწროვებისაგან განთავისუფლდნენ, მაგრამ ... ჯერ კიდევ ჰყავდა გლეხკაცის ბატონია. ღმერთმა თქვენ მტერს მისცეს, რა დღესაც

უეზდის ჩინოვნიკები და იასაულები საწყალ დაბეჩავებულ და გაძარცვულ გლეხებს აყრიან. ამიტომ ხალხის უკმაყოფილებას საზღვარი არა აქვს [214, 1878 წ., № 37].

მშრომელი გლეხობა არა მარტო ბეგარა-ვალდებულებებსა და გადასახადების გადახდაზე აცხადებს უარს, არამედ, იგი თავს არიდებს სამხედრო სამსახურს. იმ დროს გახშირებულა სამხედრო სამსახურიდან გამოქცევა (დეზერტირობა).

1878 წლის თებერვალში ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ გორის მაზრის სოფლების ღ ცის, ქირდის, მეღვრეკისის და ტირძნისის რეკრუ-ტები სამხედრო სამსახურიდან გამოქცეულან; საომარი მოქმედების დროს ამგვარი დანაშაულისათვის მას ელოდა მკაცრი სასჯელი. ამ სოფლების მოსახლეობამ კოლექტიური თხოვნა-საჩივრით მიმართა მეფისნაცვალს [241, საქ. 157, ფ. 1-144].

როგორც ჩანს, მარტო სიღნაღის მაზრაში არ ყოფილა სამხედრო ბეგარისადმი თავის არიდების შემთხვევები, არამედ იგი, მთელს საქართველოში პროტესტისა და მღელვარების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ყოფილა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

1880 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდადსა და ხრეში მემამულეების წინააღმდეგ გამოვიდნენ გლეხები. მათ მოითხოვეს გაუქმებულიყო ბეგარა-გადასახადები [239, საქ. 23, ფ. 17].

1880 წლის 12 მაისს გორის მაზრის სოფ. კარალეთსა და გარეჯვარში გლეხებმა უარი განუცხადეს მემამულე ამილახვრებსა და ერისთავებს ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე. მემამულეებმა მათ წინააღმდეგ აღძრეს საჩივარი. გორის მაზრიდან საქმის გასარკვევად და მოსაგვარებლად გაგზავნილ იქნა მაზრის ჩინოვნიკი დიდებულიძე. გლეხებმა გაიგეს თუ არა, რომ მათთან მივიდა მაზრის წარმომადგენელი, შეიკრიბნენ და პროტესტი გამოთქვეს მემამულეების მიმართ. შეკრებილი გლეხები შეიარაღებული ყოფილან ზარებითა და ნაჯახებით, თან გაიძახოდნენ: "ჩვენ აღარ შევასრუ-

ლებთ ბეგარა-ვალდებულებებს. ვინც მოვა და გვაიძულებს, მოვკლავთ.[241, საქ. 251, ფ 17]. შეკრებილ გლეხებს რამდენიმე კაცი გამოეყო და გაიწია ჩამოსულ ჩინოვნიკისაკენ, რომელმაც გაქცევით უშველა თავს[241, საქ. 251, ფ. 17].

1880 წლის შემოდგომას, თელავის მაზრის სოფლებში: ვეჯინში, საბუე-ში, ჩალაუბანში, ვაჩნაძიანში გლეხთა მღელვარებას ჰქონდა ადგილი. დროებითვალდებული გლეხები არათუ არ ასრულებენ ბეგარა-ვალდებულებებსა და არ იხდიან გადასახადს, არამედ ემუქრებიან იმათ, ვინც მათთან მივა და აიძულებს გადაიხადონ გადასახადი, შეასრულონ ბეგარა-ვალდებულება [239, საქ. 23, ფ. 17].

1881 წლის მარტში ზუგდიდის მაზრის სოფ. ახალხიბულაში ბეგარა-გადასახადებით შევიწროებული დროებითვალდებული გლეხები დაესხნენ ჩე-მამულე ჩიჩუებს. ჩიჩუებმა მოასწრეს ცოლშვილის გახიზვნა. აღელვებულმა გლეხებმა ცეცხლს მისცეს ჩიჩუების სახლ-კარი. ქუთაისის გუბერ-ნატორმა მაშველი რაზმი გაგზავნა ჩიჩუების დასაცავად[251, საქ. 265, ფ. 1-7].

1879-1880 წლებში სიღნაღისა და თელავის მაზრების: ბაკურციხის, ვანთის, კარდღლაურის, კარდენახის, ნუკრიანის, არაგისა და სხვა სოფლის მოსახლეობა ძალზე აღაშფოთა ბეგარა-ვალდებულების სიმძიმემ. ისედაც გაღარიბებული გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა, რამაც გამოიწვია მღელვარება, რომელიც შეტაკებაში გაიზარდა[243, საქ. 667, ფ. 3-37]. გლეხები არა მარტო უარს აცხადებენ ბეგარა-ვალდებულე-ბების შესრულებაზე, არამედ მემამულეებს უტევენ და შეშინებული მემამუ-ლეები ხელისუფლებას მიმართავენ. ხელისუფლებას ძალების მობილიზება დასჭირდა წესრიგის დასამყარებლად.

1879 წელს ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე უარი განაცხადეს სოფელ კემისის, ქარაბდის, კოდის (თბილისის მაზრა), ბოდბისხევის, მა-ღაურის (სიღნაღის მაზრა), ნაფარეულის, შილდის, გრემის, ალვას, კოლაგის (თელავის მაზრა), აწყურის, ხვედურეთის, ბრილის, ლამისყანის, კასპის

(გორის მაზრა), 1880-წელს მეჯვრისხევის, ფცის, ცხინვალის, ანდარეთის (გორის მაზრა) და სხვა მრავალი სოფლის გლეხებმა [251, საქ. 17, ფ. 17; 245, საქ. 44; 241, საქ. 455, ფ. 27-31; 251, საქ. 17, ფ. 18-19].

1879-1880 წლებში ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის დროებით-ვალდებული გლეხის ივანე ირემაძის აქტიური აგიტაციის შედეგად შეიქმნა 257 კაციანი რაზმი თოდუასა და ჯიშკარიანის მეთაურობით. რაზმში გაერთიანდნენ სოფლების ახალი ხიბულის, კახათისა და აბასთუმნის გლეხები. რაზმი შიშს აგვრიდა ადგილობრივ მემამულეებს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი გაჭირვებით აღკვეთა გლეხთა ურჩობა. რაზმის მეთაური დააპატიმრეს და გაასამართლეს [246, საქ. 136, ფ. 3-6; 238, საქ. 4252, 4835, 5716, 6945, 5928, 6338].

კვლევის დროს ჩვენ დავადგინეთ, რომ 1879-1880 წლებში ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე უარი უთქვამს 600-ზე მეტ ქართულ სოფელს, სადაც დაახლოებით ცხოვრობდა 480 000 კომლი გლეხი.

როგორც საარქივო დოკუმენტები მეტყველებენ, რევოლუციური სიტუაციის წლებში გამძაფრდა ბრძოლა გლეხებსა და მემამულეებს შორის ტყეებით და საძოვრებით სარგებლობისათვის. საძოვრებსა და ტყეებს ქართველი გლეხკაცის ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა, განსაკუთრებით - მეცხოველეობისა და მევენახეობის რაიონებში.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით საძოვრებისა და ტყეებით სარგებლობის საკითხი ადათ-ჩვეულების მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო. "ადათით კი, - აღნიშნავდა ქუთაისის გუბერნატორი, - გლეხები განუსაზღვრელად სარგებლობდნენ არა მარტო საკუთარი, არამედ, საერთო ტყეებითაც" [251, საქ. 883, ფ. 83-84]. ტყით სარგებლობას მეზობელი მეზობელს არ უშლიდა; ყველა, დიდი თუ პატარა თავისუფლად სარგებლობდა, ნადირობდა და მუშაობდა შიგ. მაშინ მოდავე და მოცილე არავინ ჩანდა, მაგრამ საგლეხო რეფორმის შემდეგ მემამულეებმა თანდათან აუკრძალეს გლეხებს ტყეებით სარგებლობა და დაიწყეს მათი მითვისება.

ტყეებით სარგებლობის წესების შემუშავება და მასზე განსაზღვრული საბაჟო ტარიფის დადგენა რეფორმის შემდეგ დიდხანს გაგრძელდა. ტყის მასივებისათვის დავა გრძელდებოდა და თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობდა. არ იყო სოფელი, სადაც ამ საკითხზე მემამულესა და გლეხებს შორის უთანხმოება არ ყოფილიყო, ზოგან შეტაკებამდეც მისულა საქმე.

კავკასიის კომიტეტი დაინტერესდა ტყით და საძოვრებით სარგებლობის საკითხით. გადაწყდა "საბალახოს" გადახდით გლეხებს უფლება ეძლეოდათ საძოვრების სარგებლობისა. ამან გლეხები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის.

მემამულეებსა და გლეხებს შორის დავა-უთანხმოებანი ტყეებით სარგებლობის საკითხზე განსაკუთრებით გამწვავდა 1877-1881 წლებში გორის, თელავის და სიღნაღის მაზრებში.

გორის მაზრაში, მაგალითად, 1877 წელს ყოფილა 332 უთანხმოება, 1878- 272, 1879 - 278, 1880 - 171. ხოლო 1881 წელს - 102. თელავის მაზრაში, 1877 წელს - 503, 1878 - 368, 1879 - 407, 1880 - 265, 1881 წელს - 196 26, გვ. 105 სიღნაღის მაზრაში, 1877 წელს - 550, 1878 - 335, 1879 წელს - 341, 1881 წელს - 475 [243, საქ. 788, ფ. 10-12].

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, თელავისა და სიღნაღის მაზრებში, ტყეებით სარგებლობის დავა-უთანხმოებას უფრო მწვავე ხასიათი ჰქონია, რადგან იქ გლეხური მეურნეობის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენდა.

1877 წელს საძოვრებით სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადებზე უარი განაცხადეს გორის მაზრის სოფ. ქურთის, წირქვალის, ყანჩაეთის, ბოლის, იკოთის, ბეკანიანთ-კარის, ახმაჯის, ოძისის [243, საქ. 28, ფ. 100-206], 1878 წელს საბის და სხვა სოფლის გლეხებმა [243, საქ. 28, ფ. 205].

საძოვრებისათვის ბრძოლამ ასევე მასობრივი ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოში. გახშირდა შეიარაღებული შეტაკებები; 1877 წელს სოფ. გუბში (ქუთაისის მაზრა) მემამულეებსა და გლეხებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ამავე წელს სოფ. მაღლაკის გლეხებსა და მემამულეებს შორის ატყდა ჩხუბი, გლეხებს უნდა გადაეხადათ თითოეულ პირუტყვზე ექვსი შაურიდან ათ შაურამდე. გლეხებმა მემამულეებს წარუდგინეს ძველი საბუთი, საძოვრები ჩვენ გვეკუთვნისო [243, საქ. 34, ფ. 18].

1878 წელს გორის მაზრის ქარელის მემამულის სარდიონ ციციშვილის ტყეებში შეიარაღებული გლეხები შევიდნენ და დაიწყეს ხეების ჭრა. ს. ციციშვილი გორის მაზრის უფროსს ატყობინებდა: "გლეხები აშკარა წინააღმდეგობას მიწევენ, უნებართვოდ შედიან ჩემს კუთვნილ ტყეში და შეიძლება სისხლისღვრით დამთავრდეს" [243, საქ. 788, ფ. 10-12].

გლეხები არ ერიდებიან არავის, თავს ესხმიან და სასტიკად უსწორდებიან ტყის მცველებს. ანადგურებენ ყველაფერს, რაც კი წინ აღუდგებათ.

1879-1880 წლებში თიანეთის მაზრაში ტყეებით სარგებლობისათვის გამწვავდა ურთიერთობა გლეხებსა და მემამულე ჩოლოყაშვილებს შორის. სოფ. ჩაბანოსა და ხაიშოში ბრძოლა ხან მინელდებოდა, ხან კი ახალი ძალით იფეთქებდა. ბრძოლა ორი წელი მიმდინარეობდა. ჩოლოყაშვილებმა ტყის მცველები დააყენეს და მაღალი ბაჟი დააწესეს; გლეხებმა ბაჟის გადახდაზე უარი განაცხადეს და ტყეში ძალით, თვითნებურად შედიოდნენ და ჭრიდნენ შეშას და მასალას. გლეხები გაბედულად აცხადებდნენ: "ჩოლოყაშვილებს არავითარ შემთხვევაში ტყეებში არ შევუშვებთ" [242, საქ. 3018, ფ. 7].

მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ მოსალოდნელი იყო შეიარაღებული შეტაკება. მდგომარეობის თავიდან აცილებისა და წესრიგის დამყარების მიზნით ხელისუფლებამ მღელვარების ადგილას სპეციალური შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. დაძაბულობა სულ უფრო იზრდებოდა. ჩოლოყაშვილების განკარგულებით დაიჭირეს ტყეებში გაშვებული საქონელი და დააპატიმრეს

მწყემსები. ეს გახდა ნიშანი ბრძოლის დაწყებისა. გლეხები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი დაედევნა მემამულე აბელ ჩოლოყაშვილს, მეორე დაჭრილი მწყემსების გასათავისუფლებლად წავიდა.

გლეხებმა სროლა ატეხეს მემამულეს, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა. აჯანყებულებმა ა. ჩოლოყაშვილი დააპატიმრეს და გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს[242, საქ. 3018, ფ. 6].

შექმნილი მდგომარეობით შეშინებული მემამულე აიძულეს გლეხებისათვის ტყეებით უფასო სარგებლობის პირობა მიეცა, რის შემდეგ იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს[242, საქ. 3018, ფ. 10].

1880 წლის აგვისტოში ა. ჩოლოყაშვილმა მაზრის უფროსს სთხოვა აღკვეთილიყო გლეხთა მიერ თვითნებურად ტყეებით სარგებლობა და დაეცვა მისი უშიშროება. მაზრის უფროსმა შეიარაღებული რაზმი გაგზავნა, მაგრამ მას წინ აღუდგა ჩაბანოელი გლეხები – ქალი და კაცი, შეიარაღებული ნაჯახებით, კეტებით, ქვებით, რომლებმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, სცემეს ჩაფარს, დაჭრეს ტყის მცველი, თვით მეფის მოხელეთა სიტყვებით "შეუძლებელი იყო აღწერა იმ ამბებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 აგვისტოს"[242, საქ. 3018, ფ. 4].

1879 წლის აგვისტოში გლეხთა მღელვარებამ იფეთქა სოფ. ძიმითში (ოზურგეთის მაზრა). მოსახლეობა აღსდგა მემამულე გუგუნავების წინააღმდეგ, რომლებმაც გლეხებს წაართვეს საძოვრები და აუკრძალეს იქ პირუტყვის გაშვება. დააწესეს მაღალი ბაჟი. გლეხებმა უარი განაცხადეს ყოველგვარი ბაჟის გადახდაზე და ძალით შეიჭრნენ მემამულის მიერ დაკავებულ მიწებზე. მემამულეთა თვითნებობა იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ თვით მმართველობის ორგანოებიც კი იძულებული გახდნენ ელიარებინათ მემამულეების უკანონო მოქმედება და მიეთითებინათ მათთვის[26, გვ. 122].

საძოვრებით სარგებლობის საკითხი გლეხებსა და მემამულეებს შორის თავიდანვე სადაო შეიქნა. როგორც ტყეებით, ისე საძოვრებით სარგებლობა უნდა გადაწყვეტილიყო ისევე ადათ-ჩვეულების მიხედვით, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. მემამულეებმა ხელთ იგდეს საძოვრები და

დააწესეს ნაღდი ბაჟი. ამან გლეხების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც შეუწყო ხელი ბრძოლის აღმავლობას.

1881 წლის 9 ივნისს სიღნაღის მაზრის მომრიგებელი-შუამავალი თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების საკრებულოს სწერდა: "მემამულეს არ სურს გლეხების საქონელმა უფასოდ ძოვოს საძოვრებზე, ხოლო გლეხებს კი არ სურთ გადასახადის გადახდა, ისინი საქონელს სხვა მემამულეთა მინდვრებში ერეკებიან, რის გამოც ხშირად ეს უკანასკნელნი იჭერენ გლეხების საქონელს და არ უბრუნებენ, სანამ ჯარიმასა არ გადაიხდიან და ზარალს არ აუნაზღაურებენ"[251, საქ. 103, ფ. 4-5].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მემამულე აბაშიძეების წინააღმდეგ იყო მიმართული სოფ. საზანოს, კაცხის, საქარის, ჭალატყის, ზოვრეთის, ტყემლიანვაკის, რგანისა და მორძგვეთის გლეხთა მღელვარება (შორაპნის მაზრა)[251, საქ. 2472].

ზემოჩამოთვლილი სოფლებიდან ყველაზე მეტად აქტიურობდა სოფ. მორძგვეთის დროებითვალდებულ გლეხთა 74 კომლი. გლეხებმა თავი მოიყარეს სოფლის ეკლესიის ეზოში, მღელვარების მოთავეები დ. ღვალაძის, გოგია, კასიანე და იორდანე კაპანაძის ხელმძღვანელობით. ისინი ეკლესიაში შედიოდნენ და ფიცს დებდნენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ თავიანთი ინტერესების დასაცავად. შეკრებილთა უმრავლესობა სიკვდილით ემუქრებოდა იმათ, ვინც ფიცის დადებაზე უარს იტყოდა. გლეხები შეტევაზე გადავიდნენ. როცა მათთან ჩავიდა მომრიგებელი-შუამავალი და სთხოვა დაწყნარებულიყვნენ, გლეხებმა თხოვნა ყურად არ იღეს. მაშინ შეკრებილი გლეხები გააფრთხილა: "უკეთესი იქნება, - აღნიშნავდა იგი, - ნებაყოფლობით დათანხმდეთ გადასახადების დაფარვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალა იქნება გამოყენებული"[26, გვ. 162]. ამან კიდევ უფრო აალელვა გლეხები, თავს დაესხნენ მომრიგებელ-შუამავალს, წაართვეს ჩანთა, ამოყარეს სიგელები და დაწვეს, შემდეგ კი ყვირილითა და ქვების სროლით გააძევეს იგი სოფლიდან[26, გვ. 162].

ამ ამბავმა ქუთაისის გუბერნატორისა და თვით მეფისნაცვლის ყურამდეც კი მიაღწია. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა მღელვარების მონაწილეთა სანიმუშო დასჯა მოითხოვა. მისი ბრძანებით სოფ. მორძგვეთში ეგზეკუცია ჩააყენეს, ხოლო დამნაშავე პირები დააპატიმრეს[26, ფ. 6].

ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტური მასალების საფუძველზე მხოლოდ გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში 1879-1881 წლებში მემამულეებსა და გლეხებს შორის ტყეებისა და საძოვრებისათვის წარმოშობიდა 1 894 კონფლიქტი[243, საქ. 788, ფ. 10-12; 26, გვ. 105]. გასაგებია, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ ნაწილობრივი მონაცემები ამ მოვლენის შესახებ აღნიშნული მონაცემები უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მემამულეებმა ფართო მასშტაბის მოქმედება წამოიწყეს საგლეხო-სანადელო მიწების მითვისებისათვის. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ საქართველოში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ გლეხებს საკუთრებაში გადაეცემოდა მათ ხელთ არსებული სახნავ-სათესი მიწები. ამიტომ მემამულეებმა ყველაფერი იღონეს რათა ხელთ ეგდოთ საგლეხო ნადელები. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტები. ასე, მაგალითად, 1877 წელს გორის მაზრის მხოლოდ I და II განყოფილებებში მემამულეებს მიწა წაურთმევიათ 1 092 გლეხური კომლისათვის[243, საქ. 1084, ფ. 7].

სხვადასხვა საარქივო-წყაროების შეჯამების შედეგად დადგინდა, რომ 1878-1880 წლებში თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში მემამულეებმა მიწა წაართვეს დაახლოებით 3 600-მდე კომლ გლეხს.

ბუნებრივია, ამ პირობებში ბრძოლა მიწისათვის განსაკუთრებული სიმძაფრით მიმდინარეობდა. ამ პროცესს ადგილი ჰქონდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მიწისათვის ბრძოლა სხვადასხვა ფორმას ღებულობდა. ხშირად ხელჩართული ბრძოლაც იმართებოდა.

1877-1878 წლებში გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ზუგდიდის მაზრის სოფელ ზენაში, ჯაპში, შაქარასა და სხვაგან. გლეხებმა ძალით დაიკავეს მემამულეების მიწები და დაიწყეს მათი დამუშავება[251, საქ. 74, ფ. 18].

შორაპნის მაზრის სოფ. სვირის მემამულეებს მიტაცებული ჰქონდათ 60 ქცევა საგლეხო მიწა. მის შესახებ გლეხებს არაერთხელ აღუძრავთ საჩივარი, მაგრამ უშედეგოდ. 1881 წელს გლეხებმა წარმომადგენლები გაუგზავნეს მემამულეებს და კატეგორიულად მოითხოვეს მიტაცებული მიწების დაბრუნება. მთავრობის მხარდაჭერით გათამამებული მემამულეები ტყვიებით გაუმასპინძლდნენ მათთან მისულ გლეხებს. რადგან ნებით არაფერი გამოვიდა, 500 სვირელი გლეხი ძალით შეიჭრა მიტაცებულ მამულებში, მოშალა გამმიჯნავი სამანი და დაეუფლა მიწას, რასაც შეიარაღებული შეჯახება მოჰყვა. საქმეში ჩაერია მაზრის მმართველობა. დააპატიმრეს და ქუთაისში გადაგზავნეს მღელვარების 6 მოთავე[217, 1883 წ., № 1].

მიწისათვის ბრძოლა გაჩაღებულა რაჭის სოფლებში ტოლებსა და ხვანჭკარაში. 1876-1877 წლებში მემამულე ყიფიანს არაკანონიერი გზით მიუთვისებია ამ სოფლების გლეხების ვენახები. გლეხები რამდენიმე წელს ამაოდ დაობდნენ ვენახების დასაბრუნებლად. ბოლოს მოთმინებადაკარგულმა გლეხებმა 1880 წლის ივნისში თვითნებურად აღადგინეს თავიანთი კანონიერი უფლებები წართმეულ ვენახებზე[243, საქ. 79, ფ. 7-9].

მემამულე ყიფიანი თვითონ ვერ გაუმკლავდა გლეხებს და ქუთაისის გუბერნატორს სთხოვა დახმარებოდა. ყიფიანის მიერ გლეხებისათვის ვენახების წართმევა იმდენად უკანონო იყო, რომ ხელისუფლებამ ვერ გაბედა აქტიურად დაეჭირა მხარი მემამულისათვის. მთავრობა მოერიდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას, რათა არ გამოეწვია გლეხთა მღელვარება.

გლეხები ხედავდნენ, რომ ხელიდან ეცლებოდათ მიწები; ნასყიდობის ბარათებს ანგარიშს არავინ უწევდა, მთავრობა მემამულეთა მხარეზე იყო მომრიგებელ-შუამავლები და მეფის ხელისუფლების მთელი აპარატი გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავდა. ყოველივე ეს გლეხობას აქტიური ბრძოლისაკენ უბიძგებდა. როცა კანონით და სამართლით გლეხები სასურველ შედეგებს ვერ აღწევდნენ, ძალას მიმართავდნენ. ბევრ სოფელში გლეხები ძალით იკავებდნენ მემამულეთა მიწებს. გლეხები ძალადობას ძალადობით უპასუხებდნენ.

გლეხთა ძალმომრეობით შეშინებული მემამულე მელიქიშვილი (გორის მაზრა) 1878 წელს მაზრის უფროსს სწერდა: "... გლეხებმა მიიტაცეს ჩემი მამულები და ამუშავებენ მას"[246, საქ. 2271, ფ. 89]. "ზეკოშვილებმა და ჭონქაძეებმა, ჩიოდა მომრიგებელ-შუამავალი, - ახალუბანში გლეხებმა შემოიფარგლეს მემამულეთა კუთვნილი 20 დღიური მიწა"[243, საქ. 305, ფ. 7].

გორის მაზრის სოფ. ხანდაკის მოსახლეობამ საჩივრით მიმართა თბილისის გუბერნატორს იმის თაობაზე, რომ 1879 წლის ივნისის თვეში მემამულე ანდუყაფარ თარხნიშვილმა უკანონოდ მიითვისა ამ სოფლის გლეხების; მამულაშვილის, ფრიდონაშვილისა და კოდალაშვილის სახნავ-სათესი მიწები. ეს მიწები გლეხებს მიზომილი ჰქონდათ და ამუშავებდნენ 10 და მეტი წლის განმავლობაში; მემამულე თარხნიშვილმა ჩათვალა, რომ გლეხებს არაკანონიერად ჰქონდათ მიწა მიზომილი და წაართვა. ჩვენ, სოფ. ხანდაკის გლეხები მოგმართავთ თქვენ, რათა აღკვეთოთ მემამულის უკანონო მოქმედება. თუ სიმართლეს ვერ მივაღწევთ, თვითონ გამოვნახავთ სამართალს, წერდნენ ისინი[208, საქ. 275, ფ. 1-9].

ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, როცა მთელი სოფლის გლეხობა იცავს მემამულის ან ხელისუფლების მიერ უკანონოდ დაჩაგრულ გლეხის ინტერესებს. მსგავსი კოლექტიური საჩივრები ბევრი შედიოდა ხელისუფლების ორგანოებში.

1880 წელს თელავის მაზრის სოფ. ბუშატის გლეხები საჩივრით მიმართავდნენ მაზრის ხელისუფლებას იმის გამო, რომ მემამულე ჯორჯაძემ ძალით წაართვა ამ სოფლის გლეხის ხოშაკ ცუკოშვილის ვენახი. ეს ვენახი ცუკოშვილს ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე საკუთრებაში ჰქონდა. ახლა კი მემამულე ამბობს, რომ იგი უკანონოდ ფლობდა ამ ვენახს. გთხოვთ ჩაერიოთ და შეაჩეროთ მემამულის უსამართლო მოქმედება. დღეს თუ ცუკოშვილს წაართვა, ხვალ რომელიმე ჩვენგანი გავხდებით მისი მსხვერპლი [243, საქ. 347, ფ. 7-8].

1881 წლის მარტში ქუთაისის მაზრის სოფ. მაღლაკის გლეხებმა აღძრეს საჩივარი მემამულე ქორქაშვილის მიმართ. ქორქაშვილმა მათი ნადელები მიითვისა. გლეხების საჩივარი მაზრის ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ განიხილა და გადაწყვიტა მემამულის სასარგებლოდ. გლეხებმა ისევ მიმართეს საჩივრით ქუთაისის გუბერნიის ხელისუფლებას. საქმის განხილვა გაჭიანურდა 1890 წლამდე [251, საქ. 79, ფ. 16-18].

სამართლის ძიება და სადავო მიწებზე თავისი უფლებების აღდგენა ძვირად დაუჯდა გლეხობას. ბიუროკრატიულად მოწყობილი სასამართლო ორგანოები სადავო საკითხებს მემამულეთა სასარგებლოდ წყვეტდნენ. დაიკარგა სამართლისადმი ნდობა.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი მოითხოვდა ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოღებოდა საადგილმამულო საზღვრების გაურკვევლობას, ხელი მოეკიდათ მამულების გამიჯვნისათვის. მას მიჯნების დადგენა სოფლად აგრარული ბრძოლის შენელებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად მიაჩნდა.

ხელისუფლება ხედავდა, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენდა მამულების გაუმიჯნაობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგრამ იგი რაიმე რადიკალური ღონისძიების განხორციელებაზე მაინც თავს იკავებდა.

იყო შემთხვევები, როდესაც თავადაზნაურები განზრახ აგვიანებდნენ მამულების გამიჯვნას, ცდილობდნენ მიწების დამუშავებას, ხოლო ამის შემდეგ მოითხოვდნენ საგლეხო და საბატონო მიწების საზღვრების დადგენას. ეს კი იწვევდა გლეხებისა და მემამულეების ხანგრძლივ დავას.

გორის მაზრის სოფ. ქიწნისის მემამულე გრიგოლ ერისთავი შეედავა გლეხებს მიწების გადაზომვაში. მან რეფორმის შემდეგ მოუზომა გლეხებს გაუმიჯნავი მიწები. რომ დაინახა, გლეხებმა მოზომილ მიწებზე მაღალი მოსავალი მიიღეს, მაშინ "მოაგონდა" დებულებით მინიჭებული უფლება და 1880 წლის ოქტომბერში მოითხოვა მამულების გადამიჯვნა. "გლეხები უარს ამბობდნენ ამაზე და თითოეული მათგანი გამოთქვამდა მემამულის საწინააღმდეგო მოსაზრებას" [243, საქ. 330, ფ. 1].

დებულების 42-ე მუხლის თანახმად დროებითვალდებული გლეხები მემამულისაგან უნდა გამიჯნულიყვნენ. სასურველად იყო მიჩნეული, რომ მათ ერთ ადგილას აერჩიათ სანადელო ნაკვეთები, ხოლო დანარჩენი მიწები კი მემამულისათვის დაეტოვებინათ. ეს უკანასკნელნი ფართოდ იყენებდნენ ზემოაღნიშნულ უფლებას და გლეხებს ასახლებდნენ იმ მიწებიდან, რომელიც მათ ათეული წლობით ეკავათ. ამ მიწების ნაცვლად აძლევდნენ სრულიად მოუსავლიან, ურწყავ ადგილებს. აღნიშნული გარემოება გლეხთა საპროტესტო მოძრაობას იწვევდა.

1879 წელს თბილისის მაზრის სოფ. პრიუტის მიწების გამიჯვნის დროს მოხდა გლეხებსა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შეჯახება; მემამულე საგინაშვილის მამულში მუშაობა დაიწყო გამმიჯნავმა კომისიამ. ის მიწები, რომლის გადაზომვაც წარმოებდა, ძველთაგანვე გლეხების საკუთრება ყოფილა. სასწრაფოდ შეიკრიბნენ ხანჯლებით და კეტებით შეიარაღებული გლეხები, კომისიასთან მივიდნენ და მოსთხოვეს შეეწყვიტა მუშაობა. მიწისმზომელი იძულებული იყო დამორჩილებოდა.

მეორე დღეს მიწისმზომელი დამხმარე მუშებით, ბოქაულისა და ორი მოხელის თანხლებით კვლავ გამოცხადდა სამუშაოს გასაგრძელებლად. გლეხები ისევ შეიკრიბნენ, თავს დაესხნენ და მოსთხოვეს, ხელი აეღოთ მიწების გადაზომვაზე. გლეხები ამტკიცებდნენ, რომ მიწის ნაკვეთები, რომელთა

წართმევას მემამულე აპირებდა, მათ სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, რაზედაც დამადასტურებელი წერილობითი საბუთებიც წარმოადგინეს. მემამულემ ყურად არ იღო მათი სამართლიანი მოთხოვნა. მაშინ მოთმინებადაკარგულმა გლეხებმა ქვები და კეტები დაუშინეს მოხელეებს.

ეს ამბავი ცნობილი გახდა გუბერნატორისათვის. უმალვე გაიცა განკარგულება დამნაშავეთა სასტიკად დასჯის შესახებ. დააპატიმრეს 31 კაცი, აღიძრა საქმე. ერთ-ერთი დოკუმენტში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ გლეხებმა არა მარტო არ შეასრულეს მიწისმზომელის კანონიერი მოთხოვნა, არამედ ალყა შემოარტყეს მას და აიძულეს იგი შეეწყვიტა მუშაობა. გლეხების ამ მოქმედებას თან ახლდა მუქარა და არეულობა.

არც ამის შემდეგ შეუწყვეტია სოფელ პრიუტის გლეხობას საადგილმამულო დავა. 80-იანი წლების დასაწყისიდან მან ახალი ძალით იფეთქა.

1879 წელს გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აფხაზეთის სოფლებში – აძუბჟაში, გუდავაში და სხვ. გლეხებმა უარი განაცხადეს მიწისმზომელი კომისიის განკარგულებათა შესრულებაზე. ხელისუფლება ისედაც უკმაყოფილო იყო აფხაზეთის მოსახლეობის 1877 წლის აჯანყებით, ამიტომ იგი გაუსწორდა ამ მღელვარების მოთავეებს და გაასახლა ისინი აფხაზეთიდან [265, საქ. 2742, ფ. 21].

1879 წელს ასეთივე მღელვარება მოხდა სოფ. გალში მემამულე ძარლანიასა და გლეხებს შორის. გამმიჯნავმა კომისიამ არაფრად ჩათვალა გლეხების მოთხოვნები და მემამულეს საკუთრებად მიუზომა გლეხების სახნავ-სათესი მიწები, ტყეები. გლეხებმა საჩივრით მიმართეს ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ დადებითი პასუხი ვერ მიიღეს. მაშინ მათ მემამულეებს გაუგზავნეს დეპუტაცია დუტუ და მესე მესხიების შემადგენლობით და მოითხოვეს ხელი აეღოთ საგლეხო მიწების მითვისებაზე. გლეხების თხოვნა უყურადღებოდ დარჩა. ღამით შეიარაღებული გლეხები მიუხტნენ მემამულეს და მოსთხოვეს უარი ეთქვა იმ მიწებზე, რომლებიც რეფორმამდე გლეხებს ეკავათ. აღელვებულმა გლეხებმა მოშალეს

მიწის გამომიჯნავი ნიშნები. მთავრობამ ამის გამო რადიკალური ზომებს მიმართა. ჯარის ნაწილები გამოიყენეს და მღელვარების მოთავეები გულა და ხუხუ შონიები, ივ. ლოლუა, დათიკა მიქავა დააპატიმრეს. [255, საქ. 2742, ფ. 10].

ნადელების გამოსყიდვა დიდ ეკონომიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ნადელის გამოსყიდვისათვის სესხის აღება კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სესხის აღება გლეხებს კაბალურ მდგომარეობაში აგდებდა, გლეხები მაინც მიმართავდნენ სესხს ნადელების გამოსყიდვას. ამას ყველაზე უფრო აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა უხალისოდ, მაგრამ მაინც აკეთებდა.

თუ რა მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას ნადელის გამოსყიდვისათვის სახელმწიფო სესხის აღება, მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: 1877 წელს ნადელის გამოსყიდვისათვის სესხად აუღია 350 მანეთი თელავის მაზრის სოფ. ახტალის გლეხს დათია ფიცხელაურს. მას ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 21 მანეთი, 49 წლის განმავლობაში 350 მანეთში უნდა გადაეხადა 1 029 მანეთი [26. გვ. 164]. ე.ი. სამჯერ მეტი. ამიტომ იყო, რომ ქართველი გლეხობა იშვიათად მიმართავდა ნადელების გამოსასყიდ სესხს. მართალია, იგი ეკონომიკურად ძალზე გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ კიდევ უფრო იჭირვებდა და სესხის აღების გარეშე გამოისყიდდა ნადელს.

ამ მხრივ ქუთაისის გუბერნიის გლეხობას შედარებით კარგად ჰქონდა საქმე.

70-80-იანი წლების დასაწყისში 57 070 დროებითვალდებული გლეხური კომლიდან 33 597 კომლმა შეისყიდა მიწა სესხის აღების გარეშე. ნადელის შესყიდვის გარეშე დარჩა 23 473 კომლი, ე.ი. 41 %. დასავლეთ საქართველოში გლეხებზე მიზომილი 207 523 დესეტინა მიწიდან მთავრობის დახმარების გარეშე შესყიდული იქნა 144 041 დესეტინა მიწა, რაზედაც დაიხარჯა 7.178 285 მანეთი მაშინ, როდესაც აღმოსავ-

ლეთ საქართველოში მთავრობის დახმარებით გლეხებმა შეისყიდეს 16 416 დესეტინა, რისთვისაც მთავრობისაგან აიღეს 835 906 მანეთი სესხი [255, საქ. 22 27, გვ. 102].

80-იანი წლების დასაწყისში სოფ. ბარღებში, ოტობაიასა და ნაბაკევში გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მიწისმზომელ პესკოვს და შეაჩერეს მიწების გადამიჯვნა. საქმეში ჩაერია ოჩამჩირის ოლქის უფროსი მალინოვსკი და გადამიჯვნის სამუშაოები დამთავრდა [255, საქ. 2722, ფ. 22-32].

ამრიგად, მიწისათვის ბრძოლამ (საადგილმამულო დავამ, მიწების გადამიჯვნამ) XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე მიჯნაზე მწვავე ხასიათი მიიღო. მთავრობის ღონისძიებასაც, რომელსაც თითქოს უნდა შეენელებინა აგრარული ბრძოლა, შედეგი არ მოჰყოლია. გლეხები მოითხოვდნენ მამულების მიჯნების დადგენასა და ერთხელ გამიჯნული მიწების საზღვრების მტკიცედ დაცვას. ისინი იბრძოდნენ მემამულეების იმ თვითნებობის წინააღმდეგ, რომლებიც გამიჯნული მამულების ხელმეორედ გადამიჯვნას და ამ გზით გლეხის მიერ მოვლილი, განოყიერებული მიწების ხელში ჩაგდებას ლამობდნენ.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ხიზნებსა და მიწათმფლობელებს შორის. მიწის საიჯარო ფასების აწევასთან დაკავშირებით მემამულეებისათვის ხიზნებთან ურთიერთობა ხელსაყრელი არ იყო. მემამულეები დაჟინებით უარყოფდნენ ხიზნების მიერ მიწათსარგებლობის უვადობის პრინციპს, გადაყავდათ ისინი მოიჯარადეებად, თავს ახვევდნენ 5-10 წლიან საიჯარო ხელშეკრულებას. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ცდილობდნენ გაესახლებინათ ხიზნები, რათა მიწები უფრო ხელსაყრელ პირობებში გაეცათ სხვებზე. ამ გარემოებამ ხიზნების მასობრივი მოძრაობა გამოიწვია. ხიზნებისა და მემამულეების ურთიერთობის საკითხი არაერთხელ გახდა მთავრობის ორგანოებში მსჯელობის

საგანი. 1976 წლის 12 ივნისს გადაწყდა შეეგროვებინათ მასალები ხიზნების შესახებ. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მემამულეებსა და ხიზნებს შორის სადავო საქმეები დაექვემდებარა საგლეხო საქმეების ადგილობრივ დაწესებულებებს, ეს კი ხიზნების ცალკე კატეგორიად აღიარებას ნიშნავდა [26, გვ. 182].

მემამულეს უფლება მიეცა აეყარა ხიზანი, მაგრამ ამის შესახებ იგი ერთი წლით ადრე უნდა გაეფრთხილებინა. ამასთან მემამულე ვალდებული იყო გადაეხადა ხიზნისათვის ის ხარჯები, რაც გაწეული ჰქონდა მას მიწის გაუმჯობესება-განაშენიანებისათვის. გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევაში კი მემამულეს საზღაური ორმაგად უნდა გადაეხადა. თუ ხიზანი თავისი სურვილით აიყრებოდა, მაშინ ხიზნის მთელი საკუთრება მემამულეს რჩებოდა.

კანონი მემამულეთა თვითნებობას კვლავ ფართო ასპარეზს უტოვებდა. მემამულეებმა მიიღეს რენტის გადიდებისა და ხიზნების აყრის იურიდიული უფლება.

მემამულეები ცდილობდნენ ხიზნები მოიჯარადეებად გადაექციათ, ამას ისინი აღწევდნენ როგორც მიწებზე ხიზნების უფლებების უარყოფით, ისე მათი მოკლევადიან მოიჯარადეებად გადაქცევის გზით.

მემამულეები მასიბრივად წერდნენ განცხადებებს ხიზნების გასახლების შესახებ, ხიზნები კი უარს ამბობდნენ როგორც აყრა-გადასახლებაზე, ისე საიჯარო ხელშეკრულებაზე. გორის მაზრის მეორე განყოფილებაში, ნაგალითად, 1677 წელს ამ ნიადაგზე მემამულეებსა და ხიზნებს შორის შეტაკების 57 შემთხვევაა რეგისტრირებული [26, გვ. 182].

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული დავა ბორჯომის მამულის მმართველობასა და ხიზნებს შორის 80-იან წლებში შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა [243, საქ. 1058, ფ. 300].

ხიზნები იარაღით ხელში გამოდიოდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად. ხშირად ხიზნები თავს ესხმოდნენ მემამულეებს, ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს. 1981 წელს მემამულე სერხეულიძეები იწერებოდნენ, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ხიზნებმა მოკლეს სამი, დაჭრეს ორი

ხერხეულიძე, სოფლიდან გააძევეს მღვდელი. ხერხეულიძეები აცხადებდნენ, სოფელში ჩასვლა გვეშინიაო [243, საქ. 1053, ფ. 5].

ზემოთმოტანილი ცნობების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მეორე რევოლუციური სიტუაციის ხანაში განსაკუთრებით მძაფრად მიმდინარეობდა ბრძოლა მიწისათვის. გლეხობის ეს ბრძოლა იყო პროგრესული, რადგან იგი ობიექტურად მიზნად ისახავდა ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობის შემდგომ განვითარება-განმტკიცებას.

მიუხედავად გლეხობის თავგანწირულებისა, კლასობრივი ბრძოლა საერთოდ მაინც დაქსაქსული, ცუდად ორგანიზებული, პოლიტიკურად გაუთვალისწინებელი რჩებოდა. მართალია, აღნიშნულ ხანაში მიწისათვის ბრძოლაში ჩაბმული იყო, როგორც უკვე ვთქვით, რამდენიმე ათასი გლეხთა კომლი, მაგრამ საერთო ჯამში მიწისათვის აქტიურ მებრძოლ გლეხთა რაოდენობა არ აღემატებოდა მათი საერთო რაოდენობის 8–10 %.

მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში აშკარად შეიმჩნევა, რომ გლეხობა იშვიათად მიმართავს კლასობრივი ბრძოლის ისეთ ფორმას, როგორიც არის შეიარაღებული გამოსვლები. ეს ერთის მხრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ გლეხთა ძირითად მასას სწამდა, რომ ახლო მომავალში მთავრობა გადასცემდა მათ მიწებს სარგებლობაში. ეს გარემოება უდავოდ ზეგავლენას ახდენდა მათი ბრძოლის მიმდინარეობაზე. მეორეს მხრივ გლეხობა თავისი ბრძოლით ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივი ორგანოებისა და მემამულეთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებზე და ამით ცდილობდა კანონიერი გზით დაპატრონებოდა მიწას.

როგორც ისტორიულმა მოვლენებმა გვიჩვენა, გლეხობის ეს მისწრაფებები ილუზიად დარჩა.

მთავრობამ ძალიან კარგად ისარგებლა გლეხთა მოძრაობის ამ სუსტი მხარეებით: პატარა დათმობებითა და დაპირებებით მან შესძლო სოციალური სიმძაფრის შენელება და ზოგადად საზოგადოებრივი მოძრაობის დაქვეითება.

როგორც ცნობილია, ხელისუფლება ცდილობდა ძირშივე მოესპო გლეხთა თუნდაც მცირედი წინააღმდეგობის გამოვლინება. აძლიერებდა რეპრესიებს.

უპოვრობაში ჩავარდნილ პირებს საკატორღო სამუშაოებზე გზავნიდა, ბევრ მათგანზე კი განსაკუთრებულ მეთვალყურეობას აწესებდა, [238, საქ. 4252, 4835, 4947, 5715, 5745, 5923, 6008]. თუ რა სისასტიკით მძვინვარებდა ცარიზმის სადამსჯელო ორგანოები, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: 1891 წლისთავის თბილისის გუბერნიაში აღიძრა 21 077 საქმე. ამავე წელს პასუხისგებაში მიცემულ იქნა 30 710 კაცი [242, საქ. 6747]. ანალოგიური მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაში: 1881 წელს პასუხისგებაში მიცემულთა რაოდენობამ 22 552 კაცს მიაღწია. [246, საქ. 4714, ფ. 5-6].

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში მასობრივი ხასიათი მიიღო ბრძოლის ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა მემამულეებზე თავდასხმები, მათი ქონების განადგურება, ძარცვა-მკვლელობა და სხვ.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გაიზარდა გლეხური ტერორი, გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხები აღარ ერიდებოდნენ მემამულეთა სახლ-კარის გადაწვას, მკვლელობას და ა.შ. 1870-იანი წლების ბოლოსათვის მხოლოდ თბილისის გუბერნიაში მემამულეთა სახლ-კარის გადაწვის 180 შემთხვევას ჰქონია ადგილი [245, საქ. 23, ფ. 27]. გორის მაზრის უფროსი იწერებოდა: "ქურდობა, ძარცვა, ძალადობა, ფიზიკური შეურაცხყოფა, მემამულეთა მოსავლის მიტაცება ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა [245, საქ. 1042, ფ. 33].

გორის მაზრის უფროსის ნაწერებს ნათლად ადასტურებს თბილისის გუბერნიაში 1877-1881 წლებში მომხდარ "დანაშაულობათა" ქვემოთ მოყვანილი მონაცემები: გორის მაზრაში 1877 წელს ადგილი ჰქონია მკვლელობის 62 შემთხვევას. 1861 წელს - 107, დაჭრისა - 1877 წელს - 82, 1881 წელს - 121. ქურდობა-ძარცვისა 1677 წელს - 12, 1881 წელს - 178. [204, გვ. 84].

მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ბრძოლის ფორმები შეიცვალა, იგი უპირატესად მემამულეებზე გლეხების შეიარაღებულ თავდასხმებში გამოიხატებოდა. აღნიშნული გარემოება სოფლის მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუარესებაზე მეტყველებს.

1880 წელს სოფ. ბრეთში (გორის მაზრა) მოუკლავთ მემამულე გიგო ავალიშვილი [245, საქ. 1942, ფ. 26]. იმავე წელს გლეხები თავს დაესხნენ მემამულეებს: ამილახვრებს, ჩოლოყაშვილებს, მაჩაბლებს. სხვები მიზნად ისახავდა მემამულეების მთელი ოჯახით, ცოლშვილით ამოწყვეტას. სოფ. ქურთაში 1850 წლის 10 ოქტომბერს პავლე ბასილაშვილმა დახოცა ტატო მაჩაბლის ცოლ-შვილი და მიიმალა [245, საქ. 1087, ფ. 53].

1878 წლის 23 თებერვალს გორის მაზრის სოფ. ტაშისკარის დროებით-ვალდებული გლეხები ორჯონიკიძეებისთვის დაესხნენ და ცემით სიკვდილისპირას მიიყვანეს აზნაური ნემსაძე, შემდეგ იარაღი აისხეს და ტყეს შეაფარეს თავი [26, გვ. 269].

1879 წელს სოფ. მერეთში გლეხებს სისია გლახაშვილს, გოლა და კოლა მახარაშვილებს, ცაგო ბაიაძეს, ტატო ელიაშვილს კატეგორიული უარი განუცხადებიათ მემამულე წერეთლებისათვის ბეგარა-ვალდებულებების შესრულებაზე. მათთვის მიუბაძავთ სოფლის დანარჩენ გლეხებსაც. წერეთლები ეგზეკუციის ჩაყენებით და დასჯით დამუქრებიან. აღელვებული გლეხები ვასო წერეთლებს მივარდნიან და მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებიათ. ანალოგიური ამბავი მომხდარა სოფ. ზარდიანთკარში, სადაც გლეხებმა უარი განუცხადეს მემამულე ზარდიაშვილს ბეგარა-ვალდებულებების შესრულებაზე [241, საქ. 157, ფ. 1-144].

შორაპნის მაზრის სოფ. საჩხერეში გლეხები აწყობენ ორგანიზებულ თავდასხმას მემამულე წერეთელზე. 1879 წლის 29 სექტემბერს ნ. წერეთელს უცნობი პირი სწერს წერილს და აფრთხილებს, რომ სოფ. ღიჩის გლეხობა აპირებს მის წინააღმდეგ თავდასხმას და განზრახული აქვთ მისი მოკვლა. თქვენ და თქვენმა ოჯახმა მონახეთ უსაფრთხო ადგილი, რადგან საჩხერეში თქვენი დაცვა შეუძლებელია. ჩემს ვინაობას ვერ გიმხელთ – გლეხები ჩემზე ჯავრს იყრიან [262, საქ. 172, ფ. 1-2].

მემამულეებზე გლეხების თავდასხმას ჰქონდა ადგილი კახეთის სოფლებში. 1880 წელს სიღნაღის მაზრის სოფ. კარდენახის დროებით-ვალდებული გლეხები ტურიაშვილები და ფრიდონაშვილები თავს დაესხნენ მემამულე აფხაზს

და მძიმე ჭრილობა მიაყენეს. დროებითვალდებულმა გლეხებმა სასიკვდილოდ სცემეს აგრეთვე მემამულეებს - ანდუყაფარ ფალავანდიშვილს, პერქეჩიშვილს, ნატალია ხიმშიაშვილს და სხვ. [242, საქ. 3529,ფ.2].

სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ტფილისის გუბერნატორს ატყობინებდა, რომ მემამულეებზე გლეხების თავდასხმები გახშირდა. ჩომრიგეტელ მოსამართლეთა ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფენ მემამულეების დაცვას გლეხების თავდასხმისაგან. "უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას, ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციოთ. იშუამდგომლოთ მხარის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რომ გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც იჩენენ გულადობას და უსწორდებიან მემამულეებს, მიღებული იქნეს მკაცრი ადმინისტრაციული ზომები." [242, საქ. 3529, ფ. 1].

მართალია, კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი მოითხოვდა გლეხების დაშინებას, მათ მკაცრ დასჯას და ამით გლეხთა მოძრაობის აღკვეთას, მაგრამ ამაოდ, ასეთი სახის ბრძოლამ მთელი საქართველო მოიცვა. ცხოვრების მძიმე პირობებით მემამულეებისა და ხელისუფლების ძალმომრეობით გაწამებული გლეხები ხშირად სტოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს, გაურბოდნენ უსამართლობას და ტყეს აფარებდნენ თავს; გლეხების მიერ ასეთ მოქმედებას სოციალური უსამართლობა ედო საფუძვლად, მეფის მოხელეები კი ტყეში გასულ, იარაღასხმულ მებრძოლ გლეხებს "ყაჩაღებს" უწოდებდნენ.

იმ ფაქტორებს შორის, რომელიც იწვევს დანაშაულს, პირველი ადგილი ეკავა ხალხთა მასების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას - სწერდა მთავარმართებელს კანცელარიის უფროსის თანაშემწე გ. თუმანიშვილი [204, გვ. 84].

რევოლუციური სიტუაციის პერიოდში სარეთლ საქართველოში მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა 1880-1881 წლებში; გორის მაზრის მთელ რიგ სასოფლო საზოგადოებებში - ერედვის, ქვახვრელის, კულბითის, თამარაშენის, სათიხრის, ძმენისის, ხიდისთავის, გორიჯვრის, კეხვის, მსხლების, ჯავის, ღვარების და სურამის მოსახლეობა ბალზე განიცდიდა ეკონო-

მიკერ სივიწროვეს და ჩაგვრას, ბუნებრივია, იგი ძლიერ აღგზნებული ყოფილა და ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. იყო ყაჩაღობის, მკვლელობის, დაუმორჩილებლობის და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევები[257. საქ. 247, გვ. 22-23].

მაზრის ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა მაზრაში შექმნილი რთული მდგომარეობა და დახმარებისათვის მიმართა კავკასიის ხელისუფლებას. მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმისმწარმოებლის უფროსის თანაშემწე გ. თუმანიშვილი გაუგზავნიათ გორის მაზრაში საქმის ვითარების შესასწავლად და უფროსობისათვის მოსახსენებლად. "მე ჩავედი გორის მაზრაში და მართლაც ისეთი რთული ვითარება დამხვდა, რომ დავრწმუნდი, ადგილობრივ ხელისუფლება თავისი ძალებით საქმის მოგვარებას ვერ შესძლებდა. ამიტომ გადაწყდა მაზრაში ვითარების ნორმალიზებისათვის გაეგზავნათ კაზაკთა ეგზეკუცია, რაც ასრულებულ იქნა" - წერს იგი, რომელიც ყოველივეს თვითმხილველი და მონაწილე იყო[257, საქ. 247, გვ. 24].

ზემოთჩამოთვლილ სოფლებში ჩაყენებული იქნა კაზაკთა ეგზეკუცია, რომელმაც ძალზე უარყოფითი შედეგები გამოიღო. ეგზეკუციის ჩაყენება მოსახლეობას დიდ ტვირთად დააწვა. ეგზეკუტორები მოსახლეობას ართმევდნენ პირუტყვს, ხორბალს, ღვინოს, სხვა პროდუქტებს. გარდა ამ პროდუქტებისა, ახდევინებდნენ ფულსაც. მოსახლეობას ძალზე უდიერად ეპყრობოდნენ და არავითარ შეღავათს არ უწევდნენ. ისედაც ღარიბ-ღატაკი მოსახლეობა კიდევ უფრო გააღატაკეს. ზოგიერთი სოფლის გლეხობა (სათიხარი, დმენისი, ღვარები) იძულებული გახდა აყრილიყო თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან და სხვაგან გადასახლებულიყო.

ყოველმხრივ უფლებააყრილ, ეკონომიკურად დაბეჩავებულ და საარსებო საშუალებას მოკლებულ მშრომელ ხალხს სხვა რაღა დარჩენოდა თუ არა ის,, რომ აქტიურად ებრძოლა იარაღითაც კი, რომ თავისი ადამიანური უფლებები დაეცვა. იარაღასხმული გლეხების ტერორისტული ბრძოლა, მოულოდნელი თავდასხმები მოსვენებას არ აძლევდა მემამულეებს და მეფის მოხელეებს.

შრომისმოყვარე ქართველი გლეხები აიძულეს მიეტოვებინათ მშობლიური კერა, ცოლშვილი, იარაღი აეღოთ ხელში და ტყე გამხდარიყო მათი თავშესაფარი. გლეხობის ბრძოლის ასეთ ფორმას, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ოფიციალური პრესა "ყაჩაღობას" უწოდებდა.

ტყეში გასულ გლეხებს, ანუ როგორც გურიაში უწოდებდნენ - ფირალები, სოფლის პატიოსანი შრომელი ხალხი იყო, რომელიც უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი იბრძოდა კეთილი მომავლის მოპოვებისათვის. ფირალები ინდივიდუალურად, ხან კი ჯგუფურად მოქმედებდნენ, მათ ჰყავდათ თავიანთი ხელმძღვანელები, ზოგჯერ კი სხვადასხვა ადგილებში მოქმედი გლეხთა რაზმები ერთიანდებოდნენ. ამის მაგალითები მრავალი გვაქვს.

ცხინვალის უბნის ყორნისის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა უკმაყოფილო დროებითვალდებულ გლეხთა ჯგუფი 9 კაცის შემადგენლობით. ისინი ყორნისის და ჯავის ტყეებში გაიჭრნენ და იწყეს მემამულეებზე თავდასხმა[26, გვ. 269].

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში გურიაში ხელისუფლებისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს და სახელი გაითქვეს სახალხო შურისმაძიებლებმა დ. სურგულაძემ, გ. ლომჯარიამ, ნ. მეხუზლამ, დ. მიქელაშვილმა, გ. პყონიამ, მამაიაშვილმა, ღლონტმა, გიგინეიშვილმა და სხვებმა.

ფირალები მარტონი კი არ იყვნენ; მათ გვერდში ედგა სოფლის მთელი მოსახლეობა. გლეხობა ყოველთვის მზად იყო ტყეში გასული თანამემამულეებისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინა და იარაღითაც კი გამოსულიყო მათ დასაცავად. ამაში იყო ფირალების ძალა. "ყოველი გლეხის ოჯახში, - წერდა გაზეთი "დროება", - მზად იყვნენ მიეღოთ, ღამე გაეთენებინათ, ევახშმებინათ, თუ რომელიმე ყაჩაღი შეივლიდა მათ სახლში".

ფირალები მოუხელთებლები იყვნენ; "ხელისუფლებამ ვერ შესძლო ფიფუნია სურგულაძის დაპატიმრება, რადგანაც მისთვის ყველაფერი მზად იყო: ღამის გასათევი სახლი, საჭმელი და ყოველივე, რაც დასჭირდებოდა", წერდა გაზ. "დროება"[214, 1882წ. . 66].

შემამულეებზე თავდასხმა, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა გახშირდა ქობულეთის რაიონში. ფირალები გ. ლომჯარია, გ. ჭყონია და სხვები აჭარაში გადავიდნენ და სათავეში ჩაუდგნენ აქაურ გლეხებს ადგილობრივი შემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქობულეთში მოქმედებდნენ ფირალები კვესიტელი და კაკალ-ოღლი. ფირალების წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი მოქმედების აღსაკვეთად გურიის სოფლებში მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილი საიგზეკუციო რაზმები სასტიკად მოქმედებდნენ, მაგრამ როგორც გაზ. "დროება" იუწყებოდა, "ავაზაკების დაჭერა პოლიციამ ვერ მოახერხა. გლეხებს ოჯახებში კი მილიცია ჩაუყენა, რომლებიც ავიწროებდნენ მოსახლეობას", [214, 1882 წ., № 180].

მიუხედავად ჟანდარმერიისა და ჯარის ნაწილების გამოყენებისა, მთავრობა ვერ ახერხებს ფირალების დაჭერას. გაძლიერებული დევნის პირობებში ფირალებმა 1881 წლის დამდეგს მოკლეს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოადგილე თავადი ნაკაშიძე, დაარბიეს და ქონება ჩამოართვეს ოზურგეთის მდიდარ ვაჭარს თუმანოვს, ფირალები უშიშრად შედიოდნენ სოფლებში, ჰკლავდნენ გლეხების შემავიწროებელ პირებს და ანადგურებდნენ მათ ქონებას [87, გვ. 125].

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლები გურიაში იყვნენ და ნახეს უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ოზურგეთის მაზრა, სადაც სულ უფრო ძლიერდებოდა სახალხო მოძრაობა. ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა აზვირთებულ უკმაყოფილო ხალხს, აგრეთვე ვერ ახორციელებდა ეფექტურ ღონისძიებებს "ურჩი" გლეხების დასამორჩილებლად. ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნატორის ნაცვლად, დროებით, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს დაექვემდებარა, რომელიც ამის შემდეგ პოლიტიკურ ზედამხედველობას უწევდა როგორც გურიის, ისე მის მეზობელ ქობულეთს, სადაც

თავშესაფარს პოულობდნენ ოზურგეთელი ტყეგასული გლეხები.[219, 1882 წ. № 208]. გურიაში გაიგზავნა კაზაკთა პოლკის ორი ასეული და ბათუმში განლაგებული ქვეითი ნაწილები.

გურიაში შექმნილი მდგომარეობის მიზეზების შესასწავლად ჩავიდა სპეციალური კომისია - გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ლევაშოვის მეთაურობით.

ბათუმის სამხედრო გუბერნატორს განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. ვინც მოსახლეობაზე არასასურველ გავლენას მოახდენდა ან აღელვებას გამოიწვევდა, მაზრიდან, ზოგჯერ კავკასიის საზღვრებიდანაც კი განდევნიდნენ. ასეთი პირების საქმეები სამოქალაქო სასამართლოდან პირდაპირ სამხედრო სასამართლოში გადადიოდა[219, 1882 წ., № 238].

1880 წელს გურიაში დამსჯელი რაზმები ჩააყენეს გენერალ სამეკალოვის მეთაურობით. ეგზეკუციის სოფლებში ჩაყენებამ სრულიად გააღატაკა სოფელი: იკვლებოდა ძროხები, ხბორები, ინდაურები, სვამდნენ ღვინოს და ამტვრევდნენ ქვევრებს, - წერდა გაზეთი "დროება"[214, 1882 წ., № 77]. დამსჯელი ექსპედიციები - ეგზეკუციები ცალკეულ სოფლებში მთელი წლობით რჩებოდნენ, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც გაჭირვებული გლეხკაცის მდგომარეობას.

ხელისუფლების მიერ მკაცრი ზომების განხორციელების შედეგად დააპატიმრეს ასობით გლეხი, მათ შორის გამორჩენილი ფირალები დ. ვანიძე, ბოლქვაძე, დათუნაშვილი და სხვ.

ასეთი მკაცრი ღონისძიებები განხორციელდა თბილისის გუბერნიაში ყაჩაღების წინააღმდეგ. გადიდდა პოლიციელთა რაოდენობა, საყარაულო პოსტები და სხვ. თბილისის გუბერნატორის განკარგულებით გორის მაზრაში შეიქმნა თავადაზნაურთა რაზმი, დაარსდა საყარაულო პუნქტები.

გორის მაზრის უფროსს მიეცა სპეციალური მითითება გაედიდებინა პოლიციაში მოსამსახურეთა რაოდენობა მაზრაში არსებული ხელისუფლების

საწინააღმდეგო ბოროტმოქმედთა ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩან მართლაც გააძლიერა თავისი მოქმედება, გამოცხადდა გაქცეულ გლეხთა ძებნა [245, საქ. 1510, ფ. 15, საქ. 1542, ფ. 44].

"ყაჩაღების" წინააღმდეგ ბრძოლა რომ უფრო ოპერატიული ყოფილიყო, მთავრობამ კიდევ უფრო გააფართოვა მაზრის უფროსის უფლება-მოვალეობანი. ზოგიერთ მათგანს ნება მიეცა ტყეში გასული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა მაზრაში განლაგებული ჯარის ნაწილები.

სიმკაცრის მიუხედავად სოფლის მშრომელი მასების მიერ "ყაჩაღების" მიმართ თანაგრძნობის წყალობით, ბრძოლის ეს ფორმა უფრო ფართოვდებოდა. ხელისუფლებამ ვერაფერი გააწყო მათ დასათრგუნავად, პირიქით, რაც დრო გადიოდა, მშრომელი ხალხის გულისწყრომა და ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლა უფრო ძლიერდებოდა.

1880 წლის ივლისში გორის მაზრის სურამის მემამულის ხიდირბეგაშვილის ყოფილი ყმა-გლეხები დაესხნენ მის მამულს, გადაწვეს სახლი, მოსპეს ხორბლის ნათესები, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს მემამულეს. [239, საქ. 74, ფ. 7-10]. 1881 წლის დასაწყისში სიღნაღის მაზრის სოფ. კარდენახში გლეხებმა ადგილობრივი მემამულეების რამდენიმე სახლი და სამეურნეო ნაგებობა გადაწვეს. ამასთან დაკავშირებით პოლიციამ რამდენიმე კაცი დააპატიმრა [243, საქ. 1038, ფ. 1-2].

რუსეთ-თურქეთის ომის წლებში კლასობრივ ბრძოლაში ჩაბმული იყო არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის მოსახლეობა. საზოგადოებრივი მოძრაობის ასპარეზზე მუშების ჩაბმა კლასობრივ ბრძოლაში სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა მას ჯერ კიდევ პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება აკლდა და კმაყოფილდებოდა გაფიცვების მოწყობით. ბრძოლის ეს ფორმა /გაფიცვა/ დიდად უწყობდა ხელს ამ კლასის ჩამოყალიბებას.

ამ პერიოდში მუშათა გაფიცვები სტიქიური ხასიათისა იყო. იგი ძირითადად მიმართული იყო მუშების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. მას პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება არა ჰქონდა.

ყურადღებას იმსახურებს მუშების მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობა-ში, მიუხედავად მისი მოკრძალებული წვლილისა.

იმის წლებში, 1877 წლის მაისში, გაიფიცნენ მირზოევის ნართის ფაბრიკის მუშები (მანამდეც, 1877 წლის იანვარში ამ ფაბრიკაში იყო მუშათა გაფიცვა). ფაბრიკაში მუშაობა შეწყდა, მუშებმა ვერ მიიღეს დანაპირები ხელფასის დანამატი - თითო თოფ (31 არშინ) ნართზე ერთი მაური [222, 1877 წ., 2.VI].

"ივერია" იტყობინებოდა: "შარშან უფ. მირზოევმა ვითომც საქმის გამო-კეთებისათვის რუსეთიდან ასოცი კაცი ქარხნის მუშები მოიყვანა. 1-2 თვის შემდეგ ამათ ისეთი დღე დაადგათ, რომ უკან დააპირეს წასვლა და რადგა-საც უფ. მირზოევმა გზის ხარჯი არ მისცათ, უმაღლეს მთავრობას მიმარ-თეს და მთავრობამ ეს მუშები თავის ხარჯით გაისტუმრა და შემდეგ, რასაკვირველია ქარხნის პატრონს სამაგიერო გადახდევინა [215, 1877 წ., № 13].

მირზოევის ფაბრიკაში მუშათა დიდდენადობა იყო და ამიტომ ძნელ-დებოდა კონტაქტი მუშებს შორის; ამ ფაბრიკაში ხელმძღვანელის გარეშე, სტიქიურად წარმოქმნილი გაფიცვები, მუშათა მარცხით მთავრდებოდა. მუშების გაფიცვების ჩასაქრობად მეფაბრიკე არ მიმართავდა არც ადგი-ლობრივ ხელისუფლებას, და არც პოლიციას. ეს აიხსნება იმით, რომ მუშა-თა მოძრაობის ამ საფეხურზე მუშები არ იყვნენ შეკავშირებულნი, არა ჰქონდათ ორგანიზაცია და არ შეეძლოთ ერთობლივი ბრძოლა; მათზე გავლენას ახდენდა მეფაბრიკის დაპირებები ხელფასის მომატებისა და სხვა მოთხოვ-ნების დაკმაყოფილების შესახებ.

"უფ. მირზოევი, - წერდა "დროება", - ხშირად თურმე არიგებს მუშებს და ეუბნება, რომ ეს ფაბრიკა საწყალი ხალხისათვის გავმართე, რომ ლუკმა პური მოიპოვოთო" [214, 1872 წ., № 15].

1877 წლის სექტემბერში თბილისში გაიფიცნენ ზეიცერის ფაბრიკის მუშა-შეგირდები. შეგირდებმა, როგორც ამას ე. ჩოდრიშვილი გვიამბობს, ფაბრიკის მეპატრონეს ასეთი მოთხოვნა წარუდგინეს:

1. თითოეულ შეგირდს მიეცეს პურის ფული დღიურად აბაზიდან ექვს შაურამდე.

2. თითოეულ შეგირდს ეძლეოდეს ტანისამოსის ფული ორი მანეთი და ათი შაური თვეში.

3. აიკრძალოს კვირა-უქმე დღეებში მუშაობა.

4. ნება დაერთოს შეგირდებს თავისუფალ დროს ჟურნალ-გაზეთების კითხვისა [111, გვ. 82].

გაფიცვამ 3 კვირას გასტანა და მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მეპატრონე იძულებული შეიქნა მუშა-შეგირდების ყველა ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

გაფიცვების მომზადებასა და ჩატარებაში დიდი როლი შეასრულა მუშა-ხელოსანთა კავშირმა, რომლის აქტივმა და მოწინავე წარმომადგენლებმა არა მარტო თავისი აგიტაციის გავლენის ქვეშ მოაქციეს შეგირდები, არამედ გარკვეული მიმართულებაც მისცეს მათ მოთხოვნებს [66, გვ. 614]

1878 წლის თებერვალში ზუიცერის ფაბრიკაში კვლავ გაიფიცნენ მუშები, "ამ წლებში წერს მ. ჩოდრიშვილი, - ზუიცერს დიდძალი საქმეები ჰქონდა შეკვეთილი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირთაგან. განსაკუთრებით სახელმწიფო შეკვეთებს ძალიან აჩქარებდნენ. ამ დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა, მეფაბრიკეც ცდილობდა, რათა მუშებს ხანგრძლივად ემუშავნათ, შეკვეთები ჩქარა ჩაებარებინათ და ამიტომ სამუშაო დროს ერთი საათი მოუმატა. თუ წინათ მუშა დღეში 15 საათს მუშაობდა, ეხლა 16 საათი სამუშაო დრო გაუხდა და ხელფასი კი ისევ ძველი დატოვა. ამასთან, თუ წინათ დილის 5 საათზე იწყებოდა მუშაობა და საღამოს 8 საათზე თავდებოდა, ეხლა ოთხ საათზე იწყებოდა და საღამოს 8 საათამდე უნდა ემუშავნათ. ამ 15-16 საათში მხოლოდ ერთი საათი იყო დასვენება, რაც მეტად მძიმე და აუტანელი ხდებოდა მუშებისათვის. სწორედ მიზეზიც ეს იყო, რომ 16 თებერვალს, 1878 წელს ზუიცერის ფაბრიკის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს" [111, გვ. 56-37]. გაფიცულ მუშებს მეფაბრიკისაგან მოუთხოვიათ:

1. მკვეთრად დაწესდეს სამუშაო დრო - დილის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ამ სამუშაო დროში შედიოდეს დასვენება საუზმისათვის 0,5 საათი, სადილისათვის - 1,5 საათი;

2. დღიური ხელფასი გადიდდეს მანეთნახევრამდე;

3. ნარდად მომუშავეებს 20 პროცენტი მოემატოს.

4. მუშაობის აღრიცხვა წარმოებდეს საანგარიშო წიგნაკებით [111, გვ. 86-87].

ფაბრიკამ გაფიცული მუშების წინააღმდეგ ამჯერად პოლიციას მიმართა. 4 მეთაური მუშა დააპატიმრეს; გაფიცვა მაინც გაგრძელდა. თუმცა 70 მუშა ჩამოსცილდა გაფიცულ ამხანაგებს და ისევ დაუბრუნდა სამუშაოს, 30 მუშა მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. ფრიად საყურადღებო და საგულისხმოა, რომ ამ 30-მა მუშამ იმდენი ილონა, რომ აიძულა 70 კაცი კვლავ ხელი აეღოთ სამუშაოზე და, ამრიგად, გაფიცვამ ერთობლივი ხასიათი მიიღო. ახლა უფრო მეტად იგრძნეს ფაბრიკამ და მთავრობამ მუშების ძალა: მუშები მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას.

ფაბრიკანტი იძულებული გახდა დაეთმო, გაფიცული მუშათა თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, სამუშაო დრო დაყვანილ იქნა 14 საათამდე. დაპატიმრებული მეთაურები გაათავისუფლეს, მაგრამ ფაბრიკიდან დაითხოვეს. გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით.

ამ მოვლენას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე, მით უმეტეს, რომ უკმაყოფილების ნაპერწკალი მათში შეიძლებოდა გაეღვივებინათ იმ მუშებს, რომლებიც ზეიცერის ფაბრიკაში აღარ დაუშვეს და სხვა საწარმოში დაიწყეს მუშაობა [11, გვ. 86-87].

ზეიცერის ავეჯის ფაბრიკის მუშათა 1877-1878 წლების გაფიცვები, მ. ჩოდრიშვილის მოგონებებზე დაყრდნობით, ჩვენს ისტორიოგრაფიაში [171, გვ. 168-169; 67. გვ.76-79; 208. გვ. 92-93]. დადასტურებულ ფაქტად არის აღიარებული. თუმცა სხვა მასალა გაფიცვების შესახებ,

გარდა მ. ჩოდრიშვილის მოგონებისა, ჯერჯერობით ნიკვლეული არ არის.

XIX საუკუნის 70-იანი წლების თბილისის მუშათა გაფიცვები სტიქიური ხასიათისა იყო, მუშათა შეგნება ჯერაც ძალზე დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ ამ გაფიცვებს მაინც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საქართველოს შემდგომი ორგანიზებული ბრძოლისათვის. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქართველოს მუშათა მოძრაობა დაკავშირებული აღმოჩნდა ცენტრალური რუსეთის მუშათა მოძრაობასთან. მოგვიანებით იგი ამ მოძრაობის ერთ-ერთი ნაკადი გახდება.

XIX საუკუნის 70-იანი წლებში საქართველოს მუშათა გამოსვლებს ჯერ კიდევ არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ მოძრაობაზე, მაგრამ პერსპექტივა კი ფართო ჰქონდა. იგი თანდათან იზრდებოდა რაოდენობრივად და მასთან ერთად იძენდა ორგანიზებულობასა და ბრძოლის გამოცდილებას. მართლაც, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისის საზოგადოებრივ მოძრაობაში მუშათა გაფიცვებს თავისი წვლილი შეაქვს.

მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში მუშათა მოძრაობა საქართველოში, განსხვავებით რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისაგან, ძალზე სუსტი იყო. ლიტერატურაში არქივებში არ აღმოჩნდა სათანადო დოკუმენტური მასალა, რომელიც გააშუქებდა რუსეთის მუშათა კლასის წარმომადგენლების კავშირს საქართველოს მუშათა კლასთან.

საქართველოს მუშათა კლასის გამოსვლები იყო მცირერიცხოვანი და ლოკალური, ძირითადად თბილისის საწარმოებში. არ ჩანს ამ ქალაქის მუშების კავშირი საქართველოს ან ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებთან.

ყოველივე ამან სათანადო დაღი დაასვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას. ამის ძირითადი მიზეზი, ჩვენი ვარაუდით, განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით, სახელოსნო - სამრეწველო დარგების განვითარების დაბალი დონით.

საქართველოში მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობასთან ერთად ყალიბდება და ღრმავდება ანტიცარისტული იდეოლოგია. იგი ვრცელდება როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაში. ანტიცარისტულ იდეოლოგიას ქადაგებდნენ არა მარტო მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლებიც, არამედ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, უმეტეს წილად სტუდენტობა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ანტიცარისტული იდეოლოგია, როგორც საბუთებიდან ჩანს, სულ უფრო იკიდებდა ფეხს მოსახლეობაში.

1879 წლის 2 აგვისტოს სიღნაღის მაზრის მცხოვრებ მიტო გარსიაშვილს და გიგოლა ზურაბიშვილს "გასაკიცხი" საქციელი ჩაუდენიათ, რაც თურმე რამდენიმე პირის დასწრებით ხელმწიფე-იმპერატორის შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმაში გამოხატულა. ამას თბილისის სასამართლო პროკურორიც ადასტურებდა[21, გვ. 112]; 1880 წელს სიღნაღის მაზრის სოფ. ახაშენელ გლეხს აზრია მებაღიშვილს, როდესაც სადილზე ზაქარია ხელაშვილმა და სარდიონ კობიაშვილმა შესთავაზეს დაელია მეფისა და მისი ოჯახის სადღეგრძელო, მებაღიშვილს გაულანძღია ხელმწიფე-იმპერატორი[239, საქ. 2998, ფ. 5].

იმავე სიღნაღის მაზრის სოფ. მაჩხაანში მამასახლისი ზ. შანშაშვილი საჯაროდ ლანძღავდა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა ხელმწიფე-იმპერატორს, რისთვისაც იგი თანამდებობიდან გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს,[242, საქ. 429, ფ. 1-2].

1880 წლის ივნისში ქალაქ სიღნაღში ქუჩებში ანტისამთავრობო პროკლამაციები იყო გამოკრული. სიღნაღის მცხოვრებნი იმპერატორს დანძლავდნენ [239, საქ. 2646]. ქუთაისის გუბერნიის სოფლებში - კორბოულში, ამაშუკეთში (შორაპნის მაზრა) ონოღიაში (სენაკის მაზრა) და სხვ. ხარშილაძე, მალუღარიძე, ამაშუკელი, ჩარგეიშვილი, ლურსიძე, გაბუნია და სხვები საქვეყნოდ წარმოსთქვამდნენ მეფის საწინააღმდეგო სიტყვებს [299, საქ. 2553, 2559-2579]. იოსებ გაბუნია, როგორც მაზრის უფროსი იტყობინებოდა, იმპერატორზე ლაპარაკობდა შეურაცხმყოფელად... მას უთქვამს:' იარაღი რომ მომცა, პირველად მეფეს დავხვრეტდიო [236, საქ. 251, ფ. 1-3].

გორის მაზრის სოფელ მეღვრეკისის გლეხები სიდამონიძეები აჯანყებულან ხელისუფლების წინააღმდეგ. პროტესტი გამოუთქვამთ იმის გამო, რომ მემამულე არ აძლევდა მათ ნადელის გამოსყიდვის ნებართვას.

გორის მაზრის სოფ. ნიქოზის გლეხები საძაგლიშვილები საჩივრის მიმართავენ მაზრის უფროსს იმის გამო, რომ ამ სოფლის მემამულეები გლეხებს არ აძლევენ უფლებას ისარგებლონ სარწყავი წყლით "ჩვენი ბაღვენახები გვალვისაგან ამოგდების პირასაა მისული. გთხოვთ მიიღოთ ზომები და მოგვეცეს საშუალება ვისარგებლოთ წყლით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მკვლელობა, რაშიც ჩვენი დანაშაული არ იქნება". [299, საქ. 2554. ფ. 7-9].

ანალოგიური საჩივრებით მიმართავენ სოფ. ძევერის, შერთულის, ვარიანის გლეხები. გლეხების ბრძოლას თანაუგრძნობდნენ, ხშირად კი თვითონაც ებმებოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ბრწყინვალე წლების წარმომადგენლები.

მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში ღრმავდებოდა "ზედა ფენების" კრიზისი, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელი გამოხატავდა "ქვედა ფენების" უკმაყოფილებას და მოთხოვნებს.

1979 წელს დუშეთის მაზრის სოფ. არანისის აზნაური ვრ. ზანდუკელი ცარიზმის წინააღმდეგ ამხედრებდა მოსახლეობას. გრ. ზანდუკელის მოღვაწეობა ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩენია. იგი დანაშაულში ამხილეს და დააპატიმრეს. გრ. ზანდუკელმა გამოძიებას დაუდასტურა, რომ ფარულად ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას, რომლის მთავარი მიზანი ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება იყო [241, საქ. 426, ფ. 1-8].

გორის მაზრის სოფ. ბრეთის თავადი გრ. ავალიშვილი, მეფისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებაში ამხილეს და პასუხისგებაში მისცეს. იგი ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას [241, საქ. 219, ფ. 1-7].

თბილისელი თავადი რ. ფავლენიშვილი იმპერატორს ლანძღავდა; ხალხი ასეთ გაჭირვებაში რომ არის ჩავარდნილი, მისი ბრალია და პასუხიც მან უნდა აგოსო [248, საქ. 15, ფ. 5-6, 15].

რუსეთში მეორე რევოლუციური სიტუაციის აღმოცენებამ, კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებამ საგრძნობლად შეაშფოთა გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, 1878 წელს რუსეთის იმპერიაში გლეხთა მოძრაობამ მოიცვა 14 გუბერნია, 1879 - 29, ხოლო 1880-34 გუბერნია [164, გვ. 280]. იმპერიის გლეხების კლასობრივ ბრძოლაში, როგორც ზემოთ ვთქვით, თავისი წვლილი შეიტანეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებმა და ბათუმის ოლქმა.

საქართველოს მშრომელების კლასობრივი ბრძოლა შიშს ჰგვრიდა ადგილობრივ ხელისუფალთ, ისინი ცდილობდნენ აღეკვეთათ მშრომელების გამოსვლები.

მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი მოითხოვდა კავკასიისა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციისაგან, რომ მათ -

"ალეკვეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები" 255, საქ. 1656, ფ. 5

მთავრობის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო იყვნენ არა მარტო ხალხის ფართო მასები, არამედ გაბატონებული კლასის გარკვეული ნაწილი. ეს კი თავის მხრივ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ, სულ უფრო ღრმავდებოდა ზედაფენების კრიზისი.

რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბების პროცესში საგრძნობლად გაუარესდა ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა. 1875-1879 წლებში ქართველ თავადაზნაურობას დაგირავებული ჰქონდა 472 716 დესეტინა მიწა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში დაგირავებული მიწის რაოდენობა უკვე 756 ათას დესეტინას შეადგენდა [163, გვ. 59]. თავადაზნაურობის ეს ნაწილი თავისი ბუნებით ყველაზე რეაქციული იყო. ისინი მოითხოვდა მთავრობისაგან გადამწყვეტ პოლიტიკურ ღონისძიებებს. მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუნდაც გლეხობის ხარჯზედაც. მთავრობას შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო არ შეეძლო გლეხების ხარჯზე დაეკმაყოფილებინა თავადაზნაურობის ამ ნაწილის მოთხოვნები. მიწათმფლობელთა ეს ფრთა "ოპოზიციურად" იყო განწყობილი ხელისუფლებისადმი, რომლის მთავარი მიზანი იყო აეძულებინა მთავრობა წასულიყო მათთვის სასარგებლო დათმობებზე. ეს იყო შინაკლასობრივი ბრძოლის გამოხატულება, რომელიც უშუალო კავშირში იყო ქვეყანაში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის ვითარებასთან.

რევოლუციური სიტუაციის წლებში საქართველოში საგრძნობლად გამწვავდა შინაკლასობრივი ბრძოლა, რაზედაც მეტყველებს ისტორიული დოკუმენტები.

გაბატონებული კლასების წარმომადგენლები ებრძოდნენ ერთმანეთს სახნავ-სათესი მიწისათვის, ბაღ-ვენახებისათვის, ტყე-საძოვრებისათვის და ა.შ.

ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანთ კონკრეტულ ისტორიულ მასალებს, რომლებიც მეტწილად პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობით შეშფოთებული იმპერიის სამხედრო მინისტრი კავკასიის მთავარსარდალს სწერს: "ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ ამიერკავკასიაში უწესრიგობას აქვს ადგილი. ხალხი გამოდის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებით [256, საქ. 1456, ფ. 1-5].

მეფისნაცვლის მთავარსარდლის უფროსი ბარონი ნიკოლაი კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსს კ. ორლოვსკის სწერს: "კავკასიაში და კერძოდ, ამიერკავკასიაში, ადგილი აქვს სახალხო გამოსვლებს ხელისუფლების წინააღმდეგ და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ავიკვეთოთ ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები" [256, საქ. 1456, ფ. 1-5]. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ხალხის მღელვარება ხდება უმეტესად მართლმადიდებელი სარწმუნოების მქონე მოსახლეობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოება მხოლოდ ქართველებს აქვთ, ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში საქართველოზეა ლაპარაკი.

ბარონი ნიკოლაი მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ სამხედრო მინისტრმა გამოუზავნა განკარგულება, სახალხო მღელვარებისა და უწესრიგობის ასაკვეთად სამხედრო ძალები იქნეს გამოყენებული [256, საქ. 1456, ფ. 1-5].

სამხედრო მინისტრის შიში არ იყო საფუძველსმოკლებული. საქართველოში 70-იანი წლების ბოლოს დაიძაბა მდგომარეობა; მოსახლეობა აღარ ერიდებოდა და ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ებმებოდა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. საჯაროდ გამოსთქვამდე იმპერატორის შეურაცხმყოფელ სიტყვებს.

მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ არა მარტო ხალხის ფართო მასები, არამედ გაბატონებული კლასის გარკვეული ნაწილი. ეს კი თავის მხრივ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში სულ უფრო ღრმავდებოდა "ზედა ფენების" კრიზისი.

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ წარმოქმნილი "ზედაფენების" კრიზისი გაღრმავდა რევოლუციური სიტუაციის წლებში. თავადაზნაურობის შინაკლასობრივი ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ გახშირდა შეიარაღებული შეტაკებები, მკვლელობა, დაჭრა, მიწების წართმევა და სხვ.

თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა საგლეხო რეფორმის გატარებით მიღებული თანხა უმიზნოდ და უაზროდ გაანიავა. ბრწყინვალე წოდების გარკვეული ნაწილი ვერ შეეგუა ცხოვრების ახალ პირობებს. იმის მაგიერ, რომ თავადაზნაურობას მეურნეობის ახლებური გაძღოლის უნარი გამოეჩინა, პირიქით, მამულების უმეტესი ნაწილი გაყიდა, ხაზინაში ან ბანკში დააგირავა, ხელი მიჰყო პარაზიტულ ცხოვრებას.

ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: 1875-1878 წლებში ქართველ თავადაზნაურობას დაგირავებული ჰქონდა 472 716 დესეტინა, უფრო გვიან 1880-1884 წლებში 756 460 დესეტინა. უმრავლესობამ გირაოდ მიღებული ფული გაფლანგა და მამულის გამოსყიდვა ველარ შესძლო. გახშირდა მემამულეების მიერ მამულების გაყიდვა[163, გვ. 69].

გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრ. ორბელიანი უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობის ფუქსავატი და უმოქმედო ცხოვრებით [260, საქ. 62ა, ფ. 1-2].

თავადაზნაურობა არა მარტო ჰყიდდა ან აგირავებდა მამულებს, არამედ ის ერთმანეთს შორის დავისა და ფიზიკური შეურაცხყოფის საგანი გახდა.

1878-1879 წლებში თელავის მაზრის სოფლების გრემისა და საბუის თავადებს ჯორჯაძეებს შორის წარმოიშვა დავა მიწების შესახებ. სასამართლოს დიდხანს უხდებოდა გართულებული საქმის გარჩევა[246, საქ. 111]. გორის მაზრის თავადებს ამილახვრებს, ამიროვებს და ხაზინას შორის წარმოიშვა დავა, რომელიც ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზარდა და საქმის გარჩევა გაჭიანურდა 90-იან წლებამდე[246, საქ. 63].

1880 წლის ზაფხულში გორის მაზრის სოფ. წრომში თავადმა დიმ. მაჩაბელმა სთხოვა თავად ციციშვილებს უფლება მიეცათ მისთვის ესარგებლა ტყით, რომელიც ციციშვილებს უკანონოდ ჰქონდათ მითვისებული. ციციშვილებმა უარი განუცხადეს. მაჩაბელი თავის მოსამსახურეებითურთ მაინც შევიდა ტყეში, სადაც მას დახვდნენ ძმები ციციშვილები, ამირინდო და პავლე, რომლებიც მას წინ აღუდგნენ და აუკრძალეს ტყეში შეშის მოჭრა.

მაჩაბელი მათ არ დაემორჩილა. ამ დროს ციციშვილები მისცვივდნენ მას და ცემა დაუწყეს. "მე ვცადე გაქცევით მეშველა თავს, მაგრამ ძმები დამედევნენ და ცემა გააგრძელეს. კიდევ მეტი, ამირინდომ ამოიღო ხანჯალი და ჩემი მოკვლა უნდოდა. მე ვეკვეთე მას, წავართვი ხანჯალი და მოვკალი. ძმამ, პავლემ თავში კეტი დამარტყა, გონება დამეკარგა, ეგონა მოვკვდი, მაგრამ გონს რომ მოვედი, უცებ ვეცი და ისიც მოვკალი. იმ დროს იქ იმყოფებოდნენ მამასახლისი ბერიძე, მათი დედა და ბიცოლა" [246, საქ. 138, ფ. 6].

სასამართლოზე დ. მაჩაბელმა თავი დამნაშავედ არა სცნო იმიტომ, რომ ის ტყე ციციშვილებს უკანონოდ ჰქონდათ მითვისებული და მეორეც, ის, რომ ისინი დაესხნენ თავს მაჩაბელს, მკვლელობა თავდაცვის მიზნით მოხდა. ყველაზე სწორი კი ის იყო, რომ ეს მკვლელობა გაბატონებული კლასების კრიზისის გაღრმავების დამადასტურებელი საბუთი იყო.

გორის მაზრის სოფ. იგოეთისა და სამთავისის მემამულეებს ამილახვრებს, ზაალიშვილებს, სუმბათაშვილებს, ერისთავებსა და ორბელიანებს შორის წარმოიშვა დავა მიწების დასაკუთრების გამო[246, საქ. 287, ფ. 33-34]. ამავე მაზრის კავთისხევის მიწების გამო დავა წარმოიშვა თარხან-მოურავსა და საყვარელიძეს შორის[246, საქ. 284, ფ. 48]. მამულებისათვის დაობენ გორის მაზრის სოფ. რენეს მემამულეები ამილახვრები და მესხიშვილები. კავთისხევის მიწების გამო ჯავახიშვილები; სოფ. ხერვალეთის მიწებისათვის - ქარუმაძეები და კიკნაძეები[246, საქ. 281, 283]. თიანეთის მაზრის საჭავჭავაძო მიწების გამო დავა წარმოიშვა ჭავჭავაძეებს შორის. დავამ გაჭიანურებული ხასიათი მიიღო [246, საქ. 254, ფ. 25-26].

თიანეთის მაზრის სოფ. მატანის მემამულის თავად ჩოლოყაშვილისა და მეორეს მხრივ ჩოლოყაშვილ-ახმეტელის' შორის წარმოიშვა დავა მამულების გამო[246, საქ. 314, ფ. 2]. მემამულეებს უხდებოდათ სასამართლოში დამტკიცება, რომ ესა თუ ის მამული მათ საკუთრებას შეადგენდა.

ზუგდიდის მაზრის წოჯიხევის მამულების გამო წარმოიშვა დავა მემამულეების ჯორჯიკიებს, ლოლუებსა და დადიანებს შორის[246, საქ. 316]. თიანეთის მაზრის სოფ. სიონის და ღილძელაურის მამულების გამო დავა წარმოიშვა დიმიტრი იოსების ძე ჭავჭავაძესა და ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეს შორის[246, საქ. 340]. გორის მაზრის ნაბახტევის მამულების გამო დაობდნენ ბეგთაბეგოვები, თარხან-მოურავები და ავალიშვილები[246, საქ. 345, ფ. 16]. მუხრანის მამულების გამო დავა წარმოიშვა ბაგრატიონ-მუხრანსკებს შორის[246, საქ. 347].

გორის მაზრის სოფლების ოკამისა და ჩონგილარის მემამულეებს - ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონსა და ამავე სოფლების მემამულეს ივანე სუმბათაშვილს შორის წარმოიშვა დავა ჯერ კიდევ 60-იან წლებში, რომელიც გაგრძელდა დიდხანს. ივანე მუხრან-ბატონს, როგორც ბრწყინვალე წარმოშობის თავადს, მეტი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა ხელისუფლებასა და საზოგადოებაში. ბაგრატიონები და კერძოდ, ივანე მუხრან-ბატონი, დიდძალი მამულების პატრონი და სოფლის მეურნეობაში ბევრი სიახლის დამნერგავი და მამულების ახლებურად, ბურჟუაზიული გზით წამმართავი, მდიდარი თავადი ოკამისა და ჩონგილარის მთელს მიწებს ფლობდა. ამ სოფლის მიწების მფლობელობაზე თავისი პრეტენზია წამოაყენა თავადმა ივანე სუმბათაშვილმაც, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამულების ნაწილი მას ეკუთვნოდა. დავამ მწვავე და გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. შემდეგ ივ. სუმბათაშვილი გარდაიცვალა და ივ. მუხრან-ბატონმა მთლიანად დაისაკუთრა სადაო მამულები. ივ. სუმბათაშვილის ვაჟი ვლადიმერი პეტერბურგში სწავლობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ სწავლას თავი დაანება და შინ დაბრუნდა, მამულების სადაო საკითხის მოსაგვარებლად აღძრა საჩივარი. ტფილისის საოლქო სასამართლომ სადაო საკითხი გადაწყვიტა ივ. მუხრან-ბატონის სასარგებლოდ. სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ვლ. სუმბათაშვილმა იყიდა რევოლვერი და როცა სასამართლოს განაჩენი უნდა გამოეცხადებინა, სასამართლოს შენობის დერეფანში ივ. მუხრან-ბატონს დახვდა და იგი რევოლვერით მოკლა[246, საქ. 396, ფ. 10-12].

ვლ. სუმბათაშვილმა სასამართლოზე განაცხადა, რომ მან მოკლა ივ. მუხრან-ბატონი, როგორც მისი პირადი მტერი. ადამიანი, რომელიც ფლობდა დიდძალ ქონებას, სარგებლობდა თავისი მდგომარეობით, საზოგადოე-ბის ყველა ფენაში ივ. მუხრან-ბატონი ყოველთვის ცდილობდა დაემორჩილებინა თავისი მოწინააღმდეგე და ყველა სიკეთეს დაპატრონებოდა. მას უნდოდა ეყიდა სუმბათაშვილის სახლ-კარი და მამული. ამან აიძულა ვლადიმერი მოეკლა ივ. მუხრან-ბატონი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ივ. მუხრან-ბატონი და ვლ. სუმბათა-შვილი ნათესავები ყოფილან, 20 წლის ვლადიმერს დიდი ხანია ჩაფიქრებული ჰქონია ივ. მუხრან-ბატონის მოკვლა. გადაწყვეტილება მიიღო მაშინ, როცა მას მუხრან-ბატონმა სასამართლოზე შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც საბუთებში წერია, ჯერ კიდევ 1856 წელს ივ. მუხრან-ბატონსა და სუმბა-თაშვილს თანაბრად გაუყვიათ მამულები, მაგრამ ივ. სუმბათაშვილის სიკვდილის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. მუხრან-ბატონი დაე-პატრონა მამულებს. ივ. სუმბათაშვილის ოჯახს დიდი ვალები დარჩა და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ვ. სუმბათაშვილს უნდოდა მძიმე მდგომა-რეობიდან თავის დაღწევა, მაგრამ ამას წინ აღუდგა ივ. მუხრან-ბატონი [246, საქ. 396, ფ. 10-16].

თბილისის მაზრის სოფ. ქველთას (მანგლისი) მამულების გაყოფაზე მწვავე დავა წარმოიშვა თავად ბებუთაშვილებს შორის. ეს მამულები ეკუთვნოდა ბარათაშვილებს[246, საქ. 334, ფ. 6].

გორის მაზრის სოფ. სასხორის მამულების გამო დავა წარმოიშვა მემამულე გედევანიშვილებს, ელიოზიშვილებს, ციციშვილებს, მელიქიშვი-ლებს, ყარანგოზიშვილებს, კარგარეთელებსა და ივ. მუხრან-ბატონს შორის. დავამ მიიღო ხანგრძლივი, გაჭიანურებული ხასიათი[246, საქ. 337, ფ. 13-14]. გორის მაზრის სოფ. ყინწვისის მამულების გამო დაობდნენ ციციშვილები 246, საქ. 439 თელავის მაზრის საბუეს, ალვანის, განჯათხევის და ენისელის მიწების გამო წარმოიშვა დავა ჯორჯაძეების,

ერისთავებისა და ყვარლელ ჭავჭავაძეებს შორის[246, საქ. 343, ფ. 39-40]. გორის მაზრის ოსიაურის მიწების გამო დაობდნენ მემამულე ლეონიძეები, ვეზირიშვილები და ციციშვილები[246, საქ. 441, ფ. 3, 33].

იმავე მაზრის სოფ. სანებლის მიწების გამო წარმოიშვა დავა მემამულე მიხ. მელვინეთუხუცესს, ეკატ. სუმბათაშვილს და ალ. ყიფიანს შორის[246, საქ. 446, ფ. 13-14].

XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში, უმეტეს წილად კი აღმოსავლეთ საქართველოში არ არსებობდა არც ერთი სოფელი, სადაც გამწვავებული დავა არ ყოფილიყო თავადაზნაურობას შორის მიწის ნაკვეთების კანონით თუ უკანონოდ ხელში ჩაგდებისათვის. რომ არაფერი ვთქვათ მემამულეებისა და გლეხების უამრავ დავა-საჩივრებზე, რომელიც ესოდენ გახშირებული იყო იმ დროის საქართველოს თითქმის ყველა სოფელში.

გორის მაზრის თავად ნინო ჯამბაკურ-ორბელიანს, მანანა ერისთავს და ლუარსაბ ერისთავს საჩივარი შეაქვთ მომრიგებელ მოსამართლე კვალიაშვილზე იმის გამო, რომ სოფლების ბელოთის, საცხენეთის და ვანათის მიწები, რომელიც მათი საკუთრება იყო, გადაეცა სოფლების საზოგადოებას [251, საქ. 64, ფ. 2-3]. გორის მაზრის სოფ. ბობნევის მემამულეს ქეთევან ორბელიანს თავისი მამული ვალების გამო გაუყიდია. მამული შეუსყიდია უცხო პირს პეტრე სუმბათოვს[251, საქ. 993, ფ. 4, 5, 10].

თელავის მაზრის მემამულე გიორგი ჯორჯაძე სწერს ძმას დიმიტრის, რომ დიდი ვალები რომ გაქვს აღებული და გადახდის არავითარი საშუალება არ გაგაჩნია, ქალაქში რომ სახლი გაქვს, პრიკაზში დააგირავე და ფული გამოიტანე, თუ ესეც არ გეყოფა, ყუბანის მამულები გაყიდე, საქართველოს მამულებს ხელი არ ახლო[263, საქ. 58, ფ. 1].

გორის მაზრის ბუჟირისის მამულების გამო გამწვავდა ურთიერთობა თავადებს სუმბათაშვილებს, ერისთავებს, გარაყანიძეებს, ჯამბაკურ-ორბელიანებსა და რატიშვილებს შორის[146, საქ. 308, ფ. 31-33].

გორის მაზრის სოფ. ბელოთის, საცხენეთისა და აწრიხევის მიწების გამო დავა წარმოიშვა თავადებს ნინო ჯამბაკურ-ორბელიანს, მანანა ერის-

თავსა და ლუარსაბ ერისთავს შორის. სოფ. წრომის მამულების გამო ციციშვილებსა და ტატიშვილებს შორის [251, საქ. 54, ფ. 37]. სოფ. სანებლის მემამულეების, მეღვინეთუხუცესებს, სუმბათაშვილებს, სოფ. ოსიაურის - ლეონიძეებს, ვეზირიშვილებს, ციციშვილებს და ავალიშვილებს, ქარელისა და ყინწვისის მემამულეების, ციციშვილებს, სოფ. სასხორისა და ნიჩბისის ბედევანიშვილებს, ელიოზიშვილებს, ციციშვილებს, ბაგრატიონებს, მელიქიშვილებს, ყარანგოზიშვილებს და კარგარეთლებს შორის [246, საქ. 449, ფ. 34, 35, 37, საქ. 446, ფ. 13-14, საქ. 44, ფ. 3, 33, საქ. 439, 440].

სოფ. იგოეთის მიწების გამო დავობენ ზაალიშვილები და ხაზინა, ტფილისის მაზრის ქვეშაას მამულებისათვის - ბებუთიშვილები [246, საქ. 391, 392].

1850 წლის აპრილში ზუგდიდის მაზრის სოფლების ზუმისა და ზანის თავადების აფაქიძეებსა და ჩიჩუებს შორის წარმოიშვა ისეთი უთანხმოება და გაცხარებული დავა, რომ ცეცხლსასროლი იარაღიც კი გამოიყენეს. მემამულეებმა დავაში ჩააბეს თავიანთი გლეხებიც, მოხდა შეიარაღებული შეტაკება, სროლის დროს მოკლეს გლეხი ქვარცხავა [246, საქ. 262, ფ. 3-5]. ასევე გართულებული მდგომარეობა შეიქმნა სოფ. ხიბულაში თავადებს კონსტანტინე დადიანს, ჩიჩუებსა და შარვაშიძეს შორის [246, საქ. 293, ფ. 13]. მსგავსი ვითარება იყო საქართველოს თითქმის ყველა სოფელში. ვერ ნახავდით ვერც ერთ სოფელს, რომლის მიწები არა მარტო გლეხების, არამედ მემამულეების გააფთრებული დავის საგანი არ ყოფილიყოს. მემამულეების ეს ბრძოლა ასუსტებდა გაბატონებული კლასის საფუძველს. მაგრამ იგი არ იყო ძირითადი, თუმცა ისეც უწყობდა ხელს დაძაბულობის გაღრმავებას.

როგორც უკვე ვთქვით, მშრომელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რამაც 70-იანი წლების ბოლოს კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, შექმნა რევოლუციური სიტუაცია თავის ყველა ნიშნებით. ხელისუფლება იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო და ზოგიერთი

ლონისძიება განეხორციელებინა. ნაადრევმა რევოლუციურმა მოძრაობამ გაბატო-ნებული კლასი უძლური გახადა "უცვლელი სახით შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა". ზოგიერთი ცვლილება, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა, წარმოადგენდა არა მთავრობის ზრუნვას, არამედ რევოლუციური ბრძოლის ნაყოფს.

რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მასების აქტი-ვობის ზრდა, კლასთა ბრძოლის აღმავლობა იყო, რომელსაც მთავრობამ ძალე-ბის მაქსიმუმი დაუპირისპირა. მშრომელი მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იმდროინდელი საზოგადოების რევოლუციური მოძრაობის მასაზრდოებელი წყარო იყო. საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისის რევოლუციური სიტუაცია იყო სრულიად რუსეთის რევოლუციური სიტუაციის შემადგენელი ნაწილი.

### § 3. ხალხოსნური მოძრაობა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში

საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ზოგიერთი ავტორის შეხედულებებით, ხალხოსნური მოძრაობას საქართველოში მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. მათი სიტყვით, ეს ზედაპირული და მტკიცე საფუძველს მოკლებული მოვლენა უკვალოდ გაქრა 1876 წელს, როდესაც ჟან-დარმერიამ გაანადგურა ქართველი ხალხოსნების პირველი არალეგალური ორგანიზაცია და დააპატიმრა მისი თითქმის ყველა თვალსაჩინო წევრი. ასეთ მოსაზრებას ავითარებდა, მაგალითად, ფ. მახარაძე, მისი აზრით, რუსეთის რევოლუციურ წრეებში მომუშავე ქართველმა ახალგაზრდებმა - ი. ჯაბადარმა, გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილმა, მ. ჩიკოიძემ, ა. ციციშვილმა, მ. ყიფიანმა, ა. გამყრელიძემ და სხვ. სცადეს ხალხოსნური იდეების ჩვენს ქვეყანაშიც დანერგვა და მათ ამ მიმართულებით კიდეც გადადგეს

სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები. მაგრამ, "ხალხოსნურმა მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში და ორგანიზაცია, რომელიც ამ მიმართულების იდეებს გამოხატავდა, გაქრა ისე, რომ არ დარჩა მისი არსებობის არავითარი კვალი, გარდა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს არქივში დაცული ვრცელი მოხსენებისა ქართველი ხალხოსნების მოქმედების შესახებ 1873-1876 წლებში" [170, გვ. 57].

ზემომოტანილი მოსაზრება კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოთქმული ც. მახარაძის მეორე ნარკვევში - "თბილისის ორგანიზაციის ოცდაათი წლის არსებობა". "უნდა ითქვას, - ვკითხულობთ ამ ნარკვევში, - რომ საქართველოს ფარგლებში... ხალხოსნური მოძრაობის შეჩერება მთავრობის რეპრესიების გატარებით შედარებით უფრო ჩქარა მოხდა, ვინემ თვით რუსეთში. 1876 წლის შემოდგომის შემდეგ ეს მოძრაობა ჩვენში უკვე წელში გადატეხილი იყო, იმას ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლო. მთავრობამ მიფანტ-მოფანტა და გადაასახლა საქართველოდან ხალხოსნური ორგანიზაციის უმთავრესი ხელმძღვანელები; დარჩენილებმა თანდათან ხელი აიღეს ხალხოსნურ იდეებზე, სოციალიზმის ქადაგებაზე, გლეხთა აჯანყების მოწყობაზე; ისინი უბრალო ლიბერალები შეიქმნენ, ან კიდევ პირდაპირ შავრაზმელებად იქცნენ. საუკეთესო ნაწილი დარჩენილებს შორის შეუდგა კულტურულ მუშაობას ან მოთხრობების წერას გლეხების ცხოვრებიდან, რისთვისაც დაიმსახურეს ტეტიების მოტრფიალეთა სახელი" [230, № 1, გვ. 6-7].

ასევე ფიქრობდა ამ საკითხზე არჩ. ჯორჯაძე; მისი აზრით, მართალია, საქართველოში არსებობდა ხალხოსნური ლიტერატურა, მისი წარმომადგენლები იყვნენ ს. მგალობლიშვილი და ნ. ლომოური, მაგრამ საზოგადოებრივ მოძრაობაში "ნაროდნიკული მიმართულება" არ შექმნილა, რადგანაც "ჩვენში არ იყო ის ცოცხალი და კონკრეტული სოციალისტური მოძღვრება "თემი", რომლის იდეოლოგიაზედაც აშენდა რუსეთში მწყობრი სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა" [133, წ. 2, გვ. 29].

დაახლოებით ასეთსავე მოსაზრება გამოთქვა პროფ. ვ. ბახტაძემ. მისი აზრით, თემური ელემენტი, რომელიც საქართველოში მხოლოდ აქა-იქ იყო შემორჩენილი და მაშასადამე, სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, არ შეიძლებოდა "ყოფილიყო მყარი საყრდენი ხალხოსნური მოძრაობისა" ჩვენში. ამიტომ, ბუნებრივია, ამ არასაიმედო ნიადაგზე დაყენებული მიმდინარეობის ამოძირკვა ძნელი არ იყო და მთავრობამაც შედარებით იოლად მიაღწია მას. "1876 წლის რეპრესიებმა გაანადგურეს ხალხოსნური მოძრაობა. დარჩენილმა ხალხოსნურად განწყობილმა ინტელიგენტებმა ხელი მიჰყვეს ზოგად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას" [143, გვ. 191].

ფ. მახარაძის, ა. ჯორჯაძისა და ვ. ბახტაძის დებულება სინამდვილეს არ შეეფერება. ჟანდარმთა სამმართველოს მასალები და მემუარული ლიტერატურა ერთხმად ადასტურებს, რომ 1876 წლის კატასტროფას ხალხოსნების რევოლუციურ-პროპაგანდისტული საქმიანობის შეწყვეტა არ გამოუწვევია. მხოლოდ რამდენადმე შეასუსტა. შიო დავითაშვილის მოწმობით, სწორედ საიდუმლო ორგანიზაციის ჩავარდნის შემდეგ უცდიათ ქართველ ხალხოსნებს პროპაგანდა თბილისის მუშებისა და ხელოსნების წრეში, რკინიგზის მუშებში და სოფლად მოწინავე აზრების უვრცელებიათ. სოფლად რევოლუციურ საქმიანობაში სოფლის მასწავლებლობა ჩაბმულა. "გორის მაზრაში – წერს შ. დავითაშვილი, – 1878 წლიდან რამდენიმე ახალი სკოლა დაარსდა. მასწავლებლებად სემინარიადამთავრებული ან იქიდან თავდანებებული თუ გარიცხული ახალგაზრდები იყვნენ. ყველას კარგად ვიცნობდი. როდესაც გორში ან ჯამაგირის მიღება ან სხვა საქმე გამოუჩნდებოდათ, სულ ჩემთან მოდიოდნენ. კარგად მახსოვს: მ. ნაიაძე, თეოფილე კარდელაკი, გრიგოლ ყიფშიძე, იოსებ ცხვედაძე, ალექსანდრე გაგლოშვილი, ლადო გუდისაშვილი, ზაქარია გულისაშვილი, იოსებ კიშორიძე, დავით კაპანაძე, ზაქარია ოქრუაშვილი, ნიკო ხუციშვილი, თავის პირდაპირ დანიშნულების გარდა, ეს მასწავლებლები ხალხში რევოლუციურ აზრებს ავრცელებდნენ" [illegible], გვ.

მთავრობის მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა ვერ ჩაკლა ხალხოსნური მოძრაობა. 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობა საგრძნობლად გაიშალა. მან იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მთავრობას მასთან საბრძოლველად ძალების მაქსიმალური მობილიზაცია დასჭირდა. 1877-1880 წლებში საქართველოში ძლიერდება რუსი ხალხოსნების - "ზემლევოლცების" გავლენა [175, 176].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველი ხალხოსნების იდეოლოგია და რევოლუციურ-პრაქტიკული საქმიანობა რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის სრულ ანალოგიას წარმოადგენდა. საქართველოშიც იყვნენ "ზემლევოლცები", "ნაროდოვოლცები", "ტერორისტები" და "ჩორნოპერედელცები".

რევოლუციური იდეების გავრცელებას ადგილი ჰქონდა მეფის დასაყრდენ სამხედრო ნაწილებშიც კი.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს კავკასიის არმიის ზოგიერთ ნაწილში ავრცელებდნენ რევოლუციური შინაარსის ლიტერატურას. გენერალ-ადიუტანტი ნეპოკოიჩიცკი 1878 წლის 31 იანვარს ქალაქ ადრიანოპოლში მე-9 კორპუსის მეთაურს სწერს: "ერთ-ერთ სახლში, რომელიც განკუთვნილი იყო ჯარისკაცებისათვის ადრიანოპოლში, აღმოჩნდა ლითოგრაფიული პროკლამაციის რამდენიმე ეგზემპლარი აღმაშფოთებელი შინაარსით. თქვენი კორპუსის მეთაურებმა უნდა გააძლიერონ მეთვალყურეობა, რათა ჯარისკაცებს შორის ადგილი არ ჰქონდეს რაიმე ფურცლების გავრცელებას, რომლებსაც ავრცელებენ პოლიტიკურად არასაიმედო პირნი. ამასთანავე სანიმუშოდ გაახლებთ გავრცელებული პროკლამაციის ერთ ეგზემპლარს: "Братьям в русском войске" [223, № 5, გვ. 83-84].

იგივე ნეპოკოიჩიცკი 1878 წლის 3 თებერვალს სწერს მე-9 კორპუსის მეთაურს, რომ მთავარ შტაბამდე მოაღწია ცნობამ ჯარისკაცთა შორის აკრძალული წიგნების გავრცელების შესახებ. ეს წიგნები გარეგნულად ყურადღებას არ იქცევდნენ, რადგან მათზე აღნიშნული "ცენზურისაგან

ნებადართულია". საჭიროა ყურადღება მიაქციონ, რომ ჯარისკაცებმა არ წაიკითხონ რევოლუციური ლიტერატურა.

1878 წლის 21 მაისს ქ. ადრიანოპოლის მე-4 უბნის უფროსის თანაშემწეს პრაპორშჩიკ რიკოვსკის სასტუმროს ნომერში აღმოუჩენია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე აკრძალული წიგნებისა და გაზეთების მთელი საწყობი [223, 1959 წ., № 6, გვ. 83-84].

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, რუსეთ-თურქეთის ომისა და მის შემდგომ პერიოდში არა მარტო მოსახლეობაში იზრდება ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება, არამედ ჯარის ნაწილებშიც. რევოლუციური სულისკვეთება სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია კავკასიის არმიის ნაწილებში ჯარისკაცების დიდი დაინტერესება რევოლუციური ლიტერატურით.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საზოგადოებრივმა მოძრაობამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მთავრობას მასთან საბრძოლველად ძალების მაქსიმუმის მოშველიება დასჭირდა.

როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე ამბობდა, "ახალ თაობას არ შეეძლო მეფე ალექსანდრე II-ის ცრურეფორმატულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა და დაეწყო ურთიერთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ორ ბანაკს შორის შეუძლებელია რაიმე მორიგება, წარმოუდგენელია ოდნავი დათმობაც კი, გარდა მოქმედების ასპარეზის დათმობისა. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი დაუნდობელი და შეუბრალებელია... ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ალექსანდრე II-ის მთავრობა მოწინააღმდეგე იყო, არის და იქნება ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ყოველგვარი მოძრაობისა" [129, გვ. 47]. კვლავ რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ხელისუფლებას ეს არ გამოპარვია და თადარიგს შეუდგა, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი აფეთქება.

კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსი თბილისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელს გაგაჰინს სწერს, რომ პოლიტიკურ დამნაშავეებს უნდა დაუწესდეს გაძლიერებული კონტროლი და არ მიეცეთ სახოვრებელი ადგილიდან თავისუფალი გასვლის უფლება მაზრის უფროსის ან პოლიციის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. ახლა ისეთი პერიოდია, როდესაც მთელ იმპერიაში ძლიერდება იმპერატორისა [illegible] ბილების წინააღმდეგ მასობრივი მოძრაობა, ხელისუფლება შეშფოთებულია ხალხის რევოლუციური გამოსვლებით [241, საქ. 271, ფ. 1-2]

ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ საზოგადოებრივი ძალების აღზნებაში ნაროდნიკებს დიდი წვლილი მიუძღოდათ. ქართველი ხალხოსნების ორგანიზაციების ჩავარდნის შემდეგ მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რათა ხელი შეეშალა რევოლუციონერთა საქმიანობისათვის, აღეკვეთა საშიში აზრების გავრცელება; მიეგნო და ამოეძირკვა საიდუმლო წრეები და უზრუნველეყო სრული "წესრიგი" და "მყუდროება". ხელისუფლებამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ქართველმა ხალხოსნებმა, მიუხედავად რეპრესიებისა, მაინც გააშალეს თავიანთი მუშაობა და შეუპოვარი ბრძოლა განაგრძეს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვლავ შეიქმნა საიდუმლო წრეები, რომლებიც ნაროდნიკული მიმართულებისა იყვნენ, და მის პროგრამას იზიარებდნენ.

"ჩვენ გვინდოდა ჩვენი მუშაობა უფრო გაგვეჩაღებინა, რომ რუსეთის საერთო მუშაობას არ ჩამოვრჩენოდით." [64, გვ. 87]. საქართველოში არ ჩამქვდარა ხალხოსნური მიმართულების წრეების ჩამოყალიბება; მან უფრო მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. დაპატიმრებამ გამოარჩენილ ხალხოსნებს დიდი პატივისცემა და აღიარება ჰქონდათ. საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა საზოგადოებრივი მოძრაობის რევოლუციურ-ანარქისტული მიმდინარეობის ერთ-ერთმა მონაწილემ სვ. სალარიძემ, რომელიც 70-იანი წლების ბოლოდან აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ მოძრაობაში.

სვ. სალარიძის მოწმობით, 1877 წელს გორში ბ. ზედგენიძის მეკე-ლის ბინაში ვარლამ ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა კონსპირა-ციული კრება, რომელსაც დაესწრნენ სვ. სალარიძე, გოლა ჩიტაძე, ვ. ჯუხი-ლაძე და სხვები. ვ. ჩერქეზიშვილის ქადაგება ჩვენთვის გაუგონარი და მიუწვდომელი იყო. ჩვენ, პოლიტიკურ ახალგაზრდობას, პირველად ვესმა მარქსის და ენგელსის, ბაკუნინისა, პრუდონისა, ლუი-ბლანისა და კრო-პოტკინის სახელები, რომლებიც გვილებდნენ ოქროს საუკუნის კარებს...

1879 წელს გორის ღარიბ მეჩურჩლეთა ზემო უბანში მე მოვაწყე თავისუფლად მოაზროვნე რამდენიმე ამხანაგობისაგან საიდუმლო წრე. ამ წრეში ჩვენ ვკითხულობდით ჩერნიშევსკის, რ. ოუენისა და მოლე-შოტის წიგნებს. ვიკრიბებოდით კვირეულ რეფერატებზე, გავაბით კავშირი გორის მეჩურჩლე მუშებს შორის და დავაარსეთ საკუთარი "ძმობა", საღაც ინახებოდა აკრძალული წიგნები. ვეწაფებოდით და ვავრცელებდით "Народной воли"-ს პროკლამაციებს" [227, გვ. 96-102].

სვ. სალარიძის მიერ ჩამოყალიბებული წრე გასცდა გორის ფარგლებს. 1881 წლის დასაწყისში მის მუშაობაში ჩაებნენ თბილისის არალეგალური წრეების წევრები ა. ხახანაშვილი და ა. გარსევანიშვილი. ა. გარსევა-ნიშვილის ბინაზე მოეწყო რამდენიმე კონსპირაციული კრება, კალანდაძის სტამბაში დაიბეჭდა პროკლამაცია. წრის წევრებმა წამოაყენეს ლოზუნგი "მდიდრებმა დატოვონ სიმდიდრე და იგი გადავიდეს ღარიბების ხელში!" [227, გვ. 100-101].

სვ. სალარიძე თავის მოგონებებში გვაწვდის სხვა საინტერესო ცნობას. გორის მაზრის სოფ. ვაყაში რევოლუციონერ გ. სალამატის ოჯახში ჩატარებულა კრება, რომელსაც დაესწრნენ გლეხები და ორი რკინიგზის მუშა. კრების ზოგიერთი მონაწილე უარყოფითად შეხვდა იმპერატორის კრიტიკას [227, გვ. 101].

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ლიდერებს რომ დიდი გავლენა ჰქონიათ, იქიდანაც ჩანს , რომ მათი სახელები პოპულარობით სარგებლობ-და.

სოფ. ჩიბათში, სვ. სალარიძის სიტყვებით, გურიაში იგი შეხვდა გლეხებს და ჰკითხა მათ, ვინაა ისიდორე ქიქოძე, რომლის სახელი ისმოდა გურიის ყველა გზაჯვარედინზეო - ისიდორე გლეხების გულშემატკივარია, მას ჩვენი ხალხი ემადლიერება, - უპასუხა ღიმილით ერთმა ახალგაზრდამ [227, გვ. 99].

ხალხოსანმა სამსონ კანდელაკმა გლეხებს გადასცა "ზღაპარი ოთხ ძმაზე", "რა უნდა აკეთოს ხალხმა". გურიაში ცნობილი ყოფილა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ვანო ლიაძე, იგი რევოლუციური ნოლვაწე იყო. სასწავლებელში მას შეუქმნია და ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა ბუნტარულ წრეს[227, გვ. 100].

1880 წლის 19 იანვარს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსი პეტერბურგს ატყობინებს, რომ 1876 წელს ამიერკავკასიაში, კერძოდ, თბილისსა და ქუთაისში აღმოჩენილია მთავრობის საწინააღმდეგო საიდუმლო პარტია, რომლის ამოცანებს შეადგენდა აქაურ მოსახლეობაში ეწარმოებინა ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდისტული საქმიანობა, ავრცელებდა აკრძალულ ლიტერატურას, თარგმნიდა ქართულ ენაზე წიგნებსა და ბროშურებს, მოწყობილი ჰქონდა ტიპოგრაფია, ამით მოსახლეობას აბამდა რევოლუციურ მოძრაობაში. ამ პარტიის წევრებიდან 37 კაცი დააპატიმრეს და თითქმის ალკვეთეს მათი საქმიანობა. თითქოს ამით დამთავრდა ამ პარტიასთან ბრძოლა, მაგრამ ახლა შევიტყვეთ, რომ თბილისში ყალიბდება ახალი რევოლუციური წრე, გვაქვს ცნობები, რომ თბილისის ერთ-ერთ წიგნის მაღაზიასთან არსებობს საიდუმლო ბიბლიოთეკა, რომელიც ეკუთვნის ამ სოციალისტ-რევოლუციურ წრეს. ამ ბიბლიოთეკაში გაერთიანებული არიან და აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის შუა გუბერნიიდან ჩამოსული პირები, რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობის ფართოდ გაშლებისათვის მათ თბილისის ახლოს სოფელში გაუმართავთ საიდუმლო ტიპოგრაფია. საჭიროა სასწრაფოდ იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები[238, საქ. 5916, ფ. 3-4].

როგორც შემდეგი საბუთებიდან ჩანს, ამ წრის აქტიური წევრები ყოფილან ვლადიკავკაზელი მასწავლებელი ალიკოვი, რუსეთის შუა გუბერნიიდან ჩამოსული პოპოვი და გორის მაზრის ქვემო ჭალის მასწავლებელი რუხაძე, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა და ამ წრის მეთაურად ითვლებოდა[249, საქ. 71, ფ. 50-51, 53].

რევოლუციური მუშაობის ფართო პროპაგანდის ორგანიზაციისათვის ზემოთ ჩამოთვლილი პირები მოსახლეობაში ფულს აგროვებდნენ რევოლუციური ლიტერატურის გამოსაცემად.

1881 წლის დამდეგს თბილისში პოლიციამ მიაგნო საიდუმლო ორგანიზაციას - "თავისუფალი საზოგადოების ახალი სოციალური წყობილება", რომელშიც გაერთიანებული იყვნენ თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები. ეს ორგანიზაცია თავის წევრებს მოუწოდებდა აქტიურად ემოქმედათ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში[241, საქ. 912, ფ. 1].

გიმნაზიის მოსწავლეს მიხ. ვიზიროს მამამ უპოვნა ანონიმური წერილი: მიხეილს სთხოვდნენ ორგანიზაციაში შესულიყო. მამას ეს წერილი პოლიციაში მიუტანია, რის შემდეგაც პოლიციამ გააძლიერა ბრძოლა ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ; ორგანიზაციამ მოქმედება შეწყვიტა[241, საქ. 912, ფ. 3].

იმავე 1881 წლის დასაწყისში თბილისის საფერშლო სკოლის მოსწავლემ პეტრენკომ მიიღო წერილი "ნაროდნაია ვოლიას" კომიტეტისაგან. წერილში ეწერა: გადაეცით ყველას, მეფის მთავრობა ხალხს ატყუებს. მან ბევრი უბედურება მოუტანა მას, იგი სჩადის ბოროტებას ადამიანების მიმართ. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ ერთად მოვთხოვოთ მეფეს:

1. საყოველთაო ამნისტია ყველა პოლიტპატიმარს, რომლებსაც პოლიტდანაშაული კი არ მიუძღვით, არამედ მათ შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

2. მოწვეულ იქნას სრულიად რუსეთის ხალხის წარმომადგენლობა, რომელმაც უნდა გადასინჯოს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების არსებული ფორმა და იგი უნდა გადააკეთოს ხალხის სურვილის მიხედვით.

3. უნდა მოეწყოს თავისუფალი არჩევნები: დეპუტატები გაიგზავნება ყველა კლასისა და წოდებისაგან, მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

4. არავითარი შეზღუდვა არ უნდა იყოს არც ამომრჩევლებისა და არც დეპუტატებისა.

5. საარჩევნო აგიტაცია უნდა მოეწყოს აშკარად. ამიტომ სახალხო კრებამ, სანამ გადაწყვეტილებას გამოიტანს, უნდა დაუშვას ბეჭდვის, სიტყვის, დემონსტრაციების მოწყობის სრული თავისუფლება, საარჩევნო პროგრამის სრული თავისუფლება.

ეს არის ერთადერთი საშუალება, რითაც რუსეთი დაადგება სწორ და მშვიდობიანი განვითარების გზას. საზეიმოდ ვაცხადებთ მშობლიური ქვეყნისა და მთელი სამყაროს წინაშე, რომ ჩვენი პარტია თავის მხრივ უსიტყვოდ არ მისცემს არავის უფლებას გადაუხვიოს მას[249, საქ. 52].

მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა რევოლუციონერთა საქმიანობისათვის, საშიში და მავნე აზრების გავრცელებისათვის, საიდუმლო წრეების შექმნისათვის, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მიუხედავად რეპრესიებისა, რევოლუციონერები მაინც ახერხებდნენ ფარული წრეების შექმნას. ერთი ასეთი ნაროდოვოლცური წრე ჩამოყალიბებულა თბილისში 1881 წლის ზაფხულში მე-16 მეგრულ პოლკში. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ პეკარსკის პატაკიდან ჩანს, რომ დასახელებული საიდუმლო წრის წევრები ყოფილან ამავე პოლკის ოფიცრები. მანუხინი, ლ. ლიპმანი, ალ. ანტონოვი, ნიკ. ალიხანოვი, არჩ. ციციშვილი, ელ. დერჟანოვსკი, ს. ვაჩნაძე, ნ. მიტნიკი, სამოქალაქო პირები - აგრონომი ალ. ელიოზიშვილი, რკინიგზის მაღალი თანამდებობის პირი პაველ იაკიმოვი, მეტყევე ვიქ. მელენჩუკი, ალ. ნანეიშვილი, მარიამ მერვაშიძე, თბილისის რეალური გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე ტერ-გრიგორიანცი, სტ. ჭრელაშვილი[92, გვ. 620-621]. ამავე დროს ჩამოყალიბდა ნაროდოვოლცების მეორე წრე გოლა ჩიტაძის მეთაურობით. ამ წრეში მიიზიდა არა მარტო მოსწავლე-ახალგაზრდები, არამედ ზოგიერთი მუშაც [94, გვ. 143].

საიდუმლო ორგანიზაციის შექმნა-ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია ცნობილ რევოლუციონერ ქალს ანნა პრიბილევა-კორბას, რომელიც "ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით 1881 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოსულა. იგი სტ. პრელაშვილის მეშვეობით პორუჩიკ ალ. ანტონოვს გასცნობია და საიდუმლო წრის შექმნა შეუთავაზებია. ანტონოვს წინადადება მიუღია და ახლო ამხანაგებისათვის გაუნდვია. მალე შედარებით ვიწრო, ფარული საზოგადოება შექმნილა[249, საქ. 64, ფ. 13-14, 91, გვ. 620-621]. ფარული საზოგადოება რევოლუციურ ლიტერატურას და "ნაროდნაია ვოლიას" ფურცლებს ანნა პრიბილევა-კორბასაგან ღებულობდა. საზოგადოება დაუახლოვდა პოლკის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ერთ-ერთ სხდომაზე ანნა პრიბილევა-კორბას თხოვნით მიუმართავს დამსწრეებისათვის მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ ნაროდოვოლცური ცენტრისათვის, რათა ამ უკანასკნელს განეხორციელებინა ყველა საჭირო, პირითად ამოცანასთან დაკავშირებული ღონისძიება[249, საქ. 64, ფ. 5]. კრების მონაწილეებს მხურვალედ მიუღიათ წინადადება და ოთხ მათგანს (ლიპმანს, ანტონოვს, ალიხანოვსა და ციციშვილს) იქვე ასი მანეთი გაუღია. ეს თანხა მათ სტამბის გასამართავად გამოუყენებიათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ[21, გვ. 117].

ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელად ანნა პრიბილევა-კორბა იყო, მიზნად ისახავდა არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მოსპობა-განადგურებას და სამართლიან საფუძველზე მოწყობილი საზოგადოებრივი ცხოვრების დამყარებას.

საიდუმლო წრე ჯერ კიდევ შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, როცა მისმა წევრებმა გამცემლებმა, პორუჩიკმა ანისიმოვმა და საქართველოში პეტროვის გვარით ჩამოსულმა, ცნობილმა პროვოკატორმა "ნაროდნაია ვოლიას" ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სერგეი პეტრეს ძე დეგაევმა დაასმინეს[249, საქ. 64, ფ. 22-23]. ოფიციალური მასალებისა და შ. დავითაშვილის ცნობით, ჟანდარმერიამ დააპატიმრა რევოლუციური წრის წევრები - მანუხინი, იოსები ლიპმანი, ალ. ანტონოვი, ნიკ. ალიხანოვი,

არჩ. ციციშვილი; ს. ვაჩნაძე, მიტნიკი, ვლ. დერჟანოვსკი, ალ. ელიოზიშვილი, ვიქ. მელენჩუკი, ე. იოსელიანი, სტ. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი, მარიამ შერვაშიძე და სხვ. ზოგიერთ მათგანს - მ. შარვაშიძე, ე. იოსელიანს, სტ. ჭრელაშვილს, ალ. ნანეიშვილს, შორეულ მხარეში გადასახლება მიუსაჯეს[232, გვ. 77-80; 54, გვ. 97-98].

ხალხოსნური მოძრაობის მეორე ცენტრი იყო გორი. აქ [illegible] საქმიანობა ახალი ძალით განსაკუთრებით 70-იანი წლების ბოლო გაშლილა, როდესაც გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებულა მ. ყიფიანი[54, გვ. 82]. გორის ხალხოსანთა ერთი ჯგუფი - ს. მგალობლიშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ა. თულაშვილი, შ. გულისაშვილი, დ. ჯულაშვილი, ს. ბურჯანაძე, შ. დავითაშვილი, ქ. დავითაშვილი, ს. მალალაშვილი, მ. ივანიშვილი (დემურია) და სხვ.[54, გვ. 76]. ეს ჯგუფი ლეგალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებისა იყო.

გორში შექმნილა კონსპირაციულად მოქმედი რევოლუციურ-ხალხოსნური ჯგუფი, რომელმაც თავის ხელმძღვანელად აირჩია მ. ყიფიანი, ე. შერვაშიძე (მ. ყიფიანის მეუღლე), კ. გვარამიძე, ლ. გრიგოლაშვილი, ი. მაჭავარიანი, შ. დავითაშვილი და მისი მეუღლე ქეთევანი.[54, გვ. 83].

ხსენებულ ჯგუფს კავშირი ჰქონია რუს ნაროდნიკებთან, კერძოდ, ნაროდნოვოლცების პარტიასთან. 1881 წელს გორს რამდენიმეჯერ სწვევია "ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ანნა პრიბილევა-კორბა, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა. მისი მონაწილეობით არაერთი თათბირი ჩატარებულა "რევოლუციური პარტიის გაფართოების", მუშაობის უფრო ნაყოფიერად წარმართვისა და რუსეთის ხელმძღვანელ ცენტრთან "შეწყვეტილი კავშირის" დამყარების თაობაზე[54, გვ. 86].

გორის კონსპირაციულ წრეს კავშირი დაუმყარებია გორის მახლობელ სოფელ ხიდისთავში მდგარი სამხედრო ნაწილთან, რომლის ოფიცრობა, ს. მგალობლიშვილის მოწმობით, თანაუგრძნობდა რევოლუციურ მოძრაობას,[76, გვ. 93].

ნაროდნოვოლცების რევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ კახეთშიც. იყო თუ არა მტკიცედ ჩამოყალიბებული და ორგანიზაციულად გაფორმებული წრე, ამის უტყუარი საბუთი არ გაგვაჩნია, მაგრამ, კახეთში ხალხოსნური იდეები რომ პოპულარული ყოფილა, ამის შესახებ ზოგიერთი ცნობა მოიპოვება. კახეთში პროპაგანდისტული მუშაობას ეწეოდა პროვიზორი ს.მაისურაძე, რომელიც 1879 წელს მცხეთის საზოგადოებიდან სიღნაღის მაზრის სოფ. ვეჯინში გადასახლებულა და თავად ქეთევან აბაშიძის მამულების მოურავად დამდგარა.

ს. მაისურაძე მოსახლეობას უფასო მომსახურებას უწევდა და ხალხში სოციალისტურ იდეებს ავრცელებდა, ხალხს ამხედრებდა მემამულეების წინააღმდეგ. იგი გლეხების ყურადღებას ამახვილებდა მჩაგვრელების უსამართლობაზე და არწმუნებდა მათ, რომ მალე დადგება დრო, როდესაც გადასახადებს გააუქმებენ და მიწას თანაბრად გაანაწილებენო [239, საქ. 2745, ფ. 6].

ს. მაისურაძე დაუცხრომელი მოწინააღმდეგე ყოფილა ცარიზმისა. ძიების მიერ შეგროვილი მასალებიდან ვგებულობთ, რომ 1880 წლის თებერვალში ერთ ოჯახში გამართულ სადილზე მაისურაძემ უარი თქვა იმპერატორის სადღეგრძელოზე. მის ნაცვლად "კონსტიტუციის სადღეგრძელო შესვათ". ამავე დროს დამსწრე საზოგადოებისათვის უთქვამს, რომ იგი "წერილობით კავშირშია სოციალისტებთან, უგზავნის მათ ფულს; რომ ისინი 1880 წლის 3 ან 5 მარტს აფეთქებას მოაწყობენ ზამთრის სასახლეში [239, საქ. 2745, ფ. 7].

მაისურაძის ეს ნათქვამი ძიებას დაუდასტურა თავადმა ალ. ანდრონიკაშვილმა. მართლაც მას წინასწარ დაუსახელებია აფეთქების დღე და, რომ მან 1880 წლის რომელიღაც დღეს, თბილისში მოკლე ხნით ყოფნის შემდეგ, მოსახლეობას ახარა, "აფეთქება ნამდვილად უკვე მოხდათ" [239, საქ. 2745, ფ. 7].

მაისურაძის ბრალდების სისწორე დაუდასტურებია აგრეთვე თავად ს. აბაშიძესაც. რაც შეეხება კოპაძეს და მასწავლებელ პ. კარბელაშვილს,

ნაც ბრალდებულისათვის დაუწერიათ ცხარი და დაბეჯითებით განუცხადებიათ, რომ მას ხსენებულ სადილზე მსგავსი არაფერი არ უთქვამსო. ასეთივე პოზიცია დაუწერია ვეჯინის მამასახლისს გ. გოგერძიშვილს, რომელსაც ს. მაისურაძე საერთოდ კარგად დაუხასიათებია[239, საქ. 2745, ფ. 7, 10].

როგორც მასალებიდან ჩანს, მაისურაძეს საერთოდ უარუყვია წაყენებული ბრალდება და განუცხადებია, რომ ეს საქმე მის წინააღმდეგ აღძრულია თავადების ანდრონიკაშვილის და აბაშიძის მიერ, რადგან არ დავანებე ჩემთვის მოწყობილი მამულების მითვისებაო.

გამომძიებამ მაისურაძეს ბრალდება მთლიანად ვერ დაუმტკიცა, ამიტომ პროკურორმა მისი ექვსი კვირით დაპატიმრება მოითხოვა. სინამდვილეში მაისურაძე დაკავშირებული ყოფილა რუსეთის ანარქისტების პარტიასთან, საქართველოსა და რუსეთის ნაროდნოვოლცურ წრეებთან, თორემ არ ეცოდინებოდა ზამთრის სასახლის აფეთქების თარიღი[91, გვ. 636].

ს. მაისურაძე ერთადერთი ნაროდოვოლცელი როდი იყო კახეთში. მას თანამოაზრეებიც ჰყოლია. სიღნაღის მაზრაში პროპაგანდისტულ მუშაობას სწორედ მისი ხელმძღვანელობით ეწეოდნენ. გამორიცხული არ არის, რომ პროკლამაციის შემდგენელი პედაგოგი ჩალაშვილი, 1880 წლის 10 თებერვალს პოლიციის აგენტებს ქალაქ სიღნაღში უნახავთ, სწორედ ს. მაისურაძის მეთაურობით არსებული წრის წევრი ყოფილიყო[21. გვ. 132].

ქართველი ხალხოსნების რევოლუციურ საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მან ხალხი (ძირითადად გლეხობა) განაწყო არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ცნობილი გლეხობის მხარდაჭერასა და თანაგრძნობას პოულობდა.

გლეხებზე ხალხოსნების გავლენას ადასტურებს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის 1878 წლის ანგარიში, სადაც წერია: "გლეხებთან საუბარმა მიმიყვანა იმ რწმენამდე, რომ ისინი მოქმედებენ მიწაზე საკუთრების უფლების თეორიით, რომელიც მათში გარედანაა შეტანილი. ამ საკითხზე ბევრმა გლეხმა ერთნაირი აზრი გამოთქვა"[238, საქ. 3974, ფ. 9]. გუბერნატორი

გლეხთა მღელვარების ერთ-ერთ მიზეზად სამეგრელოში "სოციალისტური თეორიის გავრცელებას" მიიჩნევდა [238, საქ. 3974, ფ. 9].

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, როგორც ზემოთ ვთქვით ხალხოსნების გავლენის გარეშე არ მომხდარა. ჯერ კიდევ 1876 წლის 3 ივნისს მ. ყიფიანი და ი. ქიქოძე ერთმანეთს შეხვედრიან. რ. ქიქოძეს განუცხადებია, რომ მან "სანდო კაცისაგან მიიღო ცნობა სამეგრელოში პროპაგანდის ნაყოფიერად მიმდინარეობის შესახებ, და აცნობა მათ, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი ჯერჯერობით არ გადადგან, ვინაიდან ჯერ კიდევ ყველაფერი მომზადებული არაა და მხოლოდ მაშინ აჯანყდნენ, როცა ამის შესახებ განკარგულებას მიიღებენ" [239, საქ. 21, ფ. 32-33; საქ. 19, 43-44].

ქართველ რევოლუციონერ-ხალხოსნებს ისევე, როგორც რუს ნაროდნიკებს, ამოძრავებდათ მშრომელი მოსახლეობის ინტერესები. ისინი ესწრაფოდნენ მოეხდინათ სოციალისტური რევოლუცია, მაგრამ ხალხოსნები სოციალისტური რევოლუციის მოხდენას აპირებდნენ მუშათა კლასის გარეშე, მხოლოდ გლეხობაზე დაყრდნობით. ამ გზით სოციალისტური რევოლუციის განხორციელება უტოპია იყო. რევოლუციონერ-ხალხოსნებს გულწრფელად სწამდათ ახლო მომავალში თავისუფალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისა.

## § 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვნად განმტკიცდა რუსეთის პოზიციები ამიერკავკასიასა და შავი ზღვის აუზში. რადიკალურად შეიცვალა ცარიზმის დამოკიდებულება საქართველოსადმი. თვითმპყრობელობა გულგრილი გახდა ქართველი თავადაზნაურობისადმი. ქართველი პრივილეგირებული წოდების როლი დაქვეითდა. მხარეში გაძლიერდა ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა. თვითმპყრობელობა აშკარად და

დაუფარავად დაადგა ქართველი ერის გაქრობის გზას. იდევნება ქართული ენა და კულტურა.

რევოლუციური სიტუაციის წლებში, როცა "ქვედაფენებს აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება" და მშრომელი მასების რისხვა მიმართული იყო არსებული წყობილების წინააღმდეგ, ცარიზმმა ხელი მიჰყო საქართველოში კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებას და ქართველი ერის ასიმილაციას.

თვითმპყრობელობის აღვირახსნილ რეაქციულ პოლიტიკას თერგდალეულებმა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებით უპასუხეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი შინაარსი შეიძინა. თერგდალეულებს სურდათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში აქტიურად ჩაებათ ქართველი ხალხის ყველა კლასი თუ წოდება, გაეძლიერებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საიმედოდ დაეცვათ ერის სასიცოცხლო ინტერესები. ამ მიზნით წამოაყენეს მათ ე.წ. "წოდებათა შერიგების" თეორია, მაგრამ საქართველოში კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა და შეუძლებელი შეიქმნა მთელი ხალხის გაერთიანება და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვა. ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა თვით თერგდალეულებს შორისაც კი. 70-იანი წლების ბოლოს თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმდინარეობა დაიშალა. შეიქმნა ორი ახალი მიმართულების ჯგუფი. ერთ მათგანს, შედარებით მცირერიცხოვანს, მაგრამ საკმაოდ გავლენიან ჯგუფს, გამოჩენილი სამოციანელები ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი მეთაურობდნენ. ეს ჯგუფი ძირითადად აღმავალი ქართული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და გარკვეულ დრომდე (მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დაწყებამდე) პროგრესულ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი და თანაც უფრო გავლენიანი იდეური ჯგუფი, რომელიც თერგდალეულთა დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა, იყო გაზეთ "ივერიის" ირგვლივ შემოკრებილი საქართველოს დემოკრატიული ძალების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი.

დემოკრატიულმა საქართველომ სასტიკი ბრძოლა გაუმართა ცარიზმს ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად. გაზეთ "ივერიის" გარშემო გაერთიანებული ძალები შეადგენდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რაზმს.

თერგდალეულთა ორივე ბანაკი ემსახურებოდა ერთსა და იმავე საქმეს - ქართველი ერის, ქართული ენისა და კულტურის დაცვას. მხურვალედ მოუწოდებდა ქართველ ხალხს მთელი ძალები გაეერთიანებინათ თვითმპყრობელობის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს უაღრესად მძიმე, უუფლებო კოლონიურმა მდგომარეობამ, XIX საუკუნის 70-იანი წლების ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა, ეროვნული ჩაგვრის შემდგომმა გამწვავებამ და ცარიზმის რეაქციის მძაფრმა შემოტევამ თერგდალეულები აიძულა შეემუშავებინათ წოდებათა თანამშრომლობის, ე.წ. "საერთო ნიადაგზე" წოდებების (კლასები), შეთანხმების თეორია, როგორც ტაქტიკური ღონისძიება.

თერგდალეულთა აზრით, ეს გზა აუცილებელი იყო ქვეყნის გადასარჩენად, რადგან, მათი განცხადებით, "მარტო ერთ წოდებას არ ძალუძს გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა დაცემას, დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებას. საჭიროა შეერთებული ძალა ყოველთა წოდებათა ... მომაკვდინებელი შხამია გამწვავება ბრძოლისა წოდებათა შორის. ამ გამწვავებას მოჰყვება ...წავება საარსებო ბრძოლისა და გამარჯვება ჩვენზე ჩვენის მოცილეებისა"[44, გვ. 318].

70-იანი წლების საქართველოში კლასობრივმა დიფერენციაციამ თავისი მწარე ნაყოფი გამოიღო: ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდა წოდებებისა და კლასების ინტერესები, რასაც მარჯვედ იყენებდა ცარიზმი ქართველი ერის ჩაგვრის გასაღრმავებლად. ასეთ ვითარებაში ი. ჭავჭავაძე ქართველობას ერთიანობისაკენ მოუწოდებდა და გულისტკივილით წერდა: "სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხოთ, ვართა სადმე?..

ქართველები არ არიან, მაშ რა არიან? არიან თავადნი, აზნაურნი,

მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის." ...[123, გვ. 68]. წინათ იყო ერთიანი საქართველო, ყველა წოდებას ერთი აზრი ერთი საქმე აერთიანებდა, ეს იყო მამულის – სამშობლოს სამსახური. მაგრამ "მამული ახლა უძრავ ქონებას ნიშნავს... მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზე სადაო საჩივარია"[243, გვ. 72]. ი. ჭავჭავაძე გმობს წოდებრივ განცალკევებას, განხეთქილებას წოდებათა შორის, რაც მისი აზრით, უკანასკნელი დროის ნაყოფია და არა ისტორიული.

ერის შეგნების გაძლიერებისათვის საჭირო იყო წოდებათა შეთანხმება და მათ შორის განხეთქილების მოშლა; ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა, რამ გადაგვარჩინა. ქართველი ერი განადგურებას გადაარჩინა ხმალმა და გუთანმა. ღერძი კი იყო მიწა და მიწათმოქმედება. ერთ ხელში ხმალი გვეჭირა, მეორეში გუთანი, ასე იყო დღემდე და ასე ვიქნებით შემდეგშიც,თუ ეგ ორი უძლეველი ძალ-ღონე სიმკვიდრისა, ხელთ გვექნება"[224, 1881 წ. № № 11].

ი. ჭავჭავაძე სასტიკად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა დაემცირებინა ქართველი ერი და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა. ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველი კაცის საუკეთესო თვისებების წარმოსაჩენად, ისინი გულმოდგინედ სწავლობდნენ და პოპულარიზაციას უწევდნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო ნიმუშებს. ამავე დროს ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ. პატივისცემით ეკიდებოდნენ მოძმე ხალხების ისტორიულ წარსულსა და კულტურას.

ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები მშობლიურ ხალხს აცნობდნენ რუსეთის იმპერიის და ევროპის ხალხების მიღწევებს განათლებისა და კულტურის დარგში და მოუწოდებდნენ აეთვისებინა ყველა ის მოწინავე იდეა და მიღწევა, რომელიც მათ ჰქონდათ მოპოვებული.

ი. ჭავჭავაძე და თერგდალეულთა მთელი ბანაკი სასტიკად გმობდნენ იმ ქართველებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ქართველთა ეროვნული ღირ-

სებების დაცვაზე, ქართული ენისა და ქართული კულტურის განვითარებაზე. ასე, მაგალითად, როდესაც თერგდალეულებისათვის ცნობილი გახდა, ქართველთა დეპუტაციამ მეფის წინაშე ითხოვა არა ეროვნული საკითხების მოგვარება, არამედ მეფის ვენზელების ტარების უფლება, აღშფოთდნენ. ი. ჭავჭავაძემ და სხვებმა სასტიკად გაილაშქრეს ქართველი დეპუტატების ასეთი ქცევების წინააღმდეგ [125, გვ. 229-231].

საქართველოში რეაქციის ძალები არა მხოლოდ ილაშქრებდნენ დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებასაც ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დაქუცმაცებისა და მისი ეთნიკური კუთხეების დასაპირისპირებლად, დედასამშობლოსაგან სვანეთის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და აჭარის ჩამოსაშორებლად.

რეაქციის გაძლიერებამ, ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურმა იდეოლოგიამ და რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მკაფიო გამოხატულება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განსაკუთრებით სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში იჩინა თავი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მოამაგენი და ჭეშმარიტი მამულიშვილნი ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვ. თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აღიმართნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ქართველი ერის, ენისა და კულტურის დაცვისათვის. ერის გადარჩენაში ისინი ხედავდნენ მშობლიური ენის დაცვას უმეცართა ხელყოფისაგან. თერგდალეულებს ენა მიაჩნდათ არა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საშუალებად, არამედ ერის უპირველეს ნიშნად, ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის ნამდვილ გამომხატველად. ამიტომ თერგდალეულების ბრძოლა ქართული ენის შენარჩუნებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, მათი დაუცხრომელი მოღვაწეობა ქართული წიგნის, ქართული პრესის განვითარებისათვის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში არსებითად იყო ბრძოლა ქართველი ერის გადარჩენისათვის.

დიდი ილია ამბობდა: "არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომ ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა" [125, გვ. 213].

ი. გოგებაშვილის შეხედულებით, "მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან პროგრესის გზაზე იაროს, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს თავის დედაენაზე" და იმოწმებდა დიდი რუსი პედაგოგის კ.დ. უშინსკის აზრს დედაენის შესახებ: [44. გვ. 228]. "ენა ერისა არის საუკეთესო ყვავილი მისი ცხოვრებისა, ყვავილი დაუჭკნობელი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩქნება. ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო... დედაენა არის უძველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალ თაობათა. ხდის მათ ერთ დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად" [44, გვ. 211].

ი. გოგებაშვილის სამართლიანი შენიშვნით, "ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა... ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია" [44, გვ. 205].

საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა, ქართველი ერის შევიწროვება-ასიმილაცია ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურმა იდეოლოგიის მსახურებმა, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ და "მოსკოვსკიე ვედემოსტის" რედაქტორმა კატკოვმა და სხვ. წამოიწყეს. ამ რუსიფიკატორ მოხელეების შორსმიმავალი მიზნები ასეთი იყო: თხზავდნენ და ავრცელებდნენ ქართული ენის დაბერების, მისი განვითარების უპერსპექტივობის, რეაქციულ თეორიას, რომელსაც თან ახლდა მამა-პაპათა სისხლით მორწყული ქართული მიწა-წყლიდან ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-შევიწროვება. ქართველი ერის ასიმილაცია მთავრობის მოხელეებს შედარებით ადვილი განსახორციელებელი ეგონათ, ამიტომ ამ ვერაგული გეგმის განხორციელებისათვის მთავრობა აშკარად მოქმედებდა, [91, გვ. 648].

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები ნათლად ხედავდნენ ერის წინაშე წარმოქმნილ საშიშროებას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ქართველობას, მის ენას, ისტორიას, კულტურას. ამიტომ ერის საუკეთესო ძალებმა რეაქციის ამ შემოტევას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს.

როგორც უკვე ვთქვით, ქართველი ერისა და ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ, რომელიც 1878 წ. დანიშნეს და 20 წლის განმავლობაში (1878–1898 წწ.), სათავეში ედგა კავკასიის სასწავლო ოლქს. მან სახელი გაითქვა როგორც ქართული კულტურისა და განათლების მოძულემ, ქართველი ხალხის მტერმა.

გაზ. "დროება" 1878 წელს ბეჭდავს თავის პეტერბურგელი კორესპონდენტის წერილს      ვერ წარმოიდგენთ, რა თანაგრძნობით აცილებდნენ ამ კაცს (იანოვსკის) და როგორ სწუხდნენ მის განშორებას. როცა პოეზდი დაიძრა, ერთმა წარმოსთქვა: "ნეტარება იმათ, საითაც შენ მიდიხარო". ამ ამბავმა გამახარა, ერთ-ერთმა გამცილებელმა მკითხა, რა გიხარიანო. ავუხსენი, რომ მე კავკასიიდან ვარ და იქ მოუთმენლად მელიან მაგას... არ ვიცი, რამდენი სიმართლე მაქვს, რომ ასე მიხარიან და თქვენც გახარებთ, ჩემო მკითხველნო, მაგრამ მგონია არ ვცდებოდე ამ ჩემს სიხარულში, თუმცა თერგს რომ ჩამოუვლის, აქაური ანგელოზიც ძნელად რომ არ შეიცვალოს მაინც აზრი ჩვენი მხარისათვის"[214, 1878 წ., № 262].

პეტერბურგელი კორესპონდენტის წერილმა იმედი ჩაუსახა ქართველ ხალხს, რომ საქართველოში სწავლა-განათლებას და პედაგოგიკას კ. იანოვსკის სახით მზრუნველი გამოუჩნდა. ს. მესხიმ "დროებაში" მოწინავე უძღვნა, სადაც წერს: "დღემდის მუდამ და ყველგან ირღვევოდა პედაგოგის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე, გასაგებ ენაზე უნდა მიიღოს პირველი დაწყებითი სწავლა. თქვენგან მოელის ეს მდიდარი, ეს ნიჭებული ქვეყანა ხელმძღვანელობას იმ საქმეში, რომელიც ყველა ხალხისათვის წარმატების გზაზე დამყენებელი საქმეა, რომლისთვისაც თვითონ ეს ხალხი არაფერს ზოგავს... ჩვენი ხალხისათვის ნიჭი და გონება სხვებზე მომეტებული თუ არა, ნაკლები არ მოუცია ბუნებას... ნეტავი გამართლებულიყოს ყველაფერი ის, რაც თქვენზე კარგი, მიუდგომლობა, საქმის ბეჯითობა და პედაგოგიურ საქმეში გამოცდილება გვესმის"[214, 1878წ., № 263].

დიდი ილია იანოვსკის შესახებ წერდა: "განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოდ, კარგს მომავალს უქადის მიდრეკილება და მიმართულება მისი, ვინც ახლად დანიშნულ იქნა კავკასიის ოლქის მეთაურად და მზრუნველად" [224, № 1, გვ. 152].

ასე ფიქრობდა განათლების უწყების ახალი ხელმძღვანელის იანოვსკის შესახებ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ჩვენში მისი "მოღვაწეობის" დასაწყისში, მაგრამ სცდებოდა, რადგან იანოვსკი ორსახიან იანუსს წარმოადგენდა; მას ხახა მგლისა და კუდი მელისა ჰქონდა, დასაწყისში კუდს აჩენდა, ხახას მალავდა [131, გვ. 36].

როგორც დიდი ილია წერდა, მოგვიანებით იანოვსკის "ქმნულსა და თქმულს" შორის დიდი ზღვარი გაჩნდა. განსაკუთრებით მოხიბლა მან საზოგადოება იმით, რომ მხარი დაუჭირა კავკასიაში უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის დაარსებას და აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის გახსნას თბილისში [183, ფ. 160].

იანოვსკი ერთს რომ ამბობდა და სხვას აკეთებდა, ამის კარგი მაგალითი იყო 1879 წლის 22 დეკემბრის კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებული საბჭოს დადგენილება: "ეთხოვოს სასწავლებლების უფროსებს და დაწყებითი სკოლების დირექტორებს ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სასწავლებელთა მოსამზადებელი კლასებისა და დაწყებითი სკოლების მასწავლებლები ადგილობრივ ბავშვებთან მეცადინეობისას, რუსული სიტყვებისა და წინადადებათა ასახსნელად იყენებდნენ მოსწავლის მშობლიურ ენას, რადგანაც ეს საჭიროა, რომ ყოველივე შესწავლილი შეგნებულად და არა მექანიკურად ისწავლებოდეს. ამიტომ მზრუნველის საბჭო საჭიროდ სცნობს, რომ ასეთ კლასებსა და სკოლებში შეძლებისდაგვარად ისეთი პირები ინიშნებოდნენ მასწავლებლებად, რომელნიც გაცნობილი არიან ადგილობრივ მოსახლეობაში გაბატონებულ ხანასო [131, გვ. 36].

მაგრამ ვნახოთ რა პასუხი გასცა იანოვსკიმ 1879 წელს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვს, როცა მან ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა სასწავლებლებში ქართული ენის საფუძვლიანი სწავლების შესახებ და აცნობა უკვე დავავალე მოსამზადებელი და დაბალი კლასის მას-

წავლებლებს განსაზღვრულ ვადაში შეისწავლონ ქართული ენა: იანოვსკიმ წარმოდგენილი მოხსენება უარყო და სათანადო შენიშვნები დაურთო: იანოვსკიმ გაილაშქრა როგორც სამზრუნველო საბჭოს 22 დეკემბრის დადგენილების, ისე სტოიანოვის მოხსენების წინააღმდეგ, ხოლო როცა ხონის სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა ქართული ენის სავალდებულო სწავლება, იანოვსკიმ განაცხადა, ვერ გავიზიარებ საბჭოს გადაწყვეტილებასო [131, გვ. 36]

იანოვსკისა და მეფის სხვა მოხელეების შეხედულებით, სკოლა უნდა გამხდარიყო ადგილობრივი ერების გარუსების მძლავრი იარაღი. ამასვე აკეთებდნენ იანოვსკის წინაპრები საქართველოში, მაგრამ იანოვსკის დამსახურება ცარიზმის წინაშე ის არის, რომ მან სხვებზე მტკიცედ და სისტემატიურად დაიწყო საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება. იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ სკოლა უნდა ყოფილიყო რუსული ცივილიზაციის დასანერგი და ადგილობრივი კულტურის შემმუსვრელი დაწესებულება განაპირა ქვეყნებში.

1880 წლის 20 დეკემბერს იანოვსკი ცირკულიარს უგზავნის თავის ხელქვეითებს, სადაც წერს: "კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივი მკვიდრთა მიზიდვა მასში შესასვლელად უდავოდ ამ მხარეში ცივილიზაციის განმტკიცების საშუალებად უნდა ჩაითვალოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფვის შეიჭრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლის საშუალებით, წინათ აქ არსებული ცივილიზაციაზე უფრო მტკიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელად ის აქ მოვიდა და რომელნიც დაიღუპნენ უმთავრესად გარემომცველ უვიც ტომებთან და ხალხებთან საბრძოლველად კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამო".

იანოვსკის განმარტებით, კავკასიის ხალხები და ტომები უვიცი და უმეცარნი არიან, რომელთა შორის რუსულმა სკოლამ უნდა განამტკიცოს რუსულიც ცივილიზაცია, ე.ი. აღმოფხვრას ადგილობრივი ხალხთა ეროვნული სახე, გადააგვაროს და გაარუსოს. ამ ერების გადაგვარება ვერ შეძლეს წარსულში სხვა დამპყრობლებმა სათანადო კულტურულ საშუალებათა უქონლობის

განო. სკოლა კი, რომელსაც ფლობს ცარიზმი, იანოვსკის აზრით, მძლავრი იარაღია, რომელიც განამტკიცებს აქ რუსულ ცივილიზაციას. სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი რუსული ენის გავრცელებით იმპერიის ცალკეული ნაწილების გაერთიანებას და მეფისადმი ერთგულების გრძნობების განმტკიცებას ადგილობრივ მოსახლეობაში [131, გვ. 15].

კავკასიის მმართველ ხელისუფლებას რომ მიეღწია სასურველი მიზნისათვის, ასეთ ხერხსაც მიმართავდა: სამეგრელოში ბავშვებმა არ იციან ქართული და ქართულის ნაცვლად ჯერ მეგრულ ენაში უნდა გავარჯიშდნენო, შემდეგ ქართული ენის გვერდის ავლით პირდაპირ შესდგომოდნენ რუსული ენის სწავლას. განიზრახეს მეგრული ენის ანბანის შედგენაც. ამ გზით ცარიზმი მეგრელებს აცხადებდა ცალკე ერად. ასევე იქცეოდნენ სვანების მიმართაც. მთავრობა შეუდგა მეგრული და სვანური ანბანის შემუშავებას რუსული ანბანის საფუძველზე. შედგენილ იქნა პირველდაწყებითი სახელმძღვანელოები – ლოცვათა კრებულები სამრევლო სკოლებისათვის მეგრულ ენაზე.

თვითმპყრობელობის აგენტები მაჰმადიან ქართველებს ჩააგონებდნენ აზრს, თქვენ თურქები ხართ და არა ქართველებიო. ასეთ პროპაგანდას ეწეოდნენ აგრეთვე ახლად შემოერთებული მიწა-წყლის (ბათუმი, არტაანი, ყარსი) მოსახლეობაში. მმართველობას ხელს აძლევდა დაეპირისპირებინა მაჰმადიანი აჭარელი მოსახლეობა ქართველ ქრისტიან მოსახლეობასთან. ხელს უწყობდნენ მუჰაჯირულ მოძრაობის გაღრმავებას, მუსლიმან ქართველთა სამშობლოდან აყრასა და თურქეთში გადახვეწას.

მთავრობამ განზეზ დაივიწყა სულ ორიოდე წლის წინანდელი ომი თურქებთან, როცა იგი ქართველი ერის დაცვის დროშით გამოდიოდა. მეფის ხელისუფლება ახლადშემოერთებულ აჭარა-არტაანის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობას ამიერკავკასიის თურქებით დასახლებულ ადგილთა მსგავსად აწყობდა, ებრძოდა ქართულ დაწესებულებებს, ხელს უშლიდა ამ მხარის მოსახლეობის ქართველ ხალხთან დაახლოებას. ამავე დროს ხელუხლებლად ტოვებდა თურქულ ეროვნულ დაწესებულებებს. თვითმპყრობელობის მოხელეებმა დავიწყებას მისცეს რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის დროს ქართვე-

ლი ინტელიგენციის პატრიოტული მოძრაობა. მაშინ ცარიზმი ერთის მხრივ მუსლიმან ქართველებს არწმუნებდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ და ოსმალების მიერ საქართველოსაგან უსამართლოდ იყვნენ მოწყვეტილი, მეორეს მხრივ ქართველ ხალხს მოუწოდებდა პირადი მონაწილეობა ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მის შვილთა გამათავისუფლებელ ომში.

1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, როგორც ადრევე ითქვა, ქართველ მხედრობას მიმართავდა: "თქვენს უკან – კავკასიის მხედრობის სახელოვანი წარსულია. თქვენ წინ – ბრძოლის ველი და სიმაგრენია, სადაც თქვენს მამებსა და ძმებს თავისი სისხლი დაუღვრიათ.

ცარიზმის ეს ახლებური ღონისძიებანი უპირისპირდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ძალთა აღმავლობასა და კონსოლიდაციის იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს, რომელიც თავის გამოხატულებას ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში პოულობდა.

რეაქციის წინააღმდეგ მედგრად გამოდიოდნენ ცენზურით უკიდურესობამდე შევიწროებული ქართული პრესა და მოწინავე მოღვაწეთა მიერ დაარსებული ქართველი ხალხის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დამცველი 70-იანი წლების ბოლოს ლევითმპყრობელობის მიერ გატარებული რეაქციული პოლიტიკა ქართველი ხალხის წინააღმდეგობას წააწყდა, გამოიწვია პროგრესულ-დემოკრატიული ძალების დარაზმვა. მთავრობის რეაქციული პოლიტიკის საწინააღმდეგო აზრს ქადაგებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ. გაზეთების: "დროების", "ივერიის", "ობზორის" ფურცლებზე იბეჭდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი შინაარსის სტატიები, რომლებშიც მხილებული იყო რეაქციონერთა შავბნელი საქმეები და მათი რუსიფიკატორული პოლიტიკა.

ცარიზმის რეაქციას წინ აღუდგნენ ქართული ეროვნული ძალები, მისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და ორგანიზაციები.

მკაცრი საცენზურო პირობების მიუხედავად, რეაქციის წინააღმდეგ, იბრძოდა ქართული პრესა. პირველი შეტევა რეაქციონერ იანოვსკის წინააღმდეგ წამოიწყო გაზ. "დროებამ", მისმა რედაქტორმა ს. მესხმა 1880 წელს "ღია წერილი" გამოაქვეყნა იანოვსკის წინააღმდეგ. წერილში ვკითხულობთ: "პირველი ნაბიჯები თქვენი მოქმედებისა ჩვენში თითქმის გვაიმედებდნენ, რომ ყველამ თავისი სამშობლო ენა უნდა ისწავლოს, ყველა კაცი თავისი ქვეყნისა და მოქმედებისათვის უნდა იყოს მომზადებულიო, მაგრამ ჩვენდა საშწუხაროდ უკანასკნელ დროს რატომღაც სხვანაირი ხმები გვესმის და სხვა ნაყოფს ვხედავთ თქვენი მოქმედებისას... თქვენ გაუჯავრდით ახალ სენაკის მასწავლებლებს იმისათვის, რომ რატომ წელს ენკენისთვეში შემოსულ ბავშვებს რუსულად არ ასწავლითო, არამედ ქართულადო. მე შევნიშნეთ, - ბრძანებთ თქვენ, - რომ თქვენ, ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიურსაო. თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო"[214, 1880 წ., № 254]. შემდეგ ს. მესხი იანოვსკის უხსნის, რომ "ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს... თითო მტკაველი სამშობლო მიწისა... ყოველი ლექსი თავისი სამშობლო ენისა ათას და ათიათას საუკეთესო შვილად უღირს... მთავრობა არასოდეს არ ცდილა, რომ თავის ქვეშევრდომ ხალხისათვის მოესპო სამშობლო ენა, სარწმუნოება, ერობა... და თქვენ კი გნებავთ ახლა, რომ უეცრად მოსპოთ ხალხის ენა... არავის არა აქვს უფლება ამისთანა სიტყვებით მიმართოს ქართველ ხალხს... ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, რჯული და სარწმუნოება... თქვენი სურვილია კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ. ეს გვინდოდა გვეთქვა თქვენთვის, ბ-ნო იანოვსკი. ვათავებ სურვილით, რომ შემდეგში უსაფუძვლო ცილისწამება ქართველ ხალხზე აღარ გაგვეგონოს"[214. 1880 წ., № 254].

ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში თერგდალეულებთან ერთად დ. ყიფიანიც ჩაება. იგი იანოვსკის აღელვებული მიმართავს

და დასძენს: "ახლა მიხედვით თუ ვერა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს, ჩინგიზ-ხანმა, ლანგ-თემურმა, შაჰ-აბასმა, ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხის ნება და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ? ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომლის გარს შეუწრელი ერთგულება შეურყევლად გვაქვს გულში ჩანერგილი. ხრა, ბატონო: თუ ლია წერილის აზრი არ დაირღვა, ბატონი იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად. ჯერ რუსეთის წინაშე, რომ უერთგულესი თაყვანისმცემელი ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მეორე, მეცნიერების წინაშე... რომელიც ბრძანებს - პირველ წელსა ყრმასა ჯერ საშინაო ენას ასწავლიან და მერე სხვა ქვეყნისასო"[214, 1880 წ., № 246].

დ. ყიფიანმა აიძულა იანოვსკი გამოსულიყო გაზ. "კავკაზში" ვრცელი სტატიით და პირადად ემართლებინა თავი ფართო საზოგადოების წინაშე. იგი შეეცადა გაებათილებინა დ. ყიფიანის მიერ მოტანილი საბუთები და ფაქტები და ხელქვეით ინსპექტორ-დირექტორების "თვითმოქმედებად" გაესაღებინა სკოლებიდან ქართული ენის გასადევნად გატარებული ღონისძიებანი. მაგრამ იანოვსკიმ ამ წერილშიაც გაიმეორა, რომ მას პედაგოგიურად გამართლებულად მიაჩნია სკოლებში ქართველ ბავშვთათვის რუსული ენის სწავლება პირველი წლიდანვე და გადადგა კიდეც საამისო ნაბიჯები.

ქართული კულტურის მოღვაწენი ვერ დააკმაყოფილა თავდაცვაზე გადასული იანოვსკის ამ წერილმა და კამათში ი. ჭავჭავაძე ჩაება. მან "დროებაში" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი "ბატონ იანოვსკის წერილის გამო", რომელშიც ეკითხულობთ: "ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ბატონი იანოვსკი ეგრე ბეჯითად უარყოფს ყოველს ამას, რაც მართლაც საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის. მას შემდეგ, რაც ეგრე აშკარად გამოაცხადა ეგ უარყოფა... რომ იგი თაკილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამდე საკვეხურად ჰქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგიის გარეთ მდგომ ჩინოსნებსაც, ესეც ერთი წარმატებაა, ერთი სიკეთეა"[214, 1881 წ., № 30].

ქართველი ინტელიგენცია და საზოგადოებრიობა აქტიურად იბრძოდა ქართული კულტურის, ქართული ენის დაცვის საქმეში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი გამოდიოდა რუსული ენისა და რუსული კულტურის წინააღმდეგ, როგორც ამას სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებდნენ რუსიფიკატორები - პობედონოსცევის აგენტები.

საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელთა წინააღმდეგ ბრძოლა გამართა ი. გოგებაშვილმა. ოფიციალურ გაზეთ "კავკაზის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ ი. გოგებაშვილი აკრიტიკებს რუსიფიკატორების მავნე კონცეფციის ანტიპედაგოგიურ საფუძვლებს.

სახალხო სკოლის სწორ პედაგოგიურ, ეროვნულ საფუძველზე დაყენებასა და ახალი თაობის გონებრივ და სულიერ აღზრდას ემსახურებოდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი უკვდავი სახელმძღვანელოები "დედა ენა", "ბუნების კარი" და "რუსკოე სლოვო". მისმა წიგნებმა დაიცვეს და ერთგულ დარაჯად დაუდგნენ ეროვნულ კულტურას და შეინახეს ქართული ენის ფესვები.

ქართული ენის სკოლიდან განდევნის წინააღმდეგ გამოდიან რუსი პროგრესული მოაზროვნე პედაგოგები, რომლებიც არ იზიარებენ იანოვსკისეულ ანტიპედაგოგიურ მეთოდების დანერგვას ქართულ სკოლაში. ისინი იმასაც მოითხოვდნენ, რომ რუს საქართველოში მოღვაწე პედაგოგებსაც შეესწავლათ ქართული ენა, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება ხალხისა და სხვა.

სახალხო განათლების დარგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ნ. ცხვედაძე 1881 წლის 12 აპრილს წერს დ. ყიფიანს. "უფალმა იანოვსკიმ ხელმეორედ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უყურებს ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრსა და მოთხოვნილებას. მგონი ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო სასწავლებლის დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ხასიათი, ზნეობა და ჩვეულებანი. უამისოდ იმას არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს ჯეროვანი სარგებლობა. მაგრამ ყველა ეს ან არა სჯამს უფალ იანოვსკის, ან კიდევ სჯამს, მაგრამ განგებ სჩადის და სახალხო სკოლების დირექტორად ნიშნავს იმგვარ კაცებს, რომლებმაც არც სკოლის ენა იციან და არც ხალხის ხასიათი" ([illegible], [illegible] 12 [illegible], [illegible] 660

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუციური სიტუაციის წლებში კიდევ უფრო ძლიერდება. თერგდალეულები უფრო მეტად აღვივებენ მამულიშვილურ გრძნობებს, სამშობლოს სიყვარულს. მათი აზრით, "მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება. ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ თითქოს სამშობლოს სიყვარული ადამიანს ბუნებითვე თან დაჰყება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროა"[4ა, გვ. 370].

ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ალ. სტოიანოვი 1880 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი წარდგენილ ანგარიშში ქველეპური გაბედულებით წერდა: "ჩემი აზრით, ქართული ენის სწავლება დაყენებული უნდა იქნეს სათანადო სიმაღლეზე... ამ საგნის შესახებ მე მაქვს ჩემი განსაკუთრებული აზრი, რომელიც მზად ვარ დავიცვა ყველგან. ქართული აქა მშობლიური ენაა; პირველდაწყებითი განათლება უნდა წარმოებდეს მშობლიურ ენაზე, შემდეგი განათლებაც თვით ენის საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლებად ქართველები უნდა იყვნენ, ან ისეთი რუსები, რომლებმაც ქართული იციან... საქართველოში მცხოვრები რუსების შვილები ამთავრებენ გიმნაზიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მსახურობენ საქართველოში ნცხოვრები რუსების შვილები ამთავრებენ გიმნაზიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მსახურობენ საქართველოში და არ იციან ქართველების არც ენა და არც ზნე-ჩვეულება. ინგლისელმა მოხელეებმა, რომლებიც ფოთი-თბილისის რკინიგზას აშენებდნენ, 5-6 თვეში ქართული ენა შეისწავლეს. რუსებმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საუკუნეზე მეტია საქართველოში არიან, არც ერთი ქართული სიტყვა არ იციან. აუცილებელია, რომ შემოღებული იქნას ქართული ენის სავალდებულო სწავლება... უფროს კლასებში კი ქართული ლიტერატურის სწავლება"[254, საქ. 2197; 91, გვ. 653].

უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: როგორც ი. ჭავჭავაძემ ბრძანა, "ბ-ნ სპასოვიჩს იურიდიულ საზოგადოებაში 1881 წლის 2 თებერვალს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზე სწარმოებდეს, რომელზედაც თვითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნება, როგორც თვით სარწმუნო-

ბაცა, პირადი გრძნობააო. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია თითონ მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. "თქვენი ხელმწიფობა, - უთქვამს სპასოვიჩს, - დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა, და მაშინ ხელმწიფობას თქვენის ენისას წინ არ დაუდგება რაო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონისკოდექსმა ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის პირიდამ ენა არ ამოუგლეჯიაო". რუსეთის ლიტერატურის და საზოგადოების უკეთესნი წევრნი ალტაცებით და დიდის ქებით მიეგებნენ ამ სიტყვას, რომელიც ჩვენ ესე მოკლედ მოვიყვანეთ" [125, გვ. 214-215].

რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხის ერთ-ერთ წარმმართველ და ქართველი ინტელიგენციის დამრაზმველ ძალად გვევლინება "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" 132, რომელიც 1879 წელს დაარსდა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე და მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი დ. ყიფიანი იყო.

1879 წლის 15 მაისს შედგა საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა პირველი საერთო კრება. კრებაზე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ყიფიანი, ხოლო წევრებად - ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, რაფ. ერისთავი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობიდან უმთავრესს და ყველაზე უმნიშვნელოვანესს სკოლების ქსელის ზრდა და გახსნილი სკოლებისადმი დახმარების გაწევა, მათი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება წარმოადგენდა. ხელისუფალთა წინააღმდეგობის მიუხედავად საზოგადოებამ 1880 წლის 14 ოქტომბერს თბილისში გახსნა პირველი დაწყებითი სკოლა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგნად იქცა აჭარლებისათვის სკოლის გახსნა, რასაც იმ დროს მრავალი დაბრკოლება ელობებოდა. ამ საქმეს ი. ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში. გამ-

გეობის დავალებით ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ 1880 წლის ნოემბერში ბათუმში სახლი დაიქირავა და სკოლა გახსნა.

მომდევნო წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლები დაარსა წინარეხში, ხელთუბანში, თიანეთში და სხვა სოფლებში. მიუხედავად ცარიზმის აგილობრივი მოხელეების წინააღმდეგობის' საზოგადოებამ სკოლების ქსელი გააფართოვა.

საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმძღვანელოების გამოცემას. ი. გოგებაშვილმა შეადგინა და გამოსცა "დედა ენა", "ბუნების კარი" და "რუსკოე სლოვო" ამ სახელმძღვანელოებში, ადრევე იქვა, დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობითი გეოგრაფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი წევრები თავგამოდებით იცავდნენ ეროვნული კულტურის ძეგლებს და განძს. ცნობილია, რომ ქართველმა მოღვაწეებმა ა. წერეთელმა, ს. მესხმა, ნ. ნიკოლაძემ, შეებრძოლნენ რა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ლევაშოვს, ამხილეს იგი ეკლესია-მონასტრების ძარცვაში და მთავრობა აიძულეს ლევაშოვი კავკასიიდან გაეძევებინათ [235, 1966., № 6].

1880 წელს ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ახალი ეროვნული დაწესებულება - ქართული დრამატული საზოგადოება, რომელიც ეროვნული თვითშეგნების გაღვივების მნიშვნელოვან საშუალებად იქცა. საზოგადოება სათავეში ჩაუდგა 1873 წელს ქართველ სცენისმოყვარულთა მიერ დაარსებულ "მუდმივ დასს", რომელშიც შედიოდნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები მ. საფაროვა, ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ნ. გაბუნია, ვ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვ. საზოგადოებამ შესძლო ქართული თეატრალური კულტურა ერის სამსახურში ჩაეყენებინა. ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობის ხელმძღვანელებმა ქართულ თეატრს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის ფუნქციები დააკისრა და იგი წარმართა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდი ილია, რომელიც იყო ამ საზოგადოების დამაარსებელი და გამგეობის თავმჯდომარე, ამბობდა: "სცენა იგივე სკოლაა, რომელიც

ცხოველი სურათებით ელაპარაკება თავის გულსა და ჭკუასა, იგი კაცის გუნებაზე უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე სხვა რაიმე; ამ მხრივ არის სანატრელი... კაცის გრძნობისა და ჭკუის გამფაქიზებელი, გამწმენდი; სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის აღმზრდელი უნდა იყოს... ეგ სა-კმაოა, რომ კაცმა თავი გაირთოს, თორემ თეატრს ხომ სხვა ბევრი სი-კეთე მოსდევს"[214, 1881 წ., № 17].

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკით დევნილი ქართული ენა თითო-ოროლა ქართულ სკოლასა და ქართულ თეატრში აფარებდა თავს. რუსიფიკატო-რები ცდილობდნენ მის ერთიანად აღმოფხვრას და გამოდევნას ამ დევნილ და შევიწროებულ კერებიდანაც. მაგრამ ქართველი საზოგადო მოღვაწეები ილიას მეთაურობით დრამატულ საზოგადოებას, ქართულ თეატრს იცავენ შემო-ტევისაგან. ქართულ თეატრს არსებობისა და განვითარების მყარი მატერია-ლური ბაზა შეუქმნა თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა, რომელმაც ქართული დრამატული საზოგადოებისათვის 206 000 მანეთის ვალი [91, გვ. 662-663].

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების მაორგანიზებელ საზო-გადოებრივ ძალად და მახვილ იარაღად მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში გვევლინება ქართული პროგრესულ-დემოკრატიული პრესა, რომელიც, მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის შემოტევისა და მკაცრი ცენზურისა, განაგრძობდა მძაფრ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ, უფრო მტკიცედ იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის სადარაჯოზე და რევოლუციურ-დემოკრა-ტიული პოზიციებიდან ამხელდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხარში ედგა საქართველოს დემოკრატიული პრესა. გაზეთები "დროება", "ივერია", "ობზორი"უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნულ პრობ-ლემებზე. ი. ჭავჭავაძე წერდა: "როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელე-ბელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს ცხოვრება, - წერს ილია, - დაუდგრომელს ღელვაშია, ფეხ-შეუფერხებელს

მოძრაობაშია, ყველაფერი ივლება და ვითარდება... ფართო მასებს კოველთვის როდი შეუძლიათ დამოუკიდებლად მივიდნენ მართებულ დასკვნამდის. მათ ხელის გამომწვლელი, დამხმარე ესაჭიროებათ, და პრესაც ამ ფუნქციის შესრულებას კისრულობსო". [123, გვ. 229-234].

გაზეთ "დროებას" ქართული პერიოდიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო იმიტომ, რომ იგი პირმშოა 60-იანი წლების თერგდალეულთა მოძრაობისა და ოცი წლის განმავლობაში ატარებდა ქართველი ერის სულიერი წინამძღოლის საპატიო მისიას. თვით "დროების" რედაქცია აღნიშნავდა, გაზეთმა "განაცხოველა საზოგადოება უძრაობიდან, დაიწყო ხელი-ხელ მოქმედება ერთად საზოგადოებასთან" [214, 1969., № 18].

"დროება" პირველსავე ნომრის მოწინავეში ხაზს უსვამდა გაზეთის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას და საერთო მიზნის გარშემო ხალხის დარაზმვის საქმეში უდიდეს როლს ანიჭებდა. "გაზეთს ერთი იმისთანა მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელს ხალხს", [32, გვ. 7].

"დროების" სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებში ძირითადი იყო ეროვნული საკითხი. გაზეთი დაუნდობლად იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და მტკიცედ იცავდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

"დროების" გარშემო თავი ყრიდა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. "დროება" არ ტოვებდა არც ერთს მეტნაკლებად ერისათვის მნიშვნელოვან საკითხს, რომ არ გამოხმაურებოდა და მოსახლეობისათვის კვალიფიციური აზრი არ მიეწოდებინა. XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, რუსეთ-თურქეთის ომის დასასრულს, როცა საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ ცარიზმის რუსიფიკატორული აგრესიული პოლიტიკა ქართული ენისა და ერის გადაგვარება-მოსპობისაკენ წარიმართა, "დროებამ" განსაკუთრებით გააქტიურა თავისი საქმიანობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს "დროების" შემართება 1879-1881 წლებში, როდესაც კ. იანოვსკიმ და მეფის ხელისუფლების სხვა მოხელეებმა ქართული ენისა და კულტურის წინააღმდეგ გააფთრებით შეუტიეს. "დროება"

ბოლომდე იბრძოდა ერის ინტერესების დასაცავად; მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, შეჰდავდა მწვავე პუბლიცისტურ წერილებს და საკადრის პასუხს სცემდა როგორც გარეშე, ისე შინაგან მტრებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისა და ქართველი ერის, ქართული კულტურის გადარჩენისათვის ბრძოლაში "დროება" მარტო ვეღარ ატარებდა ერის ტვირთს: ტვირთი ერთიორად რომ შემსუბუქებულიყო, შრომა განახევრებულიყო და უღლის გამწევი ჰყოლოდა, ი. ჭავჭავაძემ "ივერია" დააარსა. "ივერია" უპირველეს ყოვლისა ეროვნულ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა: "დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა, ყოველივეს მოსალოდნელის საფრთხისაგან" წარმოადგენდა "საქართველოს მოამბის", "მნათობის", "დროების", ძირითად ამოცანას და რომ ამასვე ემსახურება "ივერია". სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს, ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს"... დღეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ვინაობის დაცვას"[224, № 6, გვ. 128].

ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა კარგად იცოდნენ, რომ იმდროინდელ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთსა და ევროპაში, გაჩაღებული იყო მწვავე და სასტიკი კლასობრივი ბრძოლა. ამ ბრძოლაში თვითონ ილია და მისი თანამებრძოლებიც მონაწილეობდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ და ექომაგებოდნენ ღარიბ, დაჩაგრულ ხალხს, ცდილობდნენ ყველა კლასის კლასის და წოდების შერიგებას და მთელი ქართველობის გაერთიანებას.

"ივერიელები" რადიკალური გარდაქმნების წინააღმდეგნი არ არიან. "რესპუბლიკის დაარსება, უცხოტომელ მებატონეების მამულების ჩამორთმევა და გლეხკაცობაში განაწილება, როგორც მათის ქონებისა, აგრეთვე ეკლესიის საკუთრებისა. არც ერთ სჯულს ახალ სახელმწიფოში არ უნდა ჰქონოდა სხვებზედ უპირატესობა"[224, № 3; გვ. 119].

"ივერიის" პროგრამით ყველა კლასი და სოციალური ფენა უნდა გაერთიანებულიყო, რათა მიეღწიათ საერთო წარმატებისათვის. პროგრამაში გათვალისწინებული იყო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, უპირველეს ყოვლისა, თვით ჩაგრულებმა უნდა აიმაღლონ ხმა. ი. ჭავჭავაძე ადგილობრივი ძალების თვითმოქმედებას ანიჭებდა მთავარ მნიშვნელობას. ამიტომ ერთიანი ფრონტის გაძლიერებას ყოველთვის საგანგებოდ ეხმაურებოდა. ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს "ივერიის" პუბლიცისტები საერთოდ უარყოფდნენ სხვათაგან დახმარებას. მათ კარგად იცოდნენ, რომ სხვათა ხელის გამოწვდენა ბევრს ნიშნავს და ამიტომაც ეძებენ მოკავშირეებს საქართველოს გარეთ.

ილია იმეორებს "რუსკაია რეჩის" თანამშრომლის სიტყვებს: "ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპყრია. ჩვენ ძმები ვართ და არა ბატონები. ძმათა კავშირი კი მოითხოვს, რომ ურთიერთს უანგაროდ შევეწიოთ, შევემსჭვალოთ [126, გვ. 214-215].

ეს სიტყვები რედაქციას მიაჩნია არა იმდენად რუსეთის, რამდენადაც საქართველოს მოწინავე საზოგადოების გულისნადების გამოხატულებად.

"ივერიის" პუბლიცისტიკაში თვალსაჩინოდ აისახა კლასთა ურთიერთობა. ეს ბუნებრივია: "ივერიამ" საზოგადოებრივი ცხოვრების მესაჭეობა იკისრა.

პუბლიცისტები მიუთითებენ, რომ ქვეყნის ძალასა და საფუძველს გლეხობა წარმოადგენს. გ. თუმანიშვილი წერდა: "გლეხობა ... რუსეთის ხალხის ორ მესამედს შეადგენს და მაშასადამე ამის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული მთელის სახელმწიფოს კეთილდღეობაც" [224, № 4, გვ. 70].

ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ერის ხერხემალი გლეხობაა. "კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანი" [224, № 6, გვ. 179]. ამ ფრაზაში ღრმა შინაარსია ჩადებული. ავტორი გლეხობისადმი დიდ სიმპათიას ამჟღავნებს, მაგრამ მიწაზე შრომას მხოლოდ გლეხის ვალად არ თვლის. ილია მოსურნე

უყო თავადაზნაურებს მტკიცედ მოეკიდათ ხელი მიწათმოქმედებისათვის, შეიარაღებულიყვნენ მეცნიერული ცოდნით, შეეძინათ ევროპული მანქანები და რაციონალურად წარემართათ სოფლის მეურნეობა.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა: "ძველ საქართველოში კლასთა ბრძოლას ადგილი არ ჰქონია... ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა, არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა განგეობაში და მეორეს არა და ერთს ამით ეჩაგრა მეორე"[224, № 1, გვ. 109].

ილია მოსურნეა წოდებათა ჰარმონიულობისა და აკრიტიკებს იმ ავტორებს, რომლებიც კლასთა ბრძოლის მოთხოვნით გამოდიოდნენ. "... დიდად სცოდავენ ქვეყანას და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში – ისინი ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყვეს წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში განხეთქილება სუფევსო. განა ერ ევროპა ცოტა დროსა და ღონეს ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოისპოს"[224, 1879წ., გვ. 114].

"ივერია" წერდა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ცხოვრების ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

XIX საუკუნის საქართველოს ჟურნალისტიკაში რადიკალური მიმართულების პერიოდული გამოცემა იყო გაზეთი "ობზორი", რომელიც გამოჩენილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ დააარსა 1878 წელს. "ობზორმა" სულ ორი წელი (1878–1880 წწ) იარსება, მაგრამ მან თავისი კვალი დატოვა ჟურნალისტიკის ისტორიაში. იგი უშიშრად აკრიტიკებდა რუსეთის თვითმპყრობელურ წყობილებას და ეკონომიკურ აღორძინებაზე ამყარებდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იმედს.

"ობზორს" გამოცემისთანავე მთავრობამ მკაცრი კონტროლი და ფარული მეთვალყურეობა დაუწესა.

პირველად "ობზორის" გამოცემას ყურადღებით მოეკიდა ხელისუფლების ორგანოები. საცენზურო კომიტეტი იმედოვნებდა, რომ ახალ რუსულ პერიოდულ გამოცემას და მის დამაარსებელს, ნიჭიერსა და მომზადებულ პუბლიცისტს

ნ. ნიკოლაძეს გამოიყენებდა მთავრობის მიზნებისათვის, რუსული ადგილო-
ბრივი პრესის ავტორიტეტის განსამტკიცებლად და ასამაღლებლად.

მაგრამ ნ. ნიკოლაძეს საკუთარი მიზნები და ამოცანები ჰქონდა. "ობზორის" პირველსავე ნომერში ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის წერილი დაიბეჭდა, რომლის შესახებ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ტიმაშევი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს დ. სვიატოპოლკ-მირსკის სწერდა: "არა თვლით თქვენ იმის საჭიროებას, რომ წინადადება მისცეთ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, მსგავსი სტატიები, როგორიც დაიბეჭდა "ობზორის" პირველ ნომერში, აღარ დაიბეჭდოს?" [230ა, 1945, № 1, გვ. 42].

საცენზურო კომიტეტი ყველა საშუალებით ცდილობდა შეეზღუდა "ობზორის" თავისუფალი მოქმედება და დაებეჭდა მთავრობისათვის სასურველი მასალები, მაგრამ ნ. ნიკოლაძე პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას მკითხველი-საზოგადოების წინაშე. "ობზორმა" მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, თავის ფურცლებზე ცხოვრების აქტუალურ საკითხებს აშუქებდა, რუსული ადგილობრივი პრესის პრესტიჟი აამაღლა კავკასიაში და გაზეთის პოპულარობა კავკასიის საზღვრებს გასცდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიების კავშირის მიერ 1898 წელს ჟენევაში გამოცემულ წიგნში "Материалы для характеристики русской печати" გაზ. "ობზორის" შესახებ ნათქვამია: "1878 წელს გამოდიოდა გაზ. "ობზორი" - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროვინციული გამოცემა, რომელიც კი ოდესმე არსებობდა რუსეთში" [230ა, 1945, № 1, გვ. 43].

ცენზურის გამოშიგნულ წერილებს ნ. ნიკოლაძე სასიცოცხლო ძალას უბრუნებდა, ზოგჯერ აკრძალულ წერილებსაც კი ბეჭდავდა თავის პასუხის-მგებლობით.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა რასაც საცენზურო კომიტეტი და მთავარმმართველობა იყენებდნენ "ობზორისა" და მისი რედაქტორის წინააღმდეგ, გაზეთმა ერთხელ აღებული რადიკალური ხაზი და მიმართულება არ შეცვალა და განაგრძობდა მთავრობის პოლიტიკისა და ორგანოების გამათრახებას.

1879 წლის 1 იანვარს "ობზორის" № 350-ში დაიბეჭდა ცენზურის მიერ აკრძალული მეთაური წერილი, "Прошлый год" და ფელეტონი "Воскресные беседы - речь консерваторам". კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსმა განკარგულება გასცა გაზეთის აღნიშნული ნომრის დაკავებისა და განადგურების შესახებ. აღნიშნული წერილები, რომელიც ნ. ნიკოლაძემ საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე დაბეჭდა, მიმართული იყო მთავრობისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე ამ პუბლიკაციისათვის სასამართლოში მისცეს. "ობზორის" მოღვაწეობა დასრულდა იმით, რომ გაზეთი დახურეს ხოლო მისი რედაქტორი 1880 წლის ივლისში სტავროპოლში გადაასახლეს ორი წლით,[210, გვ. 129].

სასამართლო პროცესზე ნიკოლაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა მაშინდელი პოლიტიკური სისტემის საბრალდებო აქტს წარმოადგენდა.

"ობზორის" "დანაშაულებით" ამბავი მთელს იმპერიას მოედო. იმდენად დიდი იყო სასამართლო პროცესის რეზონანსი, რომ ნ. ნიკოლაძის სასამართლო პროცესზე დასასწრებლად პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა ვერა ზასულიჩი[230ა, 1945 წ., № 1, გვ. 46].

ჯერ კიდევ 1876 წელს ნ. ნიკოლაძე მგზნებარე პატრიოტული აღსარებით მიმართავდა ქართველობას: მიზანი მთელი ჩემი მოღვაწეობისა საქართველოში, რუსეთში თუ ევროპაში "შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა იყო"[79, გვ. 365-368]. ასეთად დარჩა ნ. ნიკოლაძე სიცოცხლის ბოლომდე, არასდროს არ უღალატნია იმ პირობისა და ფიცისადმი, რომელიც მან საქართველოს მისცა.

როგორც უკვე ვთქვით, 1879-1881 წლებში, მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადები ილია და აკაკი, ქართველი ერისათვის ძნელბედობის ჟამს აქვეყნებენ პატრიოტული მოტივისა და სამშობლოსათვის თავდადების უკეთილშობილესი გრძნობის ნაწარმოებებს. ცენზურას ხშირად თვალს უხვევენ, რათა თავიანთი ნააზრევი მიიტანონ ხალხის ფართო მასებამდე ცარიზმის მოხელეები კი საქართველოში რეპრესიებს აძლიერებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში ი. ჭავჭავაძე გამოვიდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დიდი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით გადმოცემულია "სარჩობელაზედ", რომელიც გამოქვეყნდა "ივერიაში" 1879 წელს (№ 2).

შემთხვევითი არ იყო, რომ 1879 წელს გაზ. "დროებაში" (№ 167-168) დაიბეჭდა ილიას პოემა "რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ". როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები დაიწერა 1860 წელს. ნაწარმოები გამსჭვალულია დიდი სიყვარულით იმ ადამიანებისადმი, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ თავისუფლებისა და კეთილი მომავლისათვის. პოემა გამოქვეყნდა მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში.

მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში ცალკე წიგნებად გამოიცა ი. ჭავჭავაძის "კაცია ადამიანი?!" "გლეხის ნაამბობი" და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოემა "აჩრდილის" გამოქვეყნება.

რევოლუციური სიტუაციის დროს ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილების სერია "ცხოვრება და კანონი", რომელშიც განხილულია საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა კარდინალური საკითხები. მოცემულია პრობლემების გადაჭრის ილიასეული გზები, რომლებიც თავისი არსით მიმართული იყო მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ილიას მხატვრულ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებზე იზრდებოდა თაობა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი.

1878 წელს ი. გოგებაშვილმა "დედაენაში" შეიტანა ი. ჭავჭავაძის ლექსი "გაზაფხული", "აყვავებულა მდელო, აყვავებულა ტყეები, მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?" ამ სიტყვებს, რომელსაც საქართველოში დიდი და პატარა იმეორებდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში მებრძოლი ძალების კონსოლიდაციისათვის. ქართულმა ლიტერატურამ დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის ფართო მასებში პროგრესული იდეების გავრცელებაში. არ დარჩენილა არც ერთი

საჭირბოროტო საკითხი, რომელიც არ ასახულა ქართულ ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში. ი. ჭავჭავაძე, წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვები სიტყვით და კალმით ამზადებდნენ და რაზმავდნენ მოსახლეობას ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად.

როგორც ზემოთ ვთქვით, მოწინავე ქართული ინტელიგენცია იბრძოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

თერგდალეულები იყვნენ თვითმპყრობელობის პრინციპული მოწინააღმდეგენი, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ უსამართლოდ არსებული წეს-წყობილების დასამხობად. ამ ბრძოლაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი თავის მოკავშირეებად მიიჩნევდნენ სხვა ხალხების მოწინავე წრეებს.

საქართველოში ისევე როგორც რუსეთში, რევოლუციური სიტუაცია არ გადაიზრდა რევოლუციაში, რადგან ის ძალები, რომლებსაც უნდა განეხორციელებინა ეს აქტი, ძალიან სუსტი აღმოჩნდა (ვ.ი. ლენინი) საზოგადოებრივი ძალა" გლეხობა ვერ ამაღლდა იმ იდეებამდე, რომლებსაც ქადაგებდნენ დემოკრატიული ძალები.

# თავი IV

## პოლიტიკური რეაქცია საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში

1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლცებმა მოკლეს მეფე ალექსანდრე II. მკვლელობას არ მოჰყოლია რევოლუციური აფეთქება, პირიქით: თვითმპყრობელობამ მოახდინა თავისი ძალების გადაჯგუფება და შეუტია მოწინავე დემოკრატიულ ბანაკს. ქვეყანაში გაბატონდა რეაქცია. აშკარა გახდა, რომ რევოლუციურ სიტუაციაში მოწინავე პროგრესულ ძალებს არ ეყო ძალა მთავრობის დასამხობად. 1881 წლის ტახტზე ავიდა ალექსანდრე III (188-1894 წწ), რომლის მეფობა მიჩნეულია როგორც რეაქციის მძვინვარების ხანად, რევოლუციურმა მოძრაობამ უკან დაიხია [17, გვ. 249].

რუსეთის რევოლუციური ძალების უკანდახევის დროს საქართველოშიც სულ უფრო ძლიერდება რეაქციის შეტევა საქართველოს რევოლუციურ-პროგრესული დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ძლიერად ამოქმედდნენ დიდმპყრობელურ-შოვინისტური ძალები, ხოლო რევოლუციური გამოსვლები შენელდა. რეაქციული ძალების სულისჩამდგმელი იყო სინოდის ობერ-პროკურორი, ალექსანდრე III აღმზრდელი გ. პობედონოსცევი. რუსეთის იმპერიაში აშკარად ქადაგებდნენ კაცთმოძულეობას, აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს და ებრძოდნენ ყველაფერს ეროვნულს. ასეთი პოლიტიკა ხორციელდებოდა სახელმწიფო აპარატის უშუალო მხარდაჭერით.

თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერებამ ქართველი ხალხი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

1882 წელს გაუქმდა მეფისნაცვლობა კავკასიაში და დაწესდა მთავარმართებლის თანამდებობა. ამით კავკასიის მმართველობის ავტონომია მოისპო და ადგილობრივი გუბერნიები უშუალოდ იმპერიის მთავრობას დაექვემდებარა. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ ცარიზმი ესწრაფვოდა კავკასიის ხალხთა ასიმილაციის, რისთვისაც ხელყო ადგილობრივი მოსახლეობის შეზღუდული ადმინისტრაციული ავტონომია, რომელიც მ. ვორონცოვის დროს ჰქონდა მინიჭებული [94, გვ. 164].

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელმაც 18 წელი დაჰყო კავკასიაში მეფისნაცვლად, გაიწვიეს და მთავარსარდლად დანიშნეს გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი. იგი ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე იყო და "თავი გამოიჩინა", როგორც უკიდურესმა რეაქციონერმა. შეუდგა რა თანამდებობის ასრულებას, მან ენერგიულად გააგრძელა რუსიფიკატორული პოლიტიკა.

60-იანი წლებიდან გაძლიერდა საქართველოს კოლონიზაცია. ცარიზმი საქართველოში საუკეთესო მიწებზე უცხო ელემენტებს ასახლებდა. კოლონიზაციამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბი მიიღო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. აქ მასობრივად ასახლებდნენ შიდა რუსეთიდან ჩამოყვანილ მოსახლეობას. უმიწაწყლო ქართველ გლეხებს კი ამ ადგილებში დასახლების უფლება თითქმის აკრძალული ჰქონდათ.

ქართველი ხალხის ჩაგვრამ 80-იან წლებში უკიდურეს ზღვარს მიაღწია.

საქართველოში ცარიზმმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის, უმთავრესად მშრომელი მასების საარსებო ინტერესების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობამ საქართველოზე არ გაავრცელა 1881 წლის კანონი დროებითვალდებული ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართული სოფელი კვლავ რჩებოდა ფეოდალური გადმონაშთების ხლართში. მიწათმფლობელობის ძველი ფორმა ინარჩუნებდა პოზიციებს. საქართველოს გლეხობას არ მიენიჭა მიწის სავალდებულო გამოსყიდვის უფლება. ამან გააძლიერა გლეხთა ფართო მასების უკმაყოფილება, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობდა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებში.

რეაქციის ბატონობის წლებში გლეხობას არ შეეძლო აშკარად გამოსულიყო საბრძოლველად. ამიტომ მისი ბრძოლის ფორმებიდან წინა პლანზე წამოიწია მემამულეებზე ფარულმა თავდასხმამ და სხვა ტერორისტულმა აქტებმა, ყაჩაღობამ. გლეხები ძველებურად უარს ამბობდნენ ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე და ა.შ.

მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტური მასალების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა 1881 წლის 1 მარტის მოვლენების შემდეგ, მთავრობა სულ უფრო აძლიერებდა "ურჩი" გლეხების შევიწროებას.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, მთავრობა ცდილობდა ძირშივე მოესპო "უწესრიგობის" კერები, ამისათვის იგი ფართოდ იყენებდა არა მარტო ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ აპარატს, არამედ სამხედრო ძალებსაც. სამხედრო ეს ეგზეკუციები 1882-1883 წლებში ჩაყენებული იქნა 129 სოფელში. [245, საქ. 184, ფ.545-546; 26, გვ. 187]. არის არასრული ცნობა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება ამჟამად, რადგან ზემოთმოტანილი მონაცემები ეხება მხოლოდ გორის მაზრას. გასაგებია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ეგზეკუციების რაოდენობა მეტი იყო.

ჩვენ არ შევუდგებით იმის ახსნას, თუ რა მძიმე ტვირთად აწვებოდა ეგზეკუცია ნებისმიერ სოფელს და რა მატერიალურ ზარალს აყენებდა გლეხობას. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ეგზეკუციის დროს ჯარისკაცები და კაზაკები მოსახლეობაში ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ, ნათელია, როგორ გმინავდა ქართული სოფელი.

ასეთ პირობებში 80-იანი წლების ქართულ სოფელში გახშირდა მემამულეებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტები. მხოლოდ გორის მაზრაში 1883 წელს მემამულეებზე გლეხების 195 თავდასხმას ჰქონია ადგილი. ამავე წელს გორის მაზრის უფროსი მოახსენებდა ზემდგომ ორგანოებს, რომ სახლ-კარის გადაწვამ მაზრაში მასობრივი ხასიათი მიიღო [245, საქ. 1038, ფ. 2].

ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა სხვა კუთხეებშიც; მემამულეების სახლ-კარი გადაწვეს იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, რაჭის და კახეთის სოფლებში.

80-იანი წლების დასაწყისისათვის, ჩვენი მონაცემებით, გლეხებმა მოკლეს 40-ზე მეტი მემამულე და დაჭრეს ან სხვადასხვა დაზიანება მიაყენეს 200-ზე მეტ კაცს. ეს მოვლენა აისახა რევოლუციონერ

და საბჭოთა საისტორიო ლიტერატურაში [204, გვ. 84; 26 გვ. 267].

მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, მთავრობა ვერ უზრუნველყოფდა ხელისუფლების სიცოცხლის დაცვას, ამიტომ ბევრი მათგანი ტოვებდა სოფელს და თავშესაფარს ქალაქში ეძებდა [26, გვ. 266].

ერთი გლეხები, როგორც წესი, თავს აფარებდნენ ტყეს და იქიდან აგრძელებდნენ ბრძოლას მემამულეებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოში გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ 80-იან წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ყაჩაღობა (ყირაღობა). მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღებს შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც მისდევდნენ ბანდიტიზმს, საფუძველს უთხრიდნენ ამ მოძრაობას, ამ ცალკეულ პირებს არ შეეძლოთ ამ მოძრაობის საზოგადოებრივი, სოციალური მიზანმიმართულება გაეუფერულებინათ. მოსახლეობა თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა "ყაჩაღებს". თხზავდა მათ სადიდებლად ლექსებს და სიმღერებს.

"ყაჩაღობა" (ყირაღობა) 80-იანი წლების დასაწყისიდან ფართოდ გავრცელებულია ქართლ-კახეთში, სამეგრელოში, გურია-აჭარაში. მეფის ხელისუფლების მსახურთ, რომლებიც მხარისა და ხალხის თავისებურებებს არ იცნობდნენ და სჩადიოდნენ დიდ უკანონობას, განსაკუთრებით ახლადშემოერთებულ აჭარაში ხელი მიჰყვეს სოციალურ და რელიგიურ ჩაგვრას. ბათუმის ოლქის უფროსი სმეკალოვი უხეშად ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას. მის შესახებ ასე წერდნენ: "ამ ბატონს რა ფეხი აქვს - საცა ფეხი შედგა, ხალხმა მამა-პაპის მიწა-წყალს თავი დაანება. აჭარაში იყო უფროსად და ხალხის ნახევარი აიყარა; ბათუმის ოლქში იყო და ისევ იმისთანა ამბავი მოხდა: მთელი ოლქის ნახევარზე მეტი მცხოვრები ოსმალეთში გადასახლდა" [214, 1882 წ. 11 IX].

მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს აჭარის მოსახლეობამ საჩივარი მისწერა: "ჩვენ ძალზე ვიწროდ ვართ მიწებზე. ვთხოვთ ჩვენი მოძმეებისაგან დატოვებული მიწები მოგვცეთ სამუდამოდ, დაგვადევით ის გადასახადი, რაც არის გაწესებული და არ დაგვაგდოთ ყურმოჭრილ ყმებად". დონდუკოვ-კორსაკოვი დაჰპირდა "ყოველგვარ შემწეობას აღმოგიჩენთ" [214, 1882 წ. 11 IX]. ყველაფერი უწინდებურად დარჩა.

რადგან არსაიდან საშველი არ ჩანდა, აჭარლები თავისი უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლას იწყებენ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი იძულებული შეიქმნა გურია-აჭარაში წასულიყო და გლეხთა მღელვარების მიზეზებს გასცნობოდა. იგი აღნიშნავდა: "ოზურგეთის მაზრა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. იქ განუწყვეტლივ ყაჩაღობა და მკვლელობაა, აგრარულ ნიადაგზე აუარებელი ბოროტმოქმედებანი ჩვეულებრივ, ნორმალურ მოვლენებად გადაიქცნენ" [219, 1882 წ., № 208].

გურიაში ცალკე გაგზავნილი კომისია გენერალური შტაბის პოლკოვნიკის ლევაშოვის მეთაურობით, აღნიშნავს: "გურიაში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაა, მაზრის დასაწყნარებლად საჭირო გახდა განსაკუთრებული ზომებისათვის მიგვემართა. მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლის მიზეზად ასახელებენ მოურავების მოქმედებას, რომლებიც მიწის იჯარით გაცემისას გლეხებს ქცევაზე 1-2 მანეთსართმევენ. ერთი სიტყვით, მოურავი მთავარი მიზეზია გლეხების უკმაყოფილებისა" [126, გვ. 166].

სინამდვილეში გლეხთა მღელვარებისა და ყაჩაღად გასვლის მიზეზი იყო ცარიზმის რეაქციული კოლონიური პოლიტიკა თავადაზნაურობის ექსპლოატაციის გაზრდა. მებრძოლი "ფირალის" ტიპი შექმნა ე. ნინოშვილმა მოთხრობაში "სიმონა".

ხელისუფლებამ გურიის დასამშვიდებლად თემებისა და სოფლების საზოგადოებებს მოსთხოვა, საეჭვო პირთა დასახელება, შეედგინათ მათზე "საზოგადოების განაჩენი" და გადაეცათ მთავრობისთვის დასასჯელად, მაგრამ ამ ღონისძიებას განხორციელება არ ეწერა. მთავრობამ სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენა. აი რას წერს ამის შესახებ "დროების" კორესპონდენტი: სოფელ შემოქმედში გურიის მაზრის განკარგულებით სამი ასეული რუსის ყაზახი ჩაუყენებიათ იმის მოტივით, რომ ფირალი ლომჯარია ამ სოფელში იმალებაო. არ არის სწორი, როცა ერთი კაცისათვის სამი სოტნა ყაზახი სოფელს სჭამენ [214, 1882 წ., № 66]. ასეთი ღონისძიება კიდევ უფრო აალელვებდა გლეხებს. ასევე მოიქცნენ ქობულეთის რაიონში - სოფელ ხინოში ჩაა-

ყენეს ორი სოტნა რუსის სალდათი [214, 1382 წ., № 172].

ამგვარი ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდა. კავკასიის მთავარმმართებლის განკარგულებით, გურია-აჭარაში "ბოროტების მოსპობად", ოზურგეთის მაზრაში კანონისა და ხელისუფლების შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად ოზურგეთის მაზრა გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და ბათუმის ოლქს დაუმორჩილა [219, 1862 წ., № 203].

ოზურგეთის მაზრაში სამხედრო წესები შემოიღეს. დამნაშავეები ომის დროის კანონების მიხედვით უნდა დაესაჯათ. დაიწყეს რეპრესიების გატარება.

გენერალმა სმეკალოვმა გაძლიერებული ეგზეკუცია ჩააყენა და მოსახლეობას მოსთხოვა "ფირალების" გაცემა. მოსახლეობამ უარი უთხრა. მაშინ ასეული გლეხი დააპატიმრა და დასჯას უპირებდა. ამის გამო მრავალი გამოჩენილი ფირალი ჩაბარდა ხელისუფლებას. ზოგმა სულაც მიატოვა გურია და აჭარა, რათა მთავრობას შეეწყვიტა რეპრესიები გლეხების წინააღმდეგ [126, გვ. 167].

"გურიის დასამშვიდებლად" იმდენად მკაცრად იქცეოდნენ, რომ გურიის გლეხობა იძულებული იყო გადახვეწილიყო მაზრიდან, ხშირ შემთხვევაში - საზღვარგარეთ, თურქეთში.

80-იანი წლების დასაწყისში განახლდა რევოლუციური აგიტაცია მუშებს შორის. 1882 წელს ხაშურის რკინიგზის დეპოში წარმოებდა პროპაგანდა მთავრობის წინააღმდეგ. აგიტატორები მოუწოდებდნენ მუშებს გაეჩაღებინათ ბრძოლა თავისუფლებისათვის. ისინი არწმუნებდნენ მუშებს, რომ მეფე და მისი მთავრობა ჩაგრავენ ხალხს.

ჟანდარმერიამ დააპატიმრა აგიტატორები: როჟანოვი, სკალკინი და სხვ. გამოძიების დროს მათ განაცხადეს, სოციალისტები ვართო [249, საქ. 79, ფ. 17-23].

1883 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ რუსი მუშები: ნ. ეფიმოვი, მ. კოროვკინი,

ი. გლადკინი და სხვები. პოლიციისათვის ეს ცნობილი გახდა და მათზე დააწესეს საიდუმლო თვალთვალი [241, საქ. 57, ფ. 3-7].

რეაქციის წლებში, ისევე როგორც წინა პერიოდში, ქართველი ხალხის ინტერესების დამცველად გამოდიოდა მოწინავე ქართული დემოკრატიული ბანაკი ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით. არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების და კულტურის არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, სადაც მათ სიტყვა არ ეთქვათ. თავიანთ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი იცავდნენ მშრომელი კაცის ინტერესებს, იბრძოდნენ მისი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად; მედგრად იბრძოდნენ საქართველოს პოლიტიკური გარდაქმნისათვის. თავგამოდებით ილვწოდნენ ქართული თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათვის.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა დაუღალავმა მოღვაწეობამ ამხილა თვითმპყრობელობის ცბიერი ხრახვები და მთელი ერი დარაზმა ამ გეგმების ჩასაშლელად.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გაიმართა მოწინავე ქართულ ბანაკსა და თვითმპყრობელობას შორის განათლებისა და კულტურის დარგში.

ქართული საზოგადოებრიობა წინ აღუდგა და ამხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. იანოვსკის სასკოლო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ენის განდევნას სასწავლებლიდან.

1881 წელს კ. იანოვსკიმ შეადგინა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით დაწყებით სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება მხოლოდ პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასში იყო დაშვებული და ისიც მხოლოდ გაკვეთილების ბოლოს. მოწაფეებს პირველი კლასიდანვე უნდა დაეწყოთ რუსული ენის შესწავლა, ხოლო უკვე მეორე კლასიდან საგნები პირითადა რუსულად უნდა ესწავლათ. მესამე კლასიდან ღდაენა უკვე ზედმეტ საგნად იყო გამოცხადებული. ცხადია, ასეთ პირობებში, რუსული ენის სრულიად

უცოდინარი ქართველი ბავშვები ვერაფერს ვერ ისწავლიდნენ; ცარიზმის ერთგული მოხელეები ამაზეც არ შეჩერებულან. მათ უნდოდათ, რომ ქართული ენა სრულიად განედევნათ სკოლებიდან და კიდევაც მიაღწიეს მიზანს. უკვე 80-იანი წლების ბოლოს ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდანაც განიდევნა და საგნების სწავლება ბავშვის სკოლაში შესვლისთანავე რუსულ ენაზე წარმოებდა [94, გვ. 165].

დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა და ისიც მხოლოდ იმდენად და იმ მიზნით, რომ ქართულის ცოდნას გაეადვილებინა რუსული ენის შესწავლა. სინამდვილეში იანოვსკი სავსებით უგულებელყოფდა მშობლიური ენის როლს რუსული ენის შეგნებულად შესწავლის საქმეში. სწორედ ამ დროს გავრცელდა საქართველოს სკოლებში სწავლების ე.წ. "მუნჯური მეთოდი", რომლის მიხედვით რუსული სიტყვების მნიშვნელობის გასაგებად მასწავლებელი მოვალე იყო სათანადო საგანი ან მოვლენა ბავშვებისათვის თვალსაჩინოდ ეჩვენებინა. მაგალითად, "ჩაის დალევა" რომ აეხსნა, მასწავლებელს მოსწავლეთა თანდასწრებით უნდა დაელია ჩაი; სიტყვა "ცურვის" ასახსნელად მას სჭირდებოდა აემოძრავებინა ხელები სწორედ ისე, როგორც მცურავი ამოძრავებს და ა.შ. ქართულ ენაზე ლაპარაკი სკოლებში სასტიკად აიკრძალა. ქართველ მასწავლებლებს სამუშაოდან ხსნიდნენ და მათ მაგივრად ქართული ენის სრულიად უცოდინარ პედაგოგებს ნიშნავდნენ [94, გვ. 165].

1883 წლიდან სახელმძღვანელოდ იქნა დაშვებული განათლების მინისტრის დელიანოვის ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ვითომდა სეპარატიზმში შენიშნული ქართველები და სომხები სამსახურიდან უნდა დაეთხოვათ. საუკეთესო ქართველი და სომეხი პედაგოგების დიდი ნაწილი სკოლებს ჩამოაშორეს.

საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის შემდეგ განათლების რექციონერმა მესვეურებმა ბრძანეს სამეგრელოს, სვანეთის, აჭარის სკოლებში სწავლება ქართულის ნაცვლად მეგრულად, სვანურად და თურქულად ეწარმოებინათ და ამ ენების გამოყენებით ესწავლებინათ რუსული ენა ბავშვებისათვის. [91, გვ. 645]. მეგრელებს და სვანებს

ცარიზმი ცალკე ეროვნებად აცხადებდა. მუსულმან ქართველებს, რომლებიც დედა სამშობლოს დაუბრუნდნენ და თავი დააღწიეს ოსმალო დამპყრობთა ბატონობას, ცარიზმის კავკასიელი აგენტები თურქებად აცხადებდნენ და ხელს უწყობდნენ მუჰაჯირული მოძრაობის გაღრმავებას, მუსულმან ქართველთა სამშობლოდან აყრასა და თურქეთში გადახვეწას. ახლადშემოერთებულ აჭარა-არტაანის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობას ცარიზმი ამიერკავკასიის თურქებით დასახლებულ ადგილთა მსგავსად აწყობდა, ებრძოდა იქ ქართულ დაწესებულებებს, ხელს უშლიდა ამ მხარის მოსახლეობის ქართველ ხალხთან დაახლოებას, ამავე დროს თითქმის ხელუხლებლად ტოვებდა თურქულ ეროვნულ დაწესებულებებს [91. გვ. 645-646. 78, გვ. 93-95].

ცარიზმის ეს ღონისძიებანი, როგორც უკვე ვთქვით, მიმართული იყო ქართველი ხალხის და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. თუ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხელს უწყობდა საქართველოს ცალკე კუთხეების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებას, მათი კულტურის ერთობის განმტკიცებას, კონსოლიდაციას, ცარიზმი უპირისპირდებოდა ამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს და ცდილობდა მის შეჩერებას. თვითმპყრობელობა ესწრაფოდა ქართველი ტომების ერთმანეთისათვის დაპირისპირებას, რათა გაეადვილებინა ქართველი ერის დაშლა-დანაწევრება და ცალ-ცალკე თითოეული ნაწილის სრული ასიმილაცია.

ცხადია, ასეთ ძალადობას და ეროვნული უფლებების აბუჩად აგდებას ვერ შეურიგდებოდა ქართველი ხალხი და მისი მოწინავე დემოკრატიული ინტელიგენცია.

მეფის თვითმპყრობელობის მიერ ქართველი ხალხის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ ახალი ამოცანები დაუსახა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 80-იანი წლების დასაწყისში ამ მოძრაობის დროშის ქვეშ დადგა საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი ძალა, ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების უკიდურესად რეაქციული ნაწილის გარდა, ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებ-

დნენ როგორც წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწენი, ისე ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები, აგრეთვე ხალ-ხოსნები. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ამ პერიოდში მხარს უჭერ-დნენ ლიბერალები, რომელთა მოძრაობა 80-იანი წლების დასაწყისში რამ-დენადმე გამოცოცხლდა.

შემდგომში ლიბერალები და ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თანდათან ჩამოშორდნენ ეროვნულ-განმათა-ვისუფლებელ მოძრაობას და ხელი აიღეს ქართველი ხალხის ეროვნული უფლე-ბებისათვის ბრძოლაზე. რაც შეეხება წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულებ-ის დემოკრატებს, რომლებიც უმთავრესად გაზეთ "ივერიის" ირგვლივ იყვ-ნენ შემოკრებილნი ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, რ. ერისთავი და სხვ). ისინი დარჩნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად. განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მესამე ეტაპის დასაწყისამდე.[94, გვ. 166].

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა, განსაკუთრებით კი გაზეთ "ივერიის" ირგვლივ შემოკრებილმა დემოკრატებმა ქართველი ერის პოლი-ტიკური უფლებების დასაცავად, ენისა და კულტურის გადასარჩენად დიდი და ხშირი ბრძოლა გაუმართეს ცარიზმის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებლებს. თუ რა თავგანწირვით და შეუპოვრობით იბრ-ძოდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე მოღვაწენი, ეს კარგად ჩანს იმ ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც ქართულ სკოლებში დედაენის სწავლების ირგვლივ გაჩაღდა.

როგორც კი გამომზეურდა სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის ნამდვილი ზრახვები, მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ცარიზმის დამქაშებს. იანოვსკისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ გამანადგურებელი კრიტიკული წერილები გამოაქვეყნეს ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა. ქართველი მოღვაწეები თავიანთ წერილებში ეყრდნობოდნენ რუსეთისა და ევროპის გამოჩენილ პედაგოგთა შეხედულებებს და სრული დამაჯერებლობით ნათელყოფდნენ,

რომ იანოვსკის სასწავლო გეგმას და მის რუსიფიკატორულ პოლიტიკას არაფე-რი აქვს საერთო პედაგოგიურ მეცნიერებასთან.

ილია ჭავჭავაძე აღშფოთებით ლაპარაკობდა იმის გამო, რომ შუაგულ ქართლში მდებარე გორის საოსტატო სემინარიაში გამგეობას "დაუსკვნია", რომ "ქართველები ქართველები არ არიანო" და ამის საფუძველზე "ქართულის სახსენებელი" გაუქრია. რაკი სკოლის მოსწავლეთა დიდ უმრავლე-სობას ქართველები შეადგენდნენ, დირექციას მიზნით, რომ ქართული ენა არ გაეჭაჭანებია და სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე ეწარმოებია, დაუდგენია, სემინარიაში თორმეტი სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეა გაერთიანებული და თვითეულისათვის მშობლიურ ენაზე სწავლება, რასაკვირველია, შეუძლებე-ლიაო. "ამათ შორის, - წერს ილია, - რუსები არიან ექვსნი, ორნი ფშავნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, ინგილო ორნი, გურული ორნი, აფხაზნი ორნი, უდინი ერთი... და ამგვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი, - ქართველად არ უცვნია. გორის სემინარიის მეცნიერებას... რომ ქართველი ქართველი არ არისო, ძალიან კარგადაც მოუწონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზე უნდა ვიცინოთ თუ ვიტიროთ?" - კითხულობს ილია ჭავჭავაძე [124, გვ. 229-230].

ბნელეთის ამ მოციქულებს ქართული ენის ძირობით სემინარიის წეს-დებაც კი დაუმახინჯებიათ და სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელ კლას-ში, ე.წ. პროსემინარიაში ახლადჩარიცხულ ქართველ ბავშვებისათვის არ მიუციათ საშუალება ქართულად ესწავლათ. ქართული ენის სწავლების მაგიერ ამ პროსემინარიაში მასწავლებელ ნათიევს შემოუღია ქართული სიტყვების რუსული ასოებით წერა. "აუღია და თავის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსული ასოებითა, რადგანაც რუსულ ანბანს აკლია თხუთმეტამდე ნიშნები ჩვენი ხმების გამოსახატავად. ამიტომ ეფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები... საწყალო ბავშვებო, - არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები? რომ "ნათიური" ანბანიც თქვენდა საუბედუროდ არ გამოჩენილიყო?" - შენიშნავს ილია [124, გვ. 231-232].

ქართველი ერის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან დაპირისპირება და მათი არაქართველებად გამოცხადება იმ პერიოდში, როცა სინამდვილეში მიმდინარეობდა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, ისტორიის ჩარხის უკუღმა შემობრიალებას ნიშნავდა. რეაქცია არ ცხრებოდა, ებრძოდა ქართველთა ეროვნებას და მის საფუძველს - ენას, ისტორიას, ქართულ დამწერლობას. რუსიფიკატორებმა პრაქტიკულად გადადგეს ნაბიჯები მეგრულ-სვანურისათვის ერთბაშად ანბანის შემუშავებისა და ამავე ენაზე დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენა - გამოცემისათვის. ამით ცარიზმი ცდილობდა საქართველოს სრულ რუსიფიკაციას.

ერის საუკეთესო ძალები წინ აღუდგნენ რეაქციის ამ ტალღას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. რეაქციის წინააღმდეგ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მთავარი იარაღი იყო ცენზურის მიერ უკიდურესობამდე შევიწროებული პრესა, რომლის საშუალებითაც რამდენადმე მაინც ხერხდებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა [91, გვ. 649].

რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილდნენ მარტო იდეური ბრძოლით. მათ შესძლეს გაეტარებინათ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნას და ქართული სკოლებისათვის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოების გამოცემას.

დიდმა ქართველმა პედაგოგმა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ი. გოგებაშვილმა სწორედ რეაქციის შემოტევის წლებში შეადგინა და გამოსცა თავისი ბრწყინვალე სახელმძღვანელოები, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს [87, 163-164].

რეაქციის შემოტევის წლებში საქართველოში არ შეწყვეტილა რევოლუციური გამოსვლები, რომელშიც აქტიურად ჩაება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობა. მთავრობის რეპრესიების მიუხედავად, ისინი აყენებენ არსებული უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური წყობილების გარდაქმნა-ლიკვიდაციის საკითხს.

ერთ-ერთი რევოლუციური კერა იყო თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეთა არალეგალური წრე "კამჩატკა", რომელსაც საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია და მოუმზადებია "ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის წერილიდან გადმოღებული პროკლამაცია - "რუს მუშა ხალხს". საიდუმლო ორგანიზაციის "კამჩატკის" წევრები დ. ქადაგიძე, ნ. ჯაყელი, ე. თაყაიშვილი, ე. გორგასლიძე და სხვ. აღუშფოთებია ს. პეროვსკაიას, ნ. კიბალჩიჩის, ა. ჟელიაბოვის ჩამოხრჩობას. ამ ახალგაზრდებს განუცხადებიათ, რომ ჩამოსახრჩობი იყვნენ არა რევოლუციონერები, არამედ მათი მსაჯულები. ქადაგიძის განცხადებით, როგორც ეს ძიების მასალებით დასტურდება "აწინდელი ჩვენი ყოვლად უვარგისი მმართველობა უნდა შეცვლილიყო სოციალისტების სურვილისა და მოთხოვნების შესაბამისად"[21, გვ. 118-119].

"კამჩატკის" ზემოჩამოთვლილი წევრები 1882 წლის 8 მარტს დააპატიმრეს და წაუყენეს პოლიტიკური ბრალდება, "მავნებლურ აზრებს" გამოსთქვამდითო. ქადაგიძის დაპატიმრებისას მისი ბინიდან წაიღეს პროკლამაციები, ორგანიზაციის წესდება, საამკინძაო მანქანა, აკრძალული პოლიტიკური ლიტერატურა და სხვ. გარდა ამისა, ამ წრის რევოლუციურ საქმიანობის ნივთიერი მტკიცება ძიებას წარუდგინა პოდპოლკოვნიკმა ნიკიფოროვმა, რომლის ბინაზე ცხოვრობდა დ. ქადაგიძე[21, გვ. 118-119].

1882 წლის 9 მარტს "კამჩატკის" წევრის ფ. სულთანოვის დაპატიმრებისას მის ბინაში აღმოჩნდა დაბეჭდილი ბროშურები სათაურით "წერილები პეტერბურგიდან", "ყოფისურათები" "მეფისმკვლელების გასამართლება" და რევოლუციური შინაარსის სხვა ლიტერატურა.

კამოძიებისას ც. სულთანოვმა, დ. ქადაგიძემ და ინსტიტუტის დანარჩენმა მოსწავლეებმა - ნ. ჯაყელმა, ე. გორგასლიძემ და ე. ტერპოღოსოვმა ყველაფერი უარყვეს. სასამართლო იძულებული იყო გაეთავისუფლებინა ც. სულთანოვი და დ. ქადაგიძე ციხიდან და დაუწესა ერთი წლით პოლიციის საიდუმლო თვალთვალი[241, საქ. 1113, ფ. 1-3].

ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეებმა მოწინავე პედაგოგების დახმარებით შეადგინეს და 1883 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაავრცელეს ქალაქში პროკლამაცია სათაურით "მოსწავლეებისაგან საზოგადოებას". ამ პროკლამაციაში, რომელიც საქართველოს ეგზარქოსსა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს კ. იანოვსკის გაეგზავნა, ნათქვამი იყო შემდეგი: "მთავრობამ ჩვენს აღმზრდელებს მისცა ახალი ინსტრუქცია, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს მორალურ და გონებრივ გახრწნას. მათ უნდათ, ჩვენ გამოვიდეთ უვიცი და მესამე განყოფილების ბრმა მსახურნი... ჯაშუშობა ყველგან და თვით მშობლების წრეშიც კი - ასეთია ის იდეალი, რომელსაც გვინერგავენ ჩვენ. მამებო და დედებო! ჩვენო უფროსო ძმებო და დებო! დაგვიცავით, ნუ მისცემთ ჩემს აღმზრდელებს ნებას ჩაკლან ჩვენში გრძნობა პატიოსანი და მოაზროვნე მოქალაქისა. დაგვიცავით, სანამ ახალგაზრდები ვართ... აღიმაღლეთ ხმა ჩვენს დასაცავად, მერე გვიან იქნება"[21, გვ. 121-122].

პროკლამაციაში მკაფიოდაა დადასტურებული მოსწავლე-ახალგაზრდობის რევოლუციური განწყობილება. პროკლამაციის ავტორები, ეტყობა, განსაკუთრებულ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ იმპერატორ ალექსანდრე II მკვლელებისადმი და მათი სახელებით შთაგონებულნი აღფრთოვანებულნი ფიქრობდნენ ხელი მოეკიდათ ხალხთა "განთავისუფლების დიადი საქმისათვის"[249, საქ. 72, ფ. 5; 91, გვ. 628].

პოლიციას მხედველობიდან არ გამოპარვია მოსწავლეთა რევოლუციური საქმიანობა. დააპატიმრეს ინსტიტუტის ორი მოსწავლე მ. ბესლაევი და

ვ. პლოხოტნიკოვი. მ. ზუსდაევს ჰქონია ჩანაწერები, სადაც ლაპარაკი ყოფილა სოციალისტური მოძრაობის შესახებ[249, 71. ფ. 41].

ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ ქართველი ხალხოსნების ერთი ნაწილი ნაროდნოვოლცების პოზიციებზე დადგა და კვლავ განაგრძო არალეგალური რევოლუციური საქმიანობა, ხოლო მეორე, უფრო მრავალრიცხოვანმა ნაწილმა ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის იდეაზე და ქართველი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, ამხანაგობების დაარსებით და სხვა ამგვარი ლეგალური ღონისძიებებით ცდილობდა. მათ შექმნეს საკუთარი ბეჭდური ორგანოები თბილისსა და ქუთაისში.

"ნაროდნოვოლცების" გავლენით საქართველოში შეიქმნა და წარმატებით მოქმედებდა რევოლუციურ-ხალხოსნური წრეები თბილისსა და გორში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1881 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოვიდა და აქტიური რევოლუციური საქმიანობა გააჩაღა რუსეთის ნაროდნოვოლცური პარტიის წევრმა ა. პრიბილევ-კორბამ. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხოსნებმა (მ. ყიფიანი, შ. დავითაშვილი, გ. გვარამაძე და სხვ.) შეიმუშავეს თავიანთი მოქმედების პროგრამის პროექტი[194, გვ. 290].

ა. პრიბილევა-კორბა ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა, რათა საქართველოს ხალხოსნურ წრეებს რუსეთის რევოლუციური ხელმძღვანელ ცენტრთან "შეუწყვეტელი კავშირი დაემყარებინა"[54, გვ. 86]. ა. კორბას პეტერბურგში გაბრუნების შემდეგ 1881 წლის შემოდგომაზე საქართველოში სერგი პეტრეს ძე პეტროვი, იგივე დევაევი ჩამოვიდა[91, გვ. 632]. იგი რევოლუციური ცენტრის სახელით ხელმძღვანელობდა არა მარტო თბილისის, არამედ გორის ხალხოსანთა საქმიანობასაც.

გორის წრეს საქართველოს სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის წესდების შემუშავება გადაუწყვეტია და ამის სისრულეში მოსაყვანად სათანადო კომისიაც გამოუყვია. გ. ყიფიანის, კ. გვარამაძისა და შ. დავითაშვილის შემადგენლობით. კომისიას წესდების პროექტი მართლაც შეუდგენია, მაგრამ მისი წაკითხვა ვერ მოუსწრიათ საიდუმლო ორგანიზაციის გაცემისა და ჩავარდნის გამო[79, გვ. 93].

კონსპირაციულ წრეს კავშირი დაუმყარებია გორის ახლოს სოფ. ხიდისთავში მდგარ სამხედრო ნაწილთან, რომლის ოფიცრები (კაპიტანი ნეზლობინი, პორუჩიკი ლიუბიმოვი და სხვ.), თანაუგრძნობდა რევოლუციურ მოძრაობას[91, გვ. 632].

შ. დავითაშვილის მოწმობით, საიდუმლო ორგანიზაციის სახსრების გაძლიერების მიზნით კონსპირატიულ კომიტეტს, ნაროდნოვოლცური ცენტრის დასტურითა და დავალებით, გადაუწყვეტია გორის ხაზინიდან ფულის გატაცება, მაგრამ ჟანდარმერიას, ამის შესახებ წინასწარ მიუღია ცნობა და საქმე ჩაუშლია. გამცემი და დამსმენი, როგორც დადგინდა სწორედ სერგეი პეტროვიჩი (იგივე დეგაევი) აღმოჩნდა.

გორის ხალხოსანთა საიდუმლო ორგანიზაციას მიაგნეს. დააპატიმრეს მისი ყველა წევრი. მ. ყიფიანი, შ. დავითაშვილი, ლ. მაჭავარიანი სამი წლით სემიპალატინსკში გადაასახლეს[91, გვ. 633].

კონსპირაციული წრის ჩავარდნის შემდეგ გორში ხალხოსანთა რევოლუციური საქმიანობა დაქვეითდა. თუმცა რევოლუციური მოძრაობა მეტნაკლებად მომავალშიც გაგრძელებულა.

დაპატიმრებას გადარჩენილ გორელ ხალხოსნებს კვლავ შეუდგენიათ მთავრობის საწინააღმდეგო წრე, რომლის შემადგენლობაში ყოფილან: ს. მგალობლიშვილი, ა. კერესელიძე, გორის სასულიერო სემინარიის ჩასწავლებელთა მღელი შტატი შ. შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, ლ. გრიგოლაშვილი, კ. გვარამაძე, ნ. ბერიაშვილი, ნ. ლომოური, მისი ნეუღლე ხუდადოვას ქალი. ა. ფურცელაძე, ზ. დავითაშვილი, რუსპირელი მასწავლებელი გულზოვი, ტყვიაველი კ. ხრისტოვი და სხვ.[91, გვ. 633].

ეს წრე იდგა არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან შეუნელებელი ბრძოლის პოზიციაზე. წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ა. კერესელიძე იყო თვითმპყრობელობის მტერი და მხურვალე რესპუბლიკელი იგი რესპუბლიკურ მმართველობას ქება-დიდებას ასხამდა. მის ბინაზე იკრიბებოდნენ წრის წევრები, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ნაწილი და იმართებოდა

აკრძალული ლიტერატურის კითხვა[249, საქ. 76, ფ. 4]. ასევე იკრიბებოდნენ საღამოობით ს. მგალობლიშვილის ბინაზე და რჩებოდნენ დილამდე[249, საქ. 76, ფ. 6].

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსათვის ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი და ითხოვდა, რომ კერესელიძე და მგალობლიშვილი გორიდან გაეძევებინათ[249, საქ. 76, ფ. 7]. როგორ დამთავრდა ჟანდარმერიის განზრახვა, ჩვენთვის ცნობილი არ არის, არც ს. მგალობლიშვილი წერს ამის შესახებ.

რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზატორად და ხალხის დამრაზმველ ძალად "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" გვევლინება. საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ყველაზე უმნიშვნელოვანესი იყო სკოლების ქსელის გაზრდა და სკოლებისადმი დახმარების გაწევა, მათი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში ქართულ ენასთან ერთად დიდ ადგილს უთმობდნენ რუსული ენის სწავლებას. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს "რუსკოე სლოვო" დიდ შეფასებას აძლევდნენ განათლების სამინისტროში. იგი მოწონებულ იქნა, როგორც სანიმუშო სახელმძღვანელო არარუს ბავშვთათვის. რუსიფიკატორები არ დამცხრალან, წერა-კითხვის საზოგადოებას უკიჟინებდნენ ნაციონალისტობას და საზოგადოების თავკაცების დევნას განაგრძობენ. საზოგადოება ინტენსიურად აგრძელებდა თავის საქმიანობას ქართველი ერის, ენის, კულტურის დასაცავად.

რეაქციის პერიოდში დევნილმა ქართულმა ენამ ქართული თეატრს შეაფარა თავი. დრამატული საზოგადოების ხელშეწყობით ფეხადგმული ქართული თეატრი თანდათან მტკიცდებოდა და ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მის აღმავლობაში დიდი დამსახურება მიუძღვის დავით ერისთავს, რომელმაც ფრანგი დრამატურგის სარდუს "სამშობლო"გადმოთარგმნა. პიესის შინაარსი ქართულ ისტორიულ სინამდვილეს

ისე შეუხამა, რომ ქართველმა მაყურებელმა მიიღო როგორც ორიგინალური და მისი შინაარსში საკუთარი სამშობლოს წარსული ტრაგედია დაინახა [91, გვ. 660]. როდესაც მესამე მოქმედებაში საბრძოლველად გამზადებული გმირები ფიცს სდებენ მთელი საზოგადოება ფეხზე ადგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო მუხლი მოედრიკა ეროვნული დროშის წინ", - გადმოგვცემს ეკ. გაბაშვილი [226, 1913 წ., № 7].

"სამშობლოს" ასეთი ძალა და გავლენა ხალხზე გახდა საბაბი რუსეთის წრეების და მათი პრესის გამოლაშქრებისა, რომელმაც უხეშად დაგმეს ქართული თეატრი და შეაგინეს ქართული დროშა. "ეგ დროშა გირჩევთ აღარ გამოაჩინოთ, გირჩევთ გოლდფრუას ცირკს მიყიდოთ თეატრის მიერ გაწეული ხარჯების დასაფარავად", - წერდა შავრაზმელი კატკოვის "მოსკოვსკიე ვედომოსტი".

ქართულ თეატრში "სამშობლოს" დადგმის მნიშვნელობაზე გაზ. "დროება" ასეთ შეფასებას აძლევდა: "ითქვა სიტყვა, რომელიც მოხვდა ყველა ქართველის გულს. ეხლა მოგვეცა შემთხვევა, რომ რამოდენიმე ხანი ერთად ვყოფილიყავით, ერთად გვეფიქრა. ჩვენ გვტანჯავდა და გვაფიქრებდა არა რომელიმე კერძო საკითხები, არამედ საზოგადო, საყოველთაო საგანი. მოგვეცა შემთხვევა, რომ განცალკევებული ხალხი... მივენდეთ ერთმანეთს და გული გავიმაგრეთ იმ იმედით, რომ ერთსა და ორს კი არ შეგვტკივებია სამშობლოსათვის გული, არამედ მთელ ხალხს"[214, 1892 წ., № 20].

არსებითად ეს იყო პასუხი რეაქციონერისადმი. იგი საზოგადოებრივ აზრსაც გამოხატავდა. მაგრამ ჩანს, საკმარისად მაინც არ მიიჩნიეს და კატკოვის საპასუხოდ ი. ჭავჭავაძემ აღიმაღლა ხმა. "ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, - წერდა ილია, - თავის სისხლში ამოუვლია, და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად, უჩირქოდ გადაუცია... დღეს ეს დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა... თვით ბარბაროსიც - კი არ აკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელი ერისას! მაშ, ბარაქალა

კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რისაც თვით ბარბაროსიც - კი ითაკილებდა" [125, გვ. 12-13].

კატკოვისა და ცარიზმის რეაქციული პრესის წინააღმდეგ და ქართული დროშის დასაცავად გამოდის ა. წერეთელიც. "არა გვგონია, - წერდა იგი - რომ პატიოსან და რიგიან რუსს ის კორესპონდენცია, სადაც ყველის უმიზეზოდ ლანძღავენ ქართველებს და აწმყოს გაკიცხვას რომ აღარ აკმარებენ, მამა-პაპის საფლავსაც კი უბრუნებენ" [117, გვ. 446-447]. რეაქციის წრეებში ქართულ თეატრში დაიდგა ა. წერეთლის დრამატული პოემა "პატარა კახი", რომელიც პატრიოტიზმის, გმირობისა და ვაჟკაცობის, რაინდული შეგნებისა და თავდადების ნათელში იყო. აკაკი პატარა კახის მგზნებარე მოწოდებით მიმართავდა ხალხს: "კმარა მიძინება! კმარა მოთმენა! დრო არის ადგეს ერთ-პირადი ერი, ან ბრძოლის ველზე სული დალიოს, ან მოიგოს სრული ნდერი!... მონას რად უნდა კრული სიცოცხლე? ვისთვის ააშენოს წმინდა ლამპარი? სჯობს მონებაში გადიდკაცებულს თავისუფლების ბენაში მკვდარი" [116ა, გვ. 333-334].

ქართული მწერლობის შესანიშნავ წარმომადგენელთა ქმნილებებისა და სხვა ენებიდან თარგმნილი ნაწარმოებთა წყალობით თეატრის ნიჭიერი კოლექტივი ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს აკეთებდა. ქართული თეატრი იყო სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დამცველი და ასიმილატორებთან თავგამოდებით მებრძოლი დაწესებულება [73, გვ. 44].

თეატრალურ საზოგადოებას და ქართულ თეატრს მალე მხარი მისცა პერიოდულმა ორგანომ გაზეთმა "თეატრმა" (1885-1890 წწ), რომელიც ქართული ხელოვნების და პირველ ყოვლისა თეატრალური ხელოვნების ორგანო იქცა.

ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ ქართული თეატრის ნაციონალური ბაზის შექმნაზე დიდი მუშაობა გასწია.

1880 წელს დაიწყო და 1896 წელს დამთავრდა დიდი ქართული თეატრალური ნაგებობის ე.წ. სახაზინო, ახლანდელი ოპერის თეატრის შენობა. ქა-

რული ეპოქის კრიტიკული პოპულარული ხდებოდა და გავლენას ახდენდა ხალხზე ჭეშმარიტი, მადლიანი ქართული სიტყვით.

საქართველოში განათლებისა და კულტურის განვითარებას დიდ მატერია-ლურ დახმარებას უწევდა და ხელს უწყობდა სათავადაზნაურო სააღგილმამულო ბანკი [91, გვ. 663].

ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გაღრმავების ბასრ იარაღად გვევლინება ქართული პროგრესულ-დემოკრატიული პრესა.

80-იანი წლების ცენზურის სიმკაცრის მიუხედავად სინათლე იხილა არა-ერთმა პერიოდულმა გამოცემამ. "დროებისა" და "ივერიის" გარდა თბილისში გამოდიოდა ხალხოსნური ჟურნალი "იმედი", (1881-1883 წწ). ქუთაისში ხალ-ხოსნურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი "შრომა". (1881-1883 წწ), რომ-ლებიც თანამშრომლობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომად-გენლები. 1884 წლიდან გამოსვლა დაიწყო პედაგოგიურმა ორგანომ "ნობათმა", 1884 წლიდან გამოდიოდა "ნოვოე ობოზრენიე", "იურიდიჩესკოე ობოზრენიე" და სხვ. [73, გვ. 45].

ქართული დემოკრატიული პრესა 80-იანი წლების რეაქციის ჟამსაც მტკიცედ იდგა სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე. ააშკარავებდა ცარიზმის ასი-მილატორულ პოლიტიკას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე იდეებს ქადაგებდა, მშრომელთა ინტერესებს იცავდა.

რეაქციის პერიოდის საცენზურო პირობების თაობაზე გაზ. "ივერია" ხატოვნად წერდა: "გულში რომ ჩაიხედო, თითქოს ზღვაა, ისე დუღს და გად-მოდის ბაღდადი ყოველგვარი ბოროტებისა, მაგრამ რას იზამ? ამისთანა პაპანაქებაში, როცა მზე უწყალოდ გვწვავს, ასდაგავს ქვეყნიერებასა, რა-საკვირველია, რომ გამხმარი ენა მშრალ სასას მიეკრას, სიტყვას ფრთა მო-კვეთოს, ძალღონე წაერთვას, კბილი მოეჭრას. ჩვენი ლიტერატურის სარბიელი ლამის გადახმეს ამ ახირებულ გოლვისაგან" [215, 1886 წ., № 1]. ამგვარი გაუსაძლებელი ვითარების მიუხედავად, ქართული პრესა და მწერლობა რეაქციის წინააღმდეგ მოქნილობითა და პრინციპული თანამიმდევრობით მოქმე-დებდა, გაბედულად აკრიტიკებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.

80-იან წლებში აიკრძალა სიტყვა "საქართველოს" ხმარება. 1885 წლის 5 ივნისს კავკასიის საცენზურო კომიტეტს ი. გოგებაშვილის "ბუნების კარში" შეტანილი – "საქართველოს მოკლე გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერა" ცენზორს შეუსწორებია – სიტყვა "საქართველო" ყველგან ამოუშლია, მის ნაცვლად "ტფილისის და ქუთაისის გუბერნია" ან "იმერეთი და ქართლ-კახეთი" ჩაუწერია[91, გვ. 664].

ცენზურის მიერ დევნილი პრესა მაინც ახერხებს სიმართლის თქმას. ატყუებდა, გაზ-კვალს უბნევდა ცენზორებს და სიმართლეს ეუბნებოდა ხალხს. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს აკაკის "გაზაფხული" რომელიც "დროებაში" დაიბეჭდა.

1881 წლის 6 მარტს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა მოხსენება წარუდგინა პოლიციის სახელმწიფო დეპარტამენტს გაზ. "დროების" № 45-ე ნომერში აკაკის ლექსის "გაზაფხულის" დაბეჭდვის გამო. "ამ ლექსს, – ნათქვამია მიმართვაში, – დიდი გატაცებით კითხულობს ადგილობრივი მოსახლეობის ყველა წოდება. ისინი ბაღში სეირნობის მაგიერ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და მსჯელობენ ამ ლექსის შესახებ, რომელიც არ აგრძნობინებს გაზაფხულს, არც იმ ცივი და თოვლიანი ამინდის გამო, რაც ეხლაა და რაც იმ სამწუხარო მოვლენის გამო, რაც მოხდა" (იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობა – ნ.გ.)[91, გვ. 664].

ცხადია, აკაკიმ მოატყუა ცენზურა ასეთი ნაგალითები, რომლებიც შემდეგში სანანებლად გახდომია ცენზურას, ბევრი ყოფილა.

ცენზურა დაუნდობლად სდევნიდა პროგრესულ ქართულ და რუსულ პრესას. რეაქციის წლებში 1885 წელს დაიხურა გაზ. "დროება", 1883 წელს – გაზ. "შრომა" და ჟურნ. "იმედი", მანამდე ასეთივე ბედი ეწია ნ. ნიკოლაძის "ობზორს". ეს ჟურნალ-გაზეთები დახურეს "მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო" შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის განკარგულებით. "დროების" დახურვის შემდეგ, ვიდრე გაზეთი "ივერია" დაიწყებდა გამოსვლას, საქართველო უგაზეთოდ დარჩა. გაუქმებული ჟურნალ-გაზეთების

ჩაგიეთ ახალი დაარსებისათვის ქართველ მოღვაწეთა ყოველგვარ ცდებს მთავრობა უარით ხვდებოდა. მაგ. ა. წერეთელი ბევრს ეცადა ყოველკვირეული გაზეთი "ვზა" დაეარსებინა, მაგრამ ამაოდ. მთავრობამ გაზეთის გამოცემის ნებართვა არ მისცა იმ მოტივით, რომ ა. წერეთელმა გაზ. "შრომაში" თანამშრომლობის პერიოდში თავისი ლიტერატურული ნაწარმოებებით ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართულება გამოამჟღავნა [245, საქ. 71, ფ. 4].

დარჩა ერთადერთი გაზეთი "ივერია", რომელიც ქართველი ერის, ქართული ენისა და კულტურის დაცვისათვის იბრძოდა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით; "ივერიის" გარშემო დაირაზმა მწერლები და პუბლიცისტები ა. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ი. მაჩაბელი, ნ. ხიზანიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, ი. ბახტაძე, დ. კეზელი, რ. ფანცხავა, გრ. ყიფშიძე და სხვ., რომლებიც რეაქციის შემოტევას საკადრისი პასუხით უმასპინძლდებოდნენ. შავრაზმელი პრესა, რომლის ყურმოჭრილი მონა-მორჩილი იყო ადგილობრივი მთავრობის ოფიციალური ორგანო "კავკაზი", ერთხმად "ასაბუთებდა", რომ "ყაჩაღი" და "ველური" ქართველები არ არიან ღირსნი რეფორმებისა. 1886 წელს ამგვარი შინაარსის სტატია გამოაქვეყნეს ჟურნ. "ვესტნიკ ევროპი"-ში [91, გვ. 6[illegible]].

ცარიზმის სატრაპები ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას. თვითმპყრობელობის რეაქციის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში კიდევ უფრო დაირაზმა ეროვნულ-საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც თავდაუზოგავად იცავდნენ ქართულ ენასა და კულტურას, ქართველი ხალხის ინტერესებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, რომელსაც სათავეში ი. ჭავჭავაძე ედგა, იყო ყველაზე მასობრივი და შედარებით ორგანიზებული მოძრაობა; ამ მოძრაობამ დაიცვა ქართველი ხალხის ინტერესები მისი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდში - რეაქციის აშკარა შეტევის დროს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 80-იან წლებში მიმდინარეობდა რთულ პირობებში; კლასობრივი ბრძოლა სოფლად აშკარად შენელდა, ხოლო მუშათა მოძრაობამ თავისი ძალა ჯერ კიდევ ვერ გამოავლინა.

# დ ა ს კ ვ ნ ა

რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკისა და ბატონყმური გადმონაშთების არსებობისა, დაჩქარდა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება განსაკუთრებით შეინიშნებოდა ქართულ სოფელში. ამ პერიოდში სოფლის მცხოვრებნი დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ სასაქონლო პროდუქციას, რომელიც საღდებოდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რუსეთისა და ევროპის ბაზრებზე დიდი რაოდენობით გადიოდა საქართველოში მოყვანილი მარცვლეული, ღვინო-არაყი, აბრეშუმისპარკი, თამბაქო, მატყლი, მეცხოველეობის პროდუქტები (ხორცი, ყველი, კარაქი, ტყავი და ა.შ.), ხე-ტყის ძვირფასი ჯიშის მერქანი საზღვარგარეთ საღდებოდა.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საქართველოს მრეწველობამ, მათ შორის მსუბუქმა მრეწველობამ. საქართველოში დამზადებული სამრეწველო ნაწარმი ძირითადად საღდებოდა ადგილზე და ამიერკავკასიის რეგიონში.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი გზათა მიმოსვლის საშუალების, უპირველეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებამ.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მიმდინარეობს ახალი კლასების - პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ჩამოყალიბება.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ცვლილებებს განიცდის სოფლის მოსახლეობა. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ძლიერდება მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გაღარაკება. ამ პერიოდისათვის ქართულ სოფელში გამოიკვეთა სოციალური დიფერენციაციის პროცესი.

რეფორმის შემდგომ წლებში ქართველი გლეხობა კოლონიურ და ეროვნულ ჩაგვრასთან ერთად განიცდიდა სოციალურ ჩაგვრას. ეს კი იწვევდა მოსახლეობის

ფართო ფენებში უკმაყოფილებას, რაც ყველაზე მკაფიოდ ვლინდებოდა კლასობრივ ბრძოლაში.

მშრომელების კლასობრივი ბრძოლა მიზნად ისახავდა ქვეყანაში ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვება-განმტკიცებას. გლეხთა მოძრაობამ საქართველოში, მიუხედავად თავისი სტიქიურობისა, დაქუცმაცებისა, ლოკალურობისა, დაბალი პოლიტიკური შეგნებისა, დიდი როლი შეასრულა რევოლუციური სიტუაციის ობიექტური ელემენტების მომწიფების საქმეში.

ამავე დროს გლეხობის კლასობრივ ბრძოლას გარკვეული დაღი დაასვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დონემ. მაგალითად, თუ 1864 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა იბრძოდა ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება-განმტკიცებისათვის. დასავლეთ საქართველოს გლეხობა დიდხანს იბრძოდა გლეხთა მძიმე მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო: იმერეთ-გურიაში - 1865 წლამდე, სამეგრელოში - 1866 წლამდე, აფხაზეთ-სვანეთში - 1870-1871 წლებამდე.

საქართველოს მოსახლეობის კლასობრივ ბრძოლაში XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ჩაებნენ აგრეთვე მუშები, თუმცა მათი კლასობრივი ბრძოლა ჯერ კიდევ სტიქიური და სუსტად ორგანიზებული იყო.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გაიშალა საზოგადოებრივი მოძრაობა. საქართველოს მშრომელების სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი და დამცველები იყვნენ თერგდალეულები, რომლებსაც სათავეში ედგა ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. 70-იანი წლების დასაწყისში, თერგდალეულები, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაუღალავი წინამძღოლნი, ენერგიულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. ისინი ცდილობდნენ ან მოძრაობის დროშის ქვეშ დაერაზმათ საქართველოს ყველა წოდება.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგების გასაფართოებლად ისინი იყენებდნენ აგრეთვე ევროპის რევოლუციური ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითებს.

ქართველი მშრომელი მასების ინტერესების დაცვას ითვალისწინებდნენ აგრეთვე ქართველი ხალხოსნები, რომლებიც მოქმედებდნენ რუს ნაროდნიკებთან ერთად. ქართველმა ხალხოსნებმა გარკვეული გავლენა მოიპოვეს საქართველოს ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წრეებში. მათ გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი, რათა დაემყარებინათ კავშირი მებრძოლ გლეხობასთან.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი მთელი სიმძიმით დააწვა საქართველოს მშრომელ მოსახლეობას. ომის წლებში გაძლიერდა კლასობრივი ბრძოლა. საქართველოში ობიექტურად ყალიბდებოდა რევოლუციური აფეთქების პირობები. 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა რევოლუციური სიტუაცია - სრულიად რუსეთის რევოლუციური სიტუაციის შემადგენელი ნაწილი.

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის მოვლენების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში არათანაბარი ძალით ჩამოყალიბდა რევოლუციური სიტუაციის ძირითადი ობიექტური ნიშნები. საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, "ქვედაფენებს" არ სურდათ ძველებურად ცხოვრება, ხოლო "ზედაფენებს" არ შეეძლო ძველებურად მართვა. სახეზე იყო ქვედაფენების მდგომარეობის ჩვეულებრივზე მეტად გაუარესება. ამ პირობებში მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლა როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მაგრამ მშრომელების რევოლუციურ ბრძოლას არ ჰქონდა გაქანება. არ ატარებდა მასობრივ ხასიათს, იყო დაქსაქსული, ნაკლებად გამოიყენებოდა შეიარაღებული წინააღმდეგობა, რაც უდავოდ აფერხებდა ამ რეგიონში რევოლუციური სიტუაციის ობიექტური ფაქტორების შემდგომ გაღრმავებას.

ვ.ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში გლეხთა მოძრაობამ მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში არ მიიღო "ექსტრაორდინალური აქტივობა" [18, გვ. 379].

მრავალრიცხოვანი დოკუმენტური და ლიტერატურული წყაროების, აგრეთვე სპეციალური ლიტერატურის მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად, 1879-1880 წლებში საქართველოში ჩამოყალი-

ბდა საერთო რევოლუციური სიტუაცია. განსხვავებით რუსეთისაგან, იგი არ გადაიზარდა უშუალო რევოლუციურ სიტუაციაში, როდესაც მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ რევოლუციური სიტუაცია უშუალოდ გადაიზარდოს რევოლუციაში.

ისევე როგორც პირველი რევოლუციური სიტუაციის წლებში, რუსეთში არ მოხდა რევოლუცია, რადგან არ არსებობდა რევოლუციური კლასი, რომელსაც ექნებოდა უნარი განეხორციელებინა მასობრივი რევოლუციური მოქმედება, იმდენად ძლიერი, რომ "გატეხოს (ან შეარყიოს) ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს, კრიზისების ეპოქაშიც კი არ წაიქცევა, თუ არ წააქციეს" [17, გვ. 249].

რევოლუციური სიტუაციის წლებში სუბიექტური ფაქტორის სისუსტემ საშუალება მისცა მთავრობას უფრო რეაქციული პოლიტიკა ეწარმოებინა საქართველოში, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. საქართველოში, მაგალითად, არ გავრცელდა 1881 წლის კანონი დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

რეაქციის წლებში სასტიკ დევნას განიცდიდა მთელი ქართველი ერი და მისი კულტურა.

რევოლუციური სიტუაციის ზოგიერთი ობიექტური ფაქტორი არ გამქრალა რეაქციის მძიმე წლებშიც.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


1. К.Маркс. Ф.Энгельс. Европейские рабочие в 1877г. собр.соч. 2-е изд. т.19
2. К.Маркс, Ф.Энгельс, Маркс-Фридриху Адольфу Зорге в Хобокей. Собр.соч.2-е изд. т.26
3. К.Маркс, Ф.Энгельс. Маркс-Фердинанду Флеклесу в Карлсбад. Собр.соч.2-е изд. т. 34.
4. К.Маркс, Ф.Энгельс, Маркс -Жени Лонге в Артытгей, Собр.соч. 2-е изд., т.35
5. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, მარქსი - ფ.ა. ზორგეს რჩეული წერილები. თბ., 1949 წ.
6. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, წინასიტყვაობა 1872 წ. რჩეული ნაწერები, 2 ტომად. ტ. I. თბ., 1950 წ.
7. კ. მარქსი, ფ. ენგელსის მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან. თბ., 1955 წ.
8. ვ.ი. ლენინი, ნაროდნიკობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში. თხზ., ტ. 1.
9. ვ.ი. ლენინი, რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს. თხზ., ტ. 2.
10. ვ.ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თხზ., ტ. 3.
11. ვ.ი. ლენინი, მუშათა პარტია და გლეხობა. თხზ., ტ. 4.
12. ვ.ი. ლენინი, ერობის მდევნელნი და ლიბერალების ჰანიბალები. თხზ., ტ. 5.
13. ვ.ი. ლენინი, წვრილ ბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი. თხზ., ტ. 9.
14. ვ.ი. ლენინი, კლასიკური შეფასება ინტელიგენტური ოპორტუნიზმისა სოციალ-დემოკრატიაში. თხზ., ტ. 12.
15. ვ.ი. ლენინი, "საგლეხო რეფორმა" და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია. თხზ., ტ. 17.

16. ვ.ი. ლენინი, რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან. თხზ., ტ. 20.

17. ვ.ი. ლენინი, II ინტერნაციონალის კრახი. თხზ., ტ. 21.

18. ვ.ი. ლენინი, პირველი მაისი და ომი. თხზულებათა სრული კრებული (რუსულ ენაზე), ტ. 26.

19. ვ.ი. ლენინი, "მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში. თხზ., ტ. 31.

19ა. აბაშიძე. კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ., 1962 წ.

20. აბზიანიძე გ. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1959 წ.

21. ანთელავა ი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1967 წ.

22. ანთელავა ი. გუჩუა ვ. საქართველოში სოციალური ურთიერთობის ნარკვევები. თბ., 1957 წ.

23. ავაზაშვილი ი. კახეთი XIX საუკუნის 30-70-იანი წლებში და გლეხთა აჯანყება ქიზიყში 1878 წელს. თსუ, 1952 წ.

24. ასათიანი ა. თბილისის ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყება. თბ., 1971 წ.

25. ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბ., 1940 წ.

26. ახობაძე მ. გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში. თბ., 1970 წ.

26ა. ბაბილოძე კ. აგრარული ურთიერთობა საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ბათუმი 1952.

27. ბენდიანიშვილი ა. აგრარული ურთიერთობა საქართველოში 1890-1917 წლებში. თბ., 1965.

28. ბენდიანიშვილი ა. სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში. თბ., 197[illegible] წ.

29. ბენდიანიშვილი ა. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბ., 1980 წ.

30. ბერძენიშვილი ნ. რეცენზია ა. კიკვიძის სადისერტაციო ნაშრომზე "საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში". საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 5, თბ., 1971 წ.

31. ბერძენიშვილი ნ. დუნდუა ვ. დუმბაძე მ. მელიქიშვილი გ. მესხია შ., რატიანი პ. საქართველოს ისტორია I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე). თბ., 1958 წ.

32. ბერძენიშვილი ლ. XIX საუკუნის ქართული დემოკრატიული პრესა. თბ. 1981 წ.

33. გაბლიანი ე. ძველი და ახალი სვანეთი. ტფ. 1925 წ.

34. გაგოიძე ვ. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა. თბ., 1962 წ.,

35. გამეზარდაშვილი დ. ქართული კრიტიკა და ქართული კრიტიკოსები. თბ., 1965 წ.

36. გასვიანი გ. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979 წ.

37. გაფრინდაშვილი მ. ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1959 წ.

38. გაფრინდაშვილი მ. ქართული განმანათლებლობა. თბ., 1966 წ.

39. გაწერელია ა. გრ. ორბელიანი. - ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად. ტ. III. თბ., 1969 წ.

40. გიორგაძე გ. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905 წწ.). თბ., 1928 წ.

41. გიორგაძე გ. თვითმპყრობელობა და რევოლუცია, საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1870-1902. თბ., 1929 წ.

42. გიცბა თ. მიწის საკუთრებად მიღებისათვის გლეხთა ბრძოლის ისტორიიდან, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. თბ., 1971 წ.

43. გოგებაშვილი ი. თხზ., ტ. I. თბ., 1955 წ.

44. გოგებაშვილი ი. რჩეული ნაწერები, ტ. II. თბ., 1954 წ.

44ª გოგებაშვილი ი. თხზ., ტ. III. თბ., 1954 წ.

45. გოგოლაძე დ. სამთამადნო სამთო საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხები. თბ., 1966 წ.
46. გორგილაძე დ. მეცნიერული სოციალიზმის სათავეებთან საქართველოში. თბ., 1967 წ.
47. გორგილაძე დ. მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1965 წ.
48. გორგილაძე დ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, მარქსიზმის გავრცელება საქართველოში. თბ., 1961 წ.
49. გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა. თბ., 1944 წ.
50. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I-II. თბ., 1949, 1956 წ.
51. გუგუშვილი პ. კარლ-მარქსი ქართული პუბლიცისტიკისა და საზოგადოებრიობაში. თბ., 1971 წ.
52. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება. თბ., 1941.
53. გულბანი გ. ეს იყო მაშინ. თბ., 1966 წ.
54. დავითაშვილი შ. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. თბ., 1933 წ.
55. დონაძე ვ. ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი. თბ., 1962 წ.
56. დონაძე ვ. ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ. თბ., 1970 წ.
57. ებანოიძე დ. პარიზის კომუნა და ქართველი საზოგადოებრიობა. თბ., 1962 წ.
58. ვარნაძე მ. რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს და 80-იანი წლების დასაწყისში. - "მაცნე", № 12, 1984 წ.
59. თავაძე ი. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. თბ., 1954 წ.
60. ინგოროყვა პ., ილია ჭავჭავაძე. თბ., 1957 წ.
61. იოსელიანი ა. 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 5. თბ., 1970 წ.

62. იოსელიანი ა. საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულები. თბ., 1972 წ.

63. იოსელიანი ა. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1968 წ.

64. კვანტრე ქს. საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბ., 1926 წ.

65. კიკვიძე ა. საქართველოს ისტორია ორ ნაწილად. თბ., 1954 წ.

66. კიკვიძე ა. საქართველოს ისტორია 1801-1890 წ. თბ., 1977 წ.

67. კიკვიძე ა. მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870-1901 წწ.) თბ., 1945 წ.

68. კოჭლავაშვილი ა. საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში. თბ., 1945 წ.

69. ლომაშვილი ფ. გიგეშიძე ზ. მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში. თბ., 1986 წ.

70. მაიაშვილი გ. (ზდანოვიჩი). რჩეული ნაწერები, ტ. I-II, მ. კანდელაკის რედაქციით და გამოკვლევით. თბ., 1968 წ.

71. მარგიანი გრ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1964-1917 წ. თბ., 1976 წ.

72. მარგიანი გრ. სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი საქართველოში (1879-1921 წწ.) თბ., 1960 წ.

73. მარგიანი გრ. ბოსლეველი. თბ., 1986 წ.

74. მარგიანი გრ. ქართული ხალხოსნობის ისტორიოგრაფია. თბ., 1978 წ.

75. მახარაძე ფ. 1905 წელი. ამიერკავკასიაში. თბ., 1932 წ.

76. მგალობლიშვილი ს. მოგონებანი. თბ., 1938 წ.

76° მესხი ს. თხზულებანი. ი. ბოცვაძის რედ. შენიშვნებითა და კომენტარებით, ტ. II., 1963 წ.

77. მესხი ს. წერილები, ს. ფირცხალავას რედაქციით. ტფ. 1903 წ.

78. მეგრელიძე შ. საქართველო აღმოსავლეთ ომებში. თბ., 1974 წ.

79. ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები, ტ. I. თბ., 1931 წ.

80. ნიკოლაძე ნ. თხზ., ტ. I-VII. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბ., 1962 წ.

81. ნიკოლაიშვილი ნ. ქართველი საზოგადოებრიობა და I ინტერნაციონალი (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები). თბ., 1964 წ.

82. ნიკოლაიშვილი ნ. პარიზის კომუნა და საქართველო. თბ., 1972 წ.

83. ნიჟარაძე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები ალ. რობაქიძის რედაქციით. თბ., 1964 წ.

83ა ნორაკიძე ი. ნაროდნიკობა და მისი ისტორიოგრაფია საქართველოში. - "მაცნე", 1967. № 6.

84. რატიანი პ. ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე. ტ. II. თბ., 1976 წ.

85. რატიანი პ. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. თბ., 1962 წ.

86. რატიანი პ. ილია ჭავჭავაძე. თბ., 1965 წ.

87. რატიანი პ. საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები. თბ., 1986 წ.

88. რატიანი პ. თერგდალეულთა მოღვაწეობის ისტორიიდან. თბ., 1962 წ.

89. როდონაია ნ. თბილისის მრეწველობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1961 წ.

90. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. ნ. თბ., 1970 წ.

91. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ნ. თბ., 1970 წ.

92. საქართველოს ისტორია, ტ. I. დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1958 წ.

93. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. I. თბ., 1957 წ.

94. საქართველოს ისტორია ტ. II. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1962 წ.

95. სურგულაძე ა. ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1973 წ.

96. სურგულაძე ა. ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან. თბ., 1980 წ.

97. ტყეშელაშვილი ნ. ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920 წწ.). თბ., 1958 წ.

98. უთურაშვილი ი. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში. თბ., 1958 წ.

99. უთურაშვილი ი. გლეხობის სოციალ-ეკონომიკური ჯგუფების თანაფარდობა აღმოსავლეთ საქართველოში - "მაცნე", 1967 წ.

100. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I. თბ., 1976 წ.

101. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბ., 1985 წ.

102. ქუთაისის გუბერნატორის მოხსენება 1889 წელს.

103. ყიფშიძე გრ. ილია ჭავჭავაძე. თბ., 1914 წ.

104. შველიძე ზ. რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. თბ., 1960 წ.

105. შველიძე ზ. ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 70-იანი წლების დამლევამდე). თბ., 1971 წ.

106. ჩადუნელი ე. ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიიდან. თბ., 1978 წ.

107. ჩადუნელი ე. თერგდალეულთა მსოფლმხედველობის საკითხისათვის. - "მაცნე," № 4, 1967 წ.

108. ჩადუნელი ე. ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიიდან. თბ., 1979 წ.

109. ჩარკვიანი ა. სვანეთი. თბ., 1967 წ.

110. ჩიქოვანი ღ. წერილი. - "ლიტერატურული საქართველო", № 6, 1966 წ.

111. ჩოდრიშვილი გ. ჩემი თავგადასავალი. თბ., 1927 წ.

112. ჩხეტია შ. ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის საქართველოში. - თბილისის ა.ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1943 წ.

113. ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1950 წ.

114. ცინცაძე დ. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში. თბ., 1979 წ.

115. ცხვედაძე ნ. მიწერ-მოწერა დიმიტრი ყიფიანთან, 1881 წ. 21 აპრილი, - სახალხო გაზეთი, № 17. 1912 წ.

116. წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. I. თბ., 1989 წ.

116ა. წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. II. თბ., 1989 წ.

117. წერეთელი ა. თხზ., სრული კრებული. ტ. 7-8.

118. წერეთელი ა. თხზ., ტ. 15.

119. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწერები ხუთ ტომად. ტ. 4. თბ., 1987 წ.

120. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. 3. თბ., 1953 წ.

121. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. I. თბ., 1985 წ.

122. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II. თბ., 1985 წ.

123. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. III. 1986 წ.

124. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. 1987 წ.

125. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V. 1987 წ.

125ა. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. VI. თბ., 1966 წ.

126. ხაჭაპურიძე გ. გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში. 1932 წ.

127. ხოშტარია ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში - წიგნი I. თბ., 1966, წიგნი II. (სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირება და მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები. თბ., 1966 წ.

128. ხოშტარია ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება. XIX საუკუნის საქართველოში. თბ., 1966 წ.

129. ხუნდაძე ს. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტ. I. თბ., 1927 წ.

130. ხუნდაძე ს. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II. თბ., 1927 წ.

131. ხუნდაძე შრ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1951 წ.

132. ხუნდაძე ტრ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თბ., 1960 წ.

132[a]. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVII-XX საუკუნეებში. თბ., 1984 წ.

133. ჯორჯაძე არჩ. თხზულებანი. ტ. II. თბ., 1911 წ.

134. Авалиани С.Л. Крестьянский вопрос в Закавказье, т.I, Одесса,1912

135. Авалиани С.Л. Крестьянский вопрос в Закавказье, т.II,Одесса,1913

136. Авалиани С.Л. Крестьянский вопрос в Закавказье т.III,Одесса,1914

137. Авалиани С.Л. Крестьянский вопрос в Закавказье,т.IV,Тбилиси, 1920

138.. Адамия В.И. Социально-экономическое развитие грузинской деревни в пореформенный период (1870-1900 гг.), Тбилиси, 1976 г.

139. Антелава И.Г. Государственные крестьяне Грузии, т.II,Тбилиси, 1962

140. Антелава И.Г. Орджоникидзе Э.А., Хоштария Э.В. К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тбилиси, 1967

141. Аргутинский-Долгоруков А. История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги за двадцать пять лет ее существования (1871-1896). Тифлис, 1898

142. Бакрадзе Г.К. Возникновение капиталистической промышленности в Грузии в XIX в. Тбилиси, 1959

143. Бахтадзе В.С. Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли (60-90 годы XIX столетия), Тбилиси, 1960.

144. Ванеев З.Н. Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX в. Сталинири, 1956

145. Веденский А. Письмо об Абхазии - "Кавказ", № 122, 1877

146. Всеподданнейшая записка по управлению кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова, Тбилиси, 1907.

147. Гугушвили П.В. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв.,т.I Тбилиси, 1957

148. Габлашвили Н.А. Грузинская деревня в 30-х начале 60-х годов XIX в. Тбилиси, 1980

149. Гулишамбаров Ст. Обзор фабрик и заводов тифлисской губерни. Тифлис, 1888.

150. Джавахов И.А. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПБ.1906

151. Дзидзария Г.А. Восстание 1866 г. в Абхазии, Сухуми, 1955

152. Дзидзария Г.А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982

153. Документы по истории Грузии. Под ред.проф.Ш.К.Чхетия т.I, ч.I Тбилиси, 1954

154. Дружинин Н.М. Русская деревня на переломе 1861-1882 гг. М.1978

155. Жордания О.К. Объявление крестьянской реформы в Восточной Грузии. Ответ крестьянства на реформу (1864-1865гг.) Вопросы новой истории Грузии. Тбилиси, 1971

156. Жордания О.К. К вопросу о революционной ситуации в Грузии в конце 50-х начале 60-х годов XIX в. Тбилиси, 1971

157. Жордания О.К. История крестьянской реформы в Грузии. Кн.I Тбилиси, 1982

158. Жуков Н. Несколько слов о рабочем вопросе по отношению к нашему краю - "Кавказ", № 49 1874

159. Зайончковский П.А. Кризис самодержавия на рубеже 1870-1980-х гг М.,1964

160. Зерцалов Г. Юбилей крестьянской реформы в Тифлисской губернии Тифлис, 1914

161. Зиссерман А. Что же наконец делается в Сухуми "Новое время", № 514 7(19) августа 1877

162. Из переписки Н... Николадзе с русскими и зарубежными общественными деятелями. Общая редакция, вступительная статья и комментарий Г.Джавахишвили, Тбилиси, 1980 г.

163. История классовой борьбы. Документы, кн.I, Тифлис, 1930
164. История СССР. Учебное пособие. Изд.ВПШ АОН при ЦК КПСС, М.,1961
165. Квасникова Е.А. Изменение крестьянского надельного землепользования в Восточной Грузии в результате реформы 1864 г. - "Исторические науки", 1964, № 4
166. Козьмин Б. Из истории революционной мысли в России, М.,1961
167. "Колокол". Газета А.И.Герцена и Н.П.Огарева вып.8. Факсимильное издание. М. 1963
168. Конюшая Р.Н. К.Маркс и революционная Россия, М.,1975
169. Левин М.Н. Общественное движение в России в 60-70 гг.XIX в. М., 1958
170. Махарадзе Ф.И. Очерки революционного движения в Закавказье, Тбилиси, 1927
171. Махарадзе Ф.И. Хачапуридзе Г.Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М.1932
172. Мачавариани К.Д. Народные смуты в Абхазии - "Голос", № 198, 19 июля 1877
173. Мегрелидзе Ш.В. Вопросы Закавказья и истории русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969
174. Мегрелишвили Г.М. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т.I ч.I Тбилиси, 1960
175. Мегрелишвили Г. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века т.I ч.П., Тбилиси, 1960
176. Мегрелишвили Г. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX и начале XX века, т.П. Тбилиси, 1959
177. Мествиришвили А.И. Формирование тифлисского протелтариата (1880-1900 гг.) Автореферат канд.дис.Тбилиси, 1966

178. Мочалов В.Л. Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX века, М.,1959

179. Матиксет-Бек Л. Архивные материалы по истории выступления тбилисских амкаров 1865 г. - "Исторический вестник", т.Ш, Тбилиси, 1947

180. Нанитташвили Н.Л. Германский капитал в Закавказье; Деятельность фирмы "Сименс и Гальске" в 1860-1917, Тбилиси, 1982

181. Нечкина М.В. Встреча двух поколений, М., 1980

182. Николай II. Отчет по главному управлению наместника кавказского, Тифлис, 1873

183. Отчет попечителя Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1878 г., Тифлис, 1879

184. Пирцхалаишвили А.Г. К истории выступления тбилисских амкаров в 1865 г. - "Исторические записки", кн.8, М., 1940

185. Рабочее движение в России в XIX в., т.П.1861-1884, ч.П 1801-1874, М., 1950

186. Ратиани П. Национально-освободительное движение и передовая культура Грузии во второй половине XIX в. - Вестник отделения общественных наук АН Груз.ССР № 6

187. Революционная ситуация в России в 1959-1861 гг. Сб.статей, М., 1960

188. Революционная ситуация в России в 1859-1861 гг. Сб.статей, М., 1962

189. Революционная ситуация в России в 1859-1861 гг. Сб.статей, М.,1963

190. Революционная ситуация в России в 1859-1861 гг. Сб.статей, М.,1965

191. Революционная ситуация в России в 1859-1861 гг. Сб.статей, М.,1974

192. Революционная ситуация в России в 1895-1861 гг. Сб.статей, М.,1978

193. Революционная ситуация в России в середине XIXв. Монография. М., 1978.

194. Россия в революционной ситуации на рубеже 1870-1880гг. М., 1983.

195. Сборник сведений о Кавказе, т.3. Тифлис, 1875.

196. Сборник статистических данных о землевладении и способах хоз-ва в пяти губерниях Закавказского края, под.ред.Е.Кондратенко. Тифлис, 1895.

197. Сборник статистических сведений о Кавказе. Под ред.Н.И.Воронова. Тифлис, 1869.

198. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, ч.I. Тифлис, 1902.

199. Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. Под ред.Е.Кондратенко. Тифлис, 1893.

200. Сельское хозяйство и аграрные отношения. Т.2. Тбилиси, 1960.

201. Семен О. Великая годовщина. Аграрный вопрос и крестьянская (крепостная) реформа на Кавказе. Исторический очерк. Киев. 1911.

202. Твардовский В.А. Идеология пореформенного самодержавия (М.Н.Катков и его издание). М., 1979.

203. Троицкий Н.А. Безумство храбрых. Русские революционеры и карательная политика царизма. 1866-1882гг. М., 1978.

204. Туманов Г.М., Земельные вопросы и преступность на Кавказе. Спб. 1900.

205. Утурашвили И.И. Реализация крестьянской реформы в Грузии. Тбилиси, 1967.

206. Хейфиц М.Н. Вторая революционная ситуация в России (конец 70-х- начало 80-х годов XIXв.). Кризис правительственной политики. М., 1963.

207. Хроника войны. Свод корреспонденции английской газеты ", т.I, СПб, 1878.

208. Чахвашвили Н.Л. Рабочее движение в Грузии. 1870-1904 гг. Тбилиси, 1958.

209. Черпуха В.Г. Внутренняя политика царизма в середине 50-х до начала 80-х годов XIXв. Л., 1978.

210. Чиковани Л.Ф. Нико Николадзе и демократическая печать Грузии 70-80-х годов XIXв. Тбилиси, 1989.

211. Чхотия Ш.К. Тбилиси в XIX столетии. Тбилиси, 1942.

212. Эсадзе С. Историческая записка об управлении Кавказом, т.II., Тифлис, 1907.

პერიოდული პრესა:
გაზეთები:

213. "გუთნის დედა"

214. "დროება"

215. "ივერია"

216. "სასოფლო გაზეთი"

217. "შრომა"

218. "Голос"

219. "Кавказ"

220. "Колокол" газета А.И.Герцена и Н.П.Огарева. Факсимильное издание. М., 1963

221. "Обзор"

222. "Тифлисский вестник"

ჟურნალები:

223. "აჭარა"

224. "ივერია"

225. "კრებული"

226. "კლდე"

227. "ლიტერატურული მემკვიდრეობა"

228. "მნათობი"

229. "მოამბე"

230. "რევოლუციის მატიანე"

230ა. "საისტორიო მოამბე"

231. "Былое"

232. "История классовой борьбы в Закавказье"

233. "Кавказское сельское хозяйство"

234. "Кавказский календарь"

235. "Литературная Грузия"

236. "Отечественные записки"

## საარქივო მასალები

საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი
(შემდეგ შემოკლებით: სსცსა):

237. ფ. 4. საქ. 125.

238. ფ. 6. ანაწ. 1. საქ. 15, 18, 35,42, 48, 52, 57, 176, 227, 251, 274, 275, 308, 311, 327, 1126, 1302, 2174, 2551, 3974, 4252, 4745, 4815, 4835, 4947, 5715, 5745, 5916, 6928, 6988, 6338.

239. ფ. 7. ანაწ. 1. საქ. 21, 23, 74, 2506, 2553, 2579, 2653, 2659, 2646, 2745, 2998.

240. ფ. 12. ანაწ. 1. საქ. 68.

241. ფ. 17. ანაწ. 1. საქ. 67, 68, 79, 157, 162, 225, 257, 484, 912, 113.

242. ფ. 17. ანაწ. 2. საქ. 219, 426, 429, 3018, 3529, 8747, 8774, ფურც.

243. ფ. 31. ანაწ. 1. საქ. 7. 27, 28, 31, 34, 152, 158, 186, 212, 330, 347, 359, 374, 385, 392, 436, 452, 455, 456, 461, 567, 659, 733, 783, 788, 844, 1038, 1053, 1284, 1580, 1638, 2834,

244. ფ. 32. საქ. 323.

245. ფ. 48. ანაწ. 1. საქ. 23, 44, 47, 17, 166, 184, 223, 225, 227, 231, 1038, 1042, 1179, 1387, 1434, 1510, 1532, 1742, 1942, 2174, 2179, 2271.

246. ფ. 113. ანაწ. 1. საქ. 44, 111, 138, 262, 254, 281, 283, 287, 293, 314, 316, 337, 340, 343, 345, 347, 334, 337, 340, 343, 345, 347, 392, 396, 439, 440, 441, 446, 449, 456.

247. ფ. 133. ანაწ. 1. საქ. 254, 281, 284, 287, 314, 316, 334, 337, 339, 340, 345, 347, 392, 396, 462, 466, 847.

248. ფ. 144. ანაწ. 1. საქ. 15

249. ფ. 163. ანაწ. 1. საქ. 23, 25, 28, 33, 35, 52, 57, 64, 71, 72, 76, 79.

250. ფ. 204. საქ. 654.

251. ფ. 220. ანაწ. 1. საქ. 7, 17, 54, 74, 74, 75, 79, 85, 89, 103, 124, 199, 200, 221, 227, 265, 296, 253, 366, 399, 806, 813, 883, 889, 890, 892, 895, 993, 2472.

252. ფ. 394. ანაწ. 1. საქ. 800.

253. ფ. 144. ანაწ. 1. საქ. 2197

254. ფ. 416, ანაწ. 1. საქ. 2197

255. ფ. 545. ანაწ. 1. საქ. 1674, 2722, 2742, 3103

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

256. ე. ვეიდენბაუმის პირადი ფონდი. საქ. 72, 109, 151, 1656.

257. გ. თუმანიშვილის პირადი ფონდი. საქ. 132, 142, 247, 1054,

258. დ. კეზელის პირადი ფონდი. საქ. 131

259. ბარონ ნიკოლაის პირადი ფონდი. საქ. 7. 81, 91.

260. გ. ორბელიანის პირადი ფონდი. საქ. 99, 626.

261. სხვადასხვა. საქ. 130, 131.

262. წერეთლების პირადი ფონდი. საქ. 172.

263. ჯორჯაძეების პირადი ფონდი. საქ. 58.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის არქივი.

264. ი. იოსელიანის ფონდი. საქ. 2855/31.

შემოკლებათა სია:

სცსსა - საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი

ფ. - ფონდი

ფ. - ფურცელი

ანაწ. - ანაწერი

საქ. - საქმე.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


შესავალი 3-29

თავი I. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა რეფორმის შემდგომ პერიოდში (1864-1881 წწ)... 30-82

თავი II. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში 1865-1877 წწ.

§ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 83-118

§ 2. კლასობრივი ბრძოლა 118-172

§ 3. ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში 173-205

თავი III. საქართველო სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში (1879-1881 წწ)

§ 1. საქართველო სრულიად რუსეთის მეორე რევოლუციური სიტუაციის წინ .................................. 206-226

§ 2. ნაროდნიკული მოძრაობა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში ................ 226-270

§ 3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მეორე რევოლუციური სიტუაციის წლებში ................ 270-309

თავი IV. პოლიტიკური რეაქცია საქართველოში 80-იანი წლების დასაწყისში .................................. 310-332

დასკვნა .................................................. 332-335

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ........................ 336-354

Габлишвили Нодар Александрович

Грузия накануне и в годы второй революционной ситуации в России
(70-ые и начало 80-х годов XIX в.)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით

შრძ. 143.08.04.88
(წიგნის ავტორის ხარჯზე გამოცემის შესახებ)

გამომცემლობის რედაქტორი შ. თ ო ფ უ რ ი ა
კორექტორი

გადაეცა წარმოებას 21.04.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.04.90; ქაღალდის ზომა 60X90 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი საბეჭდი თაბახი 22.25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.08;
ეე 02465; ტირაჟი 500; შეკვეთა №1270

ფასი 4 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство "Мецниереба", Тбилиси, 380030, ул.Кутузова, 19

საქართველოს სსრ საგამომცემლოების თბილისის
ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა.
გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

ТБИЛИССКАЯ КНИЖНАЯ ФАБРИКА ИМ. И. ЧАВЧАВАДЗЕ
ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ПО ПЕЧАТИ ГРУЗИНСКОЙ
ССР ПР. ГР. РОБАКИДЗЕ № 7.